ა. ბენდიანიშვილი

გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1989

ᲘᲐ.ᲐᲐ (2Გ)
ᲐᲐ 482

წიგნში განხილულია რევოლუციამდელი საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის გლეხობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების კანონზომიერებათა ფონზეა შესწავლილი გლეხობის სოციალური განვითარების ეტაპები და კლასობრივი ბრძოლის ფორმები. შედარებით მეტი ადგილი აქვს დათმობილი გლეხთა მასობრივ აჯანყებებს, რომლებმაც საგრძნობლად დააჩქარეს საზოგადოებრივი პროგრესი, გამოიწვიეს ჯერ ბატონყმობის გაუქმება, შემდეგ კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კაპიტალისტური ექსპლოატაციის მოსპობაში, ახალი სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილებისათვის საბოლოო წანამძღვრების შექმნაში.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები
ᲔᲚ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ
ᲕᲚ. ᲭᲐᲜᲣᲧᲕᲐᲫᲔ

Б $\frac{0503020906-039}{М\ 601\ (09)-89}$ 28—89

ISBN 5—529—00510—1

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989.

წინათქმა

ისტორიას ხალხი ქმნის. უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის შრომა და უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა მონაცვლეობის, კაცობრიობის პროგრესული განვითარების საფუძველი.

შუა საუკუნეებში მოსახლეობა ორი ძირითადი კლასის — ფეოდალებისა და გლეხებისაგან შედგებოდა. ფეოდალებს ეკუთვნოდა წარმოების ძირითადი საშუალებანი. ისინი ქმნიდნენ ეკონომიურად და სოციალ-პოლიტიკურად გაბატონებულ კლასს. საკუთრებას მოკლებული გლეხი კი მებატონის მიწას ამუშავებდა, მასზე იყო დამოკიდებული ეკონომიკურად და პიროვნულად. ბატონისა და ყმის ანტაგონიზმი დამახასიათებელია საერთოდ ფეოდალური ფორმაციისათვის, მაგრამ სოციალური წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა შუა საუკუნეების ბოლო პერიოდში.

ფეოდალიზმის ხანაში საქართველოს მოსახლეობის ოთხმოცდაათ პროცენტს გლეხობა შეადგენდა. კაპიტალიზმის განვითარების პროცესში გლეხობის ხვედრითი წილი თანდათან მცირდებოდა, მისი გაღატაკებული ნაწილი მუშათა კლასის რიგებში გადადიოდა. კაპიტალისტური ფორმაციის ძირითადი კლასების სახით, მართალია ბურჟუაზია და პროლეტარიატი ჩამოყალიბდა, ხოლო თავადაზნაურობა და გლეხობა არა ძირითად კლასებად გადაიქცნენ, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას არ მიუღწევია მაღალი დონისათვის, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტს გლეხობა ქმნიდა.

ქართველი მეცნიერები, ბუნებრივია, დიდ ყურადღებას აქცევენ გლეხი კაცის ისტორიის შექმნას. უკვე საკმაო რაოდენობით დაიწერა და გამოქვეყნდა კონკრეტული გამოკვლევები, მაგრამ განმაზოგადებე-

ლი ნაშრომი დღემდე არ მოგვეპოვება. ავტორის მიზანია ამ ხარვეზის ამოვსება.

წინამდებარე წიგნში არსებულ მეცნიერულ ლიტერატურაზე დაყრდნობით კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზეა გაშუქებული ქართველი გლეხის შრომის, მიწისა და თავისუფლებისათვის მისი ბრძოლის ისტორია ადრეფეოდალური ხანიდან კაპიტალისტური წყობილების დამხობამდე.

ნაშრომში ნაჩვენებია ყმა-გლეხთა კლასის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი, უშუალო მწარმოებელი ამ მასის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა, ბატონისა და ყმის ურთიერთობის ხასიათი, მათ შორის სოციალური ანტაგონიზმის გამწვავება, კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება. ავტორი გლეხთა კლასობრივი ბრძოლის არც ერთ ფორმას არ სტოვებს უყურადღებოდ, მაგრამ განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობს მასობრივ ანტიბატონყმურ აჯანყებებს, რაც XIX ს. 50—60-იან წლებში რევოლუციური სიტუაციის მთავარი კომპონენტი გახდა და ბატონყმობის გაუქმება განაპირობა.

ზედა ფენების მიერ გატარებულმა საგლეხო რეფორმამ თითქმის ხელუხლებელი დატოვა თავადაზნაურული მიწათმფლობელობა, წოდებრივი პრივილეგიები, კაბალური აგრარული ურთიერთობის ბევრი ფორმა. ამით უკმაყოფილო ქართველი გლეხობა მთელი 50 წელი თავგანწირულებით იბრძოდა ბატონყმობის ნაშთების მოსპობის, ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვებისა და წარმოების საშუალებათა დასაკუთრებისათვის. ნაშრომში გაშუქებულია XIX ს-ის 70-იანი წლების მასობრივი აჯანყებები და გლეხთა კლასობრივი ბრძოლის სხვა ფორმები (გადასახადების გაღებაზე უარის თქმა, თავადაზნაურთა მიწებინ დაკავება, ყაჩაღობა-ფირალობა, ყველაზე უფრო საძულველ მემამულეთა მკვლელობა), რომლებმაც 80—90-იან წლებში ფართო მასშტაბი მიიღო.

რეფორმის მომდევნო ხანაში კაპიტალიზმის განვითარება დაჩქარდა, გლეხობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი გაძლიერდა. XIX—XX სს. მიჯნაზე საქართველოს გლეხობა უკვე აღარ იყო მონოლითური კლასი, ფენებად დაიშალა. გლეხობის დაშლამ საგრძნობლად შეცვალა სოფლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, სოციალურ წინააღმდეგობათა ხასიათი და კლასობრივი ბრძოლის ფორმები. გლეხთა მოძრაობა მუშათა მოძრაობასა და სოციალ-დემოკრატიას დაუკავშირდა, თვისობრივად მაღალ საფეხურზე ავიდა.

1901 წ. ვ. ი. ლენინი წერდა: „თანამედროვე რუსეთის სოფელში შეთავსებულია ორგვარი კლასობრივი დაპირისპირება: ჯერერთი, სოფ-

ლის მუშებსა და სოფლის მეწარმეთა შორის, მეორე, მთელ გლეხობასა და მთელ მემამულეთა კლასს შორის. პირველი დაპირისპირება ვითარდება და იზრდება, მეორე — თანდათან სუსტდება. პირველი — ჯერ კიდევ მთლად მომავალს ეკუთვნის, მეორე — მეტწილად უკვე წარსულს ჩაბარდა. და, მიუხედავად ამისა, თანამედროვე რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის სწორედ მეორე დაპირისპირებას აქვს უფრო მეტად არსებითი და პრაქტიკულად უფრო დიდი მნიშვნელობა".[1] სასოფლო სამეურნეო მუშების კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებისათვის რომ უნდა ვიბრძოლოთ, — ამბობდა ლენინი, — ეს ყველა სოციალ-დემოკრატისათვის ცხადია, „მაგრამ ჩვენი სოფლის მუშები ჯერ კიდევ მეტისმეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებული გლეხობასთან, მათ ჯერ კიდევ ძლიერ უხუთავს სულს საერთო-გლეხური სიდუხჭირე, და ამიტომ საერთო-ნაციონალურ მნიშვნელობას სოფლის მუშათა მოძრაობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებს ვერც ახლა და ვერც ახლო მომავალში. პირიქით, ბატონყმობის ნაშთების აღგვის, რუსეთის სახელმწიფოს ყოველგვარი წესებიდან წოდებრივი უთანასწორობისა და ათეული მილიონობით „მდაბიო ხალხის" დამცირების სულისკვეთების აღმოფხვრის საკითხს უკვე ამჟამად აქვს საერთო-ნაციონალური მნიშვნელობა, და პარტიას, რომელიც თავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლის როლს ჩემულობს, არ შეუძლია ამ საკითხს თავი აარიდოს".[2]

შიდა რუსეთის გუბერნიებთან შედარებით საქართველოში უფრო დიდი რაოდენობით რჩებოდა ბატონყმობის ნაშთები. ამდენად, ვ. ი. ლენინის ზემოთ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი კიდევ მეტი სიზუსტით ასახავს საქართველოს იმდროინდელ რეალობას, ჩვენს ქვეყანაში აღმოცენებული სოციალური ანტაგონიზმისა და კლასობრივი ბრძოლის ხასიათს. საქართველოში, მართალია, თანდათან მწვავდებოდა წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, მაგრამ 1917 წლამდე აშკარად სჭარბობდა ბატონყმობის ნაშთების საფუძველზე აღმოცენებული კლასობრივი ანტაგონიზმი და ამ ნაშთების მოსპობისათვის წარმოებული რევოლუციური ბრძოლა.

რუსეთის ცარიზმი, მართალია, მზარდი კაპიტალისტური საზოგადოების წინაშე დათმობებზე მიდიოდა, ამჟღავნებდა ბურუუაზიულ მონარქიად გარდაქმნის საკმაოდ ძლიერ ტენდენციას, მაგრამ იგი ძირითადად მაინც თავადაზნაურობის ინტერესთა სადარაჯოზე იდგა. ცარიზ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, 1955, გვ. 521.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 522.

მის რეაქციული პოლიტიკის გამო XX ს-ის დამდეგამდე დარჩა თავადაზნაურობის წოდებრივი პრივილეგიები, მემამულეთა ლატიფუნდიები და აგრარული ურთიერთობის კაპიტალიზმამდელი სახეები. რუსეთის იმპერიაში ერთმანეთს ეხლართებოდა მშრომელი მასების ექსპლუატაციის ნახევრად ბატონყმური და კაპიტალისტური ფორმები, რასაც კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა მეფის მთავრობის მიერ შექმნილი პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის სისტემა. ამან განაპირობა XX ს-ის დამდეგს რევოლუციური მოძრაობის ცენტრის დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადმონაცვლება. იმპერიის ხალხთა რევოლუციური ძალების წინაშე პრაქტიკულად დაისვა ცარიზმის დამხობისა და ბატონყმობის ყველა სხვა ნაშთების მოსპობის ამოცანა.

დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ რევოლუციებში გლეხობა ბურჟუაზიის მოკავშირედ გამოდიოდა. რუსეთში, მართალია, პირველი რიგის ამოცანას ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრა და კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარებისათვის მიწების გაწმენდა წარმოადგენდა, მაგრამ კლასობრივ ძალთა განლაგებაში მომხდარი ცვლილებების გამო, გლეხობის დიდი ნაწილი გაემიჯნა კონსერვატიულ ბურჟუაზიას და რევოლუციურ პროლეტარიატს შეუკავშირდა. მისი ხელმძღვანელობით გაჩაღდა ბრძოლა ბატონყმობის ნაშთების მოსპობისა და დემოკრატიული წყობილების დამყარებისათვის.

ნაშრომში ასახულია ქართველი გლეხობის მიერ რუსეთის რევოლუციებში შეტანილი წვლილი, ის ფურცლებია გადაშლილი, რომელიც ქართველმა გლეხობამ თავისი სისხლით ჩაწერა საერთო სარუსეთო და საკაცობრიო განმათავისუფლებელი ბრძოლის მატიანეში.

თავი I

ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია საქართველოში. გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა X—XVIII საუკუნეებში

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია პირველყოფილი თემური წყობილება იყო. მისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი საკუთრების პრიმიტიული ფორმები და ამის შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრის თანას-

წორობა, ერთნაირი დამოკიდებულება ბუნებისაგან ბოძებული სიმდიდრისა და წარმოების საშუალებებისადმი.

პირველყოფილი საზოგადოება, მართალია, ქონებრივად და უფლებრივად თანასწორ ადამიანთა კრებული იყო, მაგრამ მასაც ჰქონდა გარკვეული ორგანიზაცია. პირველ ეტაპზე საგვარეულო თემები არსებობდა, შემდეგ კი სამეზობლო და ტერიტორიული თემები ჩამოყალიბდა. თანდათან გაუმჯობესდა შრომის იარაღები, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. ადამიანის მიერ შექმნილი ჭარბი პროდუქტი მისი საკუთრება გახდა. თემი გარდაიქმნა ერთმანეთისაგან განცალკევებულ საოჯახო მეურნეობათა სისტემად. გაიზარდა ქონებრივი განსხვავება ცალკეულ თემებსა და თემის შიგნით ოჯახებს შორის. გართულდა თემებისა და მეთემეთა ურთიერთობის ფორმები, წარმოიშვა საგვარეულო, სათემო და სატომო ძალაუფლების ორგანოები, გაჩნდა „მამასახლისის", „უხუცესისა" და „ბელადის" ინსტიტუტები. ჩამოყალიბდა სამხედრო დემოკრატია. თანდათან გამოიკვეთა განსხვავება, დაპირისპირება გვაროვნულ არისტოკრატიასა და რიგით მეთემეებს შორის. 3000—2500 წლის წინათ ქართველი ტომები პირველყოფილი თემური წყობილების განვითარების უმაღლეს საფეხურზე, სამხედრო დემოკრატიის ეტაპზე იყვნენ ასული. მზადდებოდა პირობები კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობისათვის.

მომდევნო ხანაში გაძლიერდა თემური წყობილების რღვევა, თანასწორთა საზოგადოების ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის პროცესი, თემური თვითმმართველობა იწყებს გადაზრდას სახელმწიფოებრიობაში.

ძველი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიაში ორ პერიოდს განასხვავებდა, ერთმანეთს უპირისპირებდა მამასახლისობისა და მეფობის ხანას. მამასახლისი არსებითად ქართველ ტომთა გაერთიანების ბელადი იყო. მცხეთის მამასახლისი აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს განაგებდა. მამასახლის-ბელადები თანდათან აფართოებდნენ თავის უფლება-კომპეტენციას, ქმნიდნენ მმართველობის ორგანოებს, ქონებრივად და სოციალურად დაწინაურებული ფენიდან ნიშნავდნენ მოხელეებს, ამრავლებდნენ ლაშქარს. ძვ. წ. აღრიცხვის IV—III საუკუნეების მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა გაერთიანების ბელადი მეფედ გადაიქცა. ასევე წარიმართა განვითარების პროცესი დასავლეთ საქართველოშიც. მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის საფუძველზე შექმნილი სამეფო ხელისუ-

ფლება თავის მხრივ ხელს უწყობდა კლასობრივი დაშლის გაღრმავებას, ზედაფენების გაბატონებული მდგომარეობის განმტკიცებას.

ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის სტრაბონის გადმოცემით ძვ. წ. აღრიცხვის პირველ საუკუნეებში იბერიის (ქართლის) მოსახლეობა ოთხ ფენად იყოფოდა. პირველ ფენას ქმნიდნენ სამეფო საგვარეულოს წევრები, მეორეს — ქურუმები, მესამეს — თავისუფალი მიწათმოქმედნი და მეომრები, მეოთხეს — ნახევრად თავისუფალი მეთემეები, რომელნიც სამეფო მიწებზე ცხოვრობდნენ და სამეფო მონებად წოდებოდნენ.

ამ მასალის საფუძველზე თანამედროვე ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები ასკვნიან, რომ ძვ. წ. აღრიცხვის პირველი საუკუნის საქართველოში არსებობდა ადრეკლასობრივი საზოგადოება და მისი შესაფერისი სახელმწიფო. ჯერ კიდევ განუვითარებელი საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური კიბის სათავეში იდგა სამეფო დინასტია, რომლის წევრები ქვეყანას თავის საგვარეულო სამფლობელოდ თვლიდნენ და ქვეყნის მმართველობის ფუნქციებს ერთმანეთს შორის ინაწილებდნენ. გვარში უხუცესი მეფის ტიტულს ატარებდა, ასაკით მომდევნო, მხედართმთავარი და მოსამართლე იყო. მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ სამეფო საგვარეულოს სხვა წევრებს — სეფეწულებსაც. წარმართული სარწმუნოების ქურუმები საკულტო ფუნქციასთან ერთად თემების უფროსთა მოვალეობასაც ასრულებდნენ.

მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ თავისუფალი მიწათმოქმედნი. მათ ძირითად მოვალეობას სამეფო ხელისუფლების წინაშე სამხედრო სამსახური, საკუთარი ცხენითა და შეიარაღებით ლაშქარში გასვლა წარმოადგენდა. ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ეს ფენა „ერის“ სახელითაა მოხსენებული. ძველ ქართულში კი ერი ერთნაირად აღნიშნავდა როგორც ხალხს, ისე ჯარს. ერისკაცები გაერთიანებული იყვნენ სასოფლო თემებში, სადაც ფაქტიურად უკვე არსებობდა მიწის ინდივიდუალური მფლობელობა, საერთო სარგებლობაში რჩებოდა წყალი, საძოვრები, ტყეები.

ქართლის სამეფოში თავისუფალი თემების გარდა დაპყრობილ-დამორჩილებული თემებიც იყო. ამ თემების მიწა მეფემ მიითვისა, დაკაბალებულ მეთემეებს კი შრომითი ვალდებულება და პროდუქტადი გადასახადი დააკისრა. სტრაბონი მათ სამეფო მონებს უწოდებდა, მისი ქართული შესატყვისი „გლეხი“ უნდა ყოფილიყო. პირველ საუკუნეში ნახევრად თავისუფალი, დამოკიდებული მეთემეების, იგივე გლეხების რაოდენობა ჯერ კიდევ არ იყო დიდი. წარმოებაში მთავარ როლს ერი

ასრულებდა. მომდევნო ორ საუკუნეში, როცა საქართველო რომის იმპერიის ორბიტაში მოექცა და ომები გახშირდა, დაპყრობილ-დამორჩილებული თემების რაოდენობა გაიზარდა. ქართლის მეფე დამორჩილებულ მეთემეებს ან ადგილზე ბეგრავდა, ან სამეფო დომენში ასახლებდა. ასეთ მეთემეთა ერთი ნაწილი მოექცა სამხედრო-საგვარეულო არისტოკრატიის და სახელმწიფო მოხელეთა დამოკიდებულებაში. სახელმწიფო, სეფე სახლი, წარმართული ეკლესიის ქურუმები, საგვარეულო-სამხედრო არისტოკრატია და მოხელეები ეწეოდნენ გლეხების ნახევრად ფეოდალური ფორმის ექსპლუატაციას. სავარაუდებელია ტყვე მონების გარკვეული რიცხვის არსებობაც. ამდენად, საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ადრეკლასობრივ საზოგადოებაში თანაარსებობდა მონათმფლობელური და წინაფეოდალური (პროტოფეოდალური) ექსპლუატაციის ფორმები. მაგრამ ხალხის ძირითადი მასა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პირად თავისუფლებასა და სამეურნეო დამოუკიდებლობას, გამძლეობას იჩენდა სათემო მიწათმფლობელობა და პირველყოფილი თემური წყობილების სხვა ტრადიციები.

საქართველოს მოსახლეობის შემდგომი სოციალური განვითარება წარიმართა კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავების გზით. ერს (თავისუფალ მიწათმოქმედებსა და მეომრებს) გამოეყოფოდა, ერთი მხრივ, სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია, ხოლო მეორე მხრივ, ადგილი ჰქონდა ერის ფართო ფენებისა და გლეხების ეკონომიკურ-უფლებრივი მდგომარეობის გარკვეულ ნიველირებას. თავისუფალ მიწათმოქმედთა თემებიც თანდათან გლეხთა თემების მსგავს დამოკიდებულებაში მოექცნენ სამეფო ხელისუფლებისა და წარჩინებულთა მიმართ. ლაშქრად გასვლასთან ერთად ისინი სხვა სახელმწიფო ვალდებულებასაც ასრულებდნენ; იხდიდნენ გადასახადებს, მონაწილეობდნენ ციხე-სასახლეთა მშენებლობაში. სარწყავი არხების გაყვანაში. ამ სახის საქმიანობაში, რა თქმა უნდა, მონებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ მასობრივი მონობისათვის საქართველოში არც შინაგანი პირობები არსებობდა და არც საგარეო. მონათმფლობელობის გარკვეულ ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა საზოგადოების შინაგანი სოციალ-ეკონომიკური დიფერენციაციის პროცესი, ფართოვდებოდა ფეოდალური ურთიერთობის არეალი (ამ ურთიერთობაში ყოფილი მონებიც ებმებოდნენ) ნათლად იკვეთებოდა ფეოდალური წყობილების ნიშნები.

სოციალური დიფერენციაციის პროცესში ერისაგან თანდათანობით გამოირიცხა ჯერ ზედაფენა, ხოლო მოგვიანებით საზოგადოების დაბალი ექსპლუატირებული მასა. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში

„ერთან“ ერთად მოიხსენებიან „მთავარნი“ და „ერისთავნი“, აგრეთვე „მონები“. „ერი“ თავისუფალი ფენის, სახელმწიფოს რიგითი ქვეშევრდომის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. იგი მოიცავდა სოფლისა და ქალაქის თავისუფალ მოსახლეობას, რომელიც „მკვიდრად“ ფლობდა თავის უძრავ-მოძრავ ქონებას და ამით უპირისპირდებოდა მიწაზე უფლებადაკარგულ და ზედაფენების დამოკიდებულებაში მოქცეულ „გლეხობას“. ერის შემდგომი დიფერენციაციის ამსახველი ტერმინების სახით გაჩნდა „წვრილი ერი“, „მდაბიო“, „მსოფლიო“ (სოფლელი). ისინი ზოგჯერ გლეხის სინონიმად იხმარებოდა, მაგრამ ფეოდალიზაციის პროცესში, როცა მიწათმფლობელთა დამოკიდებულებაში მოქცეული მოსახლეობის რაოდენობა თანდათან გაიზარდა, საბოლოოდ გაბატონდა ტერმინი „გლეხი“.

IV—V საუკუნეების საქართველოში სამი პრივილეგიური ფენა არსებობდა: 1. სამეფო საგვარეულოს წევრნი — სეფეწულები. 2. სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია — სასახლის კარზე აღზეებული წარჩინებულნი და ერისთავები. 3. აზნაურები.[1]

სეფეწულთა მდგომარეობაში საგრძნობი ცვლილება მოხდა. სამეფო საგვარეულოს ზოგი სახლი დაკნინდა, ხოლო არამეფური წარმოშობის ბევრმა გვარმა აღზევება განიცადა. მათ შორის მკვეთრი განსხვავება წაიშალა. არსებითად ჩამოყალიბდა ერთიანი ფეოდალური არისტოკრატია, რომელიც ისტორიულ წყაროებში „წარჩინებულთა“, „მთავართა“, „ერისთავთა“ და სხვ. ტიტულებით მოიხსენებიან. ამ მსხვილ ფეოდალებს ჰქონდათ როგორც სამკვიდრო მამულები, ისე მეფისაგან სამხედრო და სამოქალაქო სამსახურის პირობით მიღებული მიწები. ისინი ცდილობდნენ სამსახურის პირობით მიღებული მიწებიც მემკვიდრეობით მამულად ექციათ.

VI საუკუნის ბოლოს ირანელთა ბატონობას ბოლო მოეღო, ქვეყნის დამოუკიდებულობა აღსდგა, მაგრამ ხელისუფლება „ნებითა ღვთისათა“, „თვითფლობით მფლობელ“ მეფეს კი არ დაუბრუნდა, არამედ ერისთავთა მიერ თავის წრიდან არჩეულ ერისმთავრის (ერისთავთა მთავრის) ხელში გადავიდა. ერისმთავრები შედარებით მტკიცედ შიდა ქა-

---

* აზნაური სპარსული სიტყვაა. ქართულად იგი თავისუფალს ნიშნავს. ერიდან გამოსული და სამხედრო სამსახურით აღზევებული აზნაურები თავდაპირველად თავისუფლებით უპირისპირდებოდნენ უაზნოებს, არათავისუფალ ფენებს. დროთა განმავლობაში აზნაურობა ფეოდალურ წოდებად იქცა.

რთლსა და კახეთს ფლობდნენ, საქართველოს სხვა ნაწილებზე მათი ხელისუფლება არ ვრცელდებოდა. ერისთავებმა საშვილიშვილოდ მიიტაცეს სამართავად მიღებული ტერიტორიები. ისინი ქართლის ერისმთავარს სამამულო ურთიერთობის საფუძველზე ემორჩილებოდნენ. თანდათან გაიზარდა და გაძლიერდა აზნაურთა ფენა. აზნაური საბოლოოდ გამოეთიშა უშუალო მწარმოებელ საზოგადოებას. მისი ძირითადი ფუნქცია მოხელეობა, ლაშქრობა და ომი გახდა. აზნაურებს თემიდანაც გამოეყოთ მიწა, მაგრამ სამსახურის პირობით სახელმწიფოსგანაც ღებულობდნენ მიწის ნაკვეთებს, მეფისაგან წყალობა-ბოძება იყო აზნაურთა უფლებრივ-ეკონომიური აღზევების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი და ეს ფენაც თავის მხრივ სამეფო ხელისუფლების საყრდენად იქცა, დიდი როლი შეასრულა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნაში.

VIII—X საუკუნეებში ჩამოყალიბდა ფეოდალური იერარქია, არსებითად გაფორმდა პატრონყმობა. მეფე ყველას პატრონი და მბრძანებელი იყო, დიდებულები მის ვასალებად ითვლებოდნენ. თავის მხრივ დიდებულებსა და ერისთავებსაც ყავდათ ვასალები აზნაურთა სახით. პატრონყმობა ფეოდალური კლასის შინაგანი ორგანიზაციის ფორმა იყო და მთელი ეს სისტემა უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლუატაციით სულდგმულობდა. „ერის“ ცალკეული წარმომადგენლები — „ერისაგანი“ სულ მზარდი რაოდენობით ექცეოდნენ ფეოდალთა „მფარველობაში“, მათი ყმები ხდებოდნენ. ტერმინი „ყმა“ ნაწარმოებია „ყრმისაგან“. ყველა მოზარდი ადამიანი და მათ შორის ერისაგან აღმზრდელს, მფარველს საჭიროებდა და ფეოდალთა კლასმა თითქოსდა ჰუმანური მოსაზრებით დასდო მფარველობა-პატრონობის ხელი თავისუფალ მიწის მუშას, მაგრამ ყმის ვალდებულება პატრონის წინაშე თანდათან დამძიმდა. VIII—X საუკუნეებში თავისუფალ მეთემეთა, მდაბიოთა დაყმევების პროცესი ცალკე თუ თემებით ძალიან შორს წავიდა. პატრონყმური, არსებითად ბატონყმური დამოკიდებულების სფეროში მოექცა უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის უმრავლესობა. ამ ყმებმა მალე თავისუფლების ყველა ნიშანი დაკარგეს. „გლეხის“ მდგომარეობაში ჩავარდნენ. „ყმა“ მწარმოებელი (იგივე ყმა მოლაშქრე) გარდამავალი მდგომარეობა აღმოჩნდა თავისუფალ მეთემესა და პირად დამოუკიდებლობას მოკლებულ გლეხს შორის. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში „ყმა“ „გლეხის“ სინონიმად იქცა, ყმა გლეხთა კლასი ჩამოყალიბდა, რომელმაც უშუალო მწარმოებელი მასა თითქმის მთლიანად მოიცვა.

ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელია მიწის მფლობელობა-საკუთრების მონოპოლია ფეოდალთა კლასის ხელში. მიწის ფონდი განაწილებულია მეფეს, ეკლესიასა და საერო ფეოდალთა შორის. საქართველოს მეფე აღმოსავლურ დესპოტთა მსგავსად არასდროს ყოფილა მიწის მონოპოლიური მესაკუთრე, მაგრამ სამეფო-სახელმწიფო საკუთრება უფრო მტკიცე და უცილობელი იყო ფეოდალთა მიწათმფლობელობა-საკუთრებასთან შედარებით. საერო და საეკლესიო ფეოდალები მიწის დიდ ნაწილს გარკვეული პირობით ფლობდნენ, ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ამ მიწის თავის სურვილისამებრ გამოყენებას. ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთი მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობა მემკვიდრეობით საკუთრებად ექციათ. ამ ნიადაგზე გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა დიდ აზნაურებსა და მეფეს შორის. ძალთა შეფარდება მეფეს, დიდებულთა და აზნაურთა შორის განსაზღვრავდა მიწათმფლობელობა-საკუთრების ხასიათსაც და უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლუატაციის ფორმასაც. ფეოდალთა წოდებაში მიწისათვის შინაკლასობრივი ბრძოლაც სწარმოებდა, მაგრამ ფეოდალური მიწათმფლობელობა-საკუთრება ძირითადად სათემო მიწა-წყლის ხარჯზე ფართოვდება. მშრომელი მასა, რა თქმა უნდა, მიწას უბრძოლველად არ თმობდა. მიუხედავად წინააღმდეგობისა მეფე, დიდებულები, ეკლესია-მონასტრები ახერხებდნენ ხალხის დათრგუნვას და სათემო მიწებს ეუფლებოდნენ. თვით თემი მთლიანად მეფისა და ფეოდალების დამოკიდებულებაში მოექცა, ფისკალურ ერთეულად იქცა. სამეფო, სამოხელეო და საფეოდალო გადასახადების დაფარვაზე მთელი თემი აგებდა პასუხს.

XII საუკუნეში საქართველოს გაერთიანებისა და გაფართოების შედეგად სამეფო-სახელმწიფო მიწის ფონდი საგრძნობლად გადიდდა. მეფეს საშუალება მიეცა მიწის ბოძებითა და წყალობით გაემრავლებინა თავის მოხელეთა და მოლაშქრეთა რიცხვი. ამით მარტო საკარგავის (მიწის პირობითი მფლობელობა) მასშტაბი როდი აზრდებოდა. მიწასთან ერთად ფეოდალთა დამოკიდებულებაში ამ მიწის მკვიდრი მოსახლეობაც ექცეოდა. ბატონყმური ურთიერთობის არეალი კიდევ უფრო ფართოვდებოდა.

XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში გაიმარჯვა ფეოდალური მიწათმფლობელობის სამამულო სისტემამ და ბატონყმობამაც. XIV—XV საუკუნეებში დიდებულთა ფენა თავადთა წოდების სახით ჩამოყალიბდა, რამაც დასრულებული სახე მისცა ვასალიტეტს. თავადი

ჩადგა მეფესა და აზნაურს შორის, სათავადომ არსებითად გათიშა მეფე და გლეხური მოსახლეობა. ერი, მოსახლეობის თავისუფალი ფენა მხოლოდ მთიანეთში დარჩა და იქაც ჰეროვანნი ბრძოლით ინარჩუნებდნენ პირად და სამეურნეო დამოუკიდებლობას.

ამგვარად, ფეოდალური მფლობელობა — საკუთრების ხანგრძლივ ევოლუციასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბატონყმური ურთიერთობის ჩამოყალიბების ასევე ხანგრძლივი პროცესი. ფეოდალური ექსპლუატაციის საყოველთაო გაბატონებას, თავისუფალი და დამოკიდებული მიწათმოქმედი მოსახლეობის გადასვლას ყმა გლეხთა რიგებში მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მემამულის სოციალ-პოლიტიკური უფლება იმუნიტეტი (საგადასახადო და სხვ. შეუვალობა), რაც გარე ეკონომიური იძულების ერთ-ერთი იარაღი იყო და უზრუნველყოფდა მებატონის მიერ ყმა გლეხის თითქმის შეუზღუდავ ექსპლუატაციას.

სათავადოების სისტემის წარმოშობის შედეგად შეიკვეცა მეფის უფლება-კომპეტენცია, გზა მიეცა ცენტრიდანულ ძალებს, საქართველოს ერთიანი მონარქია დაიშალა სამეფო-სამთავროებად. ბატონყმობა დამძიმდა, ყმა გლეხთა ექსპლუატაცია თანდათან გაძლიერდა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი ანტაგონიზმი და კლასობრივი ბრძოლა.

ყმა გლეხობა, მართალია, დიდ როლს ასრულებდა გარეშე დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ფეოდალური კანონი გლეხის ძირითად ფუნქციად სოფლის მეურნეობის წარმოებას თვლიდა. გლეხობა საუკუნეების სიგრძეზე ეჭიდებოდა მიწას, თანდათან სრულყოფდა სამიწათმოქმედო შრომის ორგანიზაციას. გლეხ-ხელოსნებმა შექმნეს ხელით სამუშაო იარაღები — თოხი, ბარი, ნიჩაბი, წერაქვი, ფიწალი, ნამგალი, ცელი, სასხლავი დანა, წალდი, ნაჯახი და სხვ. მათი ნახელავია სხვადასხვა სახისა და კონსტრუქციის სახვნელი იარაღები. ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების შესაბამისად უკვე ადრეფეოდალურ ხანაში იყენებდნენ მთის გუთანს ორხელს, ბარულ გუთანს. X საუკუნეში უკვე არსებობდა დიდი ანუ ქართული გუთანი, რომელიც საქართველოდან მთელ კავკასიაში გავრცელდა. საქართველოში ორი ათას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს წყლის წისქვილს და კიდევ მეტი ხელის წისქვილს. გადასაზიდ საშუალებად მთაში ბარხილს იყენებდნენ, ბარში კი ურემს. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია საირიგაციო ხელოვნებამ. აღმოსავლეთ საქართველო სარწყავი არხების ქსელით დაიფარა.

საქართველო ძველი დროიდანვე განვითარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქვეყანა იყო. საბატონო ხოდაბუნები და ზვრებიც არსებობდა, მაგრამ მეურნეობის ძირითად უჯრედს გლეხის ფუძე, საკომლო მიწა წარმოადგენდა. გლეხებმა სელექციონერთა დაუხმარებლად, მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებისა და ემპირიული გამოცდილების შედეგად გამოიყვანეს მარცვლეულის, ვაზისა და ხეხილის სხვადასხვა ჯიშები. მოაშენეს და მოამრავლეს ცხენი, ხარი, ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა, ღორი, ფრინველი. განავითარეს მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა. წარმატებას მიაღწიეს შინამრეწველობაშიც.

გლეხური მეურნეობა იყო სახელმწიფოს ძლიერების ძირითადი საფუძველი. გლეხის შრომა და გადასახადი ანიჭებდა ფუნქციონირების უნარს სახელმწიფო აპარატსა და ფეოდალურ ლაშქარს. ყმა-გლეხთა მიერ ვალდებულებათა შესრულებაზე ემყარებოდა თავადაზნაურთა კეთილდღეობა.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გლეხობა უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობით რამდენიმე განსხვავებულ ფენად იყოფოდა. არსებობდნენ სამეფო-სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო ყმები. სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური ძალაუფლება მეტნაკლებად ყველა კატეგორიის გლეხებზე ვრცელდებოდა და თითქმის ყველა იხდიდა საქვეშევრდომო გადასახადს, მაგრამ სამეფო გლეხები, რომელნიც სამეფო დომენის მიწას ფლობდნენ და ამუშავებდნენ, სახელმწიფოს სასარგებლოდ საადგილმამულო გამოსაღებს — რენტასაც იხდიდნენ. საეკლესიო გლეხები ძირითადად მღვდელმთავრებსა და ბერ-მონაზვნებს ემსახურებოდნენ, საბატონო გლეხები კი — თავადაზნაურობას. უკვე XII—XIII საუკუნეებში მიწის რენტის სამივე ფორმა არსებობდა, მაგრამ დიდი მასშტაბი ჰქონდა მიღებული პროდუქტად და შრომით რენტას. ფულადი რენტა სპორადულად იჩენდა თავს.

ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე თითქმის ყველა ქვეყანაში ფეოდალური მამულის მთელი მიწა ორ ნაწილად იყოფოდა. პირველში მებატონე საკუთარ მეურნეობას ეწეოდა, მეორე ნაწილი კი ყმა გლეხებს ჰქონდა გადაცემული, მასზე გლეხური მეურნეობა არსებობდა. ბატონი, როგორც წესი, არ შრომობდა. იგი თავის მეურნეობაში ყმა გლეხს ამუშავებდა. ასეთი მებეგრე გლეხის ზედმეტი შრომა გამოყოფილი იყო აუცილებელი შრომისაგან, იგი შიშველ ექსპლუატაციას განიცდიდა. გლეხის ბეგარა-მუშაობის ვალდებულება (შრომითი რენტა) თანდათან იზრდებოდა, ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ ყმა გლეხი მებატონის მეურნეობაში თავის ინვენტარით შრომობდა 2—3 დღეს და 5—6

დღესაც კი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბატონის ხოდაბუნსა და ზვარში სამუშაოდ გადიოდა არა მთელი კომლი, არამედ გლეხის ოჯახის ერთი წევრი. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხი საკუთარი მეურნეობის წარმოებას ვეღარ შეძლებდა და ამით ბარტო ყმა კი არა, ბატონიც დიდად იზარალებდა. მებეგრე გლეხები ბატონის მამულში მიწას ხნავდნენ, თესავდნენ, თოხნიდნენ, ბარავდნენ, პურის ყანას მკიდნენ და ლეწავდნენ. გლეხი ბარავდა მემამულის ვენახს, ზვარში ატარებდა ყოველგვარ სამუშაოს, კრეფდა ყურძენს, რეცხავდა ქვევრებს, აყენებდა ღვინოს. ხშირად ყმა გლეხი ხარ-ურმით გადიოდა, მებატონისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და შეშას ეზიდებოდა. ზოგი გლეხი ბეგარას მეწისქვილეობით, სარწყავი რუსა და არხის მოვლით, ხელოსნობით იხდიდა. გლეხთა შრომა-გარჯით შენდებოდა ციხე-კოშკები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები, გალავნები. ცალკეულ გლეხებს მებატონე ავალებდა ქეშიკობას, მეჯინიბეობას, ცხენით სამსახურს, ტვირთის ზიდვას ზურგით, პირუტყვის შენახვას, ხაბაზობას, მზარეულობას, ყარაულობას და სხვ. გლეხის ბეგარა-მუშაობის ვალდებულება ბატონყმური ექსპლუატაციის ყველაზე მარტივი, უხეში და აშკარა ფორმა იყო. მებატონეს რომ გარეეკონომიური იძულების უფლება არ ჰქონოდა, ვერ შესძლებდა თავის მეურნეობაში დაესაქმებინა გლეხი, რომელსაც საკუთარი მეურნეობა გააჩნდა.

X—XI საუკუნეებში შრომითი და პროდუქტადი რენტის მოცულობა დაახლოებით თანაბარი იყო, მაგრამ შემდეგ, როცა საგლეხო მეურნეობათა რიცხვი სწრაფად გაიზარდა, ბატონყმური ექსპლუატაციის მთავარი ფორმა, მისი ძირითადი გამოხატულება პროდუქტადი რენტა გახდა. ფეოდალურ საქართველოში პროდუქტადი რენტის ძირითადი სახეობანი იყო ღალა და კულუხი. მემინდვრეობის რაიონებში ე. წ. „თავი ბეგარა“ ღალა იყო, მევენახეობის რაიონებში კი — კულუხი. ღალა-გაწერილი იყო გლეხის სახნავ-სათეს მიწაზე. გლეხი მას პურით, ქერით, ღომით და სხვ. მარცვლეულით იხდიდა. კულუხს კი გლეხები იხდიდნენ ყურძნის, ტკბილის, ან ღვინის სახით ბატონის სურვილის შესაბამისად. ღალა-კულუხის ოდენობის ზუსტად განსაზღვრა, მასალის სიმცირის გამო, ძნელია. ფრაგმენტული ცნობებიდან ჩანს, რომ ღალა საშუალოდ შეადგენდა მარცვლეულის მოსავლის მეექვსედს, გადაკვეთილი კულუხის ოდენობა კი მერყეობდა 5—20 კოკას (კოკა სხვადასხვა დროს შეადგენდა 10—24 ლიტრს) შორის. პროდუქტადი რენტის სახით გლეხები იხდიდნენ აგრეთვე საკლავს, ფრინველს, ყველს, ერბოს, კვერცხს, მატყლს, აბრეშუმს, ტილოს, ბამბას და სხვ.

ძირითადი საადგილმამულო და პირადი ვალდებულებების — პროდუქტადი ღალა-კულუხისა და შრომითი ბეგარის გარდა, გლეხს ედო სხვა გადასახადებიც. ყმა გლეხებს წელიწადში რამდენჯერმე (ახალწელს, შობას, აღდგომას, ყველიერს, მარხვას) უნდა მოენახულებიათ ბატონი და „ძღვენი“ მიერთმიათ მისთვის. ეს ერთდროული, ნებაყოფლობითი საჩუქარი თანდათან მებატონეებმა მუდმივ და სავალდებულო გადასახადად აქციეს. დაკანონდა აგრეთვე მებატონის გამასპინძლების ვალდებულება („შინჩადგომა“, სამეგრელოში „გოჭკომური“), რომელიც განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოში. ბატონი გლეხს წელიწადში ერთხელ ეწვეოდა და მასპინძელს ბატონისათვის საკადრისი პურმარილი, შერჩეული საჭმელ-სასმელი უნდა მიერთმია. ასეთი „სტუმრობა“ გლეხს, რა თქმა უნდა, დიდ ზარალს აყენებდა. ძვირი უჯდებოდა ყმა გლეხს მებატონის ლხინიც და ჭირიც. თუ ბატონის ოჯახში ქორწილი იყო, ხარჯების დიდ ნაწილს გლეხები ფარავდნენ. ბატონის ოჯახის წევრის გარდაცვალების დროს ტირილსა და ქელეხში ყმები ხელდამძიმებულნი მიდიოდნენ.

გლეხის პიროვნული დაჩაგვრის, მისი პირადი თავისუფლების დაკარგვის გამოხატულებას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „საჩექმე“ და „საქვრივო“ გადასახადები. პირველს ყმა ბატონს აძლევდა თავის ქალიშვილის გათხოვების შემთხვევაში, ხოლო მეორე გადაიხდებოდა გლეხის ქვრივის გათხოვების ნებართვისათვის. გლეხები გარკვეული რაოდენობის გადასახადებს იხდიდნენ ბატონის სალაშქროდ წასვლის დროსაც.

უშუალო მწარმოებელ მასას დიდ ზარალს აყენებდა უცხოელთა შემოსევები და დამპყრობელთა მიერ დაწესებული ხარკი. საქართველოს დაპყრობის შემდეგ მონღოლებმა გლეხებს ლაშქრობის მოვალეობაც დააკისრეს და „სათათრო“ ხარკიც შეაწერეს. განსაკუთრებით გამანადგურებელი აღმოჩნდა ქვეყნისათვის თემურ-ლენგის შემოსევები. გლეხობის დიდი ნაწილი გაწყდა, მკვეთრად დაირღვა თანაფარდობა გაბატონებულ კლასსა და უშუალო მწარმოებელ მასას შორის, რომლის ერთ-ერთი შედეგი იყო ბატონყმური ექსპლუატაციის გაძლიერება. ფეოდალები ადიდებდნენ საწონ-საწყაოებს, რაც თავისთავად ღალა-კულუხის ზრდას იწვევდა. „თავ ბეგარასთან“ ერთად ყმა გლეხებს ადებდნენ სხვა გადასახადებსაც. ხმარებაში შემოვიდა „სხვაი ბეგარა“, ახალ-ახალი „ძღვენი და დახმარება“. საბატონო გადასახადებს ემატებოდა სამეფო, სამოხელეო, საეკლესიო გადასახადები, დამპყრობთა ხარკი.

რენტა-გადასახადებმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ საფრთხე შეუქმნა შრომის პირობების კეთილდღეობას, არსებითად შეჩერდა ეკონომიკური განვითარება.

XV—XVI სს. მიჯნაზე საქართველოს გაუმეზობლდა ორი აგრესიული სახელმწიფო — სეფიანთა ირანი და თურქეთი. თურქ-ოსმალებმა ხმელთაშუა-შავი ზღვის სრუტეები გადაკეტეს, საქართველო მოწინავე დასავლეთ ევროპას მოწყვიტეს. ძველი სავაჭრო ტრასა, რომელიც შავ ზღვასა და ამიერკავკასიაზე გადიოდა, დაყრუვდა, საერთაშორისო ვაჭრობა მინიმუმამდე შეიკვეცა. თურქ-ოსმალთა მეზობლობა და ბატონობა განსაკუთრებით მძიმე დასავლეთ საქართველოსათვის აღმოჩნდა. თურქეთი ტყვეთა (მონების) დიდი მომხმარებელი იყო და ხელს უწყობდა ტყვეებით ვაჭრობის დანერგვა-გაფართოებას. თურქეთის სულთანი და მისი მოხელეები ტყვეებს ხარკის სახითაც იღებდნენ და ფულითაც ყიდულობდნენ. ქართველი მებატონეები სხვადასხვა საბაბით და ხშირად სრულიად უმიზეზოდ, ერთდროული დიდი შემოსავლის მიღების მიზნით დიდი რაოდენობით ყიდდნენ ყმებს. სამეფო ხელისუფლება, მართალია ცდილობდა ამ მოვლენის აღკვეთას, მაგრამ ამაოდ. ტყვეებით ვაჭრობის ფართო მასშტაბის პირობებში არსებითად ქრებოდა ფეოდალიზმის უპირატესობა მონათმფლობელობასთან შედარებით, საზოგადოება განვითარების შესაძლებლობას კარგავდა.

ერთი სიტყვით, გლეხს წაართვეს მიწა და თავისუფლება, ეკონომიურად და უფლებრივად მებატონეზე გახადეს დამოკიდებული. გლეხს ექსპლუატაციას უწევდა შინაბატონიცა და ჩაგრავდა გარეშე დამპყრობელიც. მაგრამ მეურნეობის განვითარების საჭიროება, თვით თავადაზნაურობის ინტერესი მოითხოვდა, რომ ქართველი გლეხი მკვიდრად მჯდარიყო მიწაზე. მებატონის მიწა გლეხს მუდმივ მფლობელობაში ეძლეოდა. ქართული ფეოდალური კანონი კრძალავდა გლეხის მიწიდან ყრას, დებულების დარღვევას, ყმის გადამეტებით დაბეგვრას, იყო ბეგარა-გადასახადთა ნორმირების ცდებიც. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აუარებელი ვალდებულებები ყველა გლეხს ერთად როდი აწვა. თითქმის საყოველთაო მხოლოდ ბეგარა-მუშაობა და პროდუქტადი ღალა იყო. სხვა გადასახადები კი ნაწილდებოდა სხვადასხვა კატეგორიის გლეხებზე. თუ ყმა ბატონს ეზო-კარმიდამოში ემსახურებოდა — მეწისქვილის, მენახირის, ხაბაზის და მზარეულის მოვალეობას ასრულებდა, სხვა ვალდებულებებისაგან თავისუფალი იყო. ასევე ითქმის ეს წყლის მკაზმველის, კალატოზის, მეთუ-

ნის და ზოგი სხვა ხელობის მცოდნე ყმა გლეხებზე. ისინი თითქმის ძხოლოდ თავისი სპეციალობის მიხედვით ემსახურებოდნენ ბატონს.

უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ აზნაურთა ყმა გლეხები. XV საუკუნიდან დამოუკიდებელ აზნაურთა ფენა გაქრა, იყვნენ მეფის, ეკლესიისა და სათავადო აზნაურები. მათ სიუზერენისაგან ნაწყალობევი ჰქონდათ ყმა-მამული. ამ მრავალრიცხოვანი ფენის შენახვა ძირითადად გლეხებს აწვა კისრად. აზნაურის ყმისათვის სავალალო ისიც იყო, რომ იგი ღალა-გადასახადებს თავადსაც აძლევდა და ამდენად ორმაგად იბეგრებოდა.

გლეხები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ წარმომავლობით, დაყმევების ფორმითა და ხასიათით. იყვნენ მკვიდრი, ნაწყალობევი, ნებიერი, შეწირული, თავშეწირული, ნასყიდი, თავნასყიდი (თავგაყიდული) და სხვ. ყმები.

მკვიდრი გლეხები ფეოდალის ყმათა უმრავლესობას შეადგენდნენ. „მკვიდრი" ყმა იმას ეწოდებოდა, რომელიც ორი-სამი თაობის მანძილზე ერთსა და იმავე მებატონის მიწაზე იჯდა და მეურნეობდა. ნებიერი — ნებითმოსული ყმა მიწაზე არ იყო მიმაგრებული, მას შეეძლო ბატონის გამოცვლა. დაახლოებით ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ ეკლესიისათვის ნებაყოფლობით თავშეწირული გლეხები. „ნაწყალობევი" გლეხები გაჩნდნენ პატრონის მიერ თავის ვასალისათვის ყმა-მამულის ბოძების შედეგად. სიუზერენს, რა თქმა უნდა, შეეძლო ვასალისათვის ნაწყალობევი ყმის ჩამორთმევა. საერო ფეოდალების მიერ ეკლესიისათვის ყმა-მამულის შეწირვის შედეგად თანდათან მრავლდებოდნენ „შეწირული" გლეხები. ეკლესიასაც და შეწირულ ყმასაც ბატონის სულის ცხონებისათვის ლოცვა ევალებოდა. ფეოდალიზმის ხანაში ყმა გლეხთა გაყიდვა მიწით და უმიწაწყლოთ ჩვეულებრივი მოვლენა იყო და თავადაზნაურთა ნაწილს „ნასყიდი" ყმებიც ბლომად ყავდა. ისინი ბატონის სრულ საკუთრებას შეადგენდნენ, მიწაზე დასმული და დაბეგრილი ასეთი გლეხები უფლებრივად თითქმის ყველაზე დაბლა იდგნენ.

ნებიერი (ნებით მოსული), თავშეწირული და თავგაყიდული ყმა-გლეხების არსებობა XV—XVII საუკუნეების საქართველოში იმაზე მეტყველებს, რომ იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია გლეხს არ აძლევდა თავისუფლების შენარჩუნებისა და დამოუკიდებელი მეურნეობის წარმოების შესაძლებლობას. ბატონყმური ურთიერთობა თანდათან აქრობდა ამ ნახევრად თავისუფალ გლეხთა ფენას, ათანაბრებდა მათ მიწაზე მიმაგრებულ მებეგრე გლეხებთან.

უშუალო მწარმოებელი მასის ცალკე კატეგორიას ქმნიდნენ „ბოგანო“ და „ხიზანი“ გლეხები. ბოგანო მოხეტიალე გლეხს ერქვა. მას ფუძე არ გააჩნდა, მიწაზე მკვიდრად არ იჯდა, აყრა-გასაქცევად გამზადებული ინტენსიურ მეურნეობას ხელს ვერ ჰკიდებდა, არ გააჩნდა ვენახი და ხეხილის ბაღი. ბოგანო ცხოვრება-საქმიანობის გართულების, კლასობრივი ანტაგონიზმის გამწვავების შედეგი იყო. ასევე ითქმის ხიზნების შესახებაც. გლეხთა აყრა-გაქცევა და სხვაგან ხიზნად დადგომა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. XVI—XVII საუკუნეებში კლასობრივი ბრძოლის ამ ფორმამ წარმოშვა სწორედ ხიზან გლეხთა კატეგორია. ახალ მებატონესთან შეხიზნულ გლეხს ძველი მებატონე ეძებდა. ფეოდალური სამართალი უფლებას აძლევდა მას აყრილ-გაქცეული გლეხი უკან წაეყვანა და ხშირად ამას ახერხებდა კიდეც. ასეთ პირობებში ხიზანი, ბუნებრივია, ხელს ვერ მოჰკიდებდა მრავალწლიანი კულტურების მოშენებას, დიდ შრომა-ხარჯს არ გასწევდა მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

ფეოდალურ საქართველოში ჩამოყალიბდა აგრეთვე შინაყმათა, „მოჯალაბეთა“ კატეგორია. მათ მიწა და მეურნეობა არ გააჩნდათ, ბატონის კარზე ცხოვრობდნენ, მას ემსახურებოდნენ, მისი ნასუფრალით იკვებებოდნენ. ქართველი კაცი ვერ ეგუებოდა ასეთ დამამცირებელ სამსახურსა და მდგომარეობას. გლეხობა ცდილობდა თავი დაეღწია შინაყმად გადაქცევის საშიშროებისათვის.

გლეხობა, როგორც კლასი, ბატონყმობის უღელში იყო გაბმული, მაგრამ იგი ერთგვაროვან მასას არ წარმოადგენდა. გლეხთა კატეგორიების არსებობა თავისთავად მათ უფლებრივ განსხვავებაზეც ლაპარაკობს, მაგრამ უფრო ნათლად ჩანს გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია.

XII—XIV საუკუნეთა მასალებიდან ჩანს, რომ ზოგ გლეხს სრული ფუძე და მასთან ერთად ნაყიდი მიწაც ჰქონდა. უფრო ხშირად კი ერთ ფუძეზე ორი, სამი და მეტი ოჯახი იჯდა. უკვე ამ დროს არსებობდნენ მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხები, რომელნიც ხელოსნობითა და საშოვარზე სიარულით ირჩენდნენ თავს. არსებობდნენ აგრეთვე დეკლასირებული ელემენტები — „გლახაკნი“, მათ სახლკარი და მეურნეობა არ გააჩნდათ, მოწყალებით ცხოვრობდნენ. XIII ს-ის დამდეგს ეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასა გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა გაბატონებულ კლასს და ამიტომ „გლახაკთა“ დასაშრშმენებლად იხარჯებოდა სამეფო შემოსავლის მეათედი.

გლეხთა ჯგუფების ეკონომიური განსხვავება კანონმდებლობაშიც კი აისახებოდა. გამდიდრებული გლეხის სისხლი 1000 თეთრად ფასობდა, ჩვეულებრივი გლეხის კი 400 თეთრი იყო. შეძლებული ყმა გლეხები სათანადო თანხის გაღებით „თარხნობასა“ და „აზატობას“ ღებულობდნენ, საბატონო ბეგარა-გადასახადებისაგან ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფლდებოდნენ, მაგრამ პირადად მაინც მებატონის დამოკიდებულებაში რჩებოდნენ.

გლეხთა ნაწილი ქონებას ინტენსიური მეურნეობის წარმოებით აგროვებდა, იგი იყო მისი უფლებრივი დაწინაურების საფუძველი. ზოგის წარმატების პირობა კი „ხმლით ნაშოვნი“ პატივი და ქონება იყო. არათავადაზნაურული წარმოშობის პირები მიწასთან ერთად ზოგჯერ ყმებსაც ყიდულობდნენ. XIV საუკუნის კანონმდებლობაში ფიქსირებული არიან „გლეხები“, რომლებიც ყმებს ფლობდნენ. ასეთი გლეხები არსებითად შედიოდნენ „მსახურთა“ ფენაში, რომელთაც ფეოდალურ საზოგადოებაში გარდამავალი მდგომარეობა ეკავათ. ისინი ეწეოდნენ მეურნეობას და ამდენად გლეხისაგან თითქმის არ განსხვავდებოდნენ, მაგრამ მსახურთა მოვალეობა პატრონის სამსახური და ლაშქრობა, გლეხური ფუნქცია როდი იყო. ბატონყმური ურთიერთობის გაფართოება-განვითარების პროცესში მსახურთა ერთი ნაწილი აზნაურობას ღებულობდა, მეორე კი გლეხთა ფენას ავსებდა. მსახურთა კატეგორია XVI—XVIII საუკუნეებშიც არსებობდა, მაგრამ იგი ძველი „ერის“ ნაშთი კი არ იყო, არამედ გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის შედეგად გაჩენილი ჯგუფი, რომლის მხოლოდ ერთეული წარმომადგენლები ახერხებდნენ აზნაურთა წოდებაში გადასვლას.

XVIII საუკუნეში გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია რამდენადმე გაძლიერდა. საბუთებში იხსენიებიან შეძლებული, საშუალო და ღარიბი გლეხები. ზოგიერთი გლეხი 50—100 ჰექტარ მიწას ფლობდა. გაიზარდა ნაყიდი (საკუთარი) მიწის როლი გლეხურ მეურნეობაში. იყვნენ გლეხები, რომელთაც ბატონისაგან გამოყოფილი ნაკვეთების გარდა 10—50 ჰა ნაყიდი მიწა ჰქონდათ. ასეთ ყმა გლეხთა შეძლებაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ მებატონეებს რენტის სახით 12—13 და 50 თუმანსაც კი უხდიდნენ, ე. ი. ყოველწლიურად მებატონეს 130—500 ცხვრის ღირებულებას აძლევდნენ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მდიდარი გლეხები თავის მხრივ კაბალაში აქცევდნენ ღარიბებს, ზათზე თავიანთ მიწას გასცემდნენ ხოლმე იჯარით და საკმაოდ დიდ შემოსავალს ღებულობდნენ. მდიდრები ზოგჯერ დაქირავებულ შრომასაც იყენებდნენ.

* * *

ბატონყმობა, ბეგარა-გადასახდელების გადიდება მეტნაკლებად გლეხობის ყველა ფენის, ყველა კატეგორიის გლეხთა უკმაყოფილებას იწვევდა. მებატონეს ებრძოდა შეძლებული, საშუალო და ღარიბი გლეხი. პროტესტის ნიშნად ხმას იმაღლებდა მკვიდრი, ნაწყალობევი, ნებიერი, შეწირული, თავშეწირული, ნასყიდი, თავნასყიდი, ბოგანო, ხიზანი და შინაყმა. ყველა ცდილობდა თავის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კლასობრივი ბრძოლა წითელ ზოლად გასდევს ფეოდალიზმის მთელ ისტორიას. ადრეფეოდალურ ხანაში ერთმანეთს მტრულად უპირისპირდებოდნენ აზნაურები და თავისუფალი მიწათმოქმედნი. ეროვან-მდაბიონი თავგამოდებით იბრძოდნენ მიწისა და პირადი თავისუფლების შენარჩუნებისათვის, ებრძოდნენ მეფეს, აზნაურებს, არც წმინდა მამებს ეპუებოდნენ, ყოველნაირად აბრკოლებდნენ სათემო მიწებზე მონასტრების მშენებლობას. IX საუკუნის საქართველოში წინააღმდეგობა ეკლესია-მონასტრებსა და მწარმოებელ მასას შორის მიწის გამო იმდენად გამწვავდა, რომ „ანჩის ერი“ — ანჩის ეკლესიის გარშემო მდებარე სოფლების მცხოვრებნი, ხანძთის მონასტრის დანგრევასაც კი აპირებდნენ, ეს მიაჩნდათ მიწისა და თავისუფლების შენარჩუნების წინაპირობად. მეთემეთა ნაწილი ფეოდალთა მხრიდან დაყმევებისა და დაბეგვრის ცდებს აყრა-გაქცევით პასუხობდა.

XI—XII საუკუნეებში არსებითად დამთავრდა თავისუფალ მწარმოებელთა დაყმევება ბარის რაიონებში. მთიელები კი თავისუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლას წარმატებით განაგრძობდნენ. ერისთავებმა და თავადებმა შეძლეს მთიელთა დამორჩილება ქვემო სვანეთში, არაგვისა და ლიახვის ქვემო წელში. უფრო მაღლა კი ბატონყმობა გზას ვერ იკაფავდა. ეპიზოდური აღმოჩნდა თავადთა წარმატება ბალს ზემო სვანეთში. ეჭაურმა თემებმა განდევნეს დადეშქელიანები, რეჩგიანები, ჩარკვიანები და თავისუფლება დაიბრუნეს. მთა-რაჭის გლეხებმა ამოწყვიტეს ჯაფარიძე-არეშიძენი, ამ. უკიდურესი საშუალებით დააღწიეს თავი დაყმევების საფრთხეს. ნუგზარ არაგვის ერისთავმა სისხლის წვიმები დააყენა არაგვისა და დარიალის ხეობაში, მაგრამ ქედი მაინც ვერ მოახრევინა მთიულებს და მოხევეებს. თავისუფლება ბოლომდე შეინარჩუნეს ფშავ-ხევსურებმა და თუშებმა. მთიელებმა არ დაიდეს საბატონო ბეგარა-გადასახადები, თავისუფლებით ემსახურებოდნენ მეფეს. საჭიროების შემთხვევაში ლაშქრად გადიოდნენ და ბა-

რის ქართველებთან ერთად თავგანწირვით ებრძოდნენ გარეშე დამპყრობლებს.

ბარის საქართველოში ბატონყმობა დამკვიდრდა და განმტკიცდა, მაგრამ გლეხობა ვერ ურიგდებოდა ჩაგვრა-ექსპლუატაციას. მონღოლთა ბატონობის დროს, როცა საბატონო ბეგარა-გადასახადებს სამონღოლო ხარკი დაემატა, გლეხთა აყრა-გაქცევა კლასობრივი ბრძოლის მასობრივ ფორმად იქცა. უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა დატოვა მამა-პაპათა კერა. დიდი რაოდენობით დარჩა უპატრონოდ მიწა და მეურნეობა.

გლეხთა აყრა-გაქცევამ იმდენად ფართო მასშტაბი მიიღო, რომ იგი დაფიქსირდა XIV ს-ის კანონმდებლობაში. აყრა-გაქცევის მიზეზი სხვადასხვა იყო: ზოგჯერ მას მტრის შემოსევა, მოუსავლობა და ეპიდემია იწვევდა, მაგრამ უფრო ხშირად ეს მოვლენა ყმა გლეხთა ექსპლუატაციის ზრდით იყო განპირობებული. აყრა-გაქცევის მიზანს აუტანელი ექსპლუატაციისათვის თავდაღწევა და უკეთესი პირობების ძებნა წარმოადგენდა. განსაკუთრებით ფართო მასშტაბი კლასობრივი ბრძოლის ამ ფორმამ XVII—XVIII საუკუნეებში მიიღო.

აყრილ-გაქცეულთა დიდი ნაწილი საქართველოს ფარგლებს არ სცილდებოდა. დასავლეთ საქართველოს გლეხები ქართლში გადმოდიოდნენ, ქართლელები — კახეთში, ბარელები — მთაში. საკმაოდ ბევრი გლეხი დაღესტანს მიდიოდა, „ღეკში იკარგებოდა", ზოგი თერგისა და ყუბანის კაზაკებთან პოულობდა ადგილსამყოფელს.

XVIII საუკუნის დამდეგს ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსემ სცადა ქართლიდან კახეთს გაქცეული გლეხების უკან გადმოსახლება, დაიწყო ე. წ. „მყრელობა", მაგრამ ამ ღონისძიების გატარებას დიდი დაბრკოლებები შეხვდა, მხოლოდ სანახევროდ განხორციელდა. სავალალო ქართლელ მებატონეთათვის ისიც იყო, რომ გლეხთა აყრა-გაქცევა შემდგომ ხანებშიაც შეუნელებლად გრძელდებოდა.

სამეფო ხელისუფლება და თავადაზნაურობა გლეხობის ურჩობას, მის აყრა-გაქცევას ვერ ეგუებოდა. ვახტანგ მეექვსემ თავის კანონთა წიგნში სპეციალური მუხლები შეიტანა აყრილ-გაქცეულ გლეხთა ძებნა-მობრუნების ვადების შესახებ. დაზარალებულ მებატონეებს უფლება ეძლეოდათ სხვა მამულებში თავშეფარებული გლეხები 30 წელს ეძებნათ და უკან გადმოესახლებინათ. მეფის სახასოში გაქცეული გლეხების ძებნის ვადად 12 წელი დაწესდა. ამასთან, ვახტანგი ურჩევდა მებატონეებს ზედმეტი არ მოეთხოვათ გლეხებისაგან, არ განეწყოთ ისინი აყრა-გასაქცევად. მაგრამ მებატონეთა დიდი ნაწილი ამ ბრძნულ და-

რიგებას არ ასრულებდა და ამიტომ გლეხთა აყრა-გაქცევა თითქმის პერმანენტულ ხასიათს ატარებდა.

ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ გლეხი გარბოდა ათვისებული ადგილებიდან, გარბოდა ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ. მას არც აწყობილი მეურნეობის მოშლა-განადგურების მძიმე პერსპექტივა აშინებდა და არც მოსალოდნელი დაბრკოლებათა გადალახვის სიძნელე. გაქცევა ხდებოდა ინდივიდუალურად და კოლექტიურად. „ოსმალობის" დროს (1732—1735 წწ.) სოფელ ხანდაკის (შიდა ქართლი) გლეხები დედაწულიანად აიყარენ და გადაიკარგნენ, მებატონე რატიშვილს ისაყფაშას დახმარებამაც ვერ უშველა, გაქცეული გლეხები თავის დაცარიელებულ მამულში ვერ დააბრუნა. ერთი საბუთიდან ისიც ჩანს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლის თავად-აზნაურთა ყმა გლეხობის დიდი ნაწილი „დაფანტული", მამაპაპეული ადგილებიდან აყრილ-გაქცეული ყოფილა.

ვერც გასაქცევად გამზადებული ყმა გლეხი და ვერც ადგილზე დროებით მისული ხიზანი მეურნეობას წინ ვერ წასწევდა. ვერც თავის ოჯახს არგებდა ბევრ რამეს, ვერც ბატონსა და ხელმწიფეს გამოადგებოდა. აქედან გამომდინარე ერეკლე მეორე 1763 წ. მებატონეებს სწერდა: „თუ თქვენი მამულიდან მემკვიდრე კაცი აიყარა და წავიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ დიდად ავად მოგეპყრობით და გარდაგახდევინებთო". აყრილ-გაქცეულთა წინარე საცხოვრეოში დაბრუნება ერეკლე მეორის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა. ქვეყნის გაძლიერება-გაერთიანებისათვის მოღვაწე მეფემ ამ მიმართულებითაც არა ერთი ღონისძიება გაატარა, მაგრამ არსებით შედეგს ვერ მიაღწია, „საიდან სად არ მიდიოდა ქართველი მიწის მუშა მიწისა და თავისუფლების ძებნაში. ზოგგან ნიადაგი იყო მწირი, ზოგგან ბატონი არ გაახარებდა, ზოგგან გარეშე მტერი არ უსვენებდა. დადიოდა ქართველი გლეხი და ეძებდა გასაძლის ქვეყანას: მიწას, მშვიდობას და თავისუფლებას" (ნ. ბერძენიშვილი).

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის გავრცელებული ფორმა იყო გადასახადებზე უარის თქმა. ცნობილია, რომ მებატონე არც არსებული გადასახადის გადიდებას ერიდებოდა და არც ახალის შემოღებას („უდების დადებას") თაკილობდა, რასაც ყმა გლეხი, ბუნებრივია, წინააღმდეგობას უწევდა.

მებატონეები, ყმა გლეხთა პროტესტის შიშით, ზოგჯერ შენიღბულად მოქმედებდნენ, საწყაოებს (კოდი, კოკა და სხვ.) თანდათანობით ადიდებდნენ, ამით ზრდიდნენ გლეხთა ექსპლუატაციასა და თავის შე-

მოსავალს. გარკვეულ დრომდე ყმა გლეხები თითქოს ამას ურიგდებოდნენ, მაგრამ შემდეგ იწყებდნენ ბრძოლას, მცირე მოცულობის, „პირველი საწყაოების“ აღდგენისათვის. ხშირად მებატონეები პირობას დებდნენ არ გაედიდებინათ კოდი და კოკა, ძველი ე. ი. მცირე მოცულობის საწყაოებით აეღოთ ღალა და კულუხი, მაგრამ ასეთი დაპირება იშვიათად სრულდებოდა. ბრძოლა საზომ-საწყაოთა ოდენობისა და ამდენად გადასახადების ნორმირების გარშემო დაუსრულებლად გრძელდებოდა.

ყმა გლეხები არც ჩვეულებრივ და დაკანონებულ გადასახადებს იხდიდნენ სიამტკბილობით. იშვიათი მოვლენა როდი იყო ყმურ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმა. ამის დამადასტურებელი მასალა არსებობს XVI—XVII საუკუნეებიდანაც, მაგრამ მეტი შემოგვრჩა XVIII საუკუნიდან. 1773 წელს ლუარსაბ ონანაშვილი მეფე ერეკლეს შესჩიოდა „ჩემი ყმები ამისულაშვილები არც მიხვნენ, არც მილეწენ, არც კოდის პურს მაძლევენ, არც კულუხს. თუ ვთხოვ რაამე ასე მეტყვიან — არა გვაქვს რაო“. 1774 წელს ვარდისუბნელმა გლეხებმა გადასახადებზე უარი უთხრეს ალავერდის საეპისკოპოსო კათედრას, 1776 წ. გადასახადები არ გაიღეს ურბნისის ეკლესიის ყმებმა, 1790 წ. თავად მაყაშვილის ყმებმა, 1791 წ. — ყარანგოზიშვილის და ჟურულის გლეხებმა.

ბევრი გლეხი ბეგარა-გადასახადთა მოხსნასა და შემსუბუქებას თხოვნა-საჩივრებით ცდილობდა. მეფისათვის მირთმეულ საჩივრებში გლეხები ყურადღებას ამახვილებდნენ თავიანთ მძიმე მდგომარეობაზე და ხელმწიფეს არწმუნებდნენ, რომ გადასახადთა სიმრავლე, მებატონეთა თვითნებობა-გაუკითხაობა განადგურებით ემუქრებოდა გლეხურ მეურნეობასა და ქვეყანას. თავად ჯავახიშვილების ყმები მეფე ერეკლეს შესჩიოდნენ: „თუ ხელმწიფე არას გვიშველის, დაკარგვის გზაზე ვდგავართ. მეფე ბრძანდებით და იცით, რომ ხელმწიფის, თავადისა და აზნაურის ყმას რაც ძველიდან ვალდებულება-სამსახური აწევთ იმაზე მეტი არ უნდა მოეთხოვოს. მაგრამ ჩვენი ბატონები ამ წესს არ იცავენ, „წლის წლამდე მუდამ დღე ისინი გვიმსახურებენ ხარით და კაცით, თვე ისე გაივლის, რომ ერთ დღეს ჩვენთვის ვერ ვმუშაობთ“. ასეთ პირობებში არ ვიცით ან მეფეს როგორღა ვემსახუროთ, ან ოჯახი როგორ ვარჩინოთო.

ურჩ გლეხებს, რომელნიც თავს არიდებდნენ დადგენილ ბეგარა-გადასახადებს, მეფეც სჯიდა და მებატონეც. მაგრამ, როცა თავადი, აზნაური და ეკლესია აშკარად არღვევდნენ საბატონყმო პირობებს, სა-

მეფო ხელისუფლება უსამართლოდ დაჩაგრულ ყმებს ესარჩლებოდა, მებატონეებისაგან მკაცრად მოითხოვდა დადგენილი ნორმების დაცვას.

გლეხთა ნაწილი ბრძოლის პასიური ფორმებით, თავდაცვით არ კმაყოფილდებოდა, თვით გადადიოდა შეტევაზე. ზოგი გლეხი თვითნებურად იკავებდა მემამულის მიწას, ხნავდა, თესდა, მოსავალს იღებდა. მაგრამ ღალას არ იხდიდა. 1770 წ. საბუთიდან ჩანს, რომ თავად ვახნაძეებს გლეხთა თვითნებური მოქმედების შედეგად არც ბარი შერჩათ და არც მთა, ყველაფერი გლეხებმა მიითვისეს. 1790 წ. გლეხთა ანალოგიურ თვითნებობაზე ჩიოდა თვით დარეჯან დედოფალი (ერეკლე მეფის მეუღლე), ველისციხელი გლეხები ჩემი ნებართვის გარეშე საკვენახეს ღობავენ, თავის მამულებს აფართოებენ, კალო-საბძელს აკეთებენო. საბუთებიდან არ ჩანს, მაგრამ ცხადია, ასეთ ძალადობას გლეხებს არავინ აპატიებდა.

სამეფო გლეხობის უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო. ამიტომ საბატონო გლეხები ცდილობდნენ სახასო (სახაზინო) უწყებაში გადასვლას. თავადისა და აზნაურის ყმები იყვნებდნენ იმ გარემოებას, რომ ხშირად ბატონებს გლეხების ფლობის სათანადო დოკუმენტი (მეფის წყალობის წიგნი, ნასყიდობის სიგელი და სხვ.) არ გააჩნდათ და თავს სამეფოდ აცხადებდნენ, მეფეს სთხოვდნენ დახმარებას, თავადაზნაურთა უსამართლო პრეტენზიებისაგან დაცვას. გლეხთა ნაწილის ასეთ თხოვნას მეფე აკმაყოფილებდა კიდეც. ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ერეკლე მეორემ ღალატისათვის დემეტრე ამილახვარს ყმა მამული ჩამოართვა და სახასოდ გამოაცხადა. გლეხები ამას ბოროტებით შეხვდნენ და მეფეს სთხოვეს, რომ ამილახვრის ყოფილი მამული სხვა მებატონისათვის არ გადაეცა, სახასოთ შეენარჩუნებინა. მეფემ გლეხთა თხოვნა დააკმაყოფილა, წყალობის წიგნი უბოძა, პირობა მისცა მათ, რომ სახასო ყმობას არ მოუშლიდა. ეს საბატონო გლეხის დიდი გამარჯვება იყო. რადგან მეფის ყმობის მიღება იმ დროს თითქმის თავისუფლების მოპოვების ტოლფასად ითვლებოდა.

1765 წ. ერეკლე მეორემ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც უცხოეთის ტყვეობიდან თავდახსნილი, ან გამოქცეული ყმა გლეხის მიმართ წინანდელ ბატონს არავითარი უფლება აღარ ჰქონდა. გლეხს შეეძლო თავისუფალი დარჩენილიყო, ან თავისთვის სასურველი მფარველ-ბატონი შეერჩია. ასეთი მობრუნებული გლეხების უმრავლესობა სახასო ყმად ეწერებოდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ინარჩუნებდა სრულ თავისუფლებას. ხანდაზმულობის კანონის ძალით ზოგჯერ გაქცეულ-გახიზნული გლეხებიც იღებდნენ თავისუფლებას. მაგრამ დი-

:დი უმრავლესობა მიზანს ვერ აღწევდა. მაგალითისათვის გიგია და ანდრია ეკლესიურებს დავასახელებთ. ისინი იძულებული გახდნენ პირობის წერილი მიეცათ თავის ბატონისთვის, რომელშიც ნათქვამი იყო: მრავალგზის ვეცადეთ და შენი ყმობიდან თავი ვერ დავაღწიეთ. ახლა ეს წერილი მოგართვით, ჩვენი თავი ასე მოგვიცია ყმათ, ბატონყმობის რიგის დაცვით ერთგულად გემსახურებით შენცა და შენს შთამომავალსაც.

ფეოდალურ საქართველოში XIX საუკუნის დამდეგამდე გლეხთა მსხვილ შეიარაღებულ აჯანყებებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ხდებოდა გლეხთა ჯგუფური ერთობლივი (ერთი სოფლის ფარგლებში) გამოსვლები.

1454 წ. მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილმა გლეხებმა უარი განაცხადეს კულუხის გაზრდილ საწყაოთი გადახდაზე და ნაჩივრით ქართულ ქრისტიანულ ეკლესიის მეთაურს ეიმართეს. მეკულუხე გლეხთა პროტესტით შეფიქრიანებულმა კათალიკოსმა პირობა მისცა გლეხებს არც კოკას გავადიდებ და არც კულუხს მოგიმატებთო. 1668 წ. იმავე ეკლესიის მამების წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს სოფ. ძეგვის გლეხებმა. ამ შემთხვევაშიც პროტესტანტი გლეხები დიდი კოკისა და გადასახადის მომატების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ამჯერადაც კათალიკოსი დათმობაზე წავიდა, გლეხთა მოთხოვნილება დააკმაყოფილა. 1669 წ. სოფ. ქაისხევის გლეხებმა ახალ გადასახადზე უარი თქვეს, ჯანყი მოაწყვეს წილკნის ეპისკოპოსის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი თავისი ძალებით რომ ვერას გახდა, დახმარება ზაალ ერისთავს სთხოვა. ერისთავმა იასაულები და შეიარაღებული რაზმი გაგზავნა, „ავად მოეპყრა“ ქაისხველებს, იარაღით დათრგუნა გლეხთა წინააღმდეგობა, აიძულა ისინი ეცნოთ ახალი გადასახადის კანონიერება.

1700 წ. ბოდბის მონასტერმა თავის ყმებს ახალი გადასახადი — „ძროხის რიგი“ შეაწერა. უკმაყოფილო გლეხებმა „ბუხტი ქმნეს“. შეშინებული ბერები დათმობაზე წასვლას, გლეხთათვის ახალი გადასახადის დადებაზე უარის თქმას აპირებდნენ, მაგრამ კონფლიქტში ერეკლე პირველი ჩაერია, ურჩი გლეხების დაპატიმრება და მათი დასჯა ბრძანა. მონასტრის ყმები დროებით დაემორჩილნენ შალადობას, ძროხები მიჰგვარეს ბერებს. მაგრამ ათი თუ ხუთმეტი წლის შემდეგ მეორე ამბოხება მოაწყვეს, ძროხების წასაყვანად მოსული მოხელეები გარეკეს. კახეთის მმართველმა თეიმურაზმა ბოდბელ ეპისკოპოსს ურჩია დროებით შეეჩერებინა გადასახადის აღება. ეპისკოპოსი დათანხმდა და

სიგელიც კი მისცა გლეხებს „ძროხის რიგისაგან“ მათი განთავისუფლების თაობაზე.

1735 წ. გადასახადების გადიდების გამო, ალავერდის ეკლესიის გლეხები აჯანყდნენ, პროტესტის ნიშნად დატოვეს სოფელი საყრდიონი, თავიანთი საცხოვრებელი და ტყეში გაიხიზნენ, კახეთის მმართველმა მკაცრი წერილი გაუგზავნა მათ. სრული მორჩილება მოითხოვა; ლეკობისა და ურუმობის დროს არ გიქნიათ ასეთი რამ ახლა რა ღმერთი გაგიწყრათო, ნაშენის დატოვება და ტყეში გახიზვნა როგორ შეიძლებაო. თუ დაბრუნდებით, კარგად გაირჯებით და იმსახურებთ, ჩვენს წყალობას მოიმკით, თუ არადა, დარწმუნებული იყავით, ტყეშიც მოგაგნებთ და მკაცრად დაგსჯითო.

1742 წ. ბეჟან არაგვის ერისთავმა სცადა მთიელთა დაბეგვრა, რასაც დიდი აჯანყება მოჰყვა. ერისთავს გივი ამილახვარი დაეხმარა ჯარით და გლეხთა ჯანყი ჩააქრო. მაგრამ მომდევნო წელს მთიულებმა და ფშავ-ხევსურებმა ხელმეორედ ააფრიალეს აჯანყების დროშა. მთიელთა ამ სამართლიან ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ პაპა ღუდუშაური, გივი და ზურაბ ნადიბაიძეები. მართალია, ბრძოლაში თვით ბეჟან ერისთავი დაიღუპა, მაგრამ მისი მემკვიდრეები დაჟინებით ცდილობდნენ მთიელთა დამორჩილება-დაყმევებას. მეამბოხე მთიელებმა დახმარება კახეთის მეფე თეიმურაზ მეორეს სთხოვეს. თეიმურაზი ჯარით შევიდა არაგვის ხეობაში, საერისთაო გააუქმა და ერისთავთა გამგებლობასა და მფლობელობაში მყოფი ყველა სოფლები სახასო მამულებად გამოაცხადა. აღდგა ძველი ადათ-წესები. მოსახლეობას, მართალია, დაედო მცირე სახელმწიფო გადასახადი, მაგრამ მთიელთა ძირითად მოვალეობად ლაშქრად გასვლა გამოცხადდა.

1777 წ. ქსნის ხეობის გლეხთა მღელვარებას ჰქონდა ადგილი. ამის უშუალო მიზეზი გახდა ქსნის საერისთაოს აღდგენის შესახებ დარხეული ხმები. ქსნისხეველებმა კარგად იცოდნენ, რომ ერისთავის ყმობაში დაბრუნება მათ უფლებრივ ეკონომიურ მდგომარეობას გააუარესებდა და ამიტომ ჯანყის გუნებაზე დადგნენ, საჯაროდ აცხადებდნენ — ერისთავებს ცოცხალი თავით არ დავემორჩილებითო. ერეკლე მეორემ ამღელვარებულ ქსნისხეველებს ასეთი მოწოდებით მიმართა: „ქსნისა და ლიახვის ხეობის ქართველნო და ოსნო, მე თქვენ სახასოდ აგიყვანეთ და ამიტომ სხვა ვინმეს თქვენზე ხელი არა აქვს. ფიცით გარწმუნებთ, რომ არც ერთი გლეხი მებატონეებს არ გადაეცემა. ხვალ ჩამოვალ ახალგორში, ყოველი კომლიდან თითო კაცი მაახლეთ და სათქმელი მითხარით, ფიცს მოგცემთ, რომ ყმად არავის გადაქ-

ცემთ". ერეკლე მეფეს, როგორც ცნობილია, მარტო საერისთაოების კი არა, სათავადოების გაუქმების დიდი სურვილი ჰქონდა. ქსნისხეველებიც დარწმუნდნენ, რომ მეფის დაპირება მტკიცე იყო და დაწყნარდნენ.

ანალოგიური ხასიათის იყო, თავად ჩხეიძის კუთვნილი სოფელ ფონის (ქართლი) გლეხთა მღელვარება. XVIII საუკუნის 50-იან წლებში ჩხეიძეების ყმა-მამული სახასოდ გამოცხადდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ თავადებმა მამული დაიბრუნეს. ამით უკმაყოფილო გლეხები თავის საცხოვრისიდან აიყარნენ, სხვაგან გადაიხვეწნენ. თავადმა ჩხეიძემ მოლაპარაკებით თავისი ყოფილი ყმების უკან მობრუნება ვერ შეძლო. 1788 წ. კრიტიკული სიტუაციის განმუხტვა ერეკლე მეორემ თავის ვაჟს იულონს დაავალა. უფლისწულმა გადახვეწილებს სათანადო სიგელი გაუგზავნა. მოუწოდა მათ სურამს მობრუნდით და სადაც გინდათ იქ დაგასახლებთ, დარწმუნებული იყავით თქვენ თავს არც ჩხეიძეებს დავუთმობთ და არც სხვა მებატონესო. მაგრამ იულონ ბატონიშვილის პირობა და ფიცი, როგორც ჩანს, საკმარისი არ აღმოჩნდა. 1794 წ. სოფელ ფონაში დარჩენილი ნოზაძეები ერეკლე მეორეს შესჩიოდნენ: „ჩვენი გვარისკაცი 65 კომლი გახლავართ. ათი კომლი სურამში და ქართლში, სხვა იმერეთსა და ოსმალეთში არიან გადახვეწილი, ისე გაგვიჭირდა ჩხეიძეებისაგან, რომ გადაკარგვის მეტი სხვა არა დაგვრჩენოდა რა. ახლა თუ ჩხეიძეების ხელიდან დაგვიხსნით, ერთ-ერთ ბატონისშვილს მიგვცემთ და მიწა მოგვეცემა, ყველა ნოზაძე დაბრუნდება, თქვენ საფარველქვეშ დადგება და ერთგულად მოგემსახურება, თუ არა და ჩვენც დავიკარგებითო".

მეფე ერეკლემ, მართალია, ნოზაძეები სახასო გლეხებად აღიარა და ისინი დაბრუნდნენ ფონაში, მაგრამ ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ჩხეიძეებმა ისევ აღძრეს საჩივარი. გიორგი მეთორმეტის მითითებით საქმე სასამართლოში იოანე ბატონიშვილის თავმჯდომარეობით გაირჩა და თავად ჩხეიძეების სასარგებლოდ გადაწყდა. გაიცა ბრძანება — ნოზაძეები ყველგან მონახეთ და ჩხეიძეებს ჩააბარეთო.

1786 წ. ადგილი ჰქონდა იმერეთის გლეხთა მღელვარებას. 4 ათასი გლეხი გამოვიდა და დავით მეფეს თავადაზნაურთა ყმობისაგან განთავისუფლება მოსთხოვა.

ამ სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენება სცადა იმერეთის ტახტის მეორე პრეტენდენტის დავით არჩილის ძის მომხრე თავადთა ჯგუფმა. ისინი დაუკავშირდნენ გლეხთა აჯანყების მეთაურებს, გამო-

უცხადეს მათ, თუ ჩვენს მხარეს დაიჭერთ, დავით არჩილის ძის გამეფების შემდეგ გადასახადებს შეგიმცირებთ, მდგომარეობას გაგიუმჯობესებთო. აჯანყებულ გლეხებს უკან დასახევი გზა არსებითად მოჭრილი ჰქონდათ და ალბათ ამიტომ ირწმუნეს თავადთა დაპირება. მხარი დაუჭირეს მომავალ „კეთილ მეფეს“. დავით გიორგის ძის ჯარმა აჯანყებული გლეხები დაამარცხა და გაფანტა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მართალია, დავით არჩილის ძე გამეფდა, მაგრამ მას გლეხთათვის მიცემული დაპირება არც გახსენებია, მის მომხრე თავადებს ყმებისათვის შეღავათი არ მიუციათ.

1800 წ. ზაფხულში იარაღით გამოვიდნენ სოფ. კალაურის (კახეთი) გლეხები. დაიკავეს თავად ჯანდიერის მამულები, თვითნებურად დაიწყეს ხვნა-თესვა და ტყის გამოყენება. შფოთის მონაწილეებმა ფიცი დადეს არაფერი დაეთმოთ მებატონისათვის, დაკავებულ მამულში არ შეეშვათ მისი მოურავი და კარისკაცები. თავადმა მეფე გიორგის შესჩივლა — გლეხები „შფოთზე“ დგანან, უსარჩოოდ ვრჩებიო. მეფის დავალებით მეტოქეთა შორის ბაგრატ ბატონიშვილი ჩადგა. შემდეგ თვით მეფე ჩაერია საქმეში და როგორც ჩანს, ყმა გლეხები მებატონესთან მოარიგა.

ამგვარად, ფეოდალურ საქართველოში სოციალური ანტაგონიზმი ძლიერი იყო და კლასობრივმა ბრძოლამაც საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო, მაგრამ გლეხთა მასობრივ აჯანყებებს, მებატონეებთან სისხლიან შეტაკებებს თითქმის არ ჰქონია ადგილი. პერმანენტული საგარეო საფრთხე, სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა დაუსრულებელი შემოსევები გარკვეულ დაღს ასვამდა საქართველოს მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობას, კლასობრივ ბრძოლას. ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა საკმაოდ დასაბუთებული მეცნიერული დებულება იმის შესახებ, რომ ფეოდალურ საქართველოში სოციალურ ანტაგონიზმს, რამდენადმე ანელებდა კლასობრივი ბრძოლის მთელი სიღრმით გაშლას, მის თავისუფალ განვითარებას ხელს უშლიდა სამშობლოს დაცვის საერთო ეროვნული პრობლემა. ფიზიკური მოსპობისა და სულიერი გადაგვარების საფრთხე, რამდენადმე ამუხრუჭებდა ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასის — გლეხობის სოციალურ აქტიურობას, აიძულებდა მას ასე თუ ისე შერიგებოდა ბატონყმობას, ეტარებინა საშეფო, სამოხელეო და საბატონო ვალდებულებათა ტვირთი, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავადაზნაურობასთან ერთად ეღვარა სისხლი. ეს მომენტი გარკვეულ გავლენას ახდენდა მეფის ხელისუფლებისა და თავადაზნაურობის პოზიციაზეც. ქართული

ფეოდალური კანონმდებლობა იცავდა გლეხს მებატონეთა გადამეტებული პრეტენზიებისაგან, აღიარებდა გლეხის უფლებას ნაყიდ მიწაზე, პრაქტიკაში იყო მეფისა და თავადის სამსახურში თავნაჩენი გლეხებისათვის თარხნობა — აზატობის მინიჭება, მსახური გლეხების მიერ აზნაურობის მიღებაც. ზედა ფენა გლეხთა მღელვარება-ამბოხების დროსაც ერიდებოდა სისხლიან ანგარიშსწორებას და როცა დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, დათმობაზე მიდიოდა. კლასთა ეს თავისებური კომპრომისი, ურთიერთისადმი ნაწილობრივი დათმობა, რა თქმა უნდა, დროებითი მოვლენა იყო. შეცვლილ სიტუაციაში კლასობრივი ბრძოლა მთელი სიღრმე-სისრულით უნდა გაშლილიყო.

თ ა ვ ი II

საქართველოს რუსეთთან შეერთება. ანტიცარისტული აჯანყებები. თავადაზნაურობა და გლეხობა XIX ს. პირველ მესამედში

საქართველოს მეფე-მთავართა ორსაუკუნოვანი რუსული ორიენტაციის კულმინაცია 1783 წ. სამეგობრო ხელშეკრულება იყო. ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიაში შემავალ ავტონომიურ სამეფოდ გადაიქცა. ქართ-კახეთის სამეფო ხელისუფლებამ, მართალია, დაკარგა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა, მაგრამ შეინარჩუნა ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის უფლება. ვასალობა-პროტექტორატის ასეთი ფორმა მისაღები იყო იმერეთის მეფისა და მთავრებისათვისაც. 1790 წ. ყველამ ერთად სთხოვა რუსეთის იმპერატორს მფარველობაში შეეყვანა. რუსეთის ძლიერი სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტონომიური სტატუსით შესვლა ყველა საქეფო-სამთავროს და მთლიანად საქართველოს, უდაოა, უკეთნიდა მშვიდობიანობის დამყარების, განვითარების ახალ გზაზე გამოსვლის პერსპექტივას. მაგრამ რუსეთის ცარიზმი ავტონომიურ სამეფო-სამთავროებს ვერ იტანდა, მისთვის იდეალი უნიტარული სახელმწიფო იყო. 1801 წ. რუსეთის ცარიზმმა გაუქმა ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფო, 1810 წ. მოსპო იმერეთის შეზღუდული ავტონომია და საქართველოს დიდი ნაწილი თავის ბატონობის ქვეშ დაიერთიანა.

რუსეთთან ამგვარი ფორმით შეერთებას საბოლოოდ დადებითი შედეგი მოჰყვა და ამდენად ობიექტურად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. მაგრამ XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში ხალხის მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. რუსული თვითმპყრობელური მმართველობა, ადგილზე შექმნილი ბიუროკრატიული აპარატი მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას.

თავადების უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ მათ დაკარგეს პოლიტიკური გავლენა, მემკვიდრეობითი სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობანი, რითაც საფუძველი გამოეცალა სათავადოთა სისტემას. სათავადოს შიგნით შეიკვეცა აზნაურის სოციალურ-პოლიტიკური ფუნქცია, მას ჩამოერთვა თავადის კარის თანამდებობანი, მოურავობა, მდივნობა, ბოქაულთუხუცესობა, გლეხთა ზედამხედველის მოვალეობა. ქართველი მოხელის ადგილი ცენტრშიც და პერიფერიებშიც რუსმა მოხელემ დაიკავა. ამას კი ვერ შეეგუა ქართველი თავადაზნაურობა და თავის პროტესტს შეთქმულება-აჯანყებებით გამოხატავდა.

უკმაყოფილებისა და აჯანყების კიდევ მეტი მიზეზი ჰქონდა გლეხობას. ბატონყმური ვალდებულებანი უცვლელად დარჩა. ახლა მას დაემატა რუსული მმართველობის მიერ დაწესებული პროდუქტადი და ფულადი გადასახადები, ძალიან მძიმე საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა, რაც გაუთავებელი ომების პირობებში თანდათან იზრდებოდა. მაზრის უფროსების და მათდამი დაქვემდებარებული მოხელეების თვითნებობა ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ისინი გლეხებისაგან მოითხოვდნენ ყველა გადასახადის მაზრის უფროსისათვის ჩაბარებას. არც ძალადობას ერიდებოდნენ, უკანასკნელ სარჩოს ართმევდნენ ხალხს. ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა აპატიმრებდნენ და მკაცრად სჯიდნენ. განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებში მცხოვრებ მთიელთა მდგომარეობა. გზების და ხიდების გაკეთება, მათი მოვლა, ხარ-ურმის გამოყვანა, ტვირთის ზიდვა, აუტანელ ბეგარად აწვა მთიულებსა და მოხევეებს. სავალალო ისიც იყო, რომ გლეხები ამ მძიმე შრომაში კანონით დაწესებულ მცირე გასამრჯელოსაც ვერ ღებულობდნენ. პოლიციის მოხელეების წინააღმდეგ ჩივილი კი დანაშაულად ითვლებოდა და აჯანყებად ცხადდებოდა, რასაც სამხედრო ეგზეკუციები მოსდევდა. ბარის ქართველისა და ამაყი მთიელის შეურაცხყოფა-შეგინება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყება. 1804 წ. დამდეგს კავკასიაში მდგარი ჯარების სარდალი და საქართველოს მთავარმმართველი გენერალი პ. ციციანოვი ერევნის სახანოს დასაპყრობად გაემზადა.

ჩრდილო კავკასიიდან ჯარი სამხედრო გზით წამოვიდა. მკაცრი ზამთარი იდგა. მთიულები სახლებიდან გამორეკეს და სტეფანწმინდიდან ანანურამდე გზის თოვლისგან გაწმენდა და შეკეთება დაავალეს. რუსი მოხელეები და კაზაკები უხეშად ექცეოდნენ ხალხს, აწიოკებდნენ მათ ოჯახებს, შეურაცხყოფდნენ ქალებს, 23 კაცი ცემით მოკლეს.

1804 წ. მაისში, როცა გენერალი ციციანოვი რუსეთის ჯარით ერევნის სახანოში შეიჭრა, ანანურის მაზრიდან დამხმარედ ქართველთა ლაშქარი იხმო. მთიულები ლაშქარში ერთსულოვნად გამოვიდნენ, მაგრამ ერევანს კი არ გაემართნენ, არამედ აჯანყების დროშა ააფრიალეს. მათ რუს მოხელეებს განუცხადეს, რომ კარს მომდგარ უბედურებას, ტანჯვა-წამებას და მათრახით სიკვდილს, ჩვენი ცოლების შეურაცხყოფის ცქერას ის გვირჩევნია თავისუფლებისათვის ბრძოლაში დავიხოცოთო.

აჯანყებულმა მთიულებმა თავდაპირველად კაიშაურის საგუშაგო აიღეს, მისი დამცველი რუსთა რაზმი გაანადგურეს. ამის შემდეგ აჯანყებულთა ჯარი ანანურსა და დუშეთს მოადგა, ერთი რაზმი კი სტეფანწმინდისკენ გაემართა. მთიულებმა მოციქულები გაგზავნეს მეზობელ ხეობებში და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდეს. ძალიან მალე აჯანყებულთა რიგებს შეუერთდნენ ფშავ-ხევსურები, გუდამაყრის, ჭართლის, ხანდოს ხეობათა მცხოვრებნი, იარაღასხმული გამოვიდა 4 ათასი კაცი.

1804 წ. ივნის-ივლისში აჯანყებულებმა აიღეს სტეფანწმინდა, ლარსი, დაეუფლნენ საქართველოს სამხედრო გზას ანანურამდე და კავკასიაში მდგარი რუსთა ჯარის კომუნიკაციები შუაზე გაკვეთეს. მთიელებმა მოციქულები გაგზავნეს იმერეთში, იქ თავშეფარებული მეფე ერეკლეს ძენი — იულონი და ფარნაოზი აჯანყების მეთაურებად მიიწვიეს.

ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტთა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ამ თავგამოდებულ მებრძოლთა მიწვევა თავისთავად იმის მაჩვენებელი იყო, რომ ქართლის მთიანეთის გლეხობამ ცარისტულ თვითმპყრობელურ მმართველობასთან შედარებით უპირატესობა მიანიჭა ქართველ მეფეთა მმართველობას. იულონი და ფარნაოზი დაუყოვნებლივ გაემართნენ აჯანყებით მოცულ ირაგვის ხეობისაკენ. მაგრამ რუსეთის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მთიანეთისაკენ მიმავალი გზები გადაკეტა, ყველგან ჯარის ნაწილები ჩაყენა. ერთმა რაზმმა იულონი შეიპყრო, ფარნაოზმა კი გაქცევა მოახერხა. ქვემო ქართლი და ბამბაკი გაიარა, აქედან კახეთში შევიდა, თა-

ვადაზნაურთა ერთი ნაწილი აიყოლია და აჯანყებულ არაგვის ხეობაში გადავიდა.

ამ შფოთის დროს ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი რუსეთის მთავრობის ერთგულებას შერჩა. ციციანოვი განსაკუთრებით დიდ იმედს ქსნის ერისთავებზე ამყარებდა და საფუძველიც ჰქონდა. რუსეთის მთავრობამ ქსნის ერისთავებს დაუბრუნა მეფე ერეკლეს მიერ ჩამორთმეული ქსნის ხეობა 3 ათასი კომლი გლეხით. ამით იგი გაიერთგულა და ბაგრატიონთა სამეფო სახლს დაუპირისპირა. თავადაზნაურობის მეორე ნაწილი აჯანყებას აშკარად თანაუგრძნობდა და სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლაში ბაგრატიონებს ამოუდგა გვერდში. მაღალი წოდების უმრავლესობა თავს იკავებდა, სიტუაციის გარკვევას ელოდებოდა.

რუსეთის მთავრობის კავკასიელმა მოხელეებმა სცადეს აჯანყებულთა რიგების გათიშვა, ზოგი მოწინააღმდეგის თავის მხარეზე გადაბირება. ამ მიზნით მათ მთიულეთში გაგზავნეს ამბროსი ნეკრესელი და თავადი რევაზ ერისთავი, ხოლო ფშავ-ხევსურეთში — მაყაშვილი და ქობულაშვილი. მაგრამ ამით არაფერი გამოვიდა. ქართლის მთიანეთის მოსახლეობა ერთსულოვნად ებრძოდა საოკუპაციო რეჟიმს.

1804 წ. 3 აგვისტოს ლომისის შემოგარენში მოხდა დიდი შეტაკება რუსეთის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის. 9 აგვისტოს აჯანყებულებმა ალყაში მოაქციეს მაიორ მელას ბატალიონი, რომელმაც დიდი გაჭირვებით და დანაკლისით დააღწია თავი გარემოცვას, უკან დაიხია. ბრძოლის ველს გაეცალა რუსთა ჯარის დასახმარებლად მოსული ქსნის ერისთავის ლაშქარიც. მთიელებმა ლომისა აიღეს და აჯანყების ალი ქსნის ხეობაშიც გადაიტანეს.

შეშფოთებულმა ციციანოვმა აჯანყებულ მთიანეთს თბილისიდან ჯარის ახალი ნაწილები შეუსია. ჩრდილოეთიდან კი გენერალი ნესვეტაევი დაიძრა 3 ათასი ჯარისკაცითა და 30 ქვემეხით. აჯანყებული მთიელები ორ ცეცხლს შუა მოექცნენ. მათ ვერ გაუძლეს რუსეთის რეგულარული არმიის მრავალრიცხოვანი ნაწილების შემოტევას და გამაგრებული პოზიციები თანდათან დათმეს. გენერალმა ნესვეტევმა დაიკავა ლარსი, დარიალი, სტეფანწმინდა, სიონთან დაამარცხა ფარნაოზ ბატონიშვილის რაზმები და 19 ოქტომბერს ანანურთან შეუერთდა ციციანოვის ჯარს. ფარნაოზ ბაგრატიონი ირანისაკენ გაიქცა, მაგრამ იგი რუსთა რაზმმა დაატყვევა ყაზახის მიდამოებში.

ფარნაოზის შეპყრობის ამბავი ციციანოვის აგენტმა ელიზბარ ერისთავმა სასწრაფოდ შეატყობინა აჯანყებულთა მეთაურებს, იარა-

ღის დაყრა და მორჩილება ურჩია მათ. საპასუხოდ აჯანყების ორი მეთაური ბარამი და გედევანი (გვარები დოკუმენტში მოხსენებული არაა) ერისთავს სწერდნენ: ჩვენ ძალიან შეგვაწუხა ფარნაოზის დატყვევების ამბავმა, მაგრამ ბრძოლას ვაგრძელებთო, თუ ფარნაოზი დაიჭირეს ალექსანდრე, თეიმურაზი და ლევანი ხომ ისევ არიანო. აქედან ცხადია, რომ შეპყრობასა და რუსეთს გადასახლებას გადარჩენილი ბაგრატიონები თავადაზნაურსაც და გლეხსაც საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოდ, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშად მიაჩნდა.

მთიელთა აჯანყების ჩახშობა მძიმე მარცხი იყო. მაგრამ ამით არ დამთავრებულა საქართველოს სახალხო გამათავისუფლებელი მოძრაობა. ჩაგვრა-შევიწროების ცარისტულ პოლიტიკას ვერც მთიელი ეგუებოდა და ვერც ბარის ქართველი. წინააღმდეგობა ინდივიდუალურიც იყო, ჯგუფურიც და მასობრივიც.

კახეთის გლეხთა 1812 წლის აჯანყება. მართალია, საქართველოს სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თითქმის ყველა კლასი და სოციალური ფენა მონაწილეობდა, მაგრამ მისი ძირითადი ძალა გლეხობა იყო. გლეხობა აძლევდა მასობრივ ხასიათს 1812 წლის კახეთის აჯანყებასაც.

კახეთის 1812 წ. აჯანყების მიზეზები მრავალგვარი იყო. ისინი წლების განმავლობაში გროვდებოდა. საქართველოში გამოგზავნილი რუსთა ჯარი თავიდან ქართლ-კახეთის პურით იკვებებოდა. ამ პურის ერთი ნაწილი სახელმწიფო გადასახადის („სურსათი") სახით იკრიფებოდა, დანარჩენს კი მთავრობა გლეხებისაგან ყიდულობდა. პირველ ხანებში რუს მოხელეთაგან დაწესებული პურის ფასები საბაზრო ფასისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. მაგრამ თანდათან პურის საბაზრო ფასი იზრდებოდა, სახაზინო ფასი კი უცვლელი რჩებოდა. გლეხს სურსათის გადასახადის შეტანით თავის მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე მოხდილად მიაჩნდა. მაგრამ სხვაგვარად სჯიდნენ საქართველოს რუსი მმართველები. ისინი ჯარისათვის საჭირო პურის სახაზინო ფასებში გაყიდვას ქართველ გლეხებს ავალებდნენ. მოსავლის აღების წინ კაპიტან-„ისპრავნიკები" და სურსათის დამამზადებელი მოხელე-კომისიონები სოფლებს დაუვლიდნენ და პურის მეტად დაბალ ფასს „ძალად მიუყრიდნენ". სოფელიც იძულებული იყო კომლებზე გაეწერა, ამ ფასის პური დაემზადებინა და მოხელეთათვის ჩაებარებინა. ქართველი გლეხი წლების მანძილზე ზიდავდა ამ უკანონო ბეგარას, ვიდრე ტვირთი აუტანელი არ გახდა. მარცვლეულის ძალად, თითქმის

უფასოდ წართმევა გლეხს მეურნეობის ხალისს უკარგავდა. ამის გამო მარტო უშუალო მწარმოებლები კი არა, მებატონეებიც ჩიოდნენ, მთავრობას აფრთხილებდნენ, ილაჯგაწყვეტილი გლეხობა აიყრება და გადაიკარგებაო. ქართველმა თავადაზნაურობამ მარჯვედ გამოიყენა მეფის რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის უსამართლო მოქმედება და თავისი გლეხობის ვითომდა, „დამცველის“ როლში გამოვიდა. ასევე უსამართლო და გამანადგურებელი იყო საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა, რომელიც ლახავდა არა მარტო გლეხის, არამედ მებატონის ინტერესებსაც, რადგან სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების სიმძიმის გამო გლეხი საბატონო გადასახადების დაფარვის უნარს ჰკარგავდა. ბატონისა და ყმის ინტერესი ნაწილობრივ მაინც ერთმანეთს დაემთხვა, ისინი ერთად გამოვიდნენ რუსული თვითმპყრობელური მმართველობის უსამართლობა-განუკითხაობის წინააღმდეგ.

ქართველი ხალხის და განსაკუთრებით გლეხობის უკმაყოფილების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი საძართალწარმოების რუსული წესიც იყო. რუსული სამართალი საქართველოსათვის უცხო აღმოჩნდა, ის ქართველი კაცის შეხედულება-შეგნებას არ ეთანხმებოდა. ბიუროკრატიული, მრავალგვარი ფორმალობებითა და ინსტანციებით გართულებულ-გაჭიანურებული „მართლმსაჯულება“, რაც ხშირად ბოროტმოქმედებაში გადაიზრდებოდა (ქრთამი, გამოძალვა), სამართლის წარმოება გაუგებარ ენაზე, მთელი ხალხის პროტესტს იწვევდა.

საქართველოში გამოგზავნილი რუსეთის არმიის რიცხვი თანდათან იზრდებოდა და ამის შესაბამისად ქართველ გლეხობაზე შეწერილი სასურსათო გადასახადი და საგზაო ბეგარა თანდათან მძიმდებოდა. ხშირი იყო მოუსავლიანობა, გლეხობის დიდი ნაწილი შიმშილობდა, მაგრამ მთავრობის მოხელეები თავისას მოითხოვდნენ, თითქმის უფასოდ ართმევდნენ მას მარცვლეულს. ზოგმა სოფელმა ძალადობას წინააღმდეგობით უპასუხა, უარი თქვა პურის ჩაბარებაზე. კავკასიის არმიის სარდალმა პაულუჩიმ ურჩ სოფლებში სამხედრო ეგზეკუციები გაგზავნა. ჯარისკაცებს მარტო მარცვლეული კი არ მიჰქონდათ, გლეხთა სხვა ქონებასაც ეპატრონებოდნენ, კახური ღვინით გამომთვრალნი ქალებს აუპატიურებდნენ. გლეხთა მოთმინების ფიალა აივსო.

1812 წ. 31 იანვარს აჯანყებამ სოფ. ახმეტაში იფეთქა. ახმეტელებს მეზობელ სოფელთა გლეხებიც აჰყვნენ და შეერთებული ძალით საეგზეკუციო რაზმი განდევნეს. აჯანყება სწრაფად გაფართოვდა. მთელ კახეთს მოედო. აჯანყებულთა მოციქულები სოფლიდან სოფელში გადადიოდნენ, გლეხებს ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ.

2 თებერვალს აჯანყებულთა მრავალათასიანმა ლაშქარმა ქ. თელავი აიღო. რუსთა ჯარის გადარჩენილი რაზმი თელავის ციხეში ჩაიკეტა. 5 თებერვალს ქიზიყელ მეამბოხეთა ჯგუფმა ქ. სიღნაღი დაიკავა, მეორე რაზმმა კოდალოს ციხეს შემოარტყა ალყა, მესამე რაზმმა კი სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა ბოდბისხევში მდგარი რუსთა პოლკი. 6 თებერვალს აჯანყებულებმა გაანადგურეს რუსთა ჯარის ნაწილები ანაგაში, კაკაბეთსა და მანავში. 7 თებერვალს კი დაამარცხეს კახეთის ოლქის სამხედრო უფროსი გენერალი პორტნიაგინი, აიძულეს იგი თავის ჯარის ნაშთებთან ერთად თბილისისკენ გაქცეულიყო.

კახეთის აჯანყება თითქოს მოულოდნელად დაიწყო, სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ფაქტიურად ისე ჩანდა, რომ იგი კარგა ხნის განმავლობაში მზადდებოდა, საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული და საერთო გეგმით ვითარდებოდა. აჯანყების მსვლელობა ცხადყოფდა, რომ მას გამოცდილი ხელმძღვანელობა ჰყავდა. ერთდროული თავდასხმებით მეამბოხეებმა მეფის მთავრობის მცირე რაზმებს გაერთიანების საშუალება არ მისცეს, ისინი ცალ-ცალკე დაამარცხეს. ამავე დროს მეთაურები შეეცადნენ კახეთის მეზობელ კუთხეთა მოსახლეობის მიმხრობას, ქართლში, ბორჩალოში, ყაზახსა და ფშავ-ხევსურეთში აჯანყების გამოწვევას, ჭარ-ბელქანშიც მოციქულობა აფრინეს, ინგილოებსა და ლეკებს აჯანყებისაკენ მოუწოდეს. აჯანყებულებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ანანურის მაზრას. არაგვისა და თერგის ხეობაში აჯანყების გავრცელებით მათ სამხედრო გზის გადაკეტვა და კავკასიის სამხედრო ხაზიდან საქართველოს მოწყვეტა სურდათ. მეამბოხეთა საბოლოო მიზანი თბილისის აღება, საქართველოს განთავისუფლება იყო.

რუსეთის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის კახეთის აჯანყება სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. საქართველოს მმართველი თითქოს ახლა დადგა სამართლიანობის გზაზე, განკარგულებას უგზავნიდა „კაპიტან-„ისპრავნიკებს“, კახეთის მოსახლეობასთან ურთიერთობაში ზომიერებას ავალებდა და სამხედრო ეგზეკუციების სოფლებში ჩაყენებას უკრძალავდა მათ. მაგრამ ამ განკარგულებათა შემსრულებელი თითქმის აღარავინ იყო. „კაპიტან- „ისპრავნიკები“ და საეგზეკუციო რაზმების უმრავლესობა აჯანყებულებმა გაწყვიტეს, სხვები კი ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეებში ისხდნენ.

1804 წელს დათრგუნვილი მთიულები და ფშავ-ხევსურები კვლავ აღსდგნენ, დუშეთი და ფასანაური აიღეს. მალე აჯანყებას შეუერთდნენ გუდამაყარის, ხევის, თაგაურის მცხოვრებნი. სამხედრო გზა გა-

დაიკეტა, რამაც მთავრობა მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. აჯანყებულები კი იმდენად გაძლიერდნენ, რომ მცხეთა-ავჭალის ბიდამოებში გამოვიდნენ და თბილისისაკენ აიღეს გეზი.

1812 წ. 21 თებერვალს რუსეთის კავკასიური არმიის მთავარსარდალი გენერალი პაულუჩი ყარაბაღიდან (სადაც ის ირანელებს ებრძოდა) თბილისში დაბრუნდა და უშუალოდ ჩაუდგა სათავეში აჯანყებულთა წინააღმდეგ დაძრულ რუსეთის ჯარებს. თავდაპირველად მან აჯანყების ცეცხლის მშვიდობიანი საშუალებებით ჩაქრობა სცადა, პროკლამაციით მიმართა კახელებს, ბრალად დასდო მათ ფიცის გატეხა, ქრისტე ღმერთისა და რუსთ ხელმწიფის ღალატი. რამ დაგაბრმავათ, ნუთუ დაივიწყეთ უძლეველობა რუსეთის მხედრობისა, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ღვთისა და დიდი ხელმწიფის ხელი თქვენს გასანადგურებლადაა მომართული. კახელებო, ახლა თქვენს წინაშე ორი გზაა — ერთი გადარჩენისაკენ, მეორე დაღუპვისაკენ მიმავალი. დიდი ჯარით მოვდივარ კახეთისაკენ, ხმალი ქარქაშიდან მაქვს ამოღებული, მაგრამ მზად ვარ შევიწყალო მომნანიებელნი, პირობას ვიძლევი, ვინც იარაღს დაყრის და დაგვნებდება, არ დაისჯებაო.

მარკოზ პაულუჩის პროკლამაციას და ბრალდებას აჯანყებულებმა შესაფერისი პასუხი გასცეს. ჩვენ, — წერდნენ ისინი, — ქრისტეს არ ვუარყოფთ, არც ფიცი გაგვიტეხია და არც რუსთ ხელმწიფისათვის გვიღალატნია. აჯანყების მიზეზი თქვენ მოგვეცით, რაც იმპერატორის მანიფესტით ნაბრძანები იყო, არ შეასრულეთ. დამნაშავესა და ერთგულს არ არჩევდით, თოფით გვხვრეტდით და თოკით გვახრჩობდით. ეგზეკუციითა და ხიშტით გვადექით თავს, ჩვენს ცოლებსა და შვილებს შეურაცხყოფდით. კარგად ვიცით, რომ რუსეთის მეფეს ხალხის გაწყვეტა არ სურს, მიზეზი ხელმწიფის მოხელენი ხართ, თქვენთან შერიგება არ შეგვიძლია. თქვენ დაარღვიეთ იმპერატორის ბრძანება და ჩვენ უსამართლობა ვერ ავიტანეთ. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი, სამართლიანობისათვის ბრძოლაში დახოცვა სჯობიაო.

ამ პასუხში მარტო აუტანელი ჩაგვრა-შევიწროებით სასოწარკვეთილებამდე მისული გლეხობის გულისნადები როდი იყო გამოხატული. იქვე ჩანდა აჯანყების ხელმძღვანელთა გარკვეული პროგრამა და მიზანდასახულება. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის მეფე მანიფესტს იცავდა, ქართველი ხალხისათვის შეღავათების მიცემას მოითხოვდა. მაგრამ საქართველოში გამოგზავნილი დიდი მოხელენი არ ასრულებდნენ მანიფესტს, ყოველნაირად ჩაგრავდნენ და შეურაცხყოფდნენ ხალხს. ასეთ მმართველ-ადმინისტრატორთა თვითნე-

ბობის ატანა არ შეგვიძლია და ამითაა განპირობებული ეს ბოლომოუღებელი შეთქმულება-აჯანყებებიო.

ქართველი ხალხი ხელს არ იღებდა რუსულ ორიენტაციაზე. რუსეთის ადგილობრივ ადმინისტრაციასა და ქართველ ხალხს შორის 1804 და 1812 წლებში მომხდარი უდიდესი კონფლიქტის მიუხედავად, თავადაზნაურობისა და გლეხობის დიდი ნაწილი კვლავ ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო რუსეთის საიმპერატორო ტახტისა და საქართველოს სამეფო ტახტის ინტერესთა მორიგება 1783 წ. სამეგობრო ხელშეკრულების საფუძველზე. აჯანყებულებს უარი არ უთქვამთ რუსეთის მფარველობაში ყოფნაზე, მაგრამ მათ თავის მეთაურად და საქართველოს მეფედ გრიგოლ ივანეს ძე ბაგრატიონი გამოაცხადეს. აჯანყებულთა და მათი ახალი მეთაურის მიზანი გახდა რუსეთის ფარგლებში საქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგენა.

გრიგოლ ბაგრატიონმა სცადა აჯანყების გაფართოება, თავის ლაშქრის გაზრდა. 27 თებერვალს იგი ქიზიყის თავადაზნაურობასა და გლეხობას სწერდა: ჩემი რაზმით ხაშმისკენ მივდივარ, თქვენც ერთ გამოემართეთ, რაც შეიძლება მალე შემომიერთდით. იცოდეთ ქართლშიც აჯანყებაა, ცხინვალში მდგარი რუსთ ხელმწიფის მოხელეები მთლად გაწყვიტეს. ახლა მთავარია ხაშმში მდგარი მოწინააღმდეგის განადგურება, რის შემდეგ ჩვენ ხელთ აღმოჩნდებაო ქართლი, არაგვის ხეობა და თბილისი.

საქართველოს მთავარმმართველი იმპერატორს მოახსენებდა: კახეთის „რევოლუცია“ დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. აჯანყების მიზეზი კი საკმაოზე მეტი არსებობდაო. ამ ამბებში გარკვეული როლი შეასრულეს ბაგრატიონებმა, რომლებიც არ წყვეტენ ფარულ მოქმედებას, ყველგან თესავენ უკმაყოფილება-აჯანყების თესლს. მთელი კახეთი და ანანურის მაზრის მოსახლეობა აჯანყდა. ხალხმა ამოხოცა ბევრი ჩვენი ჯარისკაცი, ჩაიდინა საშინელი სიმკაცრე, რომლის მაგალითები უფრო ადრე ჩვენ მოგვცა საფრანგეთის რევოლუციამ. აჯანყება დაიწყო აგრეთვე დაღესტანში, შირვანში, შაქში. გრიგოლ ბატონიშვილი ცდილობს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ აამხედროს ქართლის მოსახლეობაც. ყოველივე ეს, — დასძენდა პაულუჩი, — ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს ფართო მასშტაბის შეთქმულებასთან, რომლის ორგანიზატორები მიზნად ისახავენ ჩვენი ჯარების განადგურებას და ამიერკავკასიის რუსეთისაგან ჩამოცილებას. მაგრამ რუსეთის ჯარების გამარჯვებამ დაღესტანსა და შირვან-ყარაბაღში, ჩაშალა

ეს საერთო კავკასიური მასშტაბის შეთქმულება და ახლა მე დამრჩაო ერთადერთი ამოცანა — ჩავაქრო აჯანყება კახეთშიც.

აჯანყებულებს ხაშმის მიდამოებში ძლიერი პოზიცია ეკავათ. პაულუჩიმ ვერ გაბედა მათზე იერიშით მისვლა. კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტა ერთხელ კიდევ სცადა და აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად ნინოწმინდელი ეპისკოპოსი, მაიორი ავალიშვილი და საკუთარი მოძღვარი გაგზავნა. მთავარმმართველი მეამბოხეებს არწმუნებდა—თქვენი გაჭივრებისა და საჩივრების შესახებ არაფერი ვიცოდი, თორემ სიმართლეს გამოვექომაგებოდიო. აღთქმას დებდა, აჯანყების მიზეზებს გამოიძიებდა და სამართლიანობას აღადგენდა. გირჩევთ დაიშალოთ, თუ ამას არ იზამთ, ისე მოგეპყრობით როგორც ბოღალატეებსო.

აჯანყებულებს არც ამ მიმართვაზე გაჭირვებიათ პასუხის გაცემა. რუსებთან შედარებით ჩვენ ცოტანი ვართ და მათი დამარცხების იმედი არ გვაქვს. ჩვენ რუს ხელმწიფის მფარველობას ვეძებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა. მაგრამ მეფის მოხელეთა უსამართლობამ და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. დიდხანს ვითმენდით, ხოლო ახლა, როდესაც ღმერთმა ეს საშინელი შიმშილი დაგვატეხა თავს, როცა თვითონ ბალახბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და სხვა საკვებს მოითხოვენ, საკუთარი სახლებიდან გამოგვრეკენ, ჩხრეკდნენ ჩვენს ზანდუკებს, ორმოებს, მარნებს გვიტეხავდნენ, ღვინით ილეშებოდნენ, ჩვენს თვალწინვე ცოლებსა და ქალიშვილებს შეურაცხყოფდნენ. განა ოჯახის ამისთანა შერცხვენის შემდეგ ჩვენს სიცოცხლეს ფასი ექნება? ჩვენ ცოდვილნი ვართ ღვთისა და რუსთ ხელმწიფის წინაშე, ქრისტიანთა სისხლში ხელი გავისვარეთ, მაგრამ ღმერთია მოწმე, რომ რუსთა ღალატი ფიქრად არასდროს გვქონია. ჩვენ ეს ძალდატანებამ გვაიძულა და გადავწყვიტეთ ბრძოლის ველზე დავიხოცოთო.

25 თებერვალს მთავრობის ჯარმა მეამბოხეებს შეუტია. აჯანყებულებმა რამდენიმე ათეული კაცი დაკარგეს და იძულებული გახდნენ ბრძოლის ველს გაცლოდნენ. პაულუჩის ბრძანებით, მართალია, ტყვედ ჩავარდნილი მეამბოხეები ჩამოახრჩვეს, მაგრამ მთავარმმართველი მაინც არწმუნებდა ხალხს, რომ შურს არ იძიებდა, თუ ამბოხებულნი იარაღს დაყრიდნენ და შინ დაბრუნდებოდნენ, ყველას აპატიებდა დანაშაულს.

ხაშმიდან პაულუჩი საგარეჯოსა და სიღნაღისაკენ წავიდა. გარე კახეთის-სოფლები მას მორჩილებით შეხვდნენ. მაგრამ მთავარმმართ-

ველის აგენტებს ცნობები მოჰქონდათ, რომ მეამბოხეებს ხელისუფლების არაფერი სჯერათ, უბრალოდ წვრილ შეტაკებებს ერიდებიან და ძალებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის ინახავენო. 28 თებერვალს რუსთა ჯარმა ქოდალოს ციხიდან განდევნა მეამბოხენი, ხოლო 29 თებერვალს პაულუჩი რუსთა ჯარით სიღნაღში შევიდა.

1812 წ. 1—2 მარტს სოფ. ჩუმლაყის მიდამოებში 4 ათასი აჯანყებული გრიგოლ ბაგრატიონის სარდლობით პაულუჩის ჯარს შეება. კახელები მხნედ იბრძოდნენ, დიდი ზარალიც მიაყენეს მტერს, მაგრამ მარცხი იწვნიეს. ამის შემდეგ პაულუჩია წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. მეამბოხენი თელავსაც გაეცალნენ, პაულუჩმა უომრად აიღო ქალაქი. გრიგოლ ბაგრატიონი რუსთა ჯარს დანებდა.

რუსთა ჯარის სხვა ნაწილები უმაკოვის მეთაურობით ბულაჩაურიდან ბრძოლით გადავიდნენ თიანეთამდე. გზა სულ ერთიანად ჩახერგილი იყო და მეამბოხენი უომრად როდი თმობდნენ პოზიციებს. უმაკოვი დიდ სისასტიკეს იჩენდა, მეამბოხეებს ტყვიით ცხრილავდა, ტყვედ ჩავარდნილებს ხეებზე ჰკიდებდა. განსაკუთრებით ცხარე შეტაკება თიანეთის მახლობლად მოხდა. ძეამბოხენი სასტიკ წინააღმდეგობას სწევდნენ, ბრძოლაში იღუპებოდნენ, კლდეზე ცვივოდნენ, მაგრამ ტყვედ არ ნებდებოდნენ.

6 მარტს პაულუჩმ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ კახეთის ამბოხება ჩაქრა, მრავარმმართველი კმაყოფილი იყო. კახელებმა მას ასობით ტყვე რუსი ჩარისკაცი ჩააბარეს. ტყვედ ჩავარდნილთა უვნებლად დატოვება იმის მოწმობა იყო, რომ კახელი მეამბოხენი დაუნდობლად ებრძოდნენ არა რუსებს, არამედ რუსეთის თვითმპყრობელურ მმართველობას და მის აგენტებს, რუსი კაპიტან-„ისპრავნიკები“ იქნებოდნენ ისინი, თუ ქართველი თავადები. ტყვეთა სიმრავლე იმის მაჩვენებელიც იყო, რომ ყველა რუსი ჯარისკაცი არ მონაწილეობდა იმ უმსგავსოებაში, რასაც საეგზეკუციო რაზმები და განსაკუთრებით მათი მეთაურები ქართულ სოფლებში ჩადიოდნენ.

ასე ჩათავდა 1812 წ. კახელ მეამბოხეთა პირველი გამოსვლა. მისი შედეგით არც ერთი მხარე იყო კმაყოფილი და არც მეორე. აშკარა თუ ფარული ბრძოლა გრძელდებოდა, ჩახდა მისი აღმავლობისა და აჯანყებად გადაქცევის ნიშნები.

მთავრობის პოზიციები მაინცდამაინც ძლიერი არ იყო. ომი თურქეთთან და ირანთან გრძელდებოდა, აჯანყების ნაპერწკალი ისევ ღვივოდა, ამიტომ პაულუჩი რუსეთიდან დამატებით ჯარს მოითხოვდა,

ამავე დროს ცდილობდა ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელიც ხელმეორე აჯანყებას გამორიცხავდა.

პაულუჩი შემწყნარებელი მმართველისა და ობიექტური მოსამართლის როლში გამოვიდა. ბოროტება, ხალხის ჩაგვრა-შევიწროება თავის წინამორბედებს გადააბრალა, აჯანყებაში მონაწილეთა ამნისტია გამოაცხადა, მომჩივან ხალხს საქმის სამართლიანი გადაწყვეტა აღუთქვა.

პაულუჩის მიერ გატარებული ღონისძიებებები ძირითადად ქართველი თავადაზნაურობის დაკმაყოფილებას, მაღალი წოდების გულის მოგებას ისახავდა მიზნად. თავადაზნაურთა ინტერესებს პასუხობდა ისიც, რომ ამიერიდან პურის შესყიდვის საქმე ჩამოერთვა რუს კომისიონერებს — „პროვიანტის" მოხელეებს და გადაეცა სამოქალაქო გუბერნატორს, რომელიც სურსათ-სანოვაგის დამზადების, შესყიდვის საქმეში ფართოდ იყენებდა თავადაზნაურთა წარმომადგენლებს.

პაულუჩის წინადადებით ხალხის საჩივრების შეგროვება ქართველ მოურავებს დაეკალა. შეიქმნა სპეციალური კომისიები აჯანყების მიზეზთა გამოსარკვევად. შეკრებილმა არასრულმა მასალამაც კი ცხადყო მოხელეთა თვითნებობა-ბოროტმოქმედება. მთავრობამ აღიარა, რომ აჯანყება რუსი მმართველების უვარგისობამ გამოიწვია.

ამდენად, 1812 წ. თებერვლის აჯანყება დამარცხებით არ დამთავრებულა. მართალია, აჯანყებულმა კახელებმა თავის მიზანს მთლიანად ვერ მიაღწიეს, მაგრამ არც მეფის მთავრობის ადგილობრივ ადმინისტრაციას გაუმარჯვია. ის იძულებული გახდა ზოგი რამ დაეთმო ხალხისათვის. ორივე მხარე გადამწყვეტი მოქმედებისათვის ემზადებოდა.

1812 წ. 20 აპრილს განთავისუფლებული პაულუჩი პეტერბურგს გაემგზავრა, მთავარმმართველის პოსტი კი ენერალმა რტიშჩევმა დაიკავა. იგი მყისვე დარწმუნდა, რომ აჯანყება ხალეთში არ ჩამქრალა, იგი მინელდა მხოლოდ. აჯანყების ნაპერწკლის გაღვივება კი იმან დააჩქარა, რომ მთავრობამ არ შეასრულა დაპირება აჯანყების ხელმძღვანელთა ამნისტიის თაობაზე, ზოგიერთი მათგანი დააპატიმრა და სხვათა შეპყრობა-დასჯასაც აპირებდა. ასეთ ვითარებაში ხალხი ვერ დამშვიდდებოდა. აჯანყების აქტიური მონაწილენი ტყეს შეეფარნენ. გზებზე თავს ესხმოდნენ მთავრობის აგენტებს. მთავრობისათვის ისიც ცნობილი გახდა, რომ კახელთაგან არჩეული 30 მოციქული — თავადები და ბეგლეხები ალექსანდრე ბატონიშვილთან წავიდა ირანში და მეთაურად მოიწვია.

საბრძოლველად შემართულმა კახელებმა დამხმარედ ლეკები მოიხმეს. როცა ლეკთა 1500-კაციანი რაზმი 1812 წ. 29 აპრილს სოფ. ართანასთან გამოჩნდა, გალმა მხარი ერთიანად აჯანყდა. 30 აპრილს მთავრობის ჯარმა ლეკები, მართალია, დაამარცხა, მაგრამ მეორე დღეს რუსთა ბატალიონებს გარს შემოერტყნენ აჯანყებულნი და დიდი ზარალი მიაყენეს, ბრძოლაში დაჭრილმა თელავის ოლქის უფროსმა პოლკოვნიკმა შმატოვმა გაჭირვებით გაარღვია ალყა და დაბრუნდა თელავს, რომელსაც მეამბოხენი უკვე შემოსდგომოდნენ. სიწყნარე არც არაგვის ხეობაში იყო. ტყედ გასული მეამბოხენი მცირე რაზმებით და მოულოდნელი თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდნენ მთავრობის დაწესებულებებსა და მოხელეებს. მღელვარება გრძელდებოდა ქიზიყშიც.

შმატოვის მარცხით შეშფოთებულმა რტიშჩევმა კახეთს გენერალ-მაიორი სტალი გაგზავნა ჯარით. ამჯერადაც გამოიყენეს აჯანყების დასაცხრობლად მშვიდობიანი საშუალებანი. სტალი და ცოტა მოგვიანებით თვით რტიშჩევიც არწმუნებდა მოსახლეობას, რომ ამნისტია ძალაშია და არავინ დაისჯება, თუ შფოთი შეწყდებაო. რაკი ხალხმა დამშვიდების სურვილი არ გამოამჟღავნა, მთავარმმართველმა კავკასიის ხაზიდან დამატებითი ჯარები გამოითხოვა. ქართლ-იმერეთში მყოფი რამდენიმე ბატალიონიც კახეთისაკენ იხმო.

14 მაისს გენერალი სტალი აჯანყებით მოცულ ქიზიყისაკენ გაემართა, დიდი გაჭირვებით სიღნაღს მიაღწია. აქედან თელავისაკენ აიღო გეზი, მაგრამ აჯანყებულთა სიმრავლემ შეაშინა და რტიშჩევს დამხმარე ჯარი სოხოვა. მთავარსარდალმა სტალს გენერალი დიმიტრი ორბელიანი მიაშველა. 20 მაისს სტალი თელავში შევიდა. მალე აქვე მოვიდა ორბელიანი, რომელმაც გომბორ-თელავის გზა ბრძოლით გაიარა.

რტიშჩევის მიერ ამნისტიის დადასტურებამ, მთავრობის მომხრე ქართველ თავადთა აქტიურობამ, მთავრობის კომისიების გაუქმებამ და რაც მთავარია რუსთა ჯარების კახეთის გასანადგურებლად კონცენტრაციამ, მეამბოხეთა რიგების სიმტკიცე შეარყია. ამასვე იწვევდა ისიც, რომ მეამბოხეთა დამხმარე ძალა არ ჩანდა. კიდევ მეტი, აჯანყების ზოგი მონაწილე და მეთაური მთავრობის მხარეს გადავიდა. თავადაზნაურთა საგრძნობი ნაწილი დამშვიდდა, სახლებში წავიდ-წამოვიდა, ფხიზლად ადევნებდა თვალს, თუ როგორ დაიცავდა მთავარმმართველი ამნისტიის პირობებს.

რტიშჩევს კახეთის აჯანყება მაინც არ მიაჩნდა დამთავრებულად. იგი ხედავდა, რომ გლეხობის უკმაყოფილებისა და საამბოხო განწყობილების ძირითადი მიზეზი მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო

მოხელეების ბოროტმოქმედება იყო და თავგამოდებით ცდილობდა მათ გამოსწორებას, რომ ამდენი მსხვერპლის გაღებით დაწყნარებული ქვეყანა ამ საშიშ დროს კვლავ არ ამღელვარებულიყო. იგი მკაცრად ავალებდა გენერალ სტალს პურის შეგროვება-შესყიდვის დროს არ დაეშვა გლეხთა შევიწროება.

1812 წ. ზაფხულში საერთაშორისო მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ნაპოლეონ ბონაპარტეს 600-ათასიანი არმია რუსეთში შეიჭრა. ქართველმა ოპოზიციონერებმა და მათმა აღიარებულმა ლიდერმა ალეალექსანდრე ბატონიშვილმა სწორად შეაფასეს შექმნილი სიტუაცია, სცადეს მისი საქართველოს ინტერესების შესაბამისად გამოყენება.

ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი კახეთის აჯანყებაში დაუსწრებლად მის პირველ-მეორე ეტაპზეც მონაწილეობდა. მისი მარტო სახელის ხსენება მორალურად ამხნევებდა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს. საქართველოს რუსულმა ხელისუფლებამ, მრავალი ცდის მიუხედავად ვერ შესძლო კახეთის აჯანყების სრული იზოლაცია, ვერ აღკვეთა ქართველი პატრიოტების კავშირი ალექსანდრე ბაგრატიონთან. ერეკლეს ძე აღფრთოვანებული იყო კახელთა გმირული ბრძოლით. „თქვენმა ეგეთმა სახელგანთქმულმან და ნამუსიან სიმხნემან, — სწერდა ალექსანდრე აჯანყებულებს, — ოთხსავე მხარეს მიაღწია. დღეს იდიდნენ საქართველოს შინა მცხოვრებნი და ღღეს დაგვირგვინდნენ დიდებისა დაგვირგვინებითა. რა ქება მოგიძღვნათ ანუ რა წყალობა აღგითქვათ. უმაღლეს ღირსებისა და პატივის ღირსი ხართ“. მეფე ერეკლე, — შეახსენებდა მეფის ძე ქართველებს, — თქვენზე ისევე ზრუნავდა, როგორც საკუთარ შვილებზე. ახლა თქვენ ამ ზრუნვის სამაგიერო გადამეტებით გადაიხადეთ, თქვენი ვაჟკაცობის სახელი ქვეყანას მოჰფინეთ, „განსვენებული მეფეც ადიდეთ და იმის შვილებსაც თავისუფლებისა გიხაროდენისა ხმასა გვცემთ“.

ალექსანდრე ბაგრატიონმა წერილები გაუგზავნა არაგვის ხეობის მცხოვრებლებსაც, დავალებას აძლევდა მათ, გზები გააფუჭეთ და გადაკეტეთ, რომ რუსეთის მთავრობამ საქართველოში დამატებითი ჯარები ვერ გადმოიყვანოს, აქეთ მდგარ რუსთა ჯარებს კი ჩვენ მოვუვლითო.

1812 წ. ივლისში ალექსანდრე კახელებს აცნობებდა, თქვენი გამოგზავნილი მოციქულები უკვე მოვიდნენ ჩემთან. რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოში მოვალთ და „ჩვენ სისხლსაც თქვენ სისხლში გავურევთო“. კახელებო, თქვენ მოწინააღმდეგის ძალიან ბევრი სისხლი დაღვარეთ, ამას რუსეთის მთავრობა არაფრით არ გაპატიებთ,

ამიტომ არ ენდოთ რუს მოხელეთა ტკბილ სიტყვებს, დაპირებებს, ბრძოლა გააგრძელეთ, ღვთის მადლით მეც მალე მოგეშველებითო.

ალექსანდრე ბატონიშვილის წერილებმა და მოწოდებებმა მაორგანიზებელი როლი შეასრულა. ქართველთა უმრავლესობა — თავადი, აზნაური, გლეხი იზიარებდა მათში გამოთქმულ თვალსაზრისს, მხარს უჭერდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მზად იყო სამშობლოს დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის კიდევ დაეღვარა სისხლი. ამ მოწოდებებმა სიტუაცია დაძაბა, საკმარისი იყო მეთაურის ბრძოლის ველზე გამოჩენა და აჯანყების ალი ისევ ავარდებოდა. ეს კარგად იცოდნენ ცარისტული რუსეთის დიდმოხელეებმა და შიშით მოელოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში შემოსვლას.

საზღვრებზე და სტრატეგიულ პუნქტებში განლაგებულმა რუსთა ჯარის ნაწილებმა ალექსანდრე ბაგრატიონს გზები ვერ გადაუჭრეს. 1812 წ. სექტემბერში იგი საქართველოში შემოვიდა. მთელი ხალხი აღფრთოვანებული შეხვდა ალექსანდრე ერეკლეს ძეს და მის გარშემო დაირაზმა.

ალექსანდრე ბატონიშვილი კარგად ერკვეოდა შექმნილ სიტუაციასა და საქართველოს საზოგადოებრივ ძალთა განლაგებაში. დარწმუნებული იყო, რომ თავადიც, აზნაურიც და გლეხიც თავისუფლების მოსაპოვებლად სისხლს დაღვრიდა. განმათავისუფლებელი ომის დაწყებისათვის ქართველი უფლისწული უკეთეს დროს ვერც ინატრებდა. ნაპოლეონი უკვე მოსკოვში იყო შესული, რუსეთ-ირანის ომი ისევ გრძელდებოდა და თურქეთიც შევიწროებული მეზობლის წინააღმდეგ კბილს ილესავდა. ალექსანდრე ბატონიშვილს ქართველი ხალხის დიდი ნაწილის პატრიოტიზმსა და მისადმი ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ აფიქრებდა მისი ანტიირანული განწყობილება. მეფის ძემ კარგად იცოდა, რომ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხს კიდევ მეტად სძაგდა ნახევრად ველური ყიზილბაშთა ბატონობა. ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილი ხალხს არწმუნებდა, რომ ირანის ჯარი საქართველოში მოვა, მაგრამ არა ქვეყნის დასაპყრობად, არამედ ბრძოლაში დასახმარებლად, საქართველოს სამეფოს აღსადგენადო.

ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის მოწინააღმდეგე არ ყოფილა. ის მუდამ მზად იყო რუსეთის იმპერატორის „სამსახურად". ოღონდ ამის აუცილებელ წინაპირობად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა მიაჩნდა. ერეკლეს ძე 1783 წ. ტრაქტატის, რუსეთ-საქართვე-

ლოს სამეგობრო ხელშეკრულების პლატფორმაზე იდგა, იმ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა, რომელიც რუსეთის მთავრობამ ტრაქტატის დარღვევით და საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს მოსპობით ჩაიდინა.

ალექსანდრე ბატონიშვილმა თიანეთიდან მაცნენი აფრინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მის მოწოდებას ფიცხლად გამოეხმაურნენ ფშავ-ხევსურეები, ქიზიყელები, კახი თავადები და გლეხები. ქართლის მოსახლეობასაც აჯანყების განწყობილება დაეუფლა. ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა ჭრავალი თავადი ციციშვილთა, ავალიშვილთა, ამილახვართა და სხვ. საგვარეულოებიდან. მისკენ საკმაო რაოდენობით დაიძრაენ ქართველი აზნაურები და გლეხები. სხვები კი ბატონიშვილის ქართლში გამოჩენას ელოდებოდნენ, აჯანყებისათვის თადარიგს იჭერდნენ.

ალექსანდრე ბაგრატიონმა თავისი ლაშქარი რამდენიმე ნაწილად გაჰყო. ერთ რაზმს თბილისიდან კახეთს მიმავალი გზის ჩაკეტვა დააავალა, მეორეს ქართლიდან თიანეთ-თელავისაკენ მიმავალი გზის დაცვა უბრძანა, მესამე რაზმი საქართველოს სამხედრო გზის რაიონში სამოქმედოდ გამოყო, მას უღელტეხილზე რუსთა ჯარები არ უნდა გადმოეშვა. თვით ალექსანდრე აჯანყებულთა მთავარ ძალებს ჩაუდგა სათავეში და რუსეთის ცარიზმისაგან საქართველოში გამოგზავნილ სატრაპებს ფიცხელი ომი გაუმართა. კახეთის ცარიზმის მოხელეებისაგან გაწმენდა, ქართლის აჯანყება და სამხედრო გზის ჩაკეტვა იყო მისი უპირველესი ამოცანა. ამას უნდა მოჰყოლოდა გარედან დახმარება და საბოლოო მიზნის განხორციელება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. გამორიცხული არც მშვიდობიანი მორიგება იყო, თუ რუსეთის მთავრობა დათმობაზე წავიდოდა, სამეგობრო ხელშეკრულებას განაახლებდა და საქართველოს ავტონომიურ სამეფოს აღადგენდა.

რუსეთის ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაცია შეშფოთდა. მთავარმმართველმა ირანის წინააღმდეგ მოქმედი არმიიდან ჯარის ნაწილები გამოიწვია, ღართისკარი და ბულაჩაური გაამაგრა. საქართველოს სამხედრო გზის აჯანყებულთაგან გასაწმენდად კავკასიის ხაზიდან სამი ბატალიონი დასძრა. აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად წამოვიდა აგრეთვე იმერეთს მდგარი ჯარი. მთავარმმართველმა რტიშჩევმა ოქროს ძალაც მოსინჯა — 20 ათასი მანეთი აღუთქვა იმას, ვინც ალექსანდრე ბატონიშვილს მოკლავდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ

ბრძოლის ხელმძღვანელობა გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი ორბელიანს დაევალა. რუსთა ჯარის სხვა გენერლები და ოფიცრები მისი ბრძანებით მოქმედებდნენ.

რუსეთის მთავრობის რეგულარულ არმიას გაწვრთნილობითა და შეიარაღებით ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშქართან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდა. პირისპირ ომში ასეთი ჯარის დამარცხებაზე აჯანყებულები ევრც კი იოცნებებდნენ. მაგრამ მოწინააღმდეგის ამ უპირატესობას ნიჭიერმა სარდალმა ალექსანდრე ბაგრატიონმა თავის სახალხო ლაშქრის ღირსება დაუპირისპირა. ერეკლეს ძემ მთავრობის ჯარებს პარტიზანული ომი გაუმართა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშქარი ძირითადად ცხენოსნებისაგან შედგებოდა, სწრაფი გადაადგილებისა და მანევრირების უნარი ჰქონდა. მოწინააღმდეგის არმია კი ქვეითი იყო. გენერალი დ. ორბელიანი თავისი ჯარის რაზმებად დაყოფას ერიდებოდა, რადგან ამ რაზმებს მოწინააღმდეგე ცალ-ცალკე ადვილად დაამარცხებდა. გენერალი მთელი თავისი ჯარით ზოზინით დასდევდა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ადგილს ხშირად იცვლიდა, მოულოდნელად დაარტყამდა მოწინააღმდეგეს და უცბადვე გაეცლებოდა. აჯანყებულთა ლაშქრის სარდალმა, მოსახლეობის საყოველთაო დახმარების წყალობით მოწინააღმდეგის ყოველი ნაბიჯი იცოდა, გენერალს კი წარმოდგენა არ ჰქონდა აჯანყებულთა ძალების განლაგებაზე და ბატონიშვილის ლაშქარს ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში უშედეგოდ დაეძებდა.

ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ერთი შეხედვით მთავრობის ჯარი იმარჯვებდა, გენერალი დ. ორბელიანი საქართველოს მთავარმმართველ რტიშჩევს ალექსანდრე ბაგრატიონის საბოლოო დამარცხების ამბავს აცნობებდა. მთავრობაც ელოდა ალექსანდრეს გაქცევას, მის შესაპყრობად ზომებს იღებდა. მაგრამ ასეთი „სრული განადგურება“ და აჯანყებულთა „საბოლოო დამარცხება“ ხშირად მეორდებოდა. სახალხო ლაშქარი კი არ გარბოდა, არამედ ერთ ადგილას ვითომდა „საბოლოოდ დამარცხებული“, მეორე ადგილას ჩნდებოდა და კვლავ თავისი სარდლის გარშემო ირაზმებოდა.

მწარედ აწუწუნდა გენერალი ორბელიანი: „მთელი ხალხი ჩვენს წინააღმდეგაა ამდგარი, ბატონიშვილს ყველგან ბინა, თავშესაფარი აქვს და ამიტომ ხელში ვერ ჩავიგდეო“. ორბელიანმა მრავალრიცხოვანი დამხმარე ჯარები გამოითხოვა. მთელი კახეთის ოკუპაციის გეგმა შეიმუშავა. როცა სოფლებში ჩვენი ჯარისკაცები ჩადგებიან, „ხალხს

ნიშის ზარი დაეცემა, ბატონიშვილს აღარ მიუდგება და მას „აქეთ-იქით მიმოსვლის“, მანევრირების საშუალება აღარ ექნებაო.

გენერალ დ. ორბელიანის თხოვნა დააკმაყოფილეს, მან დამხმარე ჯარის ნაწილები შეიერთა და 9 ოქტომბერს შილდასთან შეება ალ. ბატონიშვილის 6-ათასიან ლაშქარს. მეამბოხენი მამაცურად იბრძოდნენ, იხოცებოდნენ და მტერს კი არ ნებდებოდნენ. შვიდსაათიანი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა შილდის თავისაკენ დაიხიეს. მიხეილ ერისთავი მთავრობის ჯარის პოლკით უკანდახეულებს ზურგში აედევნა. ბატონიშვილი შემობრუნდა და გათამამებული მდევარი ალყაში მოაქცია. გაჭირვებულ ერისთავს მთავრობის ჯარის სხვა ნაწილები მიეშველნენ. მან დიდი ზარალის ფასად დააღწია თავი სრულ განადგურებას. მთავრობის ჯარსა და აჯანყებულებს შორის დიდი ბრძოლები მოხდა, აგრეთვე 24 და 29 ოქტომბერს. სახალხო ლაშქარი ჩალაუბნის ხეობაში შევიდა. გენერალმა ორბელიანმა დადევნება ვერ გაბედა და დამხმარე ჯარს დაუწყო ლოდინი.

ნოემბრის დამდეგს კახეთში გაიგზავნა ახალი დიდი ჯარი გენერალ სიმონოვიჩის მეთაურობით. 21 ნოემბერს მან სოფელ ხაშმთან დაამარცხა მეამბოხენი და დ. ორბელიანთან შესაერთებლად დაიძრა. ჩაილურთან მთავრობის ჯარები გაერთიანდნენ და გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს აჯანყებულნი. ალექსანდრე ბაგრატიონი გაუსხლტა მთავრობის ჯარს და მცირე რაზმით თიანეთს ავიდა. მთავარმმართველმა რტიშჩევმა ბრძანება დაგზავნა კახეთიდან გასასვლელი ყველა გზების შეკვრის თაობაზე. ორბელიანი, სიმონოვიჩი, ტიხონოვსკი, სტალი და ზოგიერთი ქართველი თავადი თავგამოდებით ცდილობდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის დატყვევებას, მაგრამ ამაოდ. ერეკლეს ძე თიანეთიდან ფშავში და ხევსურეთში გადავიდა, ბინა შატილში დაიდო.

ალექსანდრეს შეპყრობის საქმეში ხელმოცარულ საქართველოს მთავარმმართველს სხვა გზა აღარ ჰქონდა და ტკბილი სიტყვით სცადა საშიში მოწინააღმდეგის დამორჩილება. ღვთის განგებით, ქართველ მეფეთა სურვილით, სწერდა საქართველოს მთავარმმართველი ქართლ-კახეთის მეფის ძეს, თქვენი ქვეყანა მტრებისაგან დასაცველად რუსეთის იმპერატორს გადაეცა. შენ კი ამის წინააღმდეგ გამოდიხარ და დახმარებას საქართველოს ტრადიციულ მტრებთან ეძებ. კახეთი შენი მიზეზით დიდად დაზარალდა, მიზანს კი მაინც ვერ მიაღწიე, რადგან ღმერთი არ გწყალობს. ბრძოლაზე ხელი აიღე, დამშვიდდი, დანდობილი მოდი და ხელმწიფის წყალობას შეეფარეო.

ალექსანდრე ბატონიშვილმა რტიშჩევის ბრალდება უარყო, მაგრამ დიპლომატიური მოსაზრებით რუსეთის იმპერატორის წინააღმდეგ კრინტიც არ დაუძრავს, ტრაქტატის დარღვევასა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობაში მან იმპერატორის მოხელეებს დასდო ბრალი. ქართველი ხალხის აჯანყება, სწერდა მეფის ძე იმპერატორის დიდ მოხელეს, სამართლიანი ბრძოლაა. ქართველები დამოუკიდებლობის, ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის იბრძვიან. ეს კი წმინდა საქმეა, ვინც სამშობლოსათვის თავს დადებს, მას მსხვერპლად შეეწირება, დიდების ღირსია. თავისუფლებისათვის მებრძოლმა ქართველებმა მეთაურად მომიწვიეს და მეც ცხენი შემოვაგელვე ხალხისა და სამშობლოს დასაცავად.

მეფის რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ლაშქარი რუსეთის ორიენტაციაზე რჩებოდა, რუსეთ-საქართველოს კავშირის იდეას იცავდა. ალექსანდრე ბატონიშვილი იმედოვნებდა, რომ იმ დიდი ომის შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა რუსეთის მთავრობას გაუმართა, შესაძლებელი გახდებოდა შერიგება, იმედოვნებდა, რომ რუსეთის იმპერატორი დათმობაზე წავიდოდა, აღადგენდა 1783 წ. ტრაქტატს, საქართველოს გამოაცხადებდა იმპერიაში შემავალ ავტონომიურ სამეფოდ. მაგრამ ეს იმედი ამჯერადაც ამაო აღმოჩნდა. გამარჯვებული რუსეთის ცარიზმისათვის 1783 წლის სამოკავშირეო-მფარველობითი ხელშეკრულება განვლილი ეტაპი იყო. საქართველოსა და ამიერკავკასიის უშუალო შეერთება მიაჩნდა მას რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებით ნაკარნახევ ზომად, წინააზიაში გავლენის გაძლიერების წინაპირობად.

ცარისტული რუსეთის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ კახეთის აჯანყებაში მონაწილენი სასტიკად დასაჯა. თავადაზნაურთაგან ბევრს მიუსაჯეს სამუდამო კატორღა, ციმბირს გადასახლება, პატიმრობა. განსაკუთრებით მკაცრად გლეხებს მოექცნენ. ხუთი გლეხი ჩამოახრჩვეს. მათ შორის იყო ერთი მეამბოხე გლეხის დედა, 75 წლის მოხუცი, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილის მოწოდებათა გავრცელება ბრალდებოდა. აჯანყებაში მონაწილე გლეხთა მასას (16000 კომლი, 40000 მცხოვრები) დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის მსგავსად კონტრიბუცია შეაწერეს, 70 ათასი ფუთი პური, 35 ათასი ფუთი ქერი და 50 ათასი ვერცხლის მანეთი გადაახდევინეს.

იმერეთის გლეხთა 1819—1820 წლების აჯანყება. 1810 წ. რუსეთის ცარიზმის მიერ იმერეთის სამეფოს გაუქმებას პროტესტით შეხვდა მოსახლეობის ყველა ფენა, იმერეთში საყოველთაო სახალხო აჯანყებამ

იფეთქა. ივნისში აჯანყებულთა რაზმებმა ალყაში მოაქციეს იმერეთის ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში დაბანაკებული მთავრობის ჯარები. იმერეთის მმართველი გენერალი სიმონოვიჩი ქუთაისიდან ვერ გამოდიოდა. აჯანყებულებმა კონტროლი დაამყარეს თითქმის მთელ იმერეთზე და რამდენიმე თვის წინ ტახტიდან გადაყენებული, ახალციხეს გაქცეული სოლომონ მეორე თავის ხელმძღვანელად მიიწვიეს.

1810 წ. ივნისის შუა რიცხვებში სოფელ საკაროსთან აჯანყებულებმა დაამარცხეს მაიორ კალატოზოვის ბატალიონი, ხოლო ივლისში დიდი ზარალი მიაყენეს დ. ორბელიანისა და მაიორ ტიხოცკის პოლკებს. მთავარმმართველმა ტორმასოვმა იმერეთის აჯანყების ჩაქრობა გენერალ როზენს დაავალა. იმერლებს გზები ჩაეხერგათ. საფრებში მეთოფეები ჩაესხათ, წინ ეღობებოდნენ და გვერდებიდან სცემდნენ როზენის ჯარს. დიდი ბრძოლები მოხდა ჩხერს, ცხრაწყაროს, ყვირილას ფონზე, სიმონეთთან. 29 ივლისს გენერალმა როზენმა დაამარცხა ქუთაისის მოალყე აჯანყებულთა რაზმები და სიმონოვიჩს შეუერთდა.

იმერლები თავდაცვაზე გადავიდნენ, სოლომონი პარტიზანულ ომს აწარმოებდა. სოფლიდან სოფელში გადადიოდა, ელვისებურად ესხმოდა თავს მოწინააღმდეგეს და სწრაფადვე უჩინარდებოდა. 8 აგვისტოს დიდი ბრძოლა მოხდა სოფ. რიონთან, 10 აგვისტოს გელათის ახლოს. გენერალმა როზენმა ვერ შეძლო აჯანყებულთა განადგურება, სოლომონის შეპყრობა. სექტემბრის დამდეგს როზენმა ვარციხე დაიკავა, მიზნად იმერეთის ყოფილი მეფისათვის გასაქცევი გზის მოჭრა დაისახა. მაგრამ აჯანყებულებმა ვარციხე ალყაში მოაქციეს, მოწინააღმდეგე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს. ბლოკადაში მოქცეულნი მხოლოდ დამხმარე 3 ათასიანი ჯარის მოსვლამ იხსნა სრული განადგურებისაგან.

1810 წ. სექტემბრის შუა რიცხვებში სოლომონი 2 ათასი მოლაშქრით ხანისწყლის ხეობაში გადავიდა. სიმონოვიჩმა მას მრავალრიცხოვანი ჯარი დაადევნა. მართალია, ბრძოლაში რუსთა ჯარებმა გაიმარჯვეს, მაგრამ სოლომონის დატყვევება ვერ მოახერხეს. იგი თავის ლაშქრის ნაშთებით მტერს გაუსხლტა, დატოვა იმერეთის საზღვრები და ახალციხეში გადავიდა. ამგვარად, გენერალმა სიმონოვიჩმა ხუთი ათასიანი ჯარით ვერ შეასრულა მთავრობის დავალება, ვერც მოკლა და ვერც შეიპყრო სოლომონ მეფე. ცდა არ დაგვიკლია, ენერგია არ დაგვიზოგავს, ხანგრძლივი ბრძოლითა და შიმშილით განაწამები ჯარისკაცები ჩონჩხებს დაემსგავსნენ, მაგრამ მთავარი ამოცანა ვერ შევასრულეთო — გულდაწყვეტილი სწერდა სიმონოვიჩი ტორმასოვს. არც გამბედავი პირი აღმოჩნდა სოლომონის მოკვლა რომ ეკისრა. საყოველთაო რე-

ვოლუციის პირობებში არავინ დახარბდა დიდ ჯილდოსა და იმ სარგებელს, რასაც ჩვენი მხარდაჭერით მიიღებდაო.

ახალციხეს გადასული სოლომონი კვლავ ცდილობდა საქმის შემობრუნებას, იმერეთის მოსახლეობის ახალი აჯანყებისათვის მომზადებას. იგი სამშობლოში გზავნიდა წერილებსა და მოწოდებებს, რაც დიდ გავლენას ახდენდა ხალხის განწყობილებაზე. შეშფოთებულმა ტორმასოვმა კატეგორიული დავალება მისცა სიმონოვიჩს: ციმბირის გზას გაუყენე წინა აჯანყების ხელმძღვანელები, დააპატიმრე სოლომონის მოწოდებათა გამავრცელებელნი, სამაგალითოდ დასაჯე ყველა ურჩი და ჩვენს მტრებს შიშის ზარი დაეცეო.

მკაცრმა რეჟიმმა და რეპრესიებმა, რა თქმა უნდა, გარკვეული ნაყოფი გამოიღო, ხალხი ვეღარ ბედავდა ცარიზმის მოხელეთა წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას, მაგრამ ჩუმი საბოტაჟი კვლავ გრძელდებოდა. ახალი აჯანყების ობიექტური და სუბიექტური პირობები თანდათან მწიფდებოდა. გლეხობა უხეშ ძალას თიოქმის დამორჩილდა, მაგრამ იმერეთი, თვით ცარიზმის მოხელეთა განცხადებით, დროებით დაწყნარებულ ვულკანს ჰგავდა.

რუსეთის ცარიზმის მოხელეები დარწმუნდნენ, რომ ქართველი ხალხი ადვილად არ თმობდა დამოუკიდებლობას, თავის მეობას, წესჩვეულებებსა და ტრადიციებს. ამიტომ იმერეთის დროებითი რუსული მმართველობა ფრთხილად მოქმედებდა, ცდილობდა რუსეთის მთავრობისათვის სასურველი გარდაქმნები ნელა და შეუმჩნეველად შეეპარებინა მოსახლეობისათვის.

რუსეთის ცარიზმი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ ერთხანს კიდევ ურიგდებოდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას. 1811 წ. კი მთავრობამ შეიმუშავა კანონი საქართველოს საეკლესიო მმართველობის შესახებ, რომელიც სპობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას. კათალიკოსი ანტონ მეორე გადააყენეს. საქართველოს ეკლესიის გამგებლობა სინოდის მიერ დანიშნულ ეგზარქოსს დაავალეს. 1815 წ. ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. მალე დაიწყო საეკლესიო რეფორმის გატარება, რომელიც ამცირებდა საეპისკოპოსოებს, ზღუდავდა ქართველი სამღვდელოების უფლება-კომპეტენციას, კონტროლს ამყარებდა ქართული ეკლესიის უძრავ-მოძრავ ქონებაზე.

ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა დასვა საკრებულო საქართველოს საეკლესიო მამულების ხაზინის გამგებლობაში გადაცემის საკითხი, რამაც საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. ამ განზრახვას

წინ აღუდგა არა მარტო სამღვდელოება, რომელიც საეკლესიო მამულებს თავის ხელშეუხებელ საკუთრებად თვლიდა, მის წინააღმდეგ გაილაშქრა დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამაც. ხოლო იმის გამო, რომ ამ ცვლილებათა შედეგად საგრძნობლად იზრდებოდა გლეხთა გადასახადები, რეფორმას მტრულად შეხვდა გლეხობის დიდი ნაწილი.

1819 წ. მაისში ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი პროკურორ ჭილაშვილის თანხლებით იმერეთში ჩავიდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა საეკლესიო რეფორმის გატარებას. მან დაიწყო ცნობების შეგროვება იმერეთ-გურია-სამეგრელოს ეკლესიებზე, სამრევლოთა რაოდენობაზე, საეკლესიო მამულების შემოსავლის შესახებ. მაგრამ მყისვე წააწყდა მღვდელმთავრების, თავადაზნაურობისა და ხალხის წინააღმდეგობას. ეგზარქოსის მოხელეები სოფლებიდან გამოდევნეს. მოძრაობას გამოუჩნდა ხელმძღვანელი და ერთი მიზნისაკენ წარმმართველი ძალა. 1819 წ. 2 ივლისს იმერეთის თავადაზნაურობა და ხალხი რაჭის მოსახლეობას სწერდა: ეგზარქოს თეოფილაქტეს მოსვლის შემდეგ იმერეთის ხალხი საშინელ მწუხარებას მიეცა. განზრახვა აქვთ საეპისკოპოსოები გააუქმონ, ბევრი ჩვენი წმინდა ეკლესია დაანგრიონ, წმინდათა ნაწილები და სახელგანთქმული ჯვრები ჩამოგვართვან. ჩვენთვის მლოცველ არქიერებსა და მღვდლებს გვართმევენ, საშუალებას გვისპობენ ჩვენი წესების მიხედვით ვადიდოთ ქრისტე. თუ ხელშეუხებლად რჩება ებრაელთა, სომეხთა და კათოლიკეთა ეკლესია, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისი მათ შორის? ახლა გთხოვთ მოიქეცით თქვენი ქებული პატიოსნების შესაფერისად. ნუ მისცემთ მასალას გამოგზავნილ აღმწერებს, გაისტუმრეთ უკანვე ისევე გაწბილებულნი, როგორც ჩვენ გავისტუმრეთ. ნუ მიუშვებთ თეოფილაქტეს მოხელეებს ნურც მღვდლებამდე და ნურც ხალხამდე. საჭიროა ამ საქმეში ერთად ვიმოქმედოთო.

იმერელთა მოწოდებას მყისვე გამოეხმაურენ რაჭველები, დაიწყეს შეკრებები ეკლესიებში, ერთსულოვან მოქმედებაზე ფიცის დადება. მალე მღელვარება გურია-სამეგრელოსაც მოედო, იმერეთის მმართველი შეშფოთდა და შექმნილი მდგომარეობის შესახებ ცნობა გაუგზავნა კავკასიის არმიის შტაბის უფროსს გენერალ ველიამინოვს. აჯანყება, — წერდა იმერეთის მმართველი კურნატოვსკი, — საყოველთაოა. ჩვენს მხარეს არავინაა. გურულები და მეგრელები მზად არიან იმერლებთან ერთად იმოქმედონ, აფხაზებიც ამ გზას დაადგებიან. მთა-

ვრების ერთგულებაც საეჭვოა. მათ საერთო-სახალხო განწყობილების წინააღმდეგ გამოსვლა არ შეუძლიათო.

ველიამინოვმა ბრძანება გასცა აღწერის შეწყვეტის თაობაზე, თანაც ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი იმერეთიდან გამოიწვია. ამან ხალხი ვერ დაამშვიდა, ბევრს ეშინოდა მთავრობის გულწრფელობასა და კეთილგანზრახვებში. მართალია მეთაურებმა გლეხთა დიდი ნაწილი აჯანყებულთა რაზმებიდან გაუშვეს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა ჩასატარებლად, მაგრამ ხალხის დაფიცება დასახული მიზნის ერთგულებაზე კვლავ გრძელდებოდა, თავადი, აზნაური, გლეხი, მღვდელი და ბერი პირობას დებდა, რომ საჭიროების დროს ერთსულოვნად აღსდგებოდა, წმინდა საქმისათვის თავს დადებდა.

იმერეთის ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის დაწყებული აჯანყების მიზანი გაფართოვდა. მთავარი ამოცანა გახდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მეფობის კანდიდატებად ზურაბ წერეთელი და ივანე აბაშიძე დაასახელეს, მაგრამ უმრავლესობა ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლის გამეფებას უჭერდა მხარს. დასავლეთ საქართველოში კი ძალიან დიდი სიყვარულით სარგებლობდა კახეთის სახალხო ომის მეთაურის ალექსანდრე ბაგრატიონის სახელი, ამიტომ იმერლებმა მასზე შეაჩერეს არჩევანი, მოციქულები აახლეს, თავის მეფეთა და მეთაურად მიიწვიეს, მაგრამ ალექსანდრემ ვერ მოახერხა იმერეთში ჩამოსვლა.

ერმოლოვი, ველიამინოვი და მათი ქვეშევრდომი მოხელეები შეშფოთდნენ, რადგან სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობა დასავლეთ საქართველოში თითქმის საყოველთაო ხასიათს ღებულობდა. მათ გადაწყვიტეს დასწრება, ჯანყის დაწყებამდე მისი მეთაურების დაპატიმრება. ამ ღონისძიების გატარების წინ იმერეთში გავრცელდა ერმოლოვის პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: იმერეთის ეკლესია მოუწყობელია, ქუთათელი და გელათელი მიტროპოლიტები კი მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის ზრუნავენ. საჭიროა მათი გადაყენება და რუსეთს გაგზავნა. მე თვით მინდოდა ჩამოსვლა იმერეთის საქმეთა მოსაგვარებლად, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემს დავალებას შეასრულებს ველიამინოვი. გასული წლის მეამბოხენი არ დაისჯებიან. მაგრამ თუ ჩვენი განზრახვის შესრულებას ვინმე წინ აღუდგა, მათ დასასჯელად გამოყენებული იქნება ყოველგვარი საშუალებაო.

ხალხის ასეთი გაფრთხილების შემდეგ, 1820 წ. მარტის პირველ რიცხვებში იმერეთის მიტროპოლიტები დააპატიმრეს, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია, ურჩობა აშკარა აჯანყებაში გადაიზარდა. ყვე-

ლაზე ადრე შეიარაღებული ბრძოლა რაჭველებმა გააჩაღეს. 8 მარტს იმერეთის მმართველი პუზირევსკი ველიამინოვს აცნობებდა, რომ რაჭაში უკვე დაიწყო მღელვარება. ცხადი გახდა, რომ უკვე დაპატიმრებულ-გადასახლებულ მიტროპოლიტებს გარდა, აჯანყებას სხვა წამქეზებლებიც ჰყავს. რაჭას ადრეც არაერთხელ გაუწევია წინააღმდეგობა მთავრობის ღონისძიებებისათვის. ახლა საჭიროა მის მცხოვრებთა სამაგალითო დასჯა. იმერეთსა და გურიაში სიწყნარეა, მაგრამ აუცილებელია ქაიხოსრო გურიელის შეპყრობა და მისი რაზმის განადგურება.

ვიდრე იმერეთის მმართველად ახლად დანიშნული პუზირევსკი დასახულ ღონისძიებას გაატარებდა, აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. იგი მოედო მთელ იმერეთს, გურიასა და სამეგრელოს დიდ ნაწილს. მეფობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ივანე აბაშიძე თავისი რაზმით ძალიან ხშირად იცვლიდა ადგილს. იმერეთიდან რაჭაში გადავიდა, იქიდან ლეჩხუმს; ხოლო ბოლოს გურიაში ჩავიდა, ქაიხოსრო გურიელის რაზმს შეუერთდა. იმერეთის მმართველი მაინც იმედიანად იყო, მთელი დასავლეთ საქართველოს შეერთებული ძალებიც ვერას დაგვაკლებენო, მოახსენებდა იგი ველიამინოვს. იმედი მაქვს იარაღის გამოუყენებლად ჩავაქრობ ბუნტს, ურჩების ჩამოხრჩობას არ ვაპირებ, მათ როზგებით დავსჯიო.

პუზირევსკის იმედი არ გამართლდა, მან ვერ შეძლო აჯანყების შეჩერება. რაჭის აჯანყებულებმა მეფედ გამოაცხადეს ვახტანგ ბაგრატიონი და ქუთაისისკენ დაიძრნენ. რუსეთის მთავრობის ერთგული როსტომ ერისთავი 22 აპრილს ველიამინოვს მოახსენებდა აჯანყების ჩასაქრობად 4—5 ათასიანი ჯარის გამოგზავნა არისო საჭირო. თუ ჯარს დროზე არ გამოგზავნით, რაჭის ბუნტი იმერეთშიც გავრცელდებაო.

როსტომ რაჭის ერისთავმა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ აჯანყების ალი მთელ იმერეთსა და გურიაში გიზგიზებდა. შემოქმედის ახლოს, ქაიხოსრო გურიელის რაზმელებმა შეტაკებისას მოკლეს იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი. მისი ადგილი ზგორელსკიმ დაიკავა. მან ბრძოლით გაიკაფა გზა შემოქმედისაკენ, მაგრამ დიდი ზარალის მიუხედავად ციხე ვერ აიღო, იძულებული გახდა ოზურგეთში დაბრუნებულიყო. შემოქმედთან გამარჯვებით ეგზალტებული აჯანყებულები კი ჩოხატაურისკენ გაემართნენ, ბრძოლით აიღეს იგი და იქ მდგარი რუსთა რაზმი გაანადგურეს. ამის შემდეგ გუ-

რულმა აჯანყებულებმა რიონი გადალახეს, დაიკავეს ქალადიდი. აჯანყების ცეცხლი სამეგრელოსაც მოედო.

რუსეთის კავკასიური არმიის მთავარსარდალი და საქართველოს მთავარმმართველი გენერალი ერმოლოვი შეშფოთდა. მან დაიწყო დასავლეთ საქართველოსაკენ ჯარების გადაჯგუფება. ამასთან, კვლავ სცადა მშვიდობიანი მეთოდის გამოყენება და ასეთი შინაარსის პროკლამაცია გაავრცელა: ქაიხოსრო გურიელის არაადამიანური საქციელი, მის მიერ პოლკოვნიკ პუზირევსკის მოკვლა, ცუდ მაგალითს აძლევს ბოროტი ზრახვების ადამიანებს იმერეთშიც, სადაც უკვე დაიწყო მღელვარება და ჩვენი ჯარის მცირე შენაერთებზე თავდასხმები. გირჩევთ წინასწარ გაითვალისწინოთ რა შედეგი მოჰყვება აჯანყების გაგრძელებას. ეს დიდ უბედურებას უქადის მოსახლეობას, ღმერთი დასჯის ფიცის გამტეხლებს. წარსული წელი იმის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ მე არ მინდა რეპრესიებს მივმართო, სისხლი დავღვარო. არც ახლა მაქვს იარაღის გამოყენების სურვილი, მაგრამ შეიძლება იგი აუცილებელი გახდესო.

ამ გაფრთხილებამაც ვერ დააშინა ხალხი, აჯანყება ზენიტში ავიდა. ერმოლოვმა დასავლეთ საქართველოს რუსეთის არმიის რჩეული პოლკები შეუსია გენერალ ველიამინოვის ხელმძღვანელობით. დამსჯელი ექსპედიციის უფროსს ინსტრუქცია მისცეს სასტიკად გასწორებოდა აჯანყებულებს, მიწის პირისაგან აღეგავა მათი სოფლები, ადგილზევე ჩამოეხრჩო ტყვედ ჩავარდნილი „დამნაშავეები“.

რაჭაში პოლკოვნიკი გორჩაკოვი შევიდა დიდი ჯარით. მან დაანგრია ციხეები, სოფლები, შეუბრალებლად გაწყვიტა ბევრი აჯანყებული. დაატყვევეს აჯანყების ხელმძღვანელი და წამქეზებელი 70 კაცი, რომელთაგან 10 ადგილზევე ჩამოახრჩვეს. ხალხი განაიარაღეს, თოფებთან და ხმალ-ხანჯლებთან ერთად წაიღეს საყვირები, რომელთა ხმა აჯანყების მოწოდებად გაისმოდა მთელ რაჭაში.

დიდი სისასტიკე გამოიჩინა დამსჯელმა ექსპედიციამ იმერეთშიც. პოლკოვნიკმა გორჩაკოვმა ხანისწყლის ხეობაში დაამარცხა ივანე აბაშიძის რაზმი, ყველგან შიშის ზარი დასცა მოსახლეობას. გურიაში თვით გენერალი ველიამინოვი შეიჭრა რამოდენიმე ბატალიონით. 1820 წ. 24 იკლისს მან სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ აიღო შემოქმედის ციხე და მიწასთან გაასწორა, მახლობელი სოფლები გადაწვა, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი ყველგან უხეში ძალით დათრგუნა. „მშვიდობის მოყვარე“ ერმოლოვი ცოტა მოგვიანებით იმ-

პერატორს დიდი კმაყოფილებით მოახსენებდა: ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ, ბაღები და ვენახები ძირფესვიანად ავჩეხეთ, აქაური მცხოვრებლები დიდი ხნის შემდეგაც ვერ აღიდგენენ ადრინდელ მდგომარეობას, უკიდურესი სიღატაკე იქნებაო მათი სასჯელი.

* * *

ასეთი სისასტიკით, რეპრესიებითა და საძხედრო წესების შემოღებითაც ვერ გატეხეს რუსეთის ცარიზმის სატრაპებმა საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგობა. სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობა გრძელდებოდა. ანტიცარისტულ მოძრაობაში ქართველებთან ერთად სხვა ერთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

ერთ-ერთი ასეთი გამოსვლა მოხდა სამხრეთ ოსეთში 1830 წელს. სამაზრო ხელისუფლებამ მშვიდობიანი საშუალებებით ვერ დაიმორჩილა აჯანყებული მოსახლეობა და ძალას მიმართა. ოსურ სოფლებში დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა გენერალ რენენკამფის მეთაურობით. მას დაავალეს შეუბრალებლად ამოეწყვიტა ყველა, ვინც იარაღს არ დაყრიდა და მორჩილებას არ განაცხადებდა. დამსჯელი ექსპედიციის უფროსს წინააღმდეგობის გამწევთა სახლებიც უნდა დაენგრია, სხვათა დასაშინებლად სასტიკად უნდა დაესაჯა აჯანყების ყველა მონაწილე. ცხინვალში ჩასელისთანავე რენენკამფმა აჯანყებულებს წერილით მიმართა, უსიტყვო მორჩილება მოითხოვა. თუ წინააღმდეგობას გააგრძელებთ, ამოგწყვეტთ რ~გორც მოღალატეებს. წესრიგისა და მშვიდობის მტრებსო. მაგრამ გენერლის მუქარამ გლეხები ვერ შეაშინა. ისინი ცოდვათა მონანიებისათვის კი არ ეახლნენ დამსჯელი რაზმის უფროსს, არამედ მიატოვეს საშიშროებაში ჩავარდნილი მშობლიური სოფლები, მთებში გაიხიზნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მოემზადნენ. გადამწყვეტი და სისხლისმღვრელი ბრძოლა მოხდა ციხესიმაგრე კოლასთან. ციხის დამცველებმა არტილერიის ზალპსაც გაუძლეს და ჯარისკაცთა ორგზის იერიშიც მოიგერიეს. განრისხებული გენერლის ბრძანებით კოლას ცეცხლი წაუკიდეს. მაგრამ ვერც ამ ზომამ დააყენა მუხლისთავზე აჯანყებულნი. როცა ყველაფერს ცეცხლი მოედო და ჭერი ჩამოინგრა, ციხიდან თოკებით გადმოეშვა ათი კაცი ბეგა კოჩიევის მეთაურობით და ხანჯლებით ეკვეთა მოალყე კაზაკებს. ათი გმირიდან 9 კაცი უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ციხის სხვა დამცველებიც. ამის

შემდეგ დამსჯელმა ექსპედიციამ დაიმორჩილა აჯანყებული სოფლები. ყველგან „წესრიგი“ დაამყარა და მორჩილების გზაზე დააყენა ხალხი.

გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყება. 1841 წელს დიდი აჯანყება მოხდა გურიაში. მისი უშუალო მიზეზი გახდა ხალხში დარხეული ხმები სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღების თაობაზე. დიდი შეშფოთება გამოიწვია აგრეთვე ნატურალური გადასახადის ფულადით შეცვლის კანონმა. უკმაყოფილებისა და ჯანყის მუდმივმოქმედი მიზეზი კი გურიაში იყო გადასახადების გადიდება, ბეგარა-ვალდებულებათა დამძიმება, მეფის მთავრობის ადგილობრივ მოხელეთა თვითნებობა-ბოროტმოქმედება, ხალხის შეურაცხყოფა და დამცირება.

გურულმა გლეხებმა უარი თქვეს სახელმწიფო გადასახადების გაღებაზე და მოტივად ის დაასახელეს, რომ მძიმედ აწევთ საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა, მცირე დრო რჩებათ მეურნეობის წარმოებისათვის და არაფერი აქვთ გადასახადების დაფარვისათვის. ზელისუფალთა ახსნა-განმარტებამ, რჩევა-დარიგებამ და მოთხოვნამ არ გაჭრა. აჯანყება თანდათან გაფართოვდა და გაძლიერდა. აჯანყებულთა ლაშქარში 7 ათასი კაცი გამოვიდა. მათ დაიკავეს გურიის ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. 9 აგვისტოს აჯანყებულებმა სოფელ გოგორეთთან პოლკოვნიკ ბრუსილოვის ბატალიონი დაამარცხეს, ხოლო 10 აგვისტოს ნიკოლაევის საგუშაგოს დაეუფლნენ, მისი დამცველი ჯარისკაცები და კაზაკები განაიარაღეს. ამის შემდეგ აჯანყებულებმა მაზრის უფროსის რეზიდენციას — ოზურგეთს შეუტიეს. იერიში 1 სექტემბერს, ღამის სამ საათზე დაიწყო. სამი ათასი აჯანყებული საათნახევრის განმავლობაში გააფთრებით ებრძოდა ქალაქის გარნიზონს (ბევრი გმირული სიკვდილით დაეცა, თავი შესწირა თავისუფლების საქმეს), მაგრამ ცარიზმის მოხელეთა გურიაში ბატონობის ეს ცენტრი ვერ აიღო.

სამაზრო ადმინისტრაციის მდგომარეობა მაინც კრიტიკული იყო. მთელი გურია, ოზურგეთის გამოკლებით, აჯანყებულთა ხელში რჩებოდა. ძალაუფლებას აჯანყების ხელმძღვანელი „მთავარი შტაბი“ დაეუფლა. შეშფოთებულმა ამიერკავკასიის მთავარმმართველმა გურიაში რეგულარული არმიის სამი ათას კაციანი ჯარი გაგზავნა, გურულ აჯანყებულებს მიუსია აგრეთვე სამეგრელოს მთავრისა და იმერეთის თავადაზნაურთა რაზმები. თვით გურიის თავადაზნაურთა ნაწილიც ჩამოსცილდა აჯანყებას და მთავრობის მხარეს გადავიდა. ასეთ პირობებში ბრძოლა უპერსპექტივო გახდა. აჯანყებამ მარცხი განიცადა. მოძრაობის მეთაურები — 50 კაცი შეიპყრეს და ქუთაისის ციხეში ჩასვეს. სასამართლომ მათ მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა, მაგრამ ნიკო-

ლოზ პირველმა იგი საგრძნობლად შეარბილა. იმპერატორს იმედი ჰქონდა, რომ შეწყალება ამ საქმის გამო დასჯილი პირებისა მათ გულში მარტო მონარქისადმი მადლობის გრძნობას კი არ დაბადებდა, არამედ შთააგონებდა ამ დამნაშავეებს და მათ თანამემამულეებს წმინდად ღაეცვათ ქვეშევრდომული ფიცი, რწმენითა და სიმართლით ემსახურათ ტახტისა და სამშობლოს სასარგებლოდ.

იმპერატორი, რა თქმა უნდა, გულწრფელი არ იყო. მისი სიტყვები შეიცავდა სიყალბესა და ცინიზმს. ნიკოლოზ პირველმა ძალიან კარგად იცოდა, რომ საიმპერატორო ტახტსა და სამშობლოს არც მოწინავე რუსი ადამიანები აიგივებდნენ და არც მეფის რუსეთისაგან დაპყრობილ-შეერთებული და დაჩაგრული ხალხები. დეკაბრისტები სამშობლოს დიდი პატრიოტები იყვნენ და სწორედ ამიტომ ასე თავგამოდებით იბრძოდნენ მეფის ტახტის დამხობისათვის, დემოკრატიული რუსეთისათვის. იმპერიაში შემავალ განაპირა ქვეყნებს, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ობიექტად ქცეულ ჩაგრულ ხალხებს არაფერი ჰქონდათ რუს ხალხთან საერთო და გასაყოფი, მაგრამ მთელი არსებით იბრძოდნენ რუსეთის საიმპერატორო ტახტის წინააღმდეგ, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის, რაშიც მოწინავე რუსი ადამიანების მხარდაჭერასაც პოულობდნენ.

მთიანეთის 1804, კახეთის 1812 და იმერეთის 1819—1820 წლების აჯანყებების წამყვანი ძალა გლეხობა იყო. ქართველი გლეხი ამ პერიოდშიც აგრძელებდა სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას. მაგრამ შექმნილ სიტუაციაში წინა პლანზე საერთო-სახალხო, პერსპექტივაში საერთო-ეროვნული ამოცანები იდგა. რუსეთის ცარიზმის რუსიფიკატორული და კოლონიური პოლიტიკა მეტნაკლებად ყველა კლასის უკმაყოფილებას იწვევდა, ანტიცარისტულ აჯანყებაში თითქმის ყველა მონაწილეობდა, რაც თავისთავად ასუსტებდა სოციალურ ანტაგონიზმს და ხელს უშლიდა კლასობრივი ბრძოლის თავისუფალ განვითარებას.

ყველა ეს აჯანყება, მართალია, ნარცხით დამთავრდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა დაუმტკიცა მეფის მთავრობას, ამ მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეებს, რომ ანგარიშგასაწევი ძალაა, რომ მისი უსამართლოდ დაჩაგვრა ან შეურაცხყოფა, მისი ზნე-ჩვეულების, ადათ-კანონებისა და ტრადიციების ხელყოფა არც ისე ადვილია. მეფის მთავრობის მოხელეები იძულებული გახდნენ გარკვეულ ღათმობაზე წასულიყვნენ, შეეზღუდათ თავიანთი პრეტენზიები, ხალხის ხარჯზე გამდიდრების მადა. მეფის მთავრობის მოხელეთა თვით-

ნებობა-ბოროტმოქმედება ამ პერიოდის ბოლოს რომ რამდენადმე შეიკვეცა, სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ნაცვლად რომ სამოქალაქო მმართველობა შემოვიდა, ცოტა მეტი გასაქანი რომ მიეცა ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალებს, ეს მნიშვნელოვანწილად სახალხო აჯანყებების შედეგი იყო.

* * *

XIX საუკუნის პირველი ოცი წლის განმავლობაში გაბატონებული კლასის სტრუქტურაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მართალია, ფეოდალურ იერარქიას უმაღლესი საფეხური მოძვრა, ქართველმა მეფეებმა ტახტი დაკარგეს და უფლისწულები რუსეთს გადასახლეს, მაგრამ საეკლესიო ფეოდალთა, თავადთა და აზნაურთა წოდებრივი პრივილეგიები ძალაში დარჩა.

საქართველოში მსხვილი საეკლესიო საფეოდალოები იყო მცხეთა, გელათი, ბიჭვინთა, ალავერდი, დავით გარეჯი, შიო მღვიმე, ბოდბე, ურბნისი და სხვ.; ამ საფეოდალოთა სათავეში კათალიკოსები და ეპისკოპოსები იდგნენ. ეკლესიის უძრავ-მოძრავ ქონებას განაგებდნენ საეკლესიო აზნაურთა წრიდან დანიშნული მოხელეები — სახლთუხუცესები, მდივნები, მოურავები, ფაქტიურად ისინი ეწეოდნენ ეკლესიის უმა გლეხთა ექსპლუატაციას.

თავადიცა და აზნაურიც, მართალია, პრივილეგიურ წოდებაში შედიოდნენ, მაგრამ მათ შორის საგრძნობი შიდაკლასობრივი განსხვავება იყო. ფეოდალურ იერარქიაში თავადი ამ დროსაც გაცილებით მაღლა იდგა. აზნაურთა დიდი ნაწილი უფლებრივ-ეკონომიურად თავადობას ეწორჩილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თავადის მამულში აზნაურმა ფუნქცია დაკარგა, მოხელისა და მოლაშქრის მოვალეობას აღარ ასრულებდა, კიდევ კარგა ხანს მაინც თავადის დამოკიდებულებაში რჩებოდა.

1783 წ. ტრაქტატისადმი თანდართული სიის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო აზნაურები 82 საგვარეულოს, ხოლო სათავადო აზნაურები 188 საგვარეულოს შეადგენდნენ. გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო აზნაურთა წოდება დასავლეთ საქართველოში.

XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე თავადაზნაურთა იურიდიული და ქონებრივი მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. გაბატონებული კლასის ამ ორ ფენას შორის წინააღმდეგობა გამწვავდა, შინაკლასობრივი ბრძოლა გაძლიერდა. თავადები ცდილობდნენ კიდევ მეტი უფლე-

ბები მოეპოვებინათ აზნაურის პიროვნებასა და მათ ყმა გლეხებზე, ხოლო აზნაურები თავადთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას მოითხოვდნენ. აზნაურთა დიდი ნაწილი მთავრობის დაწესებულებებს ავსებდა თხოვნა-საჩივრებით, ზოგი აყრა-გაქცევასა და სხვა ადგილებში გადასახლებასაც არ ერიდებოდა.

ერეკლე მეორე, რომლის მიზანი სათავადოთა სისტემის მოსპობა იყო, სათავადო აზნაურებს ესარჩლებოდა, ზოგ მათგანს მეფის აზნაურობას აძლევდა და ამით თავადებს ასუსტებდა. რუსეთის ცარიზმისათვის სათავადოც უცხო იყო და თავადის აზნაურიც. სათავადოთა სისტემის მოსპობის შემდეგ რუსეთის მთავრობის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დასვა თავადთა დამოკიდებულებისაგან აზნაურთა განთავისუფლების საკითხი.

1833 წ. 11 ივლისს უმაღლესი ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურები განთავისუფლდნენ თავადთა დამოკიდებულებისაგან. თუ ისინი სათანადო საბუთით დაამტკიცებდნენ პრივილეგიური წოდებისადმი თავის კუთვნილებას, უფლებრივად სახელმწიფო აზნაურებს გაუთანაბრდებოდნენ. რაც შეეხება თავადის მიერ აზნაურისათვის ნაწყალობევ ყმა-მამულს, თავადის სურვილზე იყო დამოკიდებული თავისად დაიბრუნებდა, თუ აზნაურს დაუტოვებდა. ამ კანონმა საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, თავადთა და აზნაურთა ქონებრივი გამიჯვნის საკითხი ძალიან გართულდა.

საიმპერიო სენატის 1836 წ. დადგენილების თანახმად თავადისა და აზნაურის ქონებრივი გამიჯვნისას აღმოცენებული დავა სამედიატორო სასამართლოს უნდა გაერჩია. საქმის გადაწყვეტამდე კი თავადებს უფლება ჰქონდათ ბეგარა-გადასახადები დაედოთ აზნაურთა ყმა გლეხებისათვის. გაბატონებული კლასების ამ ორი ფენის ქონებრივი გამიჯვნა ღიდხანს გაჭიანურდა, რამაც მოდავეებზე მეტი ზარალი გლეხობას მიაყენა. დასავლეთ საქართველოში აზნაურები თავადთა დამოკიდებულებისაგან 1848 წ. განთავისუფლდნენ. გლეხთა სავალალოდ თავადების და აზნაურების ქონებრივი გამიჯვნა აქ კიდევ უფრო დიდხანს გაგრძელდა.

რუსეთის ცარიზმი საერთოდ, მართალია, პრივილეგიურ წოდებათა ინტერესებს იცავდა, მაგრამ იმის გამო, რომ თავადაზნაურთა ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა ანტირეჟიმულ აჯანყებებში, ბევრ მათგანს ყმა-მამული ჩამოართვა. თავადაზნაურული ოპოზიციით იყო გამოწვეული ისიც, რომ მეფის მთავრობა ზოგჯერ მებატონეთა წინააღმდეგ გლეხებს

ესარჩლებოდა. 1824 წ. კანონმა ყმა გლეხს მიანიჭა უფლება ბატონის მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის „ცენტხვეკაში“, გაეღო სათანადო თანხა და ყმობიდან თავი დაეხსნა. რუსეთის ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაცია არა იშვიათად თავისუფლების მაძიებელ გლეხებსაც ესარჩლებოდა, სახაზინო უწყებაში ეპატიჟებოდა მათ. 1836 წ. 28 სექტემბრის კანონის ძალით ყველა ქართველ გლეხს, თუ მებატონეს არ ვააჩნდა მისი კანონიერი ფლობის საბუთი, უფლება ჰქონდა სარჩელი აღეძრა, თავისუფლება ეძია სასამართლოს მეშვეობით. ამან საგრძნობლად გააძლიერა ყმა გლეხთა თავისუფლებისაკენ მისწრაფება, შეაშფოთა თავადაზნაურობა.

სასამართლოს გზით თავისუფლების ძიებამ გახსაკუთრებით ფართო მასშტაბი XIX ს. 20—30-იან წლებში მიიღო. გლეხებმა თხოვნა-საჩივრებით აავსეს არა მარტო ადგილობრივი სასამართლოები, არამედ მაღალ ინსტანციებში გადავიდნენ, თვით სენატსაც კი მიაღწიეს. ზოგი საქმის გარჩევა 10, 20, 30, 40 წელი გრძელდებოდა, ბაბუების მიერ დაწყებულ საჩივარს შვილიშვილები აგრძელებდნენ. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, გლეხები არ ელოდებოდნენ საქმის დამთავრებას, უარს ამბობდნენ მებატონეთა მორჩილებაზე; არ იხდიდნენ ბეგარა-გადასახადებს, უნებართვოდ დადიოდნენ საშოვარზე, ძალადობას ძალით პასუხობდნენ, ზოგჯერ იარაღით გამოდიოდნენ მებატონეთა წინააღმდეგ. მეფის მთავრობის მოხელეები ასეთი გლეხების წინააღმდეგ რეპრესიებს მიმართავდნენ, აპატიმრებდნენ, ციმბირს ასახლებდნენ მათ. მიუხედავად ამისა, გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ამ ფორმამ ფართო ხასიათი მიიღო, მასში ჩაბმული აღმოჩნდა 2300 კომლი (12500 სული) გლეხი. მათ მორალურად, ზოგჯერ კი ფაქტიურადაც მხარს უჭერდა მთელი გლეხური მოსახლეობა.

თავისუფლების მაძიებელ გლეხთა ფართო ძოძრაობამ, ბუნებრივია, თავადაზნაურობა შეაშფოთა. 1842 წ. ბაღალმა წოდებამ მთავრობას წარუდგინა თხოვნა-განცხადება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ქართველ მეფეთა დროს გლეხობა მორჩილი იყო. ახლა კი ყმური მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობს, თავისუფლების მაძიებელ გლეხთა რიცხვი ძალიან გაიზარდა. მათი საჩივრებით აივსო ყველა ინსტანციის სასამართლო ორგანოები. 1836 წ. კანონით წაქეზებული გლეხები მთელი სოფლებით ეძებენ თავისუფლებას, გამოდიან ერთმანეთის მოწმეებად. რაკი სასამართლო გლეხებისაგან თავისუფლების დამადასტურებელ საბუთებს არ მოითხოვს, მებატონეები ხშირად საქმეს აგებენ და ჩანაგდებიანო.

გაგულისებულმა მებატონეებმა მთავრობისაგან მოითხოვეს ბოლო მოეღო გლეხობის თვითნებობისათვის, სასამართლოს კი ურჩიეს გლეხთა საჩივრების განხილვის დროს ჩაეხედა კამერალურ აღწერაში და თუ გლეხი აღმოჩნდებოდა მებატონეზე მიწერილი, უარეყო მისი საჩივარი, ხოლო თუ გლეხი მაინც აღძრავდა სარჩელს, მისგან მოეთხოვა თავისუფლების დამადასტურებელი საბუთი.

მეფის მთავრობამ ანგარიში გაუწია საქართველოს ბაღალი წოდების ამ მოთხოვნას. კავკასიაში მეფისნაცვლად დანიშნულმა მ. ვორონცოვმა გადაწყვიტა საბოლოოდ აღმოეფხვრა მთავრობასა და თავადაზნაურობას შორის არსებული ყველა კონფლიქტი, რაც შეიძლება სრულად დაეცვა ქართველი თავადაზნაურობის კლასობრივი ინტერესები, მთელი წოდება გადაექცია საიმპერატორო ტახტის საყრდენ ძალად, სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველად კავკასიაში. ამ მოსაზრებით ვორონცოვმა გააუქმა 1836 წ. კანონი, რომელმაც თავადაზნაურობის ესოდენ დიდი გულისწყრომა გამოიწვია. 1849 წ. გამოიცა ახალი კანონი. იგი ყმა გლეხს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდა სასამართლოში სარჩელის აღძვრის უფლებას, თუ მას გააჩნდა თავისუფლების დამადასტურებელი საბუთი. გლეხობას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ასეთი საბუთი არ გააჩნდა და ამდენად არსებითად დაკარგა სასამართლოს გზით მებატონის ყმობიდან განთავისუფლების ოფიციალური შესაძლებლობა.

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის დახმარებით თავადაზნაურობამ მოახერხა ყმა გლეხთა ექსპლუატაციის გაძლიერება საერთოდ. მათ გააუქმეს თარხნობისა და აზატობის სიგელები, აზატი და მსახური გლეხები გადაიყვანეს მებეგრეთა კატეგორიაში.

ბატონყმური ექსპლუატაციის გაძლიერებამ გლეხთა აყრა-გადასახლების ახალი ტალღა გამოიწვია. XIX საუკუნის პირველ მესამედში დასავლეთ საქართველოდან ქართლ-კახეთში ათასობით გლეხი გაიქცა. მებატონეები ვერ თმობდნენ თავიანთ საექსპლუატაციო ობიექტს — გლეხობას, მთავრობის მოხელეთა და პოლიციის დახმარებით ეძებდნენ გაქცეულთ. პოლიციელები ახერხებდნენ აყრილ-გახიზნულთა ადგილებზე პოვნას, ძალით ერეკებოდნენ მათ უკან. განრისხებული იმერელი, მეგრელი და გურული თავადების თვითნებობის მსხვერპლად სწირავდნენ მათ.

მთავრობის მოხელეებისა და პოლიციელთა არაადამიანურმა მოქცევებამ თვით თბილისის გუბერნატორის ნ. ფალავანდიშვილის უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. მან მოუწოდა მთავარმმართველს მებატონეთა

და გაქცეულ გლეხთა დავის მოწესრიგების საქმეში კანონიერების ელემენტი შეეტანა, სასამართლოს გზით წინასწარ დაედგინა, თუ გადასახლებულთაგან ვინ დაეტოვებინათ ქართლ-კახეთში და ვინ დაებრუნებინათ დასავლეთ საქართველოს მებატონეთა განკარგულებაში. გლეხთა საპროტესტო მოძრაობით შეფიქრიანებული ამიერკავკასიის ადმინისტრაცია იძულებული გახდა 1839 წ. ბრძანებით შეეჩერებინა გაქცეულ და ქართლ-კახეთში დამკვიდრებულ გლეხთა დასავლეთ საქართველოში გადასახლება. იმერელ, გურულ და მეგრელ მებატონეთა პრეტენზიები სასამართლოს უნდა გაერჩია და მისი დადგენილების საფუძველზე შეიძლებოდა მხოლოდ ცალკეულ გლეხთა უკან გადასახლება. შემდეგ მთავრობა მეტ დათმობაზე წავიდა. 1849 წ. დადგენილებით ის გლეხები, რომლებიც 1839 წლამდე გადასახლდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, იქვე უნდა დაეტოვებინათ, მებატონეებს ჩამოერთვათ მათი უკან გადასახლების უფლება.

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის საკმაოდ გავრცელებული ფორმა იყო ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმა. პროტესტანტი გლეხები ზოგჯერ სახელმწიფო გადასახადებზეც ბეღავდნენ უარის თქმას, მაგრამ უფრო ხშირად არღვევდნენ საბატონყმო პირობებს, უარყოფდნენ არამარტო მებატონეთა გაზრდილ პრეტენზიებს, არამედ დადგენილ გადასახადებსაც არ ფარავდნენ; ამის გამო ძალიან ხშირი იყო მხარეთა დავა, საჩივარი, შეტაკება. ზოგჯერ მთავრობა იარაღით იცავდა მაღალი ფენის ინტერესებს, ურჩ სოფლებში დამჯელ ექსპედიციებს გზავნიდა, შიშველი ძალის გამოყენებით თრგუნავდა გლეხთა წინააღმდეგობას.

ასეთ პირობებში რუსეთის ცარიზმის კავკასიური ადმინისტრაცია ცდილობდა ბატონყმური ურთიერთობის რეგულირებას, ბეგარა-გადასახადების ნორმირებას. 1829 წ. სენატორებმა მეჩნიკოვმა და კუტიჩოვმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მრავალსახიანი ქართული გადასახადების ნაცვლად გადასახადთა რუსული ნორმების შემოღება. ამის წინააღმდეგ გამოვიდა საქართველოს მთავარმმართველი როზენი, მისი აზრით ჯერ არ იყო მომწიფებული პირობები სოციალური ურთიერთობისა და საგადასახადო სისტემების უნიფიკაციისათვის. ქართული ბატონყმობა და საბატონო ბეგარა-გადასახადები გარკვეულ დრომდე უცვლელად უნდა დარჩესო. ასეთივე აზრი 1844 წ. გამოთქვა მ. ვორონცოვმაც.

ერთი სიტყვით მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ ვერ შეძლო ბატონყმური ურთიერთობის რეგულირება, გადასახადების ნორმირება. კვლავ დიდი გასაქანი ჰქონდა მებატონეთა თვითნებობას და ამის შესაბამისად გლეხთა ანტიბატონყმურ მოძრაობას.

თავი III

გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა XIX საუკუნის 40-50-იან წლებში

XIX საუკუნის 40-50-იან წლებშიც საქართველოს გლეხური მოსახლეობა სამ ძირითად კატეგორიას ქმნიდა, იყვნენ სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო გლეხები. 50-იანი წლების ბოლოს საქართველოში აღირიცხა სულ 136073 კომლი გლეხი. აქედან საბატონო გლეხები შეადგენდნენ 44,5%-ს, სახელმწიფო გლეხები—43,6%-ს, საეკლესიო გლეხები—11,9%.

ამ პერიოდში როგორც ქალაქად, ისე სოფლად საკმაოდ სწრაფად ფართოვდებოდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, მრავლდებოდა კაპიტალისტური საწარმოები, ისახებოდა ახალი კლასების — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კონტურები. სასაქონლო და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება ვავლენას ახდენდა სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასების სოციალურ პოლიტიკაზე, გლეხურ მეურნეობაზე.

XIX საუკუნის 20—30-იან წლებში გლეხური მოსახლეობა ბეგარა-გადასახადებს ძირითადად ნატურალური რენტის სახით იხდიდა. მაგრამ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების პარალელურად შეიმჩნეოდა ფულადი რენტის ზრდის ტენდენცია. ფულად რენტაზე ყველაზე ადრე სახელმწიფო და საეკლესიო გლეხები გადავიდნენ. თუ 40-იან წლებამდე სახელმწიფო სახაზინო მიწით სარგებლობისათვის დაწესებული ყველა გადასახადი (ეოდის პური, სურსათი, ღალა, კულუხი, მახტა, საბალახე და სხვ.) ძირითადად პროდუქტებით გადაიხდებოდა, 1841—1845 წლებში დაწესდა ერთიანი სახელმწიფო საადგილმამულო ფულადი გადასახადი და საერობო შესაკრებელი. სახელმწიფო გლეხებს კომლზე შეაწერეს 7—9 მანეთი, საეკლესიო გლეხებს—3—4 მან, საბატონო გლეხებს—2—3 მანეთი. სახელმწიფო გლეხთა გადასახადებში შედიოდა მიწის რენტაც. ხოლო საეკლესიო და საბატონო გლეხები სახელმწიფო გადასახადებით იბეგრებოდნენ, როგორც „ყოვლად მოწყალე“ იმპერატორის ქვეშევრდომნი. ისინი რენტას მხოლოდ იმ შემთხვევაში იხდიდნენ, როცა სახელმწიფოსაგან იჯარით აიღებდნენ მიწის ნაკვეთს.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მართალია, დაქვემდე-

ბაოა სინოდსა და მის მიერ დანიშნულ ეგზარქოსს, მაგრამ სამღვდელოებამ შეინარჩუნა ყმა-მამული. ეკლესიის მამები საეკლესიო გლეხებისაგან იღებდნენ საადგილმამულო გამოსაღებს ღალისა და კულუხის სახით.

XIX საუკუნის 40—50-იან წლებშიც განსაკუთრებით მძიმე ბეგარა-გადასახადებით საბატონო გლეხები იყვნენ დატვირთული. გლეხის მფლობელობა-სარგებლობაში არსებული სახნავი მიწიდან გლეხის ღალა-გადასახდელი მერყეობდა მოსავლის მეათედიდან მეოთხედამდე. დაახლოებით ამდენივე წილის ოდენობით გადაიხდებოდა კულუხი (ყურძენი, ტკბილი ან ღვინო). მებატონის საძოვრით სარგებლობისათვის გლეხები 100 სულიან ფარაზე იხდიდნენ 1 ცხვარსა და 1 ბატკანს. პირადი ვალდებულების ხაზით გლეხებს კვლავ ედო საჩექმე, საქვრივო, საქორწინო, საახალწლო, საშობაო და სხვ. გადასახადები. ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა ყმა გლეხის ბეგარა-მუშაობის ვალდებულება.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების პირობებში თანდათან იზრდებოდა მებატონეთა მოთხოვნილებაც და გლეხთა ბეგარა-გადასახადების ოდენობაც, მაგრამ ყველაფერს ჰქონდა საზღვარი. მეგამულე იძულებული იყო თავი შეეკავებინა, ერთბაშად არ გამოეფიტა გლეხის მეურნეობა, ყმების დაბეგვრის დროს გაეთვალისწინებინა გლეხის შეძლება, მისი გადახდისუნარიანობა. საწერეთლოში, მაგალითად, ყმა-გლეხები ოთხ გადამხდელ ჯგუფად იყოფოდნენ: შეძლებული, პირველი გადამხდელი ყმა გლეხი მებატონეს ყოველწლიურად მიართმევდა 10 კოდ პურს, 30 კოკა ღვინოს, საკლავისათვის სააღდგომოდ 2 მანეთს, საშობაოდ 2 მანეთს, 8 ქათამს, ბატონის შვილის ქორწილის შემთხვევაში 1 ძროხას. მასვე ევალებოდა კვირაში სამ დღეს უღელი ხარით მებატონის მამულში მუშაობა. მეორე გადამხდელი გლეხი მებატონეს აძლევდა 6 კოდ პურს, 20 კოკა ღვინოს, საშობაოდ 1 მანეთს, სააღდგომოდ 4 აბაზს, 5 ქათამს, ქორწილის დროს მესამედი ძროხის ფასს. მესამე გადამხდელი გლეხი მებატონეს მიართმევდა — 4 კოდ პურს, 10 კოკა ღვინოს, საშობაო-სააღდგომოდ სამ-სამ აბაზს, ქორწილის დროს ძროხის ფასის მეექვსედს. მეოთხე — აზატად წოდებული (გადასახადისაგან ნაწილობრივ განთავისუფლებული) გლეხი ვალდებული იყო გამასპინძლებოდა ბატონს, ქორწილის დროს მიერთმია მთელი, ნახევარი, ან მესამედი ძროხა. მიეცა ბატონისათვის მსახური. ამის გარდა ყველა ჯგუფის გლეხები შეძლებისდაგვარად „ეხმარებოდ-

ნენ“ ბატონს ყმა-მამულის ყიდვის, ვალის გადახდის და სხვა შემთხვევებში.

დაახლოებით ასევე იყოფოდნენ გლეხები საგადამხდელო ჯგუფებად სხვა რაიონებში. ყველგან შეინიშნებოდა ბეგარა-გადასახადების ზრდისა და ნატურალურიდან ფულად რენტაზე გადასვლის ტენდენცია. ქართველი თავადაზნაურობის მოთხოვნილება ფულზე, მართალია, სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ მათ არ შეეძლოთ ფულად რენტაზე გლეხების მასობრივად გადაყვანა, რადგან ბატონყმობის საფუძველი ნატურალური მეურნეობა და ნატურალური რენტა იყო. ფულად რენტაზე გადასვლის შემთხვევაში გლეხი უნდა დაკავშირებოდა ბაზარს, ხშირად გასულიყო საშოვარზე, რითაც მებატონეს მოაკლდებოდა მამულის დამმუშავებელი მუქთი მუშახელი.

ყველა კატეგორიის გლეხობაში საკმაოდ ბევრი იყო მცირემიწიანთა და უმიწაწყლოთა რაოდენობა. ასეთი გლეხები იძულებული იყვნენ სახნავ-სათესი და მიწის სხვა სავარგულები იჯარით აეღოთ ხაზინისა და კერძო მიწათმფლობელთაგან. ასეთი გლეხები საკუთარ მებატონეებსაც ემსახურებოდნენ და სხვათა მიწით სარგებლობისათვისაც იხდიდნენ თანდათან მზარდ საიჯარო ქირას. ზოგი მიწათმფლობელი ამჯობინებდა მიწით სარგებლობის საზღაურად მოიჯარეებისათვის თავის მამულში მუშაობის ვალდებულება დაეკისრებინა. სახელმწიფო ხაზინა კი თავის მოიჯარეებისაგან ძირითადად ფულად რენტას მოითხოვდა. ერთი სიტყვით, ღარიბი გლეხობა ორმაგ კაბალაში იყო მოქცეული, შეძლებულებზე უფრო მეტ ექსპლუატაციას განიცდიდა.

გლეხთა შორის ქონებრივი უთანასწორობა შუა ფეოდალიზმის დროსაც შეინიშნებოდა, მაგრამ უფრო შესამჩნევი გვიანფეოდალურ ხანაში ხდება. გლეხთა ქონებრივ დიფერენციაციასთან იყო მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესი. რამაც ფეოდალურ საქართველოში საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო.

გლეხობას არ აკმაყოფილებდა იმ მიწის ფლობა-სარგებლობა, რომლის მესაკუთრე მებატონე იყო. ყმა გლეხი პირადი თავისუფლების მოპოვებისაკენ მიისწრაფოდა და მის ერთ-ერთ საშუალებად მიწის ყიდვა, მესაკუთრედ გადაქცევა მიაჩნდა. XVIII საუკუნეში ცალკეულ გლეხურ კომლებს ჰქონდათ 10—50 ჰექტარი. კიდევ მეტს—1—10 ჰექტარი ნაყიდი მიწა. ასეთი გლეხები შედარებით მეტი სამეურნეო დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, მაგრამ პირადი დამოუკიდებლობა არც მათ გააჩნდათ. გარე ეკონომიური იძულების უფლებით აღჭურვილი ბატონი ხშირად გლეხის ნაყიდი მიწის დაბეგვრასაც ახერხებ-

და. კიდევ მეტი, ზოგი მებატონე ანგარიშს არ უწევდა ფეოდალურ სამართალს. გლეხის ნაყიდ მიწას თავისად აცხადებდა.

ასეთ სიტუაციაში ყმა გლეხი მარტო მიწის ყიდვას ვერ დასჯერდებოდა, მას პირადი თავისუფლებაც უნდა გამოესყიდა. ვახტანგ მეექვსის კანონები ამას დასაშვებად თვლის, უფლებას აძლევს ბატონს „თავი დაახსნევინოს ყმას". ასეთი თავდახსნილობა წერილობითი აქტით ფორმდებოდა. გლეხი თავის დახსნაში იხდიდა ფულს, პროდუქტებს, ზოგჯერ ნაყიდ მიწასაც აძლევდა მებატონეს. XVIII საუკუნეში დოკუმენტალურად თავდახსნის 350 შემთხვევაა დადასტურებული. 100 სიგელი ასახავს გლეხთა გათარხნება-გაზატების ფაქტს, 250 კი ლაპარაკობს ყმა გლეხთა სრული განთავისუფლების შესახებ.

ზოგი გლეხი თავისუფლების მოპოვებას ხმლითა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის გმირული ბრძოლით ახერხებდა. ისტორიამ შემოგვინახა ასეთი ფაქტი: 1755 წელს კახეთში ლეკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი შემოიჭრა. ავარიის ხანმა ალყაში მოაქცია ყვარელი, თავდაცვა გაძნელდა. მაშინ ერეკლე მეორემ საჯაროდ გამოაცხადა — ვინც ყვარელს უშველის და მტრის განადგურებაში თავდადებას გამოიჩენს, თავისუფლებას ვუბოძებო. ყმა გლეხები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ თავისუფლების მოპოვება ყმა გლეხის იმდენად სანუკვარი ოცნება იყო, რომ 200 გლეხი სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაება, საარაკო გმირობა გამოიჩინა და მტრის განადგურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ერეკლემ მეფური სიტყვა შეასრულა. ყვარლის ალყის გარღვევაში მონაწილე ყველა გლეხი (მათ შორის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები) თავისუფალი მიწათმოქმედი გახდა.

ფეოდალიზმისა და ბატონყმური ურთიერთობის დომინირების პირობებში თავისუფლების სიო მეტად ნელა უბერავდა და ამიტომ ყველა თავდახსნილი და განთავისუფლებული ვერ ახერხებდა თავისუფლების შენარჩუნებას, სრულიად დამოუკიდებელი მეურნეობის გამართვას. თავდახსნილთა ერთი ნაწილი ახალ ბატონთან მიდიოდა, უფრო მეტი მეფე-მთავრებს უკრავდა თავს, საჭასო გლეხი ხდებოდა. მაგრამ თავდახსნის პროცესი აჭარბებდა ხელახლა დაყმევების შემთხვევებს. თავისუფალ გლეხთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ამდენად, ბატონყმობის სოციალ-ეკონომიკური საფუძვლების მოშლის სიმპტომებმა უკვე XVIII საუკუნეში იჩინა თავი.

XIX საუკუნეში გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია კიდევ უფრო გაძლიერდა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების და

მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების გაფართოვების კვალდაკვალ ქონებრივი დიფერენციაცია სოციალურ დიფერენციაციაში გადაიზარდა.

გლეხთა მიწათმფლობელობასა და ეკონომიურ მდგომარეობაში არსებული განსხვავება აისახებოდა მოსახლეობის კომუნალურ აღწერებში, რაც XIX ს-ის პირველ ნახევარში საკმაოდ ხშირად ტარდებოდა. 1821 წ. აღწერის მიხედვით თელავის მაზრის 2 ათასი კომლი სახელმწიფო გლეხიდან სრულიად უმიწაწყლო იყო 335 კომლი, 0,5-დან 5 ჰექტარამდე მიწას ფლობდა 1269, 2,5—13 ჰექტარს — 272 კ. 13—25 ჰექტარს — 78 კ; 25—50 ჰექტარს — 28 კ; 50-ზე მეტ ჰექტარ მიწას ფლობდა 20 კომლი. უმიწაწყლო ღარიბი გლეხები ძირითადად საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავებით ირჩენდნენ თავს, შეძლებულნი კი მეურნეობას ეწეოდნენ, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობას, რომელსაც კახეთში უკვე იმ დროს სავაჭრო ხასიათი ჰქონდა მიღებული. პატარძეულელ გლეხს სოლომონ ბუთურაშვილს ჰქონდა 150 ჰექტარი მიწა და სამი ვენახი, წლიურად აყენებდა საშუალოდ 40 საპალნე ღვინოს. იმავე პატარძეულში ცხოვრობდა ვლეხი იოთამ ზუკაკიშვილი, რომელიც ფლობდა 100 ჰა მიწას და ვენახს 20 საპალნე ღვინის გამოსავლიანობით. ასეთი მდიდარი, დაქირავებული შრომის გამომყენებელი გლეხები საკმაო რაოდენობით იყვნენ კახეთის სხვა სოფლებშიც. გამდიდრებული გლეხები დიდი რაოდენობით ნაყიდ მიწას ფლობდნენ და, ბუნებრივია, ცდილობდნენ თავის გამოსყიდვას, იურიდიული პირის უფლების მოპოვებას. ვეჯინელმა ყმა გლეხმა ღურძილაძემ, მაგალითად, მებატონე ანდრონიკაშვილისაგან თავისუფლება და მიწა გამოისყიდა 1500 მანეთად. 1840 წ. გამოსყიდვის გზით თავისუფლება მოიპოვა და 20 ჰა მიწა გაისაკუთრა შილდელმა პეტრე ცეცხლაშვილმა.

ფეოდალიზმის ხანაში გლეხის ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა მყარი როდი იყო, განუწყვეტლივ იცვლებოდა ეკონომიური ჯგუფების კონტინგენტი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში თითქმის ყველა ჯგუფის — მდიდარი, საშუალო და ზოგჯერ ღარიბი გლეხებიც მონაწილეობდნენ. არქივებსა და მუზეუმებში დაცულია მიწის ნასყიდობის 121 ათასი სიგელი, რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ქართველმა გლეხობამ ფეოდალთა ხელში მიწის საკუთრების მონოპოლიაზე ბატონყმობის გაუქმებამდე კარგა ხნით ადრე მიიტანა იერიში. თანდათან ვაძლიერდა აგრეთვე გლეხთა მისწრაფება თავისუფლების მოპოვებისაკენ.

1864 წლამდე საქართველოს საბატონო გლეხებიდან (60 ათასი კომლი) თავი გამოისყიდა დაახლოებით 6 ათასმა კომლმა (10%). უმრავლესობა თავისუფლებასთან ერთად უძრავ-მოძრავი ქონების გამოსყიდვასაც ახერხებდა.

იყვნენ გლეხები, რომლებმაც 500—3000 მანეთი გაიღეს და საკუთრებად დაიმკვიდრეს 10—50 ჰა სახნავ-სათესი მიწა, 1—5 ჰა ვენახი. მეორე მხრივ, საბუთებიდან ჩანს, რომ 13 გლეხმა ერთი დღიური მიწის გამოსყიდვაც კი ვერ მოახერხა. მათთვის პირადი თავისუფლება იმდენად მიმზიდველი და სანუკვარი ოცნება იყო, რომ მოვლილ-გაპატივებული მიწისა და გამართული მეურნეობის დათმობასაც არ მოერიდნენ, რაკი ნადელის გამოსყიდვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, უმიწაწყლოდ თავის გამოსყიდვას დასჯერდნენ. ერთი ნაწილი ქალაქებში გადასახლდა, სხვა სოფელში დარჩა და თავისუფლად გაქირავებული შრომით არჩენდა ოჯახს.

ყმა გლეხთა უმრავლესობა ვერც მიწის შესყიდვას ახერხებდა და ვერც თავისუფლების მოპოვებას. ისინი არა ოფიციალური, მთავრობისათვის მიუღებელი საშუალებებით იბრძოდნენ ცალკეული მებატონეებისა და მთლიანად ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ. XIX საუკუნის 40—50-იან წლებშ-ც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმა, აყრა-გაქცევა, დავა-საჩივარი. მებატონეთა ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ყველაზე უფრო საძულველ მებატონეთა მკვლელობა, მაგრამ ამ პერიოდში განსაკუთრებით ფართო მასშტაბი და დიდი გაქანება მიიღო გლეხთა მასობრივმა აჯანყებებმა.

XIX საუკუნის პირველი მესამედის ანტირეჟიმულ აჯანყებათა სერიაში გურიის გლეხთა 1841 წ. გამოსვლა ორმაგი ბუნებით ხასიათდებოდა. იგი მიმართული იყო როგორც მეფის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის თვითნებობა-ბოროტმოქმედებათა, ისე ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ. გურიის გლეხთა ბუნტმა მეზობელ რაიონებში წმინდა სოციალური ხასიათის გამოსვლები გამოიწვია.

გურულებს ყველაზე ადრე იმერეთის სოფლების — გადიდის, ონჯოხეთის, დვალიშვილების გლეხებმა მიბაძეს. მათ უარი თქვეს ჩვეულებრივ საბატონო გადასახადებზე და მოურავის გადამეტებულ მოთხოვნებზე. გლეხებმა პროტესტი განაცხადეს საერობო გადასახადების ამკრეფ აგენტთა უკანონო მოქმედების გამო და წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას. ქუთაისის მაზრის უფროსმა გუბერნატორს მოახსენა: მებატონეთა და მოხელეთა უკანონო მოქმედებაზე გლეხებს შეეძ-

ლოთ ჩივილი, მაგრამ მათაც უკანონო ქმედებას მიმართეს, წინააღმ-
დეგობა გაუწიეს თავიანთ უფროსებს, მიბაძეს გურულებს და ფიცი
დადეს ერთიანი გამოსვლის შესახებ. რამაზ და სეხნია დვალიშვილე-
ბის მოწოდებაზე გლეხები შეიკრიბნენ, იარაღი აისხეს და ბუნტს აპი-
რებდნენ, მაგრამ გურიის აჯანყების მარცხმა იმერელ გლეხთა საბრ-
ძოლო შემართება რამდენადმე გაანელაო. სამაზრო ადმინისტრაცია-
მაც, ჩანს, სწრაფად და ენერგიულად იმოქმედა. მეთაურები დააპატი-
მრეს, ყველაზე უფრო აქტიური გლეხები გაროზგეს, უხეში ძალის გა-
მოყენებით აღადგინეს „წესრიგი“.

გურიის აჯანყებამ გამოძახილი სამეგრელოშიც პოვა. ამბოხი და-
ღიანის კუთვნილმა სოფ. ჯვარმა წამოიწყო. ათასამდე შეიარაღებუ-
ლი გლეხი მზად იყო გურიაში წასასვლელად, სოციალურ თანამოძმე-
თა დასახმარებლად. მეფის მთავრობის მოხელეები არც იმას მალავ-
დნენ, რომ გურიის გლეხთა აჯანყებამ მთელ შავიზღვისპირეთში გა-
მოიწვია მღელვარება, ყველგან გააძლიერა მთავრობის საწინააღმდე-
გო და ანტიბატონყმური განწყობილება.

1842 წ. მებატონეებს წინააღმდეგობა გაუწიეს სიღნაღის მაზრის
სოფ. ზიარის გლეხებმა. მათ უარი თქვეს როგორც ძველიდან მომდი-
ნარე ბეგარა-გადასახადებზე. ისე მებატონის ახალ პრეტენზიებზე.
გ. ანდრონიკაშვილის მოურავსა და გადასახადთა ამკრეფებს სცემეს
და სოფლიდან გააძევეს. უბნის მსაჯულმა ურჩი გლეხები თავისთან
დაიბარა, მებატონისათვის გადასახადების მიცემა კატეგორიულად მო-
სთხოვა. მაგრამ მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა მსაჯულსა და მის
თანმხლებ პირებსაც სცემეს. აღგილობრივი ადმინისტრაცია-სასამართ-
ლოს მოხელეებმა თავს გაქცევით უშველეს. გადაწყდა ამბოხებულ ზი-
არში დამსჯელი რაზმის გაგზავნა.

იმავე წლის დეკემბერში სოფელ ზიარის მეორე უბნის გლეხებს
შეტაკება მოუხდათ თავად იასე ანდრონიკაშვილთან. თავადის მსახუ-
რებმა დაარბიეს ერთი ურჩი გლეხი ფრიდონ კიტოშვილი, მეორე
გლეხს ციცანა ბაზერაშვილს კი როზგებით გაუძასპინძლდნენ. ინციდე-
ნტის ადგილზე გლეხები შეგროვდნენ, აქვე იარაღასხმული მოვიდნენ
გაროზგილი ც. ბაზერაშვილის ვაჟებიც. იოსებ ბაზერაშვილმა თვით
თავადს შეუტია, მხარში დაჭრა ხანჯლით, შემდეგ კი გაქცეულ ბატონს
სახლამდე მისდია და საოჯახო ჭურჭელი დაუმსხვრია. ნაცემმა და და-
ზარალებულმა თავადმა საჩივარი აღძრა, დამნაშავე გლეხების სასტი-
კი დასჯა მოითხოვა. ზიარში მეორედ გაიგზავნა დამსჯელი რაზმი, თა-
ვით ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარმა კაზაკთა ასეულმა სოფელი „დაა-

წყნარა“, თავკაცები (8 კაცი) დააპატიმრეს. სამხედრო სასამართლოს მთელი შემადგენლობა საქმის გასარჩევად ზიარში ჩავიდა და რამოდენიმე დღეს გლეხთა ხარჯზე სვამდა და ჭამდა. დამნაშავეთა და მოწმეთა დაკითხვის დროს ძალდატანებას მიმართავდნენ. გლეხებმა საჩივარი აღძრეს. გამოძიებამ სამხედრო სასამაროლოს ბოროტმოქმედება დაადასტურა და მთავრობა იძულებული გახდა საქმის გარჩევა სამოქალაქო სასამართლოსათვის დაეკისრებინა.

ზიარელ გლეხთა სასამართლო პროცესი იმ დროს მიმდინარეობდა, როცა აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ სოფელში დაძაბული მდგომარეობა იყო. მებატონეთა წინააღმდეგ გამოვიდნენ ალმატის, ენისელის, დაპატიმრებას გადარჩენილი ზიარის და სხვა სოფლების გლეხები. ქართველ გლეხთა ამ საპროტესტო გამოსვლებს, როგორც ჩანს, გაბედულებას მატებდა მეზობელ ჩეჩენთ-დაღესტნელთა გამათავისუფლებელი მოძრაობა. ასეთ რთულ სიტუაციაში მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. ზიარელ გლეხთა სასამართლო პროცესი შეწყდა და პოლიციამაც დროებით ხელი აიღო რეპრესიებზე.

ანტიბატონყმური მოძრაობის მატიანეში ორიოდე ფურცელი სოფელ ქვიტირის გლეხებმაც ჩაწერეს. ჯერ კიდევ XIX ს. 30-იან წლებში ქვიტირელმა გლეხებმა სასამართლოს მეშვეობით სცადეს თავისუფლების მოპოვება. 95 კომლმა განაცხადა თავად წულუკიძის ყმები კი არა, სახელმწიფო გლეხები ვართო. მიუხედავად იმისა, რომ გლეხებმა თავის სიმართლის დასამტკიცებლად სათანადო საბუთები წარადგინეს, ქუთაისის სამაზრო სასამართლომ საქმე მებატონე წულუკიძის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ადგილობრივი სასამართლოს დადგენილება გლეხებმა 1845 წელს საიმპერიო სენატში გაასაჩივრეს. საქართველო-იმერეთის გუბერნიის პროკურორმაც დაადასტურა, რომ საბუთებში წულუკიძისათვის მხოლოდ მიწების ბოძებაზეა ლაპარაკი და ამდენად ქვიტირელი გლეხები სახელმწიფო ხაზინას ეკუთვნიანო. მიუხედავად ამისა დავის გარჩევა გაჭიანურდა. ქვიტირელმა გლეხებმა თავის მეთაურად აირჩიეს 25 წლის კაცი, გამოცდილი და რუსულის კარგი მცოდნე, იოსებ რუხვაძე. 1844—1848 წლებში ი. რუხვაძე ქართულ მილიციაში მსახურობდა, დაღესტნის ბრძოლებში გმირობაც გამოიჩინა, ჯილდოდ მედალი და 150 მანეთი მიიღო. ეს ახალგაზრდა გლეხებში დიდი სიყვარულით, ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. ი. რუხვაძემ გაამართლა კიდეც ეს ნდობა. 1852 წ. ერთ ჩვეულებრივ დღეს ქვიტირელი გლეხები ი. რუხვაძის მეთაურობით ქუთაისს ჩავიდნენ, საგუბერნიო ხელისუფლებას მოახსენეს, რომ სენატმა ჩვე-

ნი საჩივარი სამართლიანად სცნო და 1851 წ. 18 იანვრის ბრძანებით თავისუფლება მოგვანიჭაო. საგუბერნიო კანცელარიის მოხელეები გლეხებს არწმუნებდნენ, სენატის ასეთი გადაწყვეტილება ჩვენამდე არ მოსულა და ამიტომ უნდა დაიშალოთო. გლეხები დაჟინებით იმეორებდნენ, სენატის ბრძანება მოსულია, მაგრამ გვიმალავთო. სამხედრო გუბერნატორმა მკაცრად დატუქსა გლეხები, ი. რუხვაძეს კი უბრძანა გლეხები სოფელში წაიყვანე და ქუთაისში მეორედ აღარ ჩამოიყვანოო.

უკმაყოფილო გლეხები ქვიტირში ბრუნდებოდნენ, რიონის ხიდთან მათ თავადაზნაურთა კარგად შეიარაღებულმა რაზმმა გადაუჭრა გზა. ამ რაზმის მიზანი გლეხთა დაშინება და მათი მეთაურის შეპყრობა იყო. მაგრამ ამაოდ, ერთგულ გლეხთა დახმარებით ი. რუხვაძემ ბრძოლით გაიკაფა გზა, ქუთაისის მიდამოებს გაეცალა და მალე თბილისში ამოყო თავი. მან სისხლის სამართლის პალატაში აიღო სენატის ბრძანების ასლი და ის ქვიტირში ჩამოიტანა. გლეხები კვლავ ამბოხდნენ, ი. რუხვაძის მეთაურობით ისევ ქუთაისს მიაშურეს. საბუთის გასინჯვის შემდეგ კანცელარიის მოხელეებმა კარზე მომდგარ გლეხებს განუცხადეს, რომ სენატის ეს ბრძანება თქვენ კი არ გეხებათ, არამედ ქვიტირის მკვიდრ სხვა გლეხების თავისუფლებას ადასტურებსო. ი. რუხვაძე მაინც თავისას ამბობდა, იმეორებდა — სენატმა ჩვენ თავისუფლება გვიბოძა, ადგილობრივი მოხელეები უმაღლეს ბრძანებას არ ასრულებენ და ამიტომ საქმე უსისხლოდ არ დამთავრდებაო.

აღშფოთებული, კეტებით აღჭურვილი ქვიტირელი გლეხები ლაშქრული წყობით მიდიოდნენ ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაში. გლეხთა ამ რაზმს შემთხვევით მაზრის უფროსი და მისი თანმხლები პირები შეეჩეხენ. მაზრის უფროსმა ი. რუხვაძეს ცხენიდან ჩამოქვეითება და გაყოლა მოთხოვა. გლეხთა მეთაურმა კი ბრძანება გასცა — კეტები მხარზეო. ქუთაისის მაზრის მოხელეებს მოეჩვენათ. გლეხებმა თოფები აღმართესო და შეშინებულნი მიიმალნენ.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა მოგვიანებით გაიგო ქვიტირელთა მიერ ქალაქის „დალაშქვრის“ ამბავი. განრისხდა და ბრძანა ურჩი გლეხები აქ მომგვარეთო. ქვიტირში სათანადო დავალებით თავადი ნიკარაძე ჩავიდა. მეამბოხე გლეხებსა და მათ მეთაურს ურჩია გაგარინთან მორჩილად გამოცხადდითო. ამაზე ქვიტირელებმა უარი თქვეს და გაგარინს თავად ნიკარაძის ხელით კოლექტიური წერილი გაუგზავნეს. გლეხები დაბეჯითებით აცხადებდნენ სიმართლე ჩვენს მხარეზეა, მოვითხოვთ ერთ კვირაში სენატის ბრძანება გამოგვიჩინოთ,

თავისუფლება დაგვიდასტუროთო. სოფლის დატოვებასა და ერთგულ-ქვეშევრდომულად ქუთაისს ჩასვლას არ ვაპირებთ, თუ ვინმე აქეთ გვეწვევა სამტროდ, დარწმუნდება, რომ ქვიტირში ვაჟკაცები ცხოვრობენო.

განრისხებულმა გაგარინმა ქვიტირში ქუთაისის მაზრის უფროსი გაგზავნა პოლიციელთა რაზმით. იგი დაბა ხონში ჩავიდა, აქედან გამართა მოლაპარაკება ამბოხებულებთან. ქვიტირელები ხონს გამოცხადებაზე დათანხმდნენ, ქუთაისს ჩასვლაზე და მორჩილებაზე უარი თქვეს. ი. რუხვაძის წინადადებით გლეხები ეკლესიაში შეიკრიბნენ, ფიცი დადეს „ერთსულოვნებაზე", ერთად მოქმედებაზე. ამის შემდეგ კეტებით შეიარაღებული 200 კაცი ხონში ჩავიდა. მაგრამ მათი მოლაპარაკება მაზრის უფროსთან უშედეგოდ დამთავრდა. როცა გლეხთა რაზმმა უკან წასვლა დააპირა, კაზაკებმა იარაღი იშიშვლეს, უპირველეს ყოვლისა ი. რუხვაძის შეპყრობა სცადეს. მაგრამ გლეხებმა თავისი მეთაურის გარშემო მჭიდრო წრე შეკრეს. თვით ი. რუხვაძემ ხმლით დაჭრა კაზაკთა მეთაური და ტყეს მისცა თავი. კაზაკთა ასეულმა 40 გლეხი შეიპყრო, 160 კაცმა ბრძოლით გაიკაფა გზა და ქვიტირში დაბრუნდა. მათ კვალდაკვალ მიჰყვა საეგზეკუციო რაზმი. მალე თბილისში შეიპყრეს ი. რუხვაძე და გასასამართლებლად ქუთაისში ჩამოიყვანეს. სასამართლომ ქვიტირელ მეამბოხეთა მეთაურს 10 წლის კატორღა, ხოლო გამოსვლის ყველაზე აქტიურ მონაწილე 17 გლეხს ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

მსჯავრდადებულებმა, როგორც ჩანს, სასჯელის შემსუბუქება მოითხოვეს. ი. რუხვაძის რწმუნებული სათანადო განცხადებაში წერდა მსჯავრდადებულის სამხედრო დამსახურებაზე, იმასაც აღნიშნავდა, რომ ი. რუხვაძემ იმერეთში ავაზაკები შეიპყრო, თბილისში დაატყვევა ზუბალოვის სახლის გამძარცველებიო. მაგრამ ამ საბუთიანობამ უკუ შედეგი გამოიღო. ქუთაისის გუბერნატორი კოლუბიაკინი მეფის ნაცვალს მოახსენებდა: რუხვაძე დასჯილია არა მარტო მებატონისადმი დაუმორჩილებლობის გამო, არამედ ადგილობრივ ხელისუფალთა წინააღმდეგ მოქმედებისათვის. მისი სამსახური მილიციაში, საზრიანობა-გაბედულების გამოჩენა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რუხვაძის შეწყალების საფუძვლად არ გამოდგებაო. პირიქით, ეს მეტ სიფრთხილეს გვიკარნახებს, ი. რუხვაძის სამშობლოში დაბრუნება საშიშია. მას შეუძლია ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოიყენოს დიდი ავტორიტეტი და ნდო-

ბა გლეხებისა, რომელთაც მიდრეკილება აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონო მებატონეთა ხელისუფლებას.

კომენტარი ზედმეტია. მეფის მთავრობის დიდი მობელე ფაქტის კონსტანტაციას ახდენს, კარგად ხედავს, რომ გლეხთა ანტიბატონყმური განწყობილება თანდათან ღვივდება, გლეხთა ამბოხებანი ხშირდება. მეფის მთავრობა და მისი მოხელეები ყველა საშუალებას იყენებდნენ ამ მოვლენის აღკვეთისათვის, მაგრამ ამაოდ. ანტიბატონყმური მოძრაობა თანდათან გაფართოვდა, თითქმის მთელი საქართველო მოიცვა, მასობრივი ხასიათი მიიღო.

1850 წ. აჯანყდნენ სოფელ საქაჯიბაოს გლეხები აზნაურ ხოფერიას წინააღმდეგ. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა ურჩი გლეხებისათვის ჭკუის სასწავლებლად დამსჯელი რაზმი გაგზავნა ვამეყ დადიანის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელმა სოფელს ჩამოართვა ჯოგი, გლეხთა ბეღლები და მარნები დააცარიელა, მაგრამ ამბოხებულნი მორჩილების გზაზე ვერ დააყენა. გლეხები ტყეში გაიხიზნენ, მათ კვალდაკვალ მიჰყვა დამსჯელი რაზმიც. გაიმართა ცხარე ბრძოლა, რომელშიც დამსჯელი რაზმის უფროსი ვ. დადიანი დაიღუპა და რამოდენიმე გლეხი დაიჭრა. ბოლოს და ბოლოს შთავრის შეიარაღებულმა რაზმმა გატეხა გლეხთა წინააღმდეგობა, აჯანყებულთაგან 9 კაცი შეიპყრეს და სათანადოდ დასაჯეს.

საქაჯიბაოს გლეხთა ჯანყი პრელუდია გამოდგა იმ გრანდიოზული აჯანყების, სამეგრელოს გლეხთა დიდი სოციალური ომისა, რომელმაც 1856 წელს იფეთქა.

სამეგრელოს გლეხთა 1856—1857 წლების აჯანყება. ყირიმის ომის დროს, როცა ინგლის-საფრანგეთის არმიებმა ალყაში მოაქციეს სევასტოპოლი, ხოლო თურქთა ჯარმა ომარ ფაშას სარდლობით სამეგრელო დაიკავა, ადგილობრივი გლეხობა თავგამოდებით იბრძოდა ოკუპანტების წინააღმდეგ, თავისი წვლილი შეიტანა ბატრის განადგურება-განდევნაში. მაგრამ სამეგრელოს თავადაზნაურობამ არ დააფასა ეს დამსახურება და ომის დამთავრების შემდეგ ზარალის ანაზღაურება გლეხთა ხარჯზე მოიწადინა. ექსპლუატაციის გაძლიერება და მებატონეთა თვითნებობა იყო გლეხთა ამბოხების მიზეზი.

გლეხთა მღელვარება თავდაპირველად დაიწყო სოფელ თამაკონში, სადაც ყმა-გლეხები შეებრძოლენ თავად ჩიქოვანს. მეორე ინციდენტს ადგილი ჰქონდა სალხინოში. თანდათან გაჩნდა აჯანყების რამოდენიმე კერა, დაიწყო გლეხთა დიდი ომი, რომლის სათავეში მოექცნენ უტუ მიქავა, ლევან კვარაცხელია, უტუ და კოჩა თოდუები.

სოფ. სალხინოში გლეხთა მღელვარება გამოიწვია გადამეტებულმა შრომითმა ბეგარამ. სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ქვრივი, დედოფალი ეკატერინე პეტერბურგს იყო წაბრძანებული, სალხინოში სასახლის აღდგენის სამუშაოებს სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი ხელმძღვანელობდა. იგი არავითარ ანგარიშს არ უწევდა გლეხური მეურნეობის ინტერესებს, მთავრის ყმებს აიძულებდა მთელი კვირეების განმავლობაში ხარ-ურმით ემუშავათ სალხინოს სასახლის მშენებლობაზე. აღშფოთებული გლეხები ზუგდიდს ჩავიდნენ, გრიგოლ დადიანს (გარდაცვლილი მთავრის ძმა) ეახლნენ და ზედმეტი ბეგარისაგან განთავისუფლება მოითხოვეს. რაკი გრიგოლ დადიანისაგან დადებითი პასუხი ვერ მიიღეს, გლეხებმა თვითნებურად შეწყვიტეს სასახლის მშენებლობა. მთავრის სახლთუხუცესმა სალხინოში შეიარაღებული რაზმი გაგზავნა. აჯანყებულმა გლეხებმა დაამარცხეს ეს რაზმი, დაეუფლნენ არა მარტო სასახლეს, მთელ სოფელსაც. შეშინებულმა დ. ჩიქოვანმა დახმარება გრ. დადიანისაგან გამოითხოვა. ამასობაში აჯანყებულთა რაზმი 400 კაცამდე გაიზარდა. მეთაურობა უტუ თოდუამ იკისრა. აჯანყებულებმა ხატის წინაშე დადეს ფიცი, რომ ერთსულოვნად, უღალატოდ იმოქმედებდნენ, ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის იბრძოლებდა. უტუ თოდუამ მოწოდებით, ნიმართა მეზობელი სოფლების (ცინია, კურზე, ტალერი, ნაფიჩხიო და სხვ.) გლეხებს იარაღასხმული აჯანყებულებს შეერთებოდნენ. ამ მოწოდებამ შედეგი გაშოიღო. უ. თოდუას რაზმი ათას კაცამდე გაიზარდა, მალე კი 4 ათასს გადააჭარბა. 1856 წლის დეკემბრისათვის სალიპარტიანო მთლიანად აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა.

1857 წლის დამდეგს გლეხთა აჯანყება კიდევ უფრო გაფართოვდა. ბატონყმობის წინააღმდეგ საბრძოლველად სამთავრო გლეხებთან ერთად საეკლესიო და საბატონო გლეხებიც აღდგნენ. აჯანყებულთა ჯვარის დაჯგუფებას უტუ მიქავა ჩაუდგა სათავეში. ჯვარელთა რაზმი გადავიდა სოფელ საჩინოში და წალენჯიხაში, სადაც გლეხთა ლაშქარს ლევან კვარაცხელია აყალიბებდა. აჯანყებამ მოიცვა ხობის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარე. შემდეგ მღელვარება მოედო საჭილაოს, სუჯუნისა და ზუგდიდის რაიონებს, სადაც გლეხობა კოჩა თოდუამ დარაზმა.

სამეგრელოს ავტონომიური სამთავროს მთელი ტერიტორია აჯანყების ალში გაეხვია, სამეგრელოს გლეხობამ დიდი სოციალური ომი დაიწყო, მიზნად დაისახა ბატონყმობის მოსპობა, მიწისა და თავისუფლების მოპოვება. აჯანყება, შართალია, სტიქიურად დაიწყო, მაგრამ

საკმაოდ ორგანიზებული ხასიათი მიიღო. აჯანყების ცალკეული კერები შეერთდნენ, რაზმები გაერთიანდნენ. გაერთიანებული ლაშქრის მეთაურად მჭედელი უტუ მიქავა აირჩიეს, იგი გლეხთა კეისრის ტიტულით შეამკეს. კეისარმა ლაშქარი დაჰყო ათასეულებად და ასეულებად, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ჩამოყალიბდა სახალხო მილიცია. მთელი სამეგრელოს მასშტაბით მართვა-გამგეობის ფუნქცია განსაკუთრებულ სამმართველოს დაეკისრა.

აჯანყებულთა ლაშქარი და მის მიერ შექმნილი სამმართველო მალე მთელ სამეგრელოს დაეუფლა. 1857 წლის აპრილ-მაისში, როცა აჯანყებამ კულმინაციას მიაღწია, გლეხთა რაზმებმა დაარბიეს თავადაზნაურთა სახლ-კარი სუჯუნის რაიონში. ხობისწყლის მარჯვენა მხარეს მოქმედმა გლეხთა 7-ათასიანმა ლაშქარმა ბრძოლა გაუმართა მებატონეებს და დაიკავა სოფლები — ობუჯი, ჩაქვინჯი, ყულისკარი, კორცხელი, ლედგები, კირცხი, ხიბულა. 12 მაისს კი გარს შემოადგა სამეგრელოს მთავრის რეზიდენციას ზუგდიდს. მთავრის დიდმოხელე ნიკოლოზ დადიანმა, მართალია, სცადა ქალაქის დაცვა, ძალაუფლების შენარჩუნება, მაგრამ მძიმე მარცხი იწვნია. აჯანყებულებმა ზუგდიდი აიღეს. გლეხებმა ფაქტიურად დაამხეს სამეგრელოს მთავრის ხელისუფლება, გაანადგურეს მისი ადმინისტრაცია და პოლიცია. ზუგდიდის დაუფლების შემდეგ აჯანყებულთა ლაშქრის ერთი რაზმი დარჩელისა და ანაკლიის მიმართულებით წავიდა, მეორემ კი დაიკავა სოფელი ხორგა. აჯანყებულებს გეგმაში ჰქონდათ ნავსადგურისა და ციხე-ქალაქის რედუტკალეს აღება, მაგრამ რუსეთის ცარიზმის კავკასიურმა ადმინისტრაციამ ქალაქში დამატებითი ჯარი გაგზავნა. გლეხთა რაზმმა რუსეთის ჯართან ბრძოლას თავი მოარიდა, ხორგიდან ნოჯიხევში დაბრუნდა და შეუერთდა აჯანყებულთა ძირითად ლაშქარს, რომლის რიცხვმა 1857 წ. მაისში 20 ათასს მიაღწია.

უტუ მიქავა აჯანყების დაწყებამდეც ეწეოდა ბატონყმობის მოსპობის აგიტაციას გლეხობაში და არც თავადაზნაურობას ერიდებოდა, გაბედულად უცხადებდა მათ: „თქვენ ყოველთვის არ იქნებით ყმა გლეხის დაუნდობელი ჭირისუფალი, გლეხკაცი ყოველთვის არ იქნება უცოდინარი, თვალახვეული და სხვისი შემყურე მათხოვარი. მომავალი საბოლოოდ მშრომელ კაცს ეკუთვნის. თქვენი უღლისაგან იგი თავს მალე აიხსნის. ბოროტებაზე დაფუძნებული ქვეყანა დღემოკლეა. ის დაიშლება ფეხშიშველი ხალხის ერთიანი სულის შებერვით“.

როცა აჯანყება მთელ სამეგრელოს მოედო და გლეხთა გაერთიანებული ლაშქარი 1857 წ. მაისში მარსილის ველზე შეიყარა, გლეხთა

კეისარმა წარმოთქვა სიტყვა, გამოაცხადა მანიფესტი: „ძმებო და მეგობრებო! ნათელი დღის დაფუძნებისათვის მებრძოლი ურდუმელები აიყარნენ, თავიანთი კერა მიატოვეს, მარსილის მინდორზე შემოიკრიბნენ და თავადაზნაურობას ბრძოლა გამოუცხადეს. ჩვენი გადაწყვეტილება ბტკიცეა. აშკარად ვამბობთ — თავგანწირულად მივისწრაფით ბატონყმობის ხავსიანი ციხესიმაგრის დასანგრევად.

თავადაზნაურობა მშრომელ ხალხს არწმუნებს, რომ თითქოს ბატონყმობა ღვთისაგან იყოს გაჩენილი. ყმა ხმაამოუღებლად უნდა ემსახუროს ბატონს, ხოლო ორივე სამშობლოსო. მაგრამ ჩვენ ხომ სამშობლო წაგვართვეს. ყველაფერი ბატონებისაა: სოფლები, ტყეები, მთები, მდინარეები, ცა და ჰაერი. მზეც მათთვის ანათებს. ყოველმხრივ გაძარცული ყმის გულში შურისძიების ცეცხლი გიზგიზებს. ადრე თუ გვიან ყველაფერს მშრომელის მარჯვენა დაეუფლება. ჩვენი თავი, ჩვენი არსება ამ საქმისათვის ბრძოლას უნდა შევწიროთ. მრავალი წლის შემდეგ ურდუმელების სამართლიან ბრძოლას პატივითა და დიდებით მოიხსენიებს მომავალი თაობა, რომელიც ნამდვილი ბატონ-პატრონი იქნება თავისი სამშობლოსი.

ძმებო! სიკვდილი გვიჯობს მონობას. დროა ხელმარჯვედ დავკრათ ბოროტებას და უსამართლობას. ყველანი ერთსულოვნად უნდა დავირაზმოთ და ბოლომდე ვიბრძოლოთ დაუნდობელი, გაუმაძღარი ბატონების წინააღმდეგ. ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის! დაუზოგველად დავკრათ ჩვენს ბატონებს, უარი ვუთხრათ ბატონყმობას“.

აჯანყების მიზანი რომ ბატონყმობის მოსპობა იყო, ეს კარგად ჩანს იმ დროს შექმნილი ხალხური ლექსებიდან, რომელნიც სიმღერებად იქცნენ. აჯანყებულნი მღეროდნენ: აბა, აქეთ ძმებო, გლეხთა შვილებო, შეეერთდეთ და დავამსხვრიოთ ბატონყმური უღელი. შეურიგებლად ვებრძოლოთ დაუნდობელ მტრებს, გლეხთა სისხლის მწოველ თავადაზნაურობას. ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწიეთ. თავადები დაჭერილნი არიან. დადიანები გაიქცნენ. მათ მკაცრი სასჯელი მოელის... აქეთ ძმებო! გლეხთა, ძირბუდიანად მოვსპოთ ბატონყმობა.

მიწისა და თავისუფლების მოპოვებისათვის ერთსულოვნად ალმდგარი, საბოლოო გამარჯვებისათვის შემართული სამეგრელოს გლეხობის დათრგუნვა სამეგრელოს თავადაზნაურობას საკუთარი ძალით არ შეეძლო. მაღალი წოდება ძრწოლვით ელოდა განკითხვის ჟამს.

სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე დადიანი 1857 წლის აპრილის ბოლოს დაბრუნდა პეტერბურგიდან თბილისს, შემდეგ ქუთაისში ჩამოვიდა და მყისვე დაიწყო მზადება გლეხთა „ბუნტის“ ჩასაქრობად. მთა-

ვრის სახელით 30 აპრილს სამეგრელოში გავრცელდა პროკლამაციები. ე. დადიანი ხალხს მოუწოდებდა შეეწყვიტა ჯანყი, წარძომადგენლები გაეგზავნა მასთან მოსალაპარაკებლად. სამთავრო ხელისუფლების ამ ცდას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან უტუ მიქავა მთავრის პროკლამაციებს თავის მოწოდებებს უპირისპირებდა, გლეხთა კეისარი აჯანყებულ გლეხებს ურჩევდა უნდობლობა გამოეცხადებინათ მთავრისათვის, გაენეგრძოთ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა. დედოფალმა კიდევ სცადა „თავის“ გლეხებთან საერთო ენის გაძონახვა, მაგრამ ოდესღაც მორჩილი ყმები ახლა გაურჩდნენ, უარი თქვეს მთავართან თავის წარმომადგენელთა გაგზავნაზე.

სამეგრელოს მთავარი და თავადაზნაურობა დარწმუნდა, რომ აჯანყებულ და გამარჯვებით გალაღებულ გლეხებთან ტკბილი სიტყვით ვერაფერს გახდებოდხენ. აუცილებელი იყო შეიარაღებული ძალით გლეხთა ჯანყის ჩახშობა, მაგრამ ამისათვის საკმარისი ჯარი მათ არ გააჩნდათ და ამიტომ დახმარება სთხოვეს ყოვლად მოწყალე რუსეთის იმპერატორის ადგილობრივ მოხელეებს. მეფის იაცვალი თანაგრძნობით შეხვდა სამეგრელოს მთავრისა და თავადების გასაჭირს. მისი ბრძანებით 1857 წლის მაისის ბოლოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი კოლუბიაკინი ჯარით შევიდა სამეგრელოში. თავდაპირველად მან ქვაჩიხორი დეიკავა და აქედან ფორსირებული მარშით დაიძრა ტეხურის საგუშაგოსაკენ. ამ დროს უტუ მიქავა 2 ათასი მოლაშქრით დაბანაკებული იყო თეკლათსა და ნოჯიხევს შორის მდებარე ფართო ველზე. კოლუბიაკინის ჯარის მოახლოებისთანავე უტუმ ბრძანება გაუგზავნა აჯანყებულთა ყველა რაზმებს მისკენ დაძრულიყვნენ. კეისრის ნება შესრულდა. სამეგრელოს მთავრისა და თავადაზნაურობის დასახმარებლად ჩამოსულ გენერალ კოლუბიაკინის ჯარს აჯანყებულმა გლეხებმა თავისი 20 ათასიანი ლაშქარი დაუპირისპირეს. გენერალს წარმატებაში ეპვი შეეპარა და „გლეხთა კეისართან“ მოლაპარაკების დაწყება ამჯობინა. 20 მაისს მოხდა კოლუბიაკინისა და უტუ მიქავას პირველი შეხვედრა. მოლაპარაკების დროს გლეხთა ბელადმა განაცხადა: ერთი წლის წინათ ჩვენს სამშობლოში თურქთა ჯარი შემოიჭრა. მტერმა ყველაფერი დაანგრია, შველა არსაიდან ჩანდა. რუსეთის ჯარმა სამეგრელო დატოვა, ხოლო მებატონეებმა ქვეყანა და ხალხი კი არ დაიცვეს, არამედ ეს სისხლიანი მომენტიც თავის სასარგებლოდ გამოიყენეს, უამრავი გოგო-ბიჭი დაიტაცეს და ოსმალებზე გაყიდეს. შემდეგ თურქებმა იძულებით უკან დაიხიეს, სამეგრელო დატოვეს, მაგრამ მათზე ჯანაკლებ მძიმე ტვირთი ჩვენმა მებატონეებმა დაგვადგეს. თავადაზნაურები ითვისებენ ჩვენს

ნაოფლარს. მათ ჰგონიათ, რომ გლეხს არც სმა-ჭამა უნდა და არც ჩაცმა-დახურვა, ყველაფერს გვართმევენ. მებატონეები ყმა გლეხებში ადამიანის სულს არ ხედავენ, მათი რწმენით ჩვენ პირუტყვზე უარესნი ვართ და პირუტყვივით გვყიდიან. ბატონი თავის ყმას მეზობლის მიმინოში ცვლის, ხოლო მწევარსა და მეძებარში რამოდენიმე კომლს აძლევს. ერთი სიტყვით, თავადაზნაურობისაგან ოთხფეხი ცხოველი უფრო დაფასებულია, ვიდრე ორფეხი ყმა გლეხი. ვისთან გვეჩივლა, ვინ დაგვიცავდა, ვინ დაგვიხსნიდა ამ ჩაგვრა-დამცირებისაგან?

ბოლოს, — განაგრძო უტუ მიქავამ, — ჩამოვიდა დედოფალი, მაგრამ მერე რა? დაგვტუქსა, როგორ გაბედეთ მებატონეთა ურჩობა, მათთვის წინააღმდეგობის გაწევაო. რაში გამოიხატება ჩვენი ურჩობა-წინააღმდეგობა? მხოლოდ იმაში, რომ ჩვენს მებატონეებს ჩამოვართვით ჯაჭვები და ხაჯალურები, რომლებითაც ძალიან ხშირად გვაწამებდნენ. მებატონეთა სახლებიდან წამოვიყვანეთ ჩვენი დები და ქალიშვილები, რომლებსაც ისინი მოახლის სახელწოდებით ხასებად იყენებდნენ, ჩვენ კი ქრისტიანულად დავაქორწინეთ. ჩვენ სამართლიანობის მაძიებელი ხალხი ვართ. მოგვეცით იგი გეხერალო და მაშინვე შევწყვეტთ ჯანყს, უსიტყვოთ დაგემორჩილებით.

ამ ვრცელი სიტყვის დამთავრების შემდეგ უტუ მიქავამ მეფის მთავრობის გენერალს წარუდგინა აჯანყებულ გლეხთა კონკრეტული მოთხოვნილებები:

1. ბატონყმობა უნდა მოისპოს. თავადისა და აზნაურის წოდება არ უნდა არსებობდეს, რადგან ადამიანები ძმებად გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე. 2. თავისუფლებასთან ერთად გლეხობისათვის აუცილებელია მიწა. 3. მებატონეთა თვითნებობაზე დამყარებული ხელისუფლება მოისპოს, შემოღებულ იქნეს კანონიერი მმართველობა. 4. გლეხს უნდა მიეცეს ადამიანური უფლებები და მისი საკუთრების ხელუხლებლობის გარანტია.

გლეხთა ასეთი მოთხოვნებითა და ლოზუნგებით გაოცებული ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალი კოლუბიაკინი მეფის ნაცვალს მოახსენებდა: ზოგიერთი იდეა, ხალხში გადასროლილი მოწოდება, აჯანყებას ისეთ მიმართულებას ანიჭებს, რომ მის დასახასიათებლად დასავლეთის რევოლუციური ნომენკლატურა უნდა გამოვიყენოთო.

გენერალმა კოლუბიანიკმა, რომელიც თავის შედარებით მცირე ჯარით აჯანყებულთა მრავალათასიანი ლაშქრისა და ამდენად დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, შუამავლის როლი გაითამაშა, მხარეების შერიგება იკისრა, სცადა დაერწმუნებინა გლეხები, რომ მოწადინებუ-

ლია დაიცვას ისინი ფეოდალთა თვითნებობისაგან. სინამდვილეში მას აჯანყების ლიკვიდაცია, გლეხთა იმ ლაშქრის დაშლა უნდოდა, რომელმაც გადაწყვიტა უმჯობესია ბრძოლაში მოკვდეს, ვიდრე განაგრძოს ტანჯვით ცხოვრება. ასეთი ხალხი კი, გენერლის რწმენით, საფრთხეს უქმნიდა არა მარტო სამეგრელოს მთავრის ხელისუფლებასა და აქაურ მემამულეთა ბატონობას, არამედ მთელ იმპერიაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ წყობასაც.

აჯანყებულთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა სარწმუნოდ მიიღო გენერლის კეთილი ზრახვა, დაპირება და დაიშალა. მაგრამ გლეხებმა იარაღი გაწმენდილ-გალესილი შეინახეს იმ შემთხვევისათვის, თუ კოლუბიაკინი გენერლურ სიტყვას გატეხდა და რუსეთის მთავრობა მათ სამართლიან მოთხოვნებს არ შეასრულებდა.

აჯანყებულთა თეკლათ-ნოჯიხევის ბანაკის დაშლა და ისიც დროებით, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა აჯანყების დამთავრებას და მისი ბელადების კაპიტულაციას. კავკასიის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მოხელე მეფისნაცვალი ბარიატინსკის სწერდა: უტუ მიქავანა და მის თანაშემწეთა მოქმედება თავიდანვე ეჭვს იწვევდა. ჰე არ გამძნელებია შემემჩნია მათი ფარული ზრახვა შეინარჩუნონ გლეხობაში მღელვარების მდგომარეობა იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენ ვერ გადავწყვეტთ მათი ბატონყმობისაგან განთავისუფლების საკითხს. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი კი აღიარებდა, რომ გლეხობაში მუდმივად ღვივის და ხშირად პოულობს გამოვლინებას აზრი მებატონეთა ძალაუფლებისაგან სრული განთავისუფლების შესახებ, რაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთო.

მეფის მთავრობის დიდ მოხელეთა ასეთ განწყობილებას ინტუიციით ხვდებოდნენ გლეხები და ამიტომ აჯანყება გრძელდებოდა. როცა თავადმა ნიკარაძემ სცადა სოფ. ეკში გამაგრებულ გლეხებთან მოლაპარაკება, აჯანყებულებმა უარით უპასუხეს. 1857 წლის 23 მაისს გლეხთა რაზმები ეკიდან გავიდნენ, დაიკავეს ნოქალაქევის მაღლობი და აქედან აპირებდნენ სოფ. სორტაში შეჭრას. აჯანყებულებმა გააფრთხილეს თავადი ნიკარაძე, თუ სორტის დაკავების დროს წინააღმდეგობას გაგვიწევ, იძულებული ვიქნებით იარაღით ვიმოქმედოთო. შეშინებულმა თავადმა აქტიური მოქმედება ვერ გაბედა, აჯანყებულებმა 24 მაისს სორტა დაიკავეს, აქედან კი სენაკისაკენ აიღეს გეზი. წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ გაბედა. 3 ათასი აჯანყებული სენაკში შეიჭრა. მღვდელ ქავთარაძეს ჩამოართვეს ეკლესიის გასაღები და ხალხი ერთგულებაზე დააფიცეს. ბაზარში ყოველგვარ საქონელზე დააწესეს ნიხრი. იმავე ხა-

ნებში აჯანყებულთა მეორე ორი ათასიანძა რაზმმა დაიკავა სოფ. კოტიანეთი. ასე შეიქმნა ქვემო სამეგრელოში მღელვარების ახალი კერა, რაც მოასწავებდა აჯანყების კიდევ უფრო გაფართოებას.

მაგრამ მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიური ოპერაციები განახორციელა. რუსეთის არმიის ბატალიონებმა და სამეგრელოს თავადაზნაურთა რაზმებმა იერიშით აიღეს სენაკი. აჯანყებულებშა ბრძოლით დაიხიეს სოფ. ეკისაკენ. 25 მაისს მთავრობის ჯარები შევიდნენ ზუგდიდში. მაისის ბოლოს სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ჩახშობის ოპერაციებს თვით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი ჩაუდგა სათავეში. მან სამეგრელოში ჯარის ახალი ნაწილები ჩაიყვანა. აჯანყებულები თავს არიდებდნენ მრავალრიცხოვან და კარგად შეიარაღებულ რუსეთის მთავრობის ჯარებთან შებმას, უბრძოლველად თმობდნენ პოზიციებს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის ჯარი სამეგრელოს დატოვებდა და ამის შემდეგ კვლავ მიეცემოდათ საძულველ მებატონეებთან ანგარიშსწორების შესაძლებლობა.

გლეხთა ეს იმედი არ გამართლდა. მეფის მთავრობის ჯარი სამეგრელოდან წასვლას არ აპირებდა. რაკი ე. დადიანის ხელისუფლება პარალიზებული იყო, გაგარინმა სამეგრელოს რაიონებში ოფიცრები და ჯარის ნაწილები გაგზავნა. მათ დაევალა უწესრიგობის აღმოფხვრა, გლეხთა მორჩილებაში მოყვანა, ბატონყმობის ნორმების აღდგენა. ამის გამო სამეგრელოს გლეხთა აჯანყება ახალ ფაზაში შევიდა, იგი რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგაც წარიმართა.

1857 წლის ივნისის შუა რიცხვებში აჯანყებულები გააქტიურდნენ ჯვარსა და სალხინოში, საჭილაოში, ხობსა და სუჯუნაში. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ვარაუდობდა, რომ ყოველ ამ დასახელებულ პუნქტში თავშეყრილი იყო რამდენიმე ათასი აჯანყებული. მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის დიდმოხელენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ჩახშობა მარტო პოლიციელთა და კაზაკთა რაზმებით შეუძლებელი იყო. გადაწყდა სამეგრელოში რეგულარული არმიის მრავალრიცხოვანი ნაწილების გაგზავნა. როცა ეს განზრახვა რეალობად იქცა და სამეგრელოში მთავრობის ჯარის ბატალიონები შეიჭრნენ, ადგილობრივი თავადაზნაურობა გამხნევდა, კვლავ გამოაჩინა აქამდე დაფარული ექსპლუატატორის კლანჭები, გლეხობისაგან მოითხოვა ძველი და ახალი ბეგარა-გადასახადების გაღება. მაგრამ გლეხები წინააღმდეგობას აგრძელებდნენ, ნებით არ

თმობდნენ პოზიციებს. სოფ. ლეწერწუმეში შეტაკების დროს მეფის ჯარებმა შეიპყრეს რამდენიმე აჯანყებული. ძალისა და რეპრესიების გამოყენებით მალე დააშოშმინეს აჯანყებულთა ჯგუფი მარტვილში. სამეგრელოს სხვა პუნქტებში ბრძოლამ გაჭიანურებული ხასიათი მიიღო სამეგრელოს შეშფოთებული დედოფალი რუსეთის დიდ მოხელეებს აცნობებდა, რომ ამჟამად სამეგრელოს მდგომარეობა წინანდელზე უფრო გართულდაო და გადამჭრელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. მაგრამ სამეგრელოს დედოფალს და დადიანების სამთავრო საგვარეულოს საერთოდ უკვე აღარ შეეძლო მოვლენების -განვითარებაზე გავლენის მოხდენა. რუსეთის ცარიზმმა გლეხთა აჯანყება საბაბად გამოიყენა და გადაწყვიტა სამეგრელოს ხანმოთეული ავტონომიური სამთავროს გაუქმება. ე. დადიანი მმართველობის სათავეებს ჩამოაშორეს. სამეგრელოში ჩამოყალიბდა დროებითი რუსული მმართველობა.

ამის შემდეგ მეფისნაცვალი და ქუთაისის გუბერნატორი უფრო ენერგიულად ამოქმედდნენ სამეგრელოში. 1857 წ. აგვისტოში მეფის ჯარებისა და აჯანყებულთა დიდი ბრძოლა მოხდა ზუგდიდისა და მარტვილის .მიდამოებში. მეფის სატრაპებმა დაატყვევეს 303 კაცი, თითქმის ყველა გაროზგეს და ბევრი საპატიმროში ჩასვეს. სოფ. ქვალონში შეტაკების დროს დამსჯელ ექსპედიციას ტყვედ ჩაუვარდა 224 აჯანყებული. 27 აგვისტოს ხეთის ახლოს, ბახუაღალის ველზე აჯანყებულები შერემეტიევის ჯარის პირისპირ აღმოჩნდნენ. მეფის მთავრობის გენერალმა აჯანყებულ გლეხებს კატეგორიულად მოსთხოვა უარი ეთქვათ უტუ მიქავასათვის მიცემულ ფიცზე. ბიტუ ბუკიამ ყველა თანამებრძოლის სახელით განაცხადა, ფიცის დარღვევას სიკვდილი გვირჩევნია, ჩვენს ბელადს არ ვუღალატებთო. შერემეტიევს თავისი ჯარი ეცოტავა და ურჩი გლეხების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება ვერ გაბედა. აჯანყების ამ კერის ლიკვიდაციისათვის დამატებითი ჯარის ნაწილები გაგზავნეს და გლეხთა წინააღმდეგობა იარაღის ძალით გატეხეს.

1857 წ. სექტემბერში მთავარი მოვლენები ჯვარსა და მის მიმდებარე სოფლებში მოხდა. აქ შეკრებილმა 3 ათასმა აჯანყებულმა მიზნად რუსეთის ცარიზმის სამხედრო დახმარებით გათავხედებულ მემამულეებზე შურისძიება და სენაკში დაპატიმრებულ გლეხთა განთავისუფლება დაისახა. 8—9 სექტემბერს დიდი ბრძოლები მოხდა ჭაქვინჯის მიდამოებში. მეფის მთავრობის დამსჯელმა ექსპედიციამ ვერ შეძლო გლეხთა რაზმების განადგურება. ასეთ სიტუაციაში გენერალმა კოლუბიაკინმა წამოაყენა აჯანყებულთა წინააღმდეგ ეგრეთ წოდე-

ბული „ადმინისტრაციული ლაშქრობის“ მოწყობის იდეა. მეფისნაცვალმა ეს გეგმა მოიწონა და ძისი რეალიზაცია თვით კოლუბიაკინს დაავალა. გენერალ კოლუბიაკინის ჯარმა ადმინისტრაციული ლაშქრობა 22 სექტემბერს დაიწყო. ქვაშიხორიდან შევიდა ლესიჭინეში, გადავიდა მდ. ხობის მარჯვენა მხარეზე, გაიარა ჭაქვიხჯა, ობუჯი. წალენჯიხა და ჩააღწია ჯვარში. ჯვარელ აჯანყებულთა დასახმარებლად აღსდგნენ ჯგალის, ნაგურუს და სხვ. სოფლების გლეხეაი. გადაჭწყვეტი ბრძოლა 27 სექტემბერს მოხდა. დაიღუპა 30 გლეხი, უფრო მეტი დაიჭრა. კოლუბიანიკმა ჯვარიდან დამსჯელი რაზმები შეუსია მეზობელ სოფლებს. 28 სექტემბერს მეფის მთავრობის ჯარმა შეიპყრო აჯანყების ბელადი უტუ მიქავა. ცოტა მოგვიანებით დაატყვევეს უტუ თოდუა და ლევან კვარაცხელია.

1857 წლის ოქტომბერში გენერალ კოლუბიაკინის ჯარმა გაანადგურა აჯანყების ცალკეული კერები. სოფ. კინჩხასთან მომხდარი ბრძოლის დროს დაიღუპა 15 აჯანყებული. კიდევ მეტი დაიჭრა, დამსჯელ ექსპედიციას ტყვედ ჩაუვარდა 50 კაცი. დიდი ბრძოლა მოხდა დეკემბერშიც, ბოლო შეტაკებას კი ადგილი ჰქონდა 1858 წ. იანვარში.

სამეგრელოს გლეხთა დიდი ომი დამთავრდა, ანტიბატონყმურმა აჯანყებამ მარცხი განიცადა. გლეხთა ბელადს უტუ მიქავას და აჯანყების სხვა ხელმძღვანელებს ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს, 41 კაცი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. მაგრამ ყმა-გლეხთა წინააღმდეგობა მაინც ვერ გატეხეს. კლასობრივი ბრძოლა შეცვლილი ფორმით ბატონყმობის გაუქმებამდე გრძელდებოდა.

იმერეთის გლეხთა 1857 წლის აჯანყება. სამეგრელოს გლეხთა გრანდიოზულმა აჯანყებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს სხვა კუთხეების გლეხთა განწყობილებაზე, თითქმის ყველგან გამოიწვია ანტიბატონყმური მოძრაობის აღმავლობა.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა მეზობელი იმერელი გლეხები აღსდგნენ ბატონყმობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბატონყმური ექსპლუატაციის გაძლიერების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს ამაღლებისა და ბაღდადის უბნის გლეხებმა. 1857 წ. 20 ნოემბერს ბაღდადის უბნის საბატონე გლეხები ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციის მისამართით გაგზავნილ საჩივარში სწერდნენ, რომ მებატონეთა მიერ ჩვენს შეწუხებას სათვალავი არ აქვსო; გვავალდებულებენ ბატონს შინაყმა მივცეთ, თუ იგი გადამეტებული გარჯისაგან ავად გახდა, მაშინ მებატონეს ოჯახის სხვა წევრი უნდა ვაახლოთ, ან ფულადი გადასახადი გავიღოთ. აკრძალული გვაქვს ქალი-

შვილის სურვილისამებრ გათხოვება, ნებართვაში 12—15 მანეთს გვარ-თმევენ. არც ქვრივ ქალზე ჯვარისწერაა ადვილი, ამისათვის მისი ბატონი ხარს ან მის საფასურს ითხოვს. როცა სამეფო ყმები ვიყავით, მეფის სტუმრობა და სახელმწიფო გადასახადების გაღება ასატანი იყო. მებატონემ კი ბეგარა-გადასახადები ისე გაადიდა, რომ მისი გაღების საშუალება არ გვაქვსო.

აჯანყების მონაწილე ჯამინიკა ხურციძე ჩიოდა: 1851 წელს თავადმა გიორგი ლორთქიფანიძემ საქორწილო ნებართვაში უჩვეულოდ დიდი თანხა—16 მანეთი გადამახდევინა. 1853—1855 წლების ომის დროს ბატონთან ერთად მილიციაში ვმსახურობდი 11 თვეს. მაგრამ მთავრობისაგან დაწესებულ ჯამაგირს—თვეში ხუთ მანეთს ჩემს ნაცვლად ბატონი იღებდა და ითვისებდა. ლაშქრობაში წასვლის წინ კი წამართვა 60 მანეთად ღირებული 10 ფუთი არაყი. მებატონე არ იშლის ჩვენ სახლებში ჩადგომის ძველ ჩვეულებას, კიდევ უფრო ამძიმებს მას. ამ რაოდენიმე წლის წინათ თავის ჯალაბით (30 სული) ერთ თვეს ჩაგვიდგა ოჯახებში. აურაცხელი ზარალი მოგვაყენა. ჩემი საკუთარი სამი ქალიშვილი და გარდაცვლილი ძმის სამი ასული მიზის სახლში, მაგრამ ვერცერთი ვერ გამითხოვებია, რადგან ბატონისათვის მისაცემი საქორწილოს გადახდა არ შემიძლიაო.

ეს საჩივრები ცხადყოფს, რომ იმერელ გლეხთა ჯანყის მიზეზი მემამულეთა თვითნებობა, ფეოდალური ექსპლუატაციის კიდევ უფრო გაძლიერება იყო. გლეხობა კარგა ხანს ითმენდა შევიწროებას, ბოლმას გულში იკლავდა. მაგრამ 1857 წელს, როცა შეზობელი სამეგრელოს გლეხობა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა მებატონეთა წინააღმდეგ, ბაღდადის უბნის ყმა გლეხებმა მორჩილებაზე უარი თქვეს, სამართალი და ადამიანური მოპყრობა მოითხოვეს. გლეხთა მღელვარება სოფ. დიმში დაიწყო. მისი უშუალო მიზეზი გახდა თავად ბეჟან ჩხეიძის განკარგულება ყმა გლეხ კვირიკაძეების მამაპაპეული ადგილებიდან სხვაგან გადასახლების თაობაზე. ბატონის ასეთმა ძალადობამ მარტო კვირიკაძეების გულისწყრომა როდი გამოიწვია. აღშფოთება არც მეზობელი სოფლების გლეხებს დაუმალავს, მათ გადაწყვიტეს ჩაეშალათ ბატონის განზრახვა, მისი თვითნებობისაგან დაეცვათ სოციალური თანამოძმენი. მდგომარეობის გარკვევისა და სამოქმედო გეგმის დასახვის მიზნით გლეხები კიკოლა კვირიკაძის სახლში მივიდნენ და ეს უკანასკნელი საბრძოლველად შემართული იხილეს. კიკოლამ გლეხთა ამ შეკრებაზე განაცხადა, ძალადობას ქედი არ უნდა მოვუხაროთო. თუ შევერთდებით და ერთპირად ვიქნებით, არ დავემო-

ნაჩილებით მებატონეებს, არ შევასრულებთ მათ უკანონო მოთხოვნებს, მთავრობა იძულებული გახდება ყურადღება მოგვაქციოს, შეზღუდოს თავადაზნაურთა გადამეტებული მოთხოვნები და შეიძლება ყმობიდან სრულ განთავისუფლებასაც მივაღწიოთო. შეკრების მონაწილეებმა მოიწონეს კიკოლა კვირიკაძის სამოქმედო გეგმა და მის მოწოდებაზე თანხმობა ფიცით დაადასტურეს. მეორე დღეს, 1857 წ. 17 ნოემბერს ბაღდადის უბნის გლეხებმა თავიანთი წარმომადგენლები პავლე ჭრიალაშვილი და ქრისტესა გუმბერიძე ამაღლების უბანში გაგზავნეს და იქაურ გლეხებს მებატონეთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდეს. ბაღდადელთა ამ გამოწვევას მხურვალედ გამოეხმაურენ გადიდის, ონჯოხეთის, დვალიშვილების, უხუთის, ზენიშნის, ციხისუბნის და ზოგი სხვა სოფლის გლეხები. რამდენიმე დღეში იარაღი აისხა ამაღლების უბნის 400-მდე გლეხმა და უხუთის მახლობლად მდებარე ტყეში დაბანაკდა. დაისახა მღელვარების ორივე კერის გაერთიანების პერსპექტივა.

ქუთაისის მაზრის უფროსმა მიზანდაროვმა გლეხთა საეჭვო თავყრილობის შესახებ ცნობა 18 ნოემბერს მიიღო და მცირე რაზმით მყისვე დაიძრა უხუთისაკენ, სადაც ამაღლების გლეხთა რაზმი იყო გაშაგრებული. „საზოგადოებრივი წესრიგის" დარღვევით განრისხებულმა მაზრის უფროსმა გლეხებს ჰკითხა, რამ გაიძულათ მოთმინების ზღუდე გადაგელახათ და იარაღი აგესხათო. გლეხთა წარმომადგენლებმა ერთხმად განაცხადეს, ამის მიზეზი მემამულეთა თავგასულობა, საბატონო გადასახადების სიმძიმეაო. მიზანდაროვმა გლეხთა დაშოშმინება ტკბილი სიტყვით და დარიგებით სცადა, დაიშალეთ, მშვიდობიანი შრომა განაახლეთ, მხოლოდ ამის შემდეგ დაკმაყოფილდება თქვენი სამართლიანი მოთხოვნილებებიო. მაგრამ გლეხები უნდობლად მოეკიდნენ მაზრის უფროსის დაპირებას, მათ მტკიცედ განაცხადეს, ჩვენ მხოლოდ მაშინ დავყრით იარაღს, როცა მთავრობა ბოლოს მოუღებს მებატონეთა თვითნებობას, შრომისა და ცხოვრების ნორმალურ პირობებს შეგვიქმნისო.

რაკი მაზრის უფროსი ვერაფერს გახდა, გლეხთა მღელვარების აღკვეთის არც თუ იოლი საქმე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა პოლკოვნიკმა ივანოვმა იტვირთა. იგი რეგულარული ჯარის ნაწილებით სწრაფად დაიძრა უხუთისაკენ. პოლკოვნიკს ადგილობრივ თავადაზნაურთა 300-კაციანი რაზმიც აედევნა, მასაც სურდა ჭკუა ესწავლებინა გათავხედებული და აჯანყების გზაზე დამდგარი გლეხებისათვის. პოლკოვნიკმა ივანოვმა გლეხებს დაუყოვნებლივ დაშლა და მორჩილება

მოსთხოვა. გლეხებს დაშლა და იარაღის დაყრა არც უფიქრიათ. აჯანყებულებმა თავიანთი მოთხოვნილებები ჩამოაყალიბეს და პოლკოვნიკს ეაუგზავნეს. ივანოვმა გლეხთა წარმომადგენლებს არ მოუსმინა, არც აჯანყებულთა მოთხოვნილებებს ჩახედა. მან მოციქულს უბრძანა, დაბრუნდი გამომგზავნელებთან და უთხარი მათ, რომ მოთხოვნილებათა განხილვა-დაკმაყოფილების მხოლოდ კანონიერ გზას ვცნობთ. მთავრობა ანგარიშს არ გაუწევს ამღელვარებული ბრბოს ყვირილს და იარაღით ხელში წამოყენებულ მოთხოვნილებებს. სჯობს დაიშალონ, თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ და განაახლონ ჩვეულებრივი საქმიანობა.

მაგრამ ეს ულტიმატური მოთხოვნა გლეხებმა არ შეასრულეს. აჯანყების არეალის გაფართოების შიშით შეპყრობილი გუბერნატორი იძულებული გახდა მიეღო აჯანყებულთა წარმომადგენ[illegible]ლ და მის მიერ მოტანილი წერილობითი საჩივარიც გადაეკითხა. პოლკოვნიკმა ივანოვმა პირობა მისცა გლეხთა რწმუნებულებს, რომ მათი ყველა კანონიერი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ წინასწარ სრული მორჩილება მოითხოვა. გლეხთა მეთაურებმა იმსჯელეს შექმნილ-სიტუაციაზე, მეფის მთავრობის რეგულარული ჯარის ნაწილთან შებრძოლება უპერსპექტივოდ მიიჩნიეს. აჯანყებულთა რაზმმა ბრძოლას თავი აარიდა და დაშალა.

ამის შემდეგ ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციამ მიზანში ამოიღო ბაღდადის უბანში არსებული მღელვარების კერა. ამ მიმართულებით ქუთაისის მაზრის უფროსის მოადგილე ბაქრაძე გაიგზავნა. კაზაკთა რაზმითა და ორი ქვემეხით. ბაღდადის უბნელებმა, როგორც ჩანს, გაიგეს ამაღლების უბნის გლეხთა რაზმის დაშლის ამბავი და ვეღარ გაბედეს წინააღმდეგობის გაწევა. ბაქრაძემ შედარებით ადვილად შეძლო აქ შეკრებილ გლეხთა რაზმის გაფანტვა, ბაღდადის საპოლიციო უბანში „წესრიგის“ დამყარება.

ასე დამთავრდა იმერეთის გლეხთა საკმაოდ მასობრივი აჯანყება, მთავრობის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ აჯანყების მეთაურები და წამქეზებლები დააპატიმრა. ოთხს ხუთი წლით, ხოლო თორმეტს სამი წლით შორეულ გუბერნიებში გადასახლება მიუსაჯა.

სამეგრელოსა და იმერეთის აჯანყებათა მასშტაბის გამოსვლებს 1858—1861 წლებში ადგილი აღარ ჰქონია, საქართველოში თითქოს „მშვიდობა“ სუფევდა. მაგრამ სინამდვილეში კლასობრივი ბრძოლა სულაც არ შენელებულა, გლეხობა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას აგრძელებდა. 1858 წ. ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ მოსკოვის თავადაზნაურთა კრე-

ბაზე წარმოთქმული სიტყვის ქართული თარგმანი, რამაც ყმა გლეხობას განთავისუფლების იმედი ჩაუსახა და მის ბრძოლას თითქოსდა „კანონიერი" საფუძველი შეუქმნა. უშუალო მწარმოებელი მასა უარს ამბობდა ბეგარა-გადასახადებზე. გახშირდა ყმა გლეხთა ურჩობის ფაქტები. კლასობრივი ბრძოლის ამ ფორმით გორის მაზრა გამოირჩეოდა. შიდა ქართლის თავადაზნაურთა თითქმის ყველა მამულს აგრარული მღელვარების ალი მოედო. 1858 წელს საბატონო ბეგარა-გადასახადებზე უარი თქვეს თავად ამირეჯიბის ყმებმა (სოფ. აბისი). მომდევნო წელს ურჩობის გზაზე დადგნენ ქსნის ხეობაში მობინადრე ერისთავის გლეხები. 1859 წ. მღელვარებამ თავი იჩინა თავად მაჩაბლების მამულებში. მღელვარება თანდათან გაფართოვდა და მოედო 60 სოფელს (ქარელი, ყინწვისი, ...ბო, აჯამეთი, ვანთა, ვანური, მხურვალეთი და სხვ.). ამავე ხანებში მებატონე ავალიშვილების, ამილახვარების, თაქთაქიძეების, ერისთავების და მაჩაბლების წინააღმდეგ აქტიურად გამოვიდნენ ფხვენისის, ბრეთის, ხვითის, გოგიეთის, კავთისხევის და სხვა სოფლების გლეხები. აღნიშნულ წლებში თითქმის არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, რომლის გლეხებსაც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა არ მიეღოთ ანტიბატონყმურ მოძრაობაში.

გურიის გლეხთა 1862 წლის აჯანყება. 1862 წ. გლეხთა მასობრივი გამოსვლები სამეგრელოს მოხდა გურიაში. გურიის გლეხთა პირველ მღელვარებას ადგილი ჰქონდა მარტის თვეში. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კოლუბიაკინი მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს მოახსენებდა: გურიის გლეხები ხშირად აწყობენ მანიფესტაციებს მებატონეთა წინააღმდეგ. ისინი ინდივიდუალურად და ჯგუფურად ჩივიან თავადაზნაურთა ძალადობის გამო და მოითხოვენ ბეგარა-გადასახადების შემცირებას. უკანასკნელი მანიფესტაცია კი, რომელიც ოზურგეთის მაზრის გურიანთის საპოლიციო უბნის გლეხებმა მოაწყვეს მარტის დასაწყისში, უფრო ფართო მასშტაბისა იყო და მასში 200-მდე შეიარაღებული კაცი მონაწილეობდა. შემთხვევის ადგილზე მაზრის უფროსის დროზე გამოცხადებამ, მისმა ენერგიულმა მოქმედებამ, კეთილგონიერმა შთაგონებამ იმის შესახებ, რომ კანონი მფარველობს ყველა უსამართლოდ დაჩაგრულს და კატეგორიულად კრძალავს თვითნებური მანიფესტაციების მოწყობას, სასურველი ზემოქმედება მოახდინა გლეხებზე და ისინი სწრაფად დაიშალნენ. ასევე განიმუხტა დაძაბული სიტუაცია ლანჩხუთის საპოლიციო უბანში, სადაც მაზრის უფროსმა შეძლო მებატონეთა და ყმა გლეხთა მორიგება ბეგარა-გადასახადთა ზომის თაობაზე.

გურიის გლეხთა მარტის თვეში ამტყდარი ჯანყი უსისხლოდ დამთავრდა. როგორც ჩანს, გლეხებზე იმოქმედა არა მაზრის უფროსის „კეთილგონივრულმა შთაგონებამ“, არამედ იარაღის ძალამ.

გურიის გლეხთა მეორე გამოსვლა იმავე წლის აგვისტოს თვეში მოხდა. ამჯერად ბატონყმობის წინააღმდეგ იარაღასხმული გამოვიდნენ გურიელებისა და ნაკაშიძეების გლეხები. მღელვარებამ მოიცვა ბახვი, შემოქმედი, გოგოლეთი, აჭი, ლიხაური, გურიანთა, კახური, მაკვანეთი, სუფსა და სხვა სოფლები. აჯანყებაში მონაწილეთა ერთი ჯგუფი შემოქმედის მონასტრის მიდამოებში დაბანაკდა, მეორეჯერ გურიანთაში. ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაცია შეშფოთდა, ენერგიულად ამოქმედდა. ურჩი გლეხების მოსათვინიერებლად დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნა ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორის იზიუმსკისა და ოზურგეთის მაზრის უფროსის პრინცის მეთაურობით. ისინი თავდაპირველად შემოქმედს მიადგნენ, მშვიდობიანი მოლაპარაკებით სცადეს აქ შეკრებილ აჯანყებულთა დაშლა-განიარაღება. გლეხთა ბანაკში გარკვეული მისიით მაზრის უფროსის თანაშემწე ბაქრაძე გაიგზავნა. მან აჯანყებულებს გადასცა გუბერნატორის რჩევა, არსებითად ბრძანება — დაშლილიყვნენ და „კანონიერი“ გზით ეძიათ სამართალი. გლეხებმა გუბერნატორის ბრძანება არაფრად ჩააგდეს, განაცხადეს, რომ ხელმწიფეს გარდა არავის არ დაემორჩილებიან, ვიდრე მათი ადამიანური მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული.

განრისხებულმა გუბერნატორმა აჯანყებულთა ბანაკს შტაბს-კაპიტანი პრინცი, საპოლიციო უბნის უფროსი ბერაძე და შეიარაღებული რაზმი მიუსია. დამსჯელი ექსპედიცია შემოქმედის მონასტრის გალავანში შევიდა, სადაც მას თოფებითა და კეტებით შეიარაღებული 300 კაცი დახვდა. პრინცმა მათ კეტების გადაგდება და თოფების ეკლესიის კუთხეში დალაგება მოსთხოვა. შემდეგ კი აუხსნა გლეხებს, რომ უნებართვო შეკრება და მითუმეტეს შეიარაღებული, აკრძალულია კანონით. მომახსენეთ რა პრეტენზიები გაქვთ მემამულეთა მიმართ და დაიშალეთო. გლეხებმა განაცხადეს, რომ მანამდე არ დაიშლებიან, ვიდრე მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, ვიდრე მებატონეთა დამოკიდებულებისაგან არ გაანთავისუფლებენ.

გლეხთა სიმტკიცემ გუბერნატორი აიძულა უშუალოდ ჩადგომოდა სათავეში აჯანყებულთა წინააღმდეგ გაშლილ საბრძოლო ოპერაციებს. იგი ჯარის უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილით დაიძრა შემოქმედისაკენ. მოხდა ეფის მთავრობის წარმომადგენლისა და აჯანყებულ გლეხთა

მეთაურების შეხვედრა. გლეხებმა ილაპარაკეს მემამულეთა სიმკაცრეთვითნებობაზე, გადასახადების გადამეტებით მოთხოვნაზე, თავის სიღატაკე-გაჭირვებაზე, რამაც ისინი აიძულა აჯანყებით გამოეთქვათ უკმაყოფილება, რათა ამით მიეპყროთ მაღალ ხელისუფალთა ყურადღება. გუბერნატორმა, თითქოს ყურადღებით მოისმინა გლეხთა საჩივარი, დახმარებაც აღუთქვა მათ, მაგრამ იმ პირობით, თუ აჯანყებულნი დაიშლებოდნენ და მშვიდობიან შრომა-საქმიანობას დაუბრუნდებოდნენ. ურჩობის გაგრძელების შემთხვევაში იგი მკაცრი ზომების მიღებით იმუქრებოდა. გუბერნატორის დაპირება-მუქარაზე მეტად, აჯანყებულებზე მრავალრიცხოვანმა და კარგად შეიარაღებულმა დამსჯელმა რაზმმა მოახდინა გავლენა, ისინი მოერიდნენ უთანასწორო ბრძოლას და დაიშალნენ.

აჯანყებულთა მეორე დაჯგუფება უფრო მრავალრიცხოვანი იყო. გურიანთაში შეგორვდა რამოდენიმე სოფლის 500-მდე გლეხი და საფრთხე შეუქმნა მებატონეთა უძრავ-მოძრავ ქონებასა და თვით სიცოცხლესაც კი. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორმა გურიანთისა და სოფელ გოგოლეთისაკენ (სადაც აგრეთვე დაიწყო მღელვარება) ჯარისკაცთა ასეული და კაზაკთა რაზმი გაგზავნა, ამ ნაწილების მეთაურ ბაქრაძეს ებრძანა შეეჩერებინა სუფსის მიმართულებით აჯანყებულთა სვლა და შეეკრა სოფ. კახურიდან ბაილეთისაკენ მიმავალი გზა. ბაქრაძემ, როგორც ჩანს, ვერ შეასრულა დავალება. აჯანყების ლიკვიდაცია თვით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა კოლუბიაკინმა ითავა. იგი გურიაში 1862 წლის 11 აგვისტოს ჩავიდა, დარწმუნდა, რომ იქ ადგილი ჰქონდა არა უბრალო მღელვარებასა და მომენტალურ აფეთქებას, არამედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი ბოღმის გამომხატველ შეთქმულება-აჯანყებას, რომლის ჩახშობა არც ისე ადვილი იყო. აჯანყების ლოკალიზაციის მიზნით კოლუბიაკინმა სხვადასხვა პუნქტებში ჯარის ნაწილები ჩააყენა, ენერგიული მოქმედებით შიშის ზარი დასცა სოფლებს, რის შემდეგაც აჯანყებულთა მთავარ ბანაკში თავადი შერვაშიძე გაგზავნა, დაავალა მას ტკბილი სიტყვით, რჩევა-დარიგებით დაეყოლიებინა გლეხები ამბოხის შეწყვეტაზე. გლეხებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს, „ირწმუნეს“ გუბერნატორისა და შერვაშიძის დაპირებათა ჭეშმარიტება და მართლაც დაიშალნენ. მაგრამ კოლუბიაკინმა რეპრესიებისაგან თავი მაინც ვერ შეიკავა, დააპატიმრა აჯანყების მეთაურები — მაქსიმე ღლონტი, ალექსანდრე მამულაშვილი, მაქსიმე სადრაძე, გოგია მამინაიშვილი, ლევან მალაზონია, ნიკო ბაქანიძე, ივანე გუჯაბიძე და ანტონ მოისწრაფიშვილი.

გურიის გლეხთა მესამე გამოსვლა იმავე წლის სექტემბერ-ოქტომ-ბერში მოხდა. აჯანყდნენ თავად მაჭუტაძეთა ყმები. ამის უშუალო მიზეზი მებატონის მიერ გლეხებისათვის ტყით სარგებლობის აკრძალვა იყო, გლეხები ტყეს იყენებდნენ არა მარტო საშენ-საწვავი მასალის მისაღებად, არამედ საყანე ადგილებადაც. მცირე მიწიანი და უმიწაწყლო ყმა გლეხები მაჭუტაძის ტყეში ახოებს ტეხდნენ, სიმინდს თესდნენ, ოდნავ მაინც იუმჯობესებდნენ თავის ეკონომიურ მდგომარეობას. მაჭუტაძეებმა, რომელნიც ტყეს თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ, გლეხთა „თვითნებობა" ვერ აიტანეს, ტყით ამგვარი სარგებლობა აუკრძალეს, ხოლო უკვე გატეხილი ახოებიდან ღალა მოითხოვეს. პოლიციის დახმარებით მებატონეები კიდეც კრეფდნენ ღალას, მაგრამ ბოლოს გლეხები გაჯიქდნენ და უარი თქვეს თავის მძიმე შრომით გატეხილ ახოებიდან მოსავლის წილის გაღებაზე.

მაჭუტაძეებმა დახმარებისათვის კვლავ ხელისუფლებას მიმართეს. 1862 წ. მარტში პოლიციის მოხელეებმა გლეხები კატეგორიულად გააფრთხილეს, აღარ გაებედათ ტყის თვითნებური გაჩეხვა და ხე-ტყის გამოტანა, ახოების გაკეთება. მაგრამ გლეხები თავისას აგრძელებდნენ. საქმეში მაზრის უფროსი ჩაერია, გლეხებს მემამულეთა წინაშე მოვალეობის შესრულება უბრძანა. ამასთან, მან თავი მოუყარა ნიგოითის, ჭკინაგვარის და ქვიანის მკვიდრთ, გამოუცხადა მათ, თუ ტყით უნებართვოდ სარგებლობას არ შეწყვეტთ და გატეხილი ახოებიდან მოსავლის მეათედს არ გადაიხდით, მკაცრად დაისჯებითო. მებატონეთათვის სასურველი შედეგი არც ამ ღონისძიებას მოჰყოლია. ამის შემდეგ პრინცმა ნიგოითში თავის ხელქვეითი მოხელე ყენია გაგზავნა შეიარაღებული რაზმით. მაჭუტაძეების კუთვნილი ღალის აკრეფა დაავალა მას. ყენიამ სასწრაფოდ შეკრიბა გლეხობა, მაზრის უფროსის ბრძანება გააცნო და მორჩილებისაკენ მოუწოდა. საპასუხოდ გლეხებმა განაცხადეს, **რომ** ღალის არაკანონიერად მოთხოვნის თაობაზე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან საჩივარი გვაქვს შეტანილი და მის გარჩევამდე თავს ვიკავებთ მოსავლის მეათედი ნაწილის გადახდისაგანო.

ამ გაუთავებელ დავაში მღვდელი ბესარიონ კალანდარიშვილიც ჩაერია, მაგრამ ვერც მან დაითანხმა გლეხები მორჩილებაზე. სამაზრო ხელისუფლების წარმომადგენელი თავისას მაინც არ იშლიდა, გლეხებს ემუქრებოდა, თუ ნებით არ გადაიხდით გადასახადს ძალით წავიღებთო. როცა ძალის გამოყენება მართლაც სცადა, გლეხების მოთმინების ფიალა აივსო და მათ ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს ყენიასა და მის რაზმს. შეტაკებისას დაიჭრნენ ყენია, აზნაურები — ბ. მელქაძე,

ლ. ჟორდანია, ნ. ეპრალიძე, გლეხები — ბესო მინაძე, ბესეიშვილი და სხვები.

ამ ბრძოლის შემდეგ ნიგოითს თვით მაზრის უფროსი პრინცი ეწვია, 13 ოქტომბერს გლეხები ერთ მინდორზე შეჰყარა და მათთან მოსალაპარაკებლად თავადი შარვაშიძე მიგზავნა. გლეხებმა თავი აარიდეს თავადთან შეხვედრას, დემონსტრატიულად დატოვეს შეკრების ადგილი და ტყეს შეაფარეს თავი. აქ მათ თვით მაზრის უფროსი გამოეცხადა, ტკბილი სიტყვით და დარიგებით სცადა გლეხთა მოთვინიერება. პროტესტის ნიშნად გლეხებმა ყვირილი ატეხეს, პრინცს ლაპარაკის საშუალებაც კი არ მისცეს. განრისხებულმა მაზრის უფროსმა დამატებითი შეიარაღებული ძალა გამოიძახა და გლეხთა მკაცრად დასჯის გეგმაც შეიმუშავა. რამდენიმე დღეში პრინცმა „წესრიგი" დააყარა. აჯანყების ხელმძღვანელები და წამქეზებელნი — გრიგოლ, ბიჭია, ივანე და კაკაბა კალანდარიშვილები, გურგენ ნარსია, ივანე მანჯგალაძე, მაქსიმე ბოგიშვილი, გიორგი თავდიშვილი, ბიჭია ფირცხალაიშვილი, დიანოზ ფილია და სხვები დააპატიმრა და ქუთაისის ციხეში ჩასვა. ადრე დაპატიმრებულნი კი თბილისში გაგზავნა.

1863 წ. გლეხთა აჯანყებამ კვლავ იფეთქა სამეგრელოში. მართალია, მასში მარტო სოფ. თამაკონის მკვიდრნი, თავად ჩიქოვანის ყმები მონაწილეობდნენ და ამდენად იზოლირებულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ეს ჯანყიც ერთ მნიშვნელოვან ფურცლად ჩაიწერა გლეხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მატიანეში.

თავად ჩიქოვანსა და მის ყმებს შორის დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა დაძაბული ურთიერთობა. თავდაპირველად ჯანაშიებისა და ფაცაციების 5 კომლი ბატონს წლიურად 100 კოკა ღვინოსა და 10 ღორს უხდიდა. დროთა განმავლობაში, მართალია, 5 კომლი 23 კომლად გაიზარდა, მაგრამ მემამულეს გამოყოფილი ოჯახებისათვის დამატებითი მიწა არ მიუცია და ამიტომ საადათო სამართლის ძალით გადასახადის მომატების უფლება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა თავადმა ამ გლეხებს 460 კოკა ღვინო და 46 ღორი შეაწერა. ამაზე ატყდა დავა, რაც ორი ათეული წელი გაგრძელდა. რაკი სამართალი ვერ იპოვნეს, თამაკონელმა გლეხებმა თვითნებურად შეწყვიტეს გადასახადების გაღება და თან თხოვნა-საჩივარი წარადგინეს სენაკის სამაზრო ხელისუფლებაში. ისინი აყენებდნენ საკითხს არა მარტო ბეგარა-გადასახადების შემცირების, არაშედ ჩიქოვანის ბატონობისაგან განთავისუფლების შესახებ. ჯერ სამეგრელოს მმართველობამ და შემდეგ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გლეხთა მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. გლეხთა სასარგებლოდ სა-

კითხი არც მეფის ნაცვალს მიხეილ რომანოვს გადაუწყვეტია. გლეხები არ დამორჩილდნენ მეფის მთავრობის მოხელეთა ბრძანება-განკარგულებებს. მათ ფიცი დადეს ერთმანეთთან, რომ საბატონო გადასახადი არ გაეღოთ, ჩიქოვანის ყმობაზე უარი ეთქვათ, ხოლო რეპრესიების შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწიათ ბატონისა და მთავრობის მოხელეებისათვის.

განრისხებულმა მემამულემ, მუქარა-დაშინებით რომ ვერაფერს მიაღწია, სენაკის მაზრის უფროსი ბოროზდინი დაიხმარა. ბოროზდინმა თამაკონში თავის თანაშემწე ნანეიშვილი და შეიარაღებული რაზმი გაგზავნა. ნანეიშვილმა გლეხებს გონს მოსვლა და მორჩილება ურჩია. გლეხებმა განაცხადეს, რომ დამორჩილებას არ აპირებენ, ელოდებიან თავიანთ მეორე საჩივარზე მეფის ნაცვლის პასუხს. ნანეიშვილმა ძალას მიმართა, კაზაკებითა და თავადაზნაურთა რაზმით აჯანყებულთა ბანაკისაკენ წავიდა. გლეხებმა შენიშნეს დაუპატიჟებელი სტუმრები, გააფრთხილეს, ურჩიეს მათ უკან გაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ნანეიშვილი ღაჟინებით ცდილობდა მაზრის უფროსის დავალების შესრულებას. თამაკონელმა გლეხებმა სამაზრო პოლიციის ამ ერთგულ მოხელეს სროლა აუტეხეს, კაზაკებმაც მიიღეს გამოწვევა და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. დამსჯელი ექსპედიცია, რომელმაც ადგილზე დატოვა ერთი მოკლული და ორი დაჭრილი, ბრძოლის ველს გაეცალა და ხელმოცარული დაბრუნდა სენაკში.

მომხდარმა ფაქტმა საგონებელში ჩააგდო სამეგრელოს მმართველი და ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია. მათ ამჯერად 150—200 აჯანყებული წინააღმდეგ 800-კაციანი სამხედრო ნაწილი და თავადაზნაურთა რაზმი გაგზავნეს. ბოროზდინმა, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა დამსჯელი ექსპედიციის მოქმედებას, გლეხებს თავისი წარმომადგენლები მიუგზავნა, დაუყოვნებლივ დაშლა და აჯანყების მეთაურთა გაცემა მოითხოვა. გლეხებმა დაშლა-დამორჩილებაზე უარი განაცხადეს. განრისხებულმა სენაკის მაზრის უფროსმა გლეხთა მკაცრად დასჯა გადაწყვიტა. მისი ბრძანებით სოფელ თამაკონს, რომლის მოსახლეობა კარზე მომდგარი საშიშროების გამო მთაში გაიხიზნა, შეიარაღებული რაზმები შეესია, აჯანყებულთა სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, მთელი სოფელი გადაწვეს და გააპარტახეს, შინაური პირუტყვი გაირეკეს და მაზრის ცენტრში დაბრუნდნენ.

უხეშმა ძალამ და რეპრესიებმა თავისი გაიტანა. გლეხები დარწმუნდნენ უთანასწორო ბრძოლაში წარმატებას რომ ვერ მიაღწევდნენ და

მთავრობასთან შერიგების გზას დაადგნენ. მათ ბოროზდინს აცნობეს, რომ იარაღს ყრიან და მშვიდობიან შრომას უბრუნდებიან.

მორჩილების გამოცხადებით გლეხებმა რეპრესიები თავიდან ვერ აიცილეს. ადმინისტრაციამ 30—40 კაცი დააპატიმრა. მათგან ხუთი გასამართლებამდე კაპატიმროში გარდაიცვალა, 13 გასამართლებულიდან რამდენიმეს ჩამოხრჩობა, სხვებს კი ციმბირს გადასახლება მიესაჯეს. ასე მკაცრად გაუსწორდა მეფის მთავრობის ადმინისტრაცია თავისუფლებისათვის მებრძოლ გლეხებს.

მეფის მთავრობის მოხელეები ვარაუდობდნენ, რომ მკაცრი სასჯელი გლეხებს დააშინებდა; ბოლოს მოუღებდა ანტიბატონყმურ მოძრაობას, რომელმაც თითქმის პერმანენტული ხასიათი მიიღო, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. 1864 წელს გლეხთა მღელვარება მოხდა თბილისის მაზრასა და თიანეთის ოკრუგში, ხოლო 1866 წ. აფხაზეთში იფეთქა გლეხთა მასობრივმა აჯანყებამ, რომელიც ანტიფეოდალურ და ანტიკოლონიურ ხასიათს ატარებდა.

აფხაზეთის გლეხთა აჯანყების უშუალო მიზეზი გახდა გავრცელებული ხმები ბატონყმობის გაუქმების პროექტის ანტიხალხური ხასიათის შესახებ. გლეხები განსაკუთრებით ძლიერ აღაშფოთა მთავრობის განზრახვამ ყმათა პირადი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების საზღაური თავადაზნაურობისათვის გლეხთა ხარჯზე აენაზღაურებინა. გლეხები ყოველგვარი საზღაურის გაღების გარეშე მოითხოვდნენ მიწას და თავისუფლებას.

1866 წლის ივლისში მუშაობა დაიწყო სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიამ, რომელმაც მოსახლეობისაგან აგრარული რეფორმისათვის საჭირო მასალები მოითხოვა. სოხუმის ოლქის ადმინისტრაციის მოხელეები — ჩერეპოვი, იზმაილოვი, აზნაური ტიტუ მარღანია და სხვები ბზიფის ხეობაში გავიდნენ და ადგილობრივ გლეხებს კომისიისათვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემა მოთხოვეს. აფცხვას, გუგუძირხვას, ჩააბალურხვას და სხვა სოფლების გლეხებმა კომისიას თავისებური ბოიკოტი გამოუცხადეს, უარი თქვეს სათანადო მასალის მიწოდებაზე. გლეხებმა პირდაპირ თქვეს, რომ ვერც კი წარმოუდგენიათ თავისუფლების მიღება გამოსყიდვის გზით და ამიტომ არ პასუხობენ კომისიის მიერ დასმულ კითხვებს. გლეხთა წარმომადგენელმა შამბამ თურმე განაცხადა: ჩვენ არ გვესმის გლეხთა ისეთი განთავისუფლება, როგორც თქვენ გვეუბნებით. გლეხებს არ აქვთ სახსარი თავის გამოსყიდვისათვის. თუ მთავრობას მართლა სურს ჩვენი განთავისუფლება, ხელმწი-

ფე მოწყალებას მოიღებს, ანგარიშს გაუწევს ჩვენს სიღატაკეს და მეშამულეებს მთავრობის ხარჯზე დააკმაყოფილებსო.

ამ არც თუ სასიამოვნო ცნობის მიღებისთანავე ბზიფის ხეობისკენ თვით აფხაზეთის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი კონიარი გაემგზავრა. იგი სოფ. ლიხნში მოწვეულ სახალხო კრებაზე ახსნა-განმარტებებით გამოვიდა და გლეხებს რეფორმისათვის საჭირო ცნობების დაუყოვნებლივ წარდგენა მოსთხოვა. არა, პოლკოვნიკო, — ერთხმად უპასუხეს კრების მონაწილეებმა, — ჩვენ ვერ შეასრულებთ თქვენს მოთხოვნას, გვეყო აპუჩად აგდება, მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლიაო.

კონიარის უტაქტო და უხეში მოქმედება ცეცხლზე ნავთის დასხმას მოასწავებდა. შეურაცხყოფით აღშფოთებული გლეხები თავგანწირვით ეკვეთენ სოხუმის ოლქის უფროსს და მის ამალას. ისინი გაიქცნენ და თავი აფხაზეთის ყოფილი მთავრის მიხეილ შერვაშიძის სასახლეს შეაფარეს. ხალხი მთავრობის მოხელეებს ფეხდაფეხ მიჰყვა. სისხლისმღვრელი შეტაკების დროს დაიღუპნენ კონიარი, პოდპორუჩიკი სურინოვიჩი, ჩერეპოვი, იზმაილოვი, ოფიცერი არტუხოვი და 50-ზე მეტი კაზაკი.

სოფ. ლიხნში გათამაშებული ამ სისხლიანი დრამით დაიწყო აფხაზეთის გლეხთა საყოველთაო აჯანყება, რომელშიც 20 ათასამდე იარაღასხმული კაცი მონაწილეობდა 26 ივლისს აჯანყებულთა 4-ათასიანი ლაშქარი სოხუმისაკენ დაიძრა. 27 ივლისს აჯანყებულები სოხუმს მიუახლოვდნენ, მისი მისადგომებიც დაიკავეს. მაგრამ მეორე დღეს აქ მოვიდა მეფის მთავრობის არმიის ერთი ბატალიონი და აჯანყებულთ უკან დაახევინა. აჯანყებულთა სოხუმზე განმეორებული იერიშიც უშედეგოდ დამთავრდა.

მალე სოხუმის გარნიზონი ახალი ძალებით შეივსო. აქვე ჩამოვიდა თვით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლკ-მირსკი. იგი თავის ჯარით 30 ივლისს კონტრშეტევაზე გადავიდა. ბრძოლა 4 საათი გაგრძელდა. აჯანყებულნი დროებით გაეცალნენ სოხუმს. გლეხებმა კიდევ რამდენჯერმე სცადეს ქალაქის დაუფლება, მაგრამ ამაოდ. აფხაზები იმედს არ კარგავდნენ. როგორც სოხუმის მიდამოებში, ისე აფხაზეთის სხვა რაიონებში ახალი ბრძოლებისათვის ირაზმებოდნენ. ამით შეშფოთებული ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაცია სამხედრო ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას ახდენდა. 1866 წლის აგვისტოსათვის

სოხუმი გაივსო სხვადასხვა გვარეობის ჯარის ნაწილებით. მიუხედავად ამისა სვიატოპოლკ-მირსკი მოერიდა იარაღის გამოყენებას და აჯანყებულთა სიტყვით დაშოშმინება სცადა. მან თავი მოუყარა სოხუმის რაიონის სოფლების მამასახლისებს და მათი მეშვეობით აჯახყებულებს დაშლა, წინააღმდეგობის შეწყვეტა, იარაღის დაყრა მოსთხოვა. როგორც ჩანს, სოფლებში ხალხის თავყრილობები გაიმართა, აწონ-დაწონეს შექმნილი ვითარება, ძალთა თანაშეფარდება და დანებება გადაწყვიტეს. 4 აგვისტოს სოხუმის რაიონის აჯანყებულები მორჩილებით გამოცხადნენ დანიშნულ პუნქტებში და იარაღი ჩააბარეს მთავრობის წარმომადგენლებს. ასევე მოიქცნენ წებელდის და ბზიფის გლეხები. სექტემბრის დამდეგისათვის აჯანყებულთა განიარაღება დამთავრდა. ადგილობრივი ადმინისტრაცია და ცენტრალური მთავრობაც გამარჯვებას ზეიმობდა. „მახარებს კარგი ცნობები აფხაზეთიდან“—წერდა იმპერატორი ალექსანდრე მეორე თავის ძმასა და ნაცვალს კავკასიაში, მიხეილ რომანოვს.

აჯანყებულებს დანაშაული, რა თქმა უნდა, არ აპატიეს. მთავრობამ აჯანყების მეთაურები და წამქეზებლები მკაცრად დასაჯა. სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენის თანახმად სამი კაცი საჯაროდ ჩამოახრჩვეს, 30 კაცი შორეულ ციმბირში გადაასახლეს. ასე დასრულდა დიდი სოციალური და სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ეს ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომლის მთავარ მამოძრავებელ ძალას გლეხობა წარმოადგენდა.

1861 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნდა ალექსანდრე მეორის მანიფესტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ, რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში გატარდა საგლეხო რეფორმა. ამ ფაქტმა უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც ქართველ მემამულეებზე, ისე გლეხებზე. თუ ადრე მებატონეები შორს იხედებოდნენ, გადამეტებული მოთხოვნებით გლეხთა მეურნეობის გაჩანაგებას ერიდებოდნენ, ახლა რაკი ბატონყმობის გაუქმება სახვალიო საქმედ მიიჩნიეს, ისინი შეეცადნენ რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯათ ყმებისათვის. ზოგი „საგლეხო მამულს“ სათავისთავო მიწად აცხადებდა, სხვები კი აორმაგებდნენ ბეგარა-გადასახადების ნორმას. გულხელდაკრეფილი არც გლეხები ისხდნენ. ისინი კიდევ უფრო გალაღდნენ, თამამად ეურჩებოდნენ მებატონეებს, უარს ამბობდნენ საბატონო ბეგარა-გადასახადებზე. კიდევ უფრო გახშირდა ლოკალური, ცალკეული სოფლებისა და კომლების საპროტესტო გამოსვლე-

ბი. გლეხთა მღელვარებას ჰქონდა ადგილი სოფ. ჭალაში, აბისში, ნოსტ-
ში, ელტურაში, დისლინაში, დვილულაში, ვანურში, საკანაფოში და სხვ.,
კლასობრივ ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ ანდრონიკაშვილის, ჩოლოყა-
შვილის (კახეთი), ჩიჩუების, ჩიქოვანების და კორძაიების (სამეგრელო).
ყმა გლეხები. გლეხობა თავის ბოღმას, გულისწყრომას მებატონეთა
მკვლელობით გამოხატავდა. 1857 წ. სოფელ კარდანახში გლეხებმა მო-
კლეს გიორგი ვაჩნაძე, გორში — ამილახვარი. 1858 წ. საბუეში ყმა
გლეხთა ხელით გამოესალმა სიცოცხლეს იოსებ ჯორჯაძე, ყვარელში—
ალექსანდრე არღუთაშვილი, გორის მაზრაში — ერისთავი, ნათიშვი-
ლი, თარხნიშვილი. 1863 წ. მოკლეს ჯიხაიშელი თავადი ლორთქიფანი-
ძე, ოზურგეთელი გურიელი და ბოჭოიძე, ქართელი ციციშვილი, ცი-
ცაგი, მეგრელი გაბუნია.

ურჩობა, გადასახადების გაღებაზე უარის თქმა, ტერორისტული აქ-
ტები და კლასობრივი ბრძოლის ინდივიდუალური თუ ჯგუფობრივი ფო-
რმები უფრო ფართოდ გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოში. და-
სავლეთ საქართველოში კი გლეხთა მასობრივი აჯანყებები დომინირებ-
და. 1857—1866 წლებში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთ-
ხეებში 9 შეიარაღებული აჯანყება მოხდა. გლეხები დაუფარავად აცხა-
დებდნენ, რომ ერთადერთი მიზეზი მათი აჯანყებისა იყო ბატონყმური
ურთიერთობა, ერთადერთი მიზანი კი ბატონყმური წყობილების დამხო-
ბა. სამხედრო ასპექტში თუ განვიხილავთ მოვლენებს, გლეხთა გამოსვლა-
აჯანყებები მარცხით დამთავრდა, სოციალურ-პოლიტიკურად კი მათ
გაიმარჯვეს. საერთო სარუსეთო რევოლუციური სიტუაციის მთავარი
კომპონენტი იყო ანტიბატონყმური, გამათავისუფლებელი მოძრაობა, რო-
მლის წინა რიგებში ქართველი გლეხობა იდგა. ძირითადად ამან განაპი-
რობა ზედაფენების კრიზისი, მათი რეფორმების გზაზე დადგომა და
ბატონყმობის ზემოდან გაუქმება.

გლეხთა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უდიდესი გავლენა მო-
ახდინა ინტელიგენციაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. გლე-
ხთა ანტიბატონყმური განწყობა, ანტიბატონყმური მოძრაობა გახდა არ-
სებითად ანტიბატონყმური იდეოლოგიის საფუძველი, რაც დასრულე-
ბული სახით რუსეთში რევოლუციურმა დემოკრატებმა, ხოლო საქარ-
თველოში თერგდალეულებმა ჩამოაყალიბეს. ამ იდეოლოგიამ თავი
იჩინა პოეზიაში, პროზაში, პუბლიცისტიკაში.

თავი IV

საგლეხო რეფორმის მომზადება. ბატონყმობის გაუქმება

საქართველოში ბატონყმობის კრიტიკა დაიწყო XVIII—XIX სს. მიჯნაზე. მას სათავე დაუდო ივანე ბაგრატიონმა თავის თხზულება „ყალმასობაში". XIX ს-ის 40-იან წლებში დაისვა ყმა გლეხთა განთავისუფლების საკითხი.

1847 წ. გ. ბაგრატიონ-მუხრანელმა ამიერკავკასიის ადმინისტრაციას წარუდგინა თავისი წინადადება (პროექტი) წოდებათა უფლებებისა და ურთიერთობის ნორმათა შესახებ, სადაც ძირითადად ბატონყმობასა და გლეხობაზე იყო ლაპარაკი. ავტორი ხოტბას ასხამს ადამიანის პირად თავისუფლებას, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ სოფლის მკვიდრ გლეხისათვის პირადი თავისუფლება ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ მას საკუთრებაში არ ექნება სახლ-კარი და მიწა. გ. ბაგრატიონ-მუხრანელმა კარგად იცოდა, რომ ქართველ გლეხობას გააჩნდა ნაყიდი მიწა და ამდენად გლეხობის ერთი ნაწილი ფაქტიურად მესაკუთრე იყო. იგი მთავრობას მოუწოდებდა ანგარიში გაეწია საქართველოს სოციალური წყობის ამ თავისებურებისათვის, დაედასტურებინა, საკანონმდებლო წესით დაეცვა სახელმწიფო და საბატონო გლეხთა უფლება მათ მიერ ნაყიდ მიწაზე, რადგან გლეხთა უფლება მიწაზე უდაო იყო. გ. ბაგრატიონ-მუხრანელს მიზანშეწონილად ეჩვენდა მებატონეებს დაეკანონებინათ მადა, ასეთი გლეხები შედარებით მსუბუქად დაებეგრათ, უარი ეთქვათ მათ მიმართ თვითნებობა-ძალადობაზე. პროექტის ავტორი ღრმა რწმენით აცხადებდა, რომ ყმა გლეხის ასეთი მდგომარეობა უკეთესი იქნება უმიწაწყლო გლეხის პირად თავისუფლებაზეო.

გ. ბაგრატიონ-მუხრანელის პროექტი რამდენადმე სცილდებოდა ბატონყმობის რეგლამენტაციის ამოცანას. იგი, მართალია, საჭიროდ არ თვლიდა საკანონმდებლო წესით ბატონყმობის გაუქმებას, მაგრამ მთავრობას მოუწოდებდა ხელოვნურად არ შეეფერხებინა სოციალური ურთიერთობის განვითარების სტიქიურ-ობიექტური პროცესი, ნება მიეცა ყმა გლეხებისათვის არა მარტო მიწა გამოესყიდათ მებატონეებისაგან, არამედ პირადი თავისუფლებაც. ამასთან, პროექტის ავტორი მიზანშეწონილად თვლიდა უმიწაწყლო, ქალაქებში გაქცეულ ყმა გლეხებს პირადი თავისუფლება უსასყიდლოდ მინიჭებოდათ. ყოველივე აქით,

8. ბაგრატიონ- მუხრანელის განცხადებით, გაბატონებული კლასი და მთავრობა თავიდან აიცილებდნენ ქვემოდან მომდინარე საშიშროებას.

ამდენად, ჯერ კიდევ 40-იან წლებში საქართველოს გაბატონებული კლასის წარმომადგენლებმა დასვეს არა მარტო ბატონყმობის რეგლამენტაციისა და შერბილების, არამედ მშვიდობიანი ევოლუციის გზით მისი გაუქმების საკითხიც. 50-იან წლებში კი ანტიბატონმყური იდეოლოგია ჩამოყალიბდა. თერგდალეულები სიძულვილით განიმსჭვალნენ სოციალურ სენად გადაქცეულ ბატონყმობისადმი, გაბედულად გამოვიდნენ მისი მოსპობა-გაუქმების მოთხოვნით.

დრომოჭმული ბატონყმობის წინააღმდეგ თერგდალეულთაგან პირველად რაფიელ ერისთავმა გამოთქვა პროტესტი. 1857 წ. მან დაწერა ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი". სამეგრელოს გლეხთა აჯანყების უშუალო გავლენით შექმნილ ამ ლექსში დაგმობილია ის სოციალ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც ნორმალურად თვლიდა ერთი ადამიანის მიერ მეორის დაჩონებას, ყმა გლეხების ყიდვა-გაყიდვას. ბატონის არაადამიანური საქციელით გამწარებული დედა, რომელსაც შვილი გაუყიდეს, ასე მიმართავს უზენაეს მსაჯულს:

მოველ ბატონო, ღმრთისა მსაჯულო, გენაცვალების შენ ჩემი თავი
მხურვალედ გთხოვ, ცრემლითა გვედრი, გულს მომაშორე მე ცეცხლი მწვავი;
გთხოვ დამიბრუნო მე ჩემი შვილი, დედა ვარ მისი, განა მომკლავი?
სხვა რად ჰპატრონობს ჩემსა ნაშობსა, რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი სვავი?

რ. ერისთავის ლექსით აღფრთოვანებული ილია წერდა: ეს პირველი ხმა იყო ჩვენში უსამართლოდ ჩაგრულთა დასაცველად, იმ დაწყევლილი ანომალიის მოსაშლელად, როცა ერთის ნაშობზე მეორე ბატონობდა.

ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „სურამის ციხის" ავტორმა. დ. ჭონქაძის შემეცნების საფუძველს, მისი შემოქმედების წყაროს სოციალური უსამართლობით გატანჯული და ბატონყმობის წინააღმდეგ შემართული გლეხობა წარმოადგენდა. დ. ჭონქაძემ რეალისტურად ასახა ბატონყმური წყობილების მთელი სისაძაგლე, ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასების ანტაგონიზმი და ბრძოლა. „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენი ბედნიერება არ შეიძლება", ათქმევინა მწერალმა დურმიშხანს და ამით გამოხატა არა მარტო დიდი სიძულვილი ბატონყმობისადმი, არამედ მოწოდებაც გლეხობისადმი, რომ ძალით დაემხო ეს უსამართლო წყობილება, მოეპოვებინა შრომისა და ცხოვრების ადამიანური პირობები.

განსაკუთრებით მძაფრად ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას ილია ჭავჭავაძემ შეუტია. მისი ნაწარმოებები — „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ და სხვ. ტირანი, უქნარა, სხვისი ექსპლუატაციით გამდიდრებულ-გაქსუებული, მებატონეების სიძულვილითა და უსამართლოდ დაჩაგრული, შრომისმოყვარე, თავისუფლებისათვის თავდადებული ყმა გლეხების თანაგრძნობა-სიყვარულითაა გამსჭვალული. საგლეხო რეფორმამდე ხუთი წლით ადრე დაწერილ პოემა „აჩრდილში“ დაგმობილია საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც დაჩაგრული კლასის მოვალეობად შრომას თვლიდა, ხოლო გაბატონებული ფენების უფლებად—შრომის ნაყოფის მითვისებას. ასეთი უსამართლობით აღშფოთებული მშრომელი კაცი ჩივის:

დღედაღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა,
ვაი-ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა.
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.
ვაიმე, ბედკრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!

ილიას გმირების უმრავლესობა (კაკო, ზაქრო, გაბრო) პასიურ პროტესტს არ სჯერდება, იარაღით იბრძვის მებატონეთა წინააღმდეგ. პოეტს სწამდა, რომ გლეხობის გამათავისუფლებელი ბრძოლა სათანადო ნაყოფს მოიტანდა, დარწმუნებული იყო, რომ „ქვეყანა ძველი“, დრომოჭმული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება ვერ გაუძლებდა „განახლებისა გრიგალის ქროლვას“, კაცთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილები დაიმსხვრეოდა, დამყარდებოდა შრომის სუფევა, სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება.

ბატონყმობის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის მატიანეში საყურადღებო ფურცლები ჩაწერა აკაკი წერეთელმა. პოეტმა მკაცრად გაკიცხა სოციალურ-პოლიტიკური ჩაგვრის სისტემა, დაგმო ის წესი, რომელიც ერთ ადამიანს აძლევდა მეორის შრომის ნაყოფის მითვისების უფლებას, ამ მნრიგ საყურადღებოა აკაკის ლექსი „მუშური“.

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისაც გვშართვებს სიმსახურე;
ბატონი, გვყავს, გარეთ, საწყალი,
უპატრონო, უბედური!

ყველა თავში გვიჩაჩქუნებს,
გარეშე და შინაური;
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი, ჩვენგან მონაწური.
ჩვენი ჯაფით მონაყვანი,
სხვასთან მიდის საზრდო პური,
შინ ცოლ-შვილს შიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?
მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
სტირის ცოლი მეძუძური,
შიმშილისგან რძე უშრება,
წვის შვილი უსუსური!

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ სხვა თერგდალეულთა თანამშრომლობით რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ დააარსა. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული პრესის ეს ორგანო მხოლოდ ერთ წელს გამოდიოდა, მან დიდი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი აზრის, ანტიბატონყმური იდეოლოგიის ფორმირებაში. „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტებმა მიზნად ხალხის ფართო ფენების ინტერესთა დაცვა დაისახეს და მძაფრად შეუტიეს ბატონყმური წყობილების საფუძვლებს. ამის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია დავით ყიფიანის წერილი — „სხვადასხვა ამბები“, რომელშიც ნათქვამია: საზოგადოების ერთი ნაწილი რომ არ შრომობდეს და სხვისი შრომის ნაყოფს ითვისებდეს, ის სხვისი შრომაც თავისუფალი რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდი იქნება თუ კარგი? ამ კითხვაზე ზოგი შეიძლება შეკრთეს, ვერაფერი თქვას. მე კი მოგახსენებთ, რომ ასეთი მდგომარეობა ორივე მხრისათვის სენია. ჯერ ერთი, მე რომ თავისუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი მქონდეს გაყრილი, ნაყოფიერ შრომას, ცხადია, ვერ შევძლებ. ვერავინ გაიგებს რა ნიჭითა და უნარით ვარ აღჭურვილი. ჩემი სურვილისა და უნარის წინააღმდეგ ბატონმა პურის განიავება რომ დამავალოს, ნახევარ ხორბალს ბზეს გავაყოლებ. ჩემი ბატონი თავის მხრივ დარწმუნებული რომ არ იყოს სხვისი შრომის მითვისების შესაძლებლობაში, თავს გამოიდუბდა და თვითონ იშრომებდა. რა დასკვნა გამოდის აქედან? ჯერ ერთი, ის რომ თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია, მეორე, კი ისა, რომ საზოგადოების ყოველი წევრი უნდა იყოს თავისუფლად მშრომელი, ესაა შრომის მაღალი ნაყოფიერების პირობა. თუ ყველა ადამიანი იშრომებს, საზოგადოებრივი კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იქნებაო. ასე დაახლოებით „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტმა ბატონყმური

ურთიერთობის დრომოჭმულობა, დაიცვა თავისუფალი შრომისა და კაპიტალის წინაშე ადამიანთა თანასწორობის პრინციპი.

ჟურნალი „ცისკარი“, მართალია, კონსერვატიული მიმართულების ორგანო იყო, მაგრამ მასში დაიბეჭდა დ. ჭონქაძის „სურამის ციხეც“ და ანტონ ფურცელაძის რეცენზიაც ამ მოთხრობაზე. ა. ფურცელაძე აღნიშნავს, რომ დ. ჭონქაძის ნაწარმოებმა „ზარი დასცა“ რეაქციონერებს, აღაშფოთა სიძველისა და რუტინის მომხრენი. აამხედრა ისინი ერთნაირი აზრებით განმსჭვალულ მოღვაწეთა წინააღმდეგ. ა. ფურცელაძე პირდაპირ უცხადებდა კონსერვატორებს, რომ მებატონეთა თარეშსა და განუკითხაობას მალე ბოლო მოეღებოდა, მოთმინებიდან გამოსული ქართველი გლეხობა მედგარი ბრძოლით მოიპოვებდა მიწას და თავისუფლებას.

ქვედა ფენების მოძრაობამ, მის საფუძველზე აღმოცენებულმა ანტიბატონყმურმა იდეოლოგიამ ზედაფენების კრიზისი გამოიწვია, გარდაქმნების აუცილებლობის წინაშე დააყენა მთავრობა. აბსოლუტური მონარქიის მესვეურებს აქეთკენვე უბიძგებდა ქვეყნის ჩამორჩენილობიდან გამოყვანის საჭიროება, ეკონომიკური განვითარების ძალა. ეპოქა მოითხოვდა მზარდ კაპიტალისტურ მწარმოებლურ ძალებსა და უკვე დრომოჭმულ ფეოდალურ წარმოებით ურთიერთობებს შორის აღმოცენებულ წინააღმდეგობათა დაძლევას. თვითმპყრობელობას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, კაპიტალიზმის განვითარების მძლავრი ტენდენციისათვის უნდა აეწყო ფეხი, ნაწილობრივ ბაიხც გარდაექმნა რუსეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური სისტემა.

რევოლუციური სიტუაციით შეშინებული ალექსანდრე მეორე გამოდის თავადაზნაურთა კრებაზე და აცხადებს: უმჯობესია ზემოდან გავაუქმოთ ბატონყმობა, არ უნდა დაველოდოთ ამბოხებული გლეხობის მიერ მის ქვემოდან დამხობასო. მალე გაჩაღდა სარეფორმო საქმიანობა ჯერ იმპერიის ცენტრში, ოტა მოგვიანებით კი პერიფერიებშიც

საგლეხო რეფორმის მომზადება რუსეთში 1857 წელს დაიწყო. ჩამოყალიბდა თავადაზნაურთა საგუბერნიო კომიტეტები, რომლებმაც დაიწყეს საჭირო მასალის შეგროვება, განსაზღვრეს მაღალი წოდების თვალსაზრისი ყმა გლეხთა განთავისუფლების პირობების შესახებ.

შეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია სრულ ინფორმაციას ღებულობდა, კარგად იცოდა რა ხდებოდა იმპერიის ცენტრში და თითქოს იგიც შეუერთდა სარეფორმო საქმიანობას. 1858 წ. შეგროვდა ცნობები მებატონეებისა და ყმა გლეხთა რაოდენობის, მხარეთა ურთიერთობის ფორმებზე და სხვა საკითხებზე. ქართველი თავადაზნაურობა

შეშფოთებითა და მტრულად შეხვდა ცნობას ბატონყმობის მოსალოდ-ნელი გაუქმების შესახებ. დარხეული ხმები პირველად დაუჯერებლად მოეჩვენა. მაგრამ როცა მწარე სინამდვილე დადასტურდა, ქართველმა მემამულეებმა, დ. ყიფიანის გადმოცემით, თვალი გაუსწორეს „საზარელს ამ საქმეს", დაიწყეს ერთმანეთს ‘ძორის მოლაპარაკება. მიუხედავად ამისა, დიდი ხნის განმავლობაში თავადაზნაურობა ფეხს ითრევდა, განგებ აჭიანურებდა ამ არასასურველი ღონისძიების განხორციელებას.

ქართველი თავადაზნაურობის უკმაყოფილებამ, მაღალი წოდების ოპოზიციაში ჩადგომის შიშმა მეფისნაცვალი ბარიატინსკი აიძულა დროებით შეეჩერებინა სარეფორმო საქმიანობა და მხოლოდ მაშინ განახლა, როცა რუსეთში საგლეხო რეფორმის გატარება დამთავრდა.

ევროპული რუსეთის გუბერნიებში ბატონყმობა 1861 წელს გაუქმდა. 19 თებერვლის მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე ბარიატინსკიმ ბრძანა თავადაზნაურთა კომიტეტების შედგენა და გლეხთა განთავისუფლების პირობების ჩამოყალიბება, რეფორმის შემდგომი აგრარული ურთიერთობის ნორმების დადგენა. სარეფორმო საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა გლეხთა მომწყობი ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შეიყვანეს მხარის დიდი მოხელეები და თავადაზნაურთა რამდენიმე წარმომადგენელი. გლეხობას, რომლის სახელითაც რეფორმა მზადდებოდა, არავინ არაფერს ეკითხებოდა, გასათავისუფლებელი ყმების არც ერთი წარმომადგენელი, დაბალი წოდების არც ერთი დამცველი შექმნილ კომიტეტებში დაშვებული არ ყოფილა.

ბარიატინსკიმ გამოაცხადა, რომ ბატონყმობის გაუქმების ადგილობრივ დებულებებს საფუძვლად უნდა დადებოდა 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტი და მასზე თანდართული კონკრეტული კანონი. მაგრამ ქართველი თავადაზნაურობა ამის შემდეგაც აგრძელებდა თავისებურ საბოტაჟს, მიუღებლად, საქართველოს პირობებისთვის შეუფერებლად თვლიდა 19 თებერვლის კანონს, უარს ამბობდა აგრეთვე სამაზრო კომიტეტების ჩამოყალიბებაზე. მაღალმა წოდებამ უნდობლობა გამოუცხადა თავის მცირერიცხოვან წარმომადგენლობას, მოითხოვა ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის თავადაზნაურთა საერთო კრებებზე განხილვის ნებართვა. ბარიატინსკი დათმობაზე წავიდა. ადრე განზრახული სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტები არ შექმნა. მიუხედავად ამისა, ერთი წლის განმავლობაში თავადაზნაურთა სამაზრო და საგუბერნიო კრებებს ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია, გლეხთა მომწყობ ცენტრალურ კომიტეტში აგრარული რეფორმის თავისი პროექტი არ წარუდგენია.

რუსეთის იმპერიის მმართველი წრე ქართველ თავადაზნაურობას თავის საყრდენ ძალად თვლიდა მთელ ამიერკავკასიაში და სულაც არ აპირებდა მისი ინტერესების შელახვას. საქართველოს მაღალი წოდების უნდობლობა და შიში რომ გაეფანტა, იმპერატორმა წინასწარ აღუთქვა მას გლეხთა პირადი განთავისუფლების საზღაურად სათანადო თანხის მიცემა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა იმპერიის მასშტაბით. ასეთი საზღაური ცენტრალური რუსეთის თავადაზნაურობასაც კი არ მიუღია.

საქართველოს პრივილეგიური წოდება ამოქმედდა. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ბატონყმობის გაუქმების პროექტის შედგენა თავის ერთგულ, მცოდნე და გამოცდილ წარმომადგენელს დ. ყიფიანს დაავალა. ამ უკანასკნელმა შეადგინა სათანადო კითხვარი, დაუგზავნა იგი მებატონეებს და მოითხოვა პასუხები. დ. ყიფიანთან თანდათან შემოვიდა თავადაზნაურთა წინადადებები. მის განკარგულებაში აღმოჩნდა, კერძოდ, გორის მაზრის 74 მემამულის, თელავის მაზრის 48 მემამულის, სიღნაღის მაზრის 69 თავადაზნაურის—ი. მუხრანბატონის, ტ. ბარათაშვილის, მ. ჯამბაკურ-ორბელიანის, ა. მაღალაშვილის, ზ. რატიშვილის, დ. ციციშვილის, კ. შამაცაშვილის, ი. ანდრონიკაშვილის და სხვ. მემამულეთა ერთმანეთისაგან ზეტნაკლებად განსხვავებული აზრები, რაც საფუძვლად დაედო დ. ყიფიანის მიერ თავადაზნაურთა უმრავლესობის სახელით შედგენილ პროექტს.

1862 წ. 30 აპრილს გაიხსნა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრება. დ. ყიფიანის განცხადებით, აქ ბჭობა იყო „ისეთს საქმეზედ, რომლის უმძიმესი არა თუ ჩვენს ხსოვნაში არა მომხდარა რა ამ მხარეში, მამა-პაპათა გადმოცემითაც არა გვსმენია რა: რა ვქენით და, როგორც საქართველოს შვილებს შეეფერება, ისე აუჩქარებლად, ისე მვდგრად გავუსწორეთ თვალი საქმესა, რომელიც უბედურების გარდა სხვას არარას გვიქადდა საშვილიშვილოდ“. თავადაზნაურთა ლიდერი შემდეგ აღნიშნავს, რომ საქართველოს კეთილშობილთა წოდებას არ გამოუთქვამს გულისწყრომა, სიძულვილი, შიში შეუცნობელი მომავლისადმი და ერთხმად განაცხადა — „მიგვინიჭებია თავისუფლება ყმათა ჩვენთათვისაო“.

ყმა-გლეხთათვის პირადი თავისუფლების მიცემა მებატონეებს არ ეძნელებოდათ, რადგან ამაში დიდ გამოსასყიდს მოელოდნენ. მთავარს, რა თქმა უნდა, მიწის საკითხი წარმოადგენდა, მის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული გლეხთა მომავალის ავ-კარგი.

დ. ყიფიანი თავის მოხსენებაში მოკლედ შეეხო ქართულ ბატონყმობას, აღნიშნა, რომ თავიდანვე ყმა გლეხებს ედო პირადი და საადგილმამულო ბეგარა-გადასახადები. მისი ძალიან გადაჭარბებული გაანგარიშებით პირადი ვალდებულებების საშუალო წლიური ღირებულება კომლზე 148 მანეთს შეადგენდა. ღალა კი ზოგან მოსავლის მეათედი იყო, ზოგან მესამედი. „ეს არის ყოველივე ჩვენი საცხოვრებელი, ამ ორგვარ სარგებლობას გარდა არაფერი მოგვეპოვებაო". ქართველ თავადაზნაურობას არც ვაჭრობა ეხერხება, არც ფაბრიკა-ქარხნები გააჩნია. ბევრი ჩვენგანი ხელმწიფის სამსახურშია, მაგრამ ჯამაგირით ჯერ არავის მოუწყვია ცხოვრება. „ვინ იცის, სამსახურის ხარისხებით რომ ამდენი ვართ აღმატებულნი და ორდენებით შემკობილნი, იქნებ ამიტომაც უფრო გვიჭირს ცხოვრება ღირსების შესაფერი".

ასეთ პირობებში ბატონყმობის გაუქმება, თუ მთავრობა ანგარიშს არ გაუწევდა მაღალი წოდების ინტერესებს და გლეხთა პირადი განთავისუფლების საზღაურად დიდ თანხას არ მისცემდა მას, დ. ყიფიანის აზრით, გააღარიბებდა, ეკონომიურად ძირს დასცემდა თავადაზნაურობას. თავისი ლიდერის პირით აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ ყმების პირადი განთავისუფლებისათვის ყოველ სულზე 100 მანეთი მოითხოვა, რაც უნდა გაეღო არა გლეხობას, არამედ სახელმწიფო ხაზინას. „ხარჯის წაყმევებზე შეწერა ეგოდენვე უსამართლო იქნება, რაოდენ უსამაგიეროდ ჩამორთმევა იმათი ჩვენგანო".

დ. ყიფიანის მოხსენებასა და პროექტში ჩამოყალიბებული იყო თავადაზნაურობის თვალსაზრისი, მისი წინადადებანი მებატონეებისა და განთავისუფლებული გლეხების საადგილმამულო ურთიერთობის ნორმირების თაობაზე. ისინი ღაღადებდნენ: „რაც ახლა ჩვენს მამულზე ჩვენს ყმებს სახლკარობა აქვთ და რაც ჩვენი ადგილმამული უჭირავთ, ან რასაც ჩვენს ტყესა და საბალახოსა ხმარობენ, ყოველსავე ამას მათვე მივუჩემებთ, მხოლოდ პირობითა მით, რომ მიწის შემოსავალს გვაძლევდნენ და ბეგარას ასრულებდნენ ჩვეულებისამებრ". მემამულეთა განცხადებით, პირადი ვალდებულებებისაგან განთავისუფლებულ გლეხობას არ გაუჭირდებოდა საადგილმამულო ვალდებულების მოხდა, „როშელსაც ყოველი თავისუფალი კაცი, კეთილშობილი თუ გლეხი მიწის პატრონისათვის ეწეოდა". პროექტის ციტირებული ადგილებიდან კარგად ჩანს, რომ თავადაზნაურობის სურვილი იყო მიწის მემკვიდრეობით მფლობელი ყმა გლეხები გადაექცია ხიზნებად.

დ. ყიფიანი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ხიზანი გლეხების მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო და ამიტომ ხიზანთა კატეგორია

თანდათან ივსებოდა. „ხიზნობა, — ამბობდა თავადაზნაურთა მეთაური, — ძველი დროიდან არსებობს საქართველოში და არა თუ თავისუფალნი, საბატონო გლეხებიც მრავლად ეტანებიან ამ მდგომარეობას, რადგან საქმით სასარგებლოა ორივე მხარისათვის. სწორედ ამგვარსავე, მაგრამ უკეთეს მდგომარეობაში იქნებიან ყმანიცა ჩვენნი შემდგომ განთავისუფლებისა; უკეთესში იმითი, რომ საუკეთესო მიწები ექნებათ და უეჭველია ამით მოისპობა ჩვენს შორის ყოველი მიზეზი ერთმანეთზე დამდურებისა და ჩვენს საშინაო საქმეებში მმართველობის ყოველდღე ჩარევისა“.

დ. ყიფიანის ვრცელ მოხსენებასთან შედარებით მისივე შედგენილი დებულების პროექტი—„ყმობისაგან გათავისუფლებულ გლეხთათვის თბილისის გუბერნიაში“ — მეტად მოკლეა. მისი ძირითადი მუხლები ასეთი იყო:

1. ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ნებით და საქართველოს თავადაზნაურთა სურვილით, მათი მკვიდრი ყმები განთავისუფლდებიან მებატონეთა დამოკიდებულებისაგან და ყოველ საქმეში ის უფლება მიეცემათ, რაც რუსეთის იმპერიაში თავისუფალ სოფლის მოსახლეს ეკუთვნის.

2. თავისუფალ სოფლის მოსახლეს ნება აქვს თავისუფლად განაგებდეს ოჯახს, ეწეოდეს ვაჭრობას, ხელოსნობას და სხვა საქმიანობას.

3. ბატონყმური დამოკიდებულების ნაცვლად, ამიერიდან მხარეებს შორის დამყარდება ისეთი ნებაყოფლობითი ურთიერთობა, რომელიც ძველი საქართველოს ჩვეულებით ხიზანსა და ჰამულის პატრონს აქვთ.

4. პირადად განთავისუფლებულ და ხიზნების კატეგორიაში გადაყვანილი გლეხების სარგებლობაში დარჩება მიწის ყველა ის ნაკვეთი, რაც მათ გააჩნიათ ბატონყმობის გაუქმების წინ.

დებულების ამ პროექტის თანახმად, განთავისუფლებულ გლეხთა საკუთრებად ჩაითვლებოდა მხოლოდ ის მიწები, რომელზეც მათ გააჩნდათ კანონიერად დამტკიცებული ნასყიდობის სიგელები.

ამგვარად, ქართველი თავადაზნაურობა იმპერატორის ნებას დაემორჩილა, მზად იყო ყმა გლეხებისათვის პირადი თავისუფლება მიეცა. მაგრამ სცადა უშუალო მწარმოებლის უფლების შეზღუდვა მიწაზე. ფეოდალურ საქართველოში ყმა გლეხი მიწაზე მკვიდრად იჯდა, ფეოდალური სამართალი კრძალავდა გლეხის მიწიდან აყრას, მის უმიწოდ გაყიდვას. ხიზნის აყრა კი გაცილებით ადვილი იყო, რადგანაც მას არ ჰქონდა მემკვიდრეობითი მფლობელობის უფლება.

დ. ყიფიანის მიერ შედგენილ პროექტს საგანგებო კრებაზე დამსწრე 552 თავადაზნაურიდან ხელი მოაწერა 536 კაცმა. უმრავლესობის პროექტი 1863 წ. 6 ივლისს გადაეცა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს.

თავადაზნაურთა უმცირესობამ თავისი პროექტი შეიმუშავა, რომელიც 14 კაცის ხელმოწერით იმავე წელს წარუდგინეს გლეხთა მომწყობ მთავარ კომიტეტს. ავტორები, მართალია, აღიარებდნენ გლეხთა უფლებას მოძრავ ქონებაზე, სახლსა და სამეურნეო ნაგებობებზე, ბაღ-ვენახების ნარგავებზე და იმ მიწებზე, რომლებზეც გლეხებს ჰქონდათ კანონიერი ნასყიდობის სიგელები, მაგრამ არსებითსა და მთავარს — მიწის საკითხს მემამულეთა სასარგებლოდ წყვეტდნენ. ისინი მიწის ფონდს აცხადებდნენ მებატონეების შეუზღუდავ საკუთრებად და შეუძლებლად მიაჩნდათ გლეხთათვის ნადელების გადაცემა მუდმივ მფლობელობა-სარგებლობაში იმ მოტივით, რომ მემამულეებს თითქმის აღარაფერი დარჩებოდათ საკუთრებაში. „ჩვენ, — წერდნენ ამ პროექტის ავტორები, — არ უარვყოფთ, რომ გლეხს სჭირია სახნავ-სათიბი ადგილები და სხვა სავარგულები, მაგრამ ყველაფერს ამას ის ადვილად იშოვის თავისუფალი დაქირავების საფუძველზე“. ამდენად, თავადაზნაურობის ერთი ნაწილი გლეხობას სთავაზობდა კაბალური მოიჯარის არასახარბიელო ხვედრს.

სარეფორმო საქმიანობას და ყმა გლეხთა განთავისუფლების პირობათა შემუშავებაში თავადაზნაური ლიბერალებიც მონაწილეობდნენ. მათი გამოსვლების შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ნ. ჭავჭავაძემ, დ. ჯორჯაძემ, ი. ჯორჯაძემ და სხვ. წამოაყენეს გლეხთათვის მიწის გამოსყიდვის უფლების მიცემის წინადადება, რამაც კონსერვატორთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ადგილი ჰქონდა რადიკალურ გამოსვლებსაც. რ. ვაჩნაძემ, დ. ფურცელაძემ და კ. მამაცაშვილმა მოითხოვეს ყმა გლეხთა მიწიანად განთავისუფლება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კონსტანტინე მამაცაშვილის წინადადება. იგი მებატონეებსა და მთავრობას ურჩევდა გლეხთა მიწიანად განთავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა პროლეტარიატი, რომელიც დიდ საფრთხეს შეუქმნისო მშვიდობასა და წესრიგს. კ. მამაცაშვილი, მართალია, განსაზღვრავდა განთავისუფლებულ გლეხთა საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნორმას, მაგრამ ვისაც ფაქტიურად ნორმაზე ნაკლები მიწა ჰქონდა, ან სულ არ გააჩნდა, იმას არ ეპირდებოდა მიმატებას და მიცემას, ხოლო ვისაც ნორმაზე მეტი აღმოაჩნდებოდა, უნდა ჩამორთმეოდა მემამულეთა სასარგებლოდ. კ. მამაცაშვილი საჭიროდ თვლიდა მთა-

ურობას დაუყოვნებლივ მიეცა თავადაზნაურობისათვის მიწის გამოსასყიდი თანხა და ამით ბოლო მოეღო ორი წოდების გამწვავებული ურთიერთობისა და კლასობრივი ბრძოლისათვის. ამ ლიბერალის აზრით, გლეხთა მიწიანად განთავისუფლება მემამულეებისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. ისინი ჩამონაჭრების ხარჯზე გაზრდიდნენ თავიანთი მიწების ფართობს, თანაც მიიღებდნენ დიდ გამოსასყიდს და შესაძლებლობას, რომ ყმის უსასყიდლო, იძულებით შრომაზე დამყარებული მეურნეობა გარდაექმნათ თავისუფლად დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ და უფრო რენტაბელურ მეურნეობად.

გლეხთა მომწყობ ამიერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტში ბარათი ვ. სემიონოვმაც წარადგინა. ამიერკავკასიის ადმინისტრაციის ეს მოხელე მიზანშეწონილად თვლიდა და მთავრობას ურჩევდა დაუყოვნებლივ გადაეყვანა საბატონო და სახაზინო გლეხები სავალდებულო გამოსყიდვაზე, ხაზინას მყისვე მიეცა მემამულეებისათვის გამოსასყიდი თანხა და მომდევნო 30 წლის განმავლობაში თანდათან ამოეღო იგი გლეხობისაგან. მისი აზრით, ამით თავიდან იქნებოდა აცილებული მემამულეებისა და გლეხების ურთიერთობის გამწვავება და აგრარული რეფორმა მშვიდობიანად გატარდებოდა.

მეფისნაცვალმა და გლეხთა მომწყობ ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა სხვადასხვა მოტივით ყველა ზემოთ დახასიათებული პროექტები და ბარათები დაიწუნეს, არასრულად მიიჩნიეს. მაგრამ მთავარმა კომიტეტმა ანგარიში გაუწია მათ, ამ დოკუმენტებში ღაცული მასალა და თვალსაზრისი გამოიყენა უფრო სრული და ყოვლისმომცველი რეფორმის დებულებათა შედგენისათვის. მეფისნაცვალს მიაჩნდა, რომ ცენტრალური კომიტეტის მიერ შედგენილი, 1864 წ. ღამდეგს დასრულებული კანონპროექტი, გლეხთა განთავისუფლების ადგილობრივი დებულება შედგენილი იყო 1861 წ. 19 თებერვლის საერთო სარუსეთო კანონის საფუძველზე და ამიტომ მისაღები უნდა ყოფილიყო როგორც მებატონეების, ისე ყმა გლეხებისათვის. მაგრამ ეს ოფიციალური კანონპროექტი დაიწუნა საქართველოს დემოკრატიულმა ინტელიგენციამ, რომელიც სარეფორმო საქმიანობაში დაშვებული არ ყოფილა.

აღმოსავლეთ საქართველოს მემამულეთა მიწებზე მცხოვრებ გლეხთა საადგილმამულო მოწყობის მთავარი კომიტეტისაგან შედგენილ წინასწარ პროექტზე ნ. ჭავჭავაძის ხელმოწერითა თუ დამოწმებით ორგზის იქნა წარდგენილი შენიშვნები. ერთი დოკუმენტი ისტორიაში შევიდა „კრიტიკული შენიშვნების“, ხოლო მეორე — „საერთო კრიტი-

კული შენიშვნების“ სახელწოდებით. დღემდე გრძელდება კამათი როგორც ამ დოკუმენტთა ავტორის ვინაობის, ისე მათი შინაარსის შეფასების გარშემო. ზოგს „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორად მიაჩნია დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, ზოგს კი თბილისის საოლქო სასამართლოს წევრი ნ. ჭავჭავაძე. ჩვენი აზრით, უფრო დამაჯერებლადაა დასაბუთებული იმ მკვლევართა მოსაზრება, რომელნიც „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორად ი. ჭავჭავაძეს აცხადებენ.

საქართველოს ცენტრალურ არქივში შემორჩენილი „კრიტიკული შენიშვნები“ დათარიღებულია 1864 წ. 6 აპრილით. იგი ეხება დებულების წინასწარი პროექტის თითქმის ყველა მუხლს.

ამიერკავკასიის ადმინისტრაციის მიერ შედგენილი დებულების წინასწარი პროექტის მეხუთე მუხლი ითვალისწინებდა გლეხთა მფლობელობაში არსებული მიწის ფონდის შემცირებას, ჩამონაჭრების მემამულეთა უშუალო განკარგულება-საკუთრებაში გადაცემას. ილია ილაშქრებს ამის წინააღმდეგ და წერს: თუკი სასარგებლოდაა ცნობილი, რომ გლეხი მემამულეზე დამოკიდებული დატოვონ, რაღა საჭიროა მოაკლდეს რამე პირადად განთავისუფლებული გლეხის ნადელს. დაე დარჩეს გლეხობას ყველა ის მიწის სავარგულები, რაც ამჟამად აქვს და ამის მიხედვით გადაუხადოს მემამულეებს ღალა. ეს არც ეავადაზნაურობას დააზარალებს, რამდენადაც რეგულარულ შემოსავალს მიიღებს მიწის რენტის სახით. რაც მთავარია, აღარ მოიშლება გლეხთა საცხოვრებელი და მეურნეობა. ეს კი გლეხთა საკითხის გადაჭრაში მთავარიაო.

დებულების პროექტი საგრძნობლად ზღუდავდა გლეხთა უფლებას საძოვრითა და ტყით სარგებლობის სფეროში. კრიტიკული შენიშვნების ავტორი მოითხოვდა ამ საკითხის გადაწყვეტის დროს დაყრდნობოდნენ ვახტანგის კანონებსა და ძველ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც საქართველოში ყველა ისევე თავისუფლად სარგებლობდა ტყე-საძოვრებით, როგორც ჰაერით. თუმცა გარკვეულ შეზღუდვას მაინც უშვებს, წერს, რომ ტყით გლეხებმა უნდა ისარგებლონ საკუთარი ოჯახის საჭიროების ფარგლებში, მემამულის მიწაზე გასაყიდ ხეტყეს ვერ დაამზადებენო.

წინასწარი პროექტი გლეხთა ეზო-კარმიდამოს მოცულობას 1 დღიურით (0,5 ჰექტარი) განსაზღვრავდა, ზედმეტი უნდა ჩამოჭრილიყო მემამულის სასარგებლოდ. ილია უკანონოდ თვლის ამ ზომას, აცხადებს — ყველა გლეხს ის უნდა დარჩეს, რაც გააჩნია, წინაალმდეგ

ზემოხვევაში გლეხების უკმაყოფილებას და პროტესტს დაიმსახურებთო.

მთავრობის პროექტი უფლებას აძლევდა თავადაზნაურობას, საკუთარი კარ-მიდამოსა და მამულის დამრგვალების მიზნით, სხვაგან გადაეტანა გლეხის სამოსახლო, მოეცვალა სახნავ-სათესი და ვენახი. ყველა ამ მუხლს, — აცხადებდა ილია, — გლეხთა უკმაყოფილება და დავიდარაბა მოჰყვება. ჩემი აზრით არ არსებობსო ერავითარი მიზეზი ხალხის შეწუხების, გლეხთა მამაპაპური ადგილებიდან აყრისათვის. ეს საშიშროებას უქმნის მემამულეს, რომელსაც გლეხობა სამუდამოდ შეიზიზღებს, ეს საშიშია მთავრობისთვისაც: იგი ვერ შეძლებს აღკვეთოს შეხლა-შემოხლა და ბრძოლა, რაც მოჰყვება ხალხის იძულებით აყრას თავისი ბინადრობიდან. გლეხის აყრა-გადასახლების უფლება, ილიას აზრით „ყველაზე საშინელი და ყოვლად გაუმართლებელი უფლება“ იყო იმათგან, რაც მთავრობის კანონპროექტის ძალით მემამულეს ეძლეოდა. ილია მოითხოვს გლეხს მიეცეს უშფოთველ-უდრტვინველად, ძალმომრეობის გარეშე ცხოვრება-საქმიანობის გარანტია, უამისოდ გლეხს არ ექნება თავის მეურნეობის გაუმჯობესების ხალისი. მთელი მისი ცხოვრება იმათ თვითნებობა-ახირებაზე იქნება დამოკიდებული, ვისთანაც იგი სამუდამოდ გადააბით სავალდებულო პირობათა ძალით. ოუ პატივსა სცემთ ადამიანის თავისუფლებას, თუ არ გსურთ ყმა გლეხთა სვე-ბედის ასეთი გადაწყვეტით საშინელი არეულობა გამოიწვიოთ, მოსპეთ ყველა ეს სავალდებულო და იძულებითი გადასახლება, ადგილ-მამულის იძულებითი გაცვლა. ამით თქვენ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებით ჭეშმარიტებას, მაგრამ გლეხთა საკითხის აგრერიგად გადაწყვეტით სრულ სამართლიანობას მაინც ვერ მიაღწევთო.

შემდეგ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი ეხება წინასწარი პროექტის სათანადო ადგილს და წერს, რომ 93, 94, 95 და სხვა დანარჩენი მუხლებითაც „ყველა უფლება მემამულეს ეძლევა, ყველა ვალდებულება კი გლეხს ეკისრება“. გლეხი უფრო ტვირთმძიმე ხდება, ვიდრე ბატონყმობის დროს იყო და ამიტომ შეიძლება სანატრელი გაუხდესო ბატონყმობა. მაგალითისათვის ილია მიუთითებს, რომ წინასწარი პროექტი გლეხს ართმევს თავის სანადელო მიწაზე ნადირობა-თევზაობის უფლებას, რაც წინათ არ იყო შეზღუდული.

წინასწარი პროექტით გლეხს უფლება არ ჰქონდა 9 წლის გასვლამდე მიეტოვებინა ნადელი, სხვაგან გადასახლებულიყო. მეფის მთავრობის კავკასიელი მოხელეები, როგორც ჩანს, გრძნობდნენ, რომ სავალდებულო ურთიერთობითა და მძიმე ღალა-გადასახდელებით შევიწრო-

ებული გლეხები, პირადი თავისუფლების მიღების შემდეგ, მასობრივად დატოვებდნენ სოფლებს, ქალაქებს მიაშურებდნენ და სწორედ ამიტომ დააპროექტეს შემზღუდავი წესები. ამით აღშფოთებული ილია წერს: „როგორ უნდა აიძულო თავისუფალი პირი ის მოიხმაროს, რისი მოხმარებაც არ უნდა? თავისუფლება და კაბალა ერთად ვერ თავსდებიან. ვერ გამიგია რამ აიძულა მთავარი კომიტეტი ასეთი ყოვლად გაუმართლებელი კანონპროექტი შეედგინა. თუ გლეხთა აყრა-გადასახლება აშინებთ, განა არა სჯობს ისე გადაჭრან ბატონყმობის საქმე და განთავისუფლებულ გლეხთა ბედი, რომ ისინი აღარ გახდნენ იძულებული დატოვონ თავისი სამკვიდრო. თუ გლეხისათვის ხელსაყრელი იქნება მემამულის მიწაზე დარჩენა, ის ფეხს არ მოიცვლის, თუ არა და მას ვერაფერი დააკავებს. ისედაც, თუ არ უნდა რისთვის უნდა დავაკავოთ, ვის რა სარგებლობა ექნება აქედან? ეს არავის არგებს და არც მემამულეებს, რომელთა გულის მოსაგებად, ჩანს, შეადგინეს ეს კანონპროექტი. მიეცით გლეხს სრული თავისუფლება, ნუ აიძულებთ იქ იცხოვროს, სადაც არ ეცხოვრება. რისი მაქნისია პირადი თავისუფლება, თუკი გლეხი კიდევ 9 წელიწადს ყმად უნდა დარჩეს? გლეხს, რომელიც პირად თავისუფლებას მიიღებს, იმდენი უფლება მაინც უნდა ჰქონდეს, რომ ეს თავისუფლება სურვილისამებრ, სხვათაგან დამოუკიდებლად მოიხმაროს“.

წინასწარი პროექტი გლეხს ავალდებულებდა, თუ მემამულე მოსთხოვდა აუცილებლად გამოესყიდა ნადელი, მემამულე კი არ იყო ვალდებული შეესრულებინა გლეხის სურვილი ნადელის გამოსყიდვის თაობაზე. ილიას საჭიროდ მიაჩნდა ნადელთა სავალდებულო გამოსყიდვა. თუ ეხლავე არ შეიძლება გლეხს მიეცეს საკუთრება, იმედი მაინც ჩაუსახეთ, რომ მომავალში შეძლებს მის შეძენას. გლეხს ყოველ დროს უნდა შეეძლოს ნადელის გამოსყიდვა. საკუთარი მიწის გარეშე გლეხის ბედი დამოკიდებული იქნება მემამულის თვითნებობაზეო.

მთავარი კომიტეტის პროექტი ვენახებით სარგებლობისათვის გლეხებს აკისრებდა მოსავლის მეოთხედის გადახდას. ილია აღშფოთებული წერს: „საქართველოში სად გაგონილა, რომ ბატონს ყმისაგან ყურძნის მოსავლის ერთი მეოთხედი აეღოს. საკმარისია დაკმაყოფილდეთ მოსავლის ერთი მეექვსედით, თუ გლეხი ვენახისათვის საჭირო ჭიგოს შემამულის ტყიდან ეზიდება და ერთი მერვედი ნაწილით, როცა ამ მასალას სხვაგან შოულობს“.

„კრიტიკული შენიშვნების“ ავტორს არ მოსწონს წინასწარი პროექტით ნავარაუდევი მოძრავი ღალა მოსავლის წილის სახით, რაც მისი

აზრით „საშინელი იარაღი“ იყო გლეხების წინააღმდეგ. თუ წილზე ჭერა დაკანონდა არ შეიძლება მოველოდეთ რომ გლეხს გაუჩნდება მისწრაფება მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ. იმიტომ, რომ როგორც კი იგი თავის ვენახს გააუმჯობესებს, მეტ მოსავალს მიიღებს, მაშინვე ამ მუხლის ძალით კულუხიც გაიზრდება და გლეხი თითქმის ხელცარიელი დარჩება. ილია კანონმდებლებისაგან მოითხოვდა ანგარიში გაეწიათ ხალხის ჩვეულებისათვის, „რომელმაც შეძლო დაეწესებინა მიწით სარგებლობის საზღაურად გადაკვეთილი გამოსაღები“. ხოლო თუ ჩვეულებას უგულებელვყოფთ, „სამუდამჟამო სარგებლობისა და უცვლელი ბეგარის გადახდის პრინციპისაგან უკან დავიხევთ... ეს მიგვიყვანს საშინელ არეულობამდე, რომელსაც მთავრობა ვერ მოაწესრიგებსო“.

„კრიტიკულ შენიშვნებში“ დაწუნებულია მთავრობის პროექტი, რომელიც, ავტორის აზრით, არახელსაყრელი იყო როგორც მთავრობისათვის, ისე მემამულეებისა და გლეხებისათვის. წინადადებას იძლეოდა რეფორმისათვის საფუძვლად დაედოთ აღიარება ორივე მხრის საკუთრების უფლებისა მიწის გარკვეულ ნაწილზე.

ბოლოს ილია ჭავჭავაძე თითქოს რეზიუმეს უკეთებს თავის მსჯელობას და ხაზს უსვამს წინასწარი პროექტის ძირითად ნაკლს, კატეგორიულად უარყოფს დროებით ვალდებულების ინსტიტუტს. „სავსებით ვუარვყოფთ რა სავალდებულო ურთიერთობას, რომლისგანაც ყველა ეს უსიამოვნება იბადება, ვაცხადებ, რომ გლეხთა საკითხის გადაწყვეტა სულ სხვა საწყისს უნდა დაეფუძნოს, სახელდობრ კი გლეხისა და მემამულის მეურნეობის საბოლოო გათიშვის საწყისს; მათ შორის უნდა გაწყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს ერთმანეთთან აკავშირებს. გლეხთა საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა არ იქნება საბოლოო გადაწყვეტა. ეს გაგრძელება იქნება, მხოლოდ შეცვლილი ფორმით, იმავე ბატონყმური მდგომარეობისა, რომლის მოსპობა ღროთა ვითარებაში ისევე აუცილებელი გახდება, როგორც აუცილებელი იყო ძველი ბატონყმობის მოსპობა. მიზანშეწონილია ეხლავე საბოლოოდ გადაწყდეს საკითხი. მოვსპოთ შეხლა-შემოხლა გასათავისუფლებელ და განმათავისუფლებელ წოდებებს შორის, დავადგინოთ მემამულის სავალდებულო დამოკიდებულებისაგან გლეხისა და მისთვის ბოძებული ნადელის საბოლოო გამოყოფის პირობები. ასეთი გამოყოფა უნდა მოხდეს გლეხისათვის განკუთვნილი ნადელის სავალდებულო გამოსყიდვის გზით“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე ამ დოკუმენტში უფრო თავშეკავებულია და მარჯვნივ დგას, ვიდრე პრეზიასა და პუბლიცისტი-

კაში. ეს გასაგებიცაა. მთავრობისათვის რევოლუციური დემოკრატიული მოთხოვნების წარდგენა შეუძლებელიც იყო და არარეალურიც. ილია თავს იზღუდავდა, მიუდგომლად მსჯელობდა, ცდილობდა მის მიერ წამოყენებული კრიტიკული შენიშვნები მისაღები გამხდარიყო პრივილეგიური წოდებისა და მთავრობისათვის და ამ გზით ნაწილობრივ მაინც დაეცვა გლეხობის ინტერესები. დოკუმენტის ავტორი ხშირად ლაპარაკობს გლეხთა უკმაყოფილებაზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე, ხალხის რევოლუციურ პოტენციაზე და ამითაც ცდილობს ზედაფენების დათმობაზე დაყოლიებას, ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხობისათვის შრომისა და ცხოვრების შედარებით უკეთესი პირობების შექმნას.

წინასწარი პროექტისა და 1864 წ. 13 ოქტომბრის დებულებათა შედარება ცხადყოფს, რომ გლეხთა მომწყობმა მთავარმა კომიტეტმა ილიას ზოგი მეორეხარისხოვანი შენიშვნა გაითვალისწინა, ზოგი მუხლი საერთოდ ამოიღო პროექტიდან, ზოგში კი რედაქციული ცვლილება შეიტანა. მაგრამ მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია გაცილებით მეტ ანგარიშს კონსერვატიული თავადაზნაურების მოთხოვნებს უწევდა.

გლეხთა განთავისუფლების წინასწარი პროექტი განიხილეს მთავარი კომიტეტის წევრთა და თავადაზნაურთა მიერ გამოყოფილი ექსპერტების გაერთიანებულ სხდომაზე. ამ ექსპერტთა დიდი ნაწილი დაჯგუფდა ი. მუხრანბატონის გარშემო. მან დაიწუნა 19 თებერვლის კანონის საფუძველზე შედგენილი პროექტი, შოითხოვა ტერმინი — „დროებით ვალდებული გლეხები“ შეცვლილიყო ტერმინით — „მემკვიდრეობითი ხიზნები“. ამით ი. მუხრანბატონი და მთლიანად თავადაზნაურობა ვარაუდობდა შეუზღუდავად შეენარჩუნებინა მიწაზე საკუთრების უფლება, გლეხები არსებითად უმიწოდ გაეთავისუფლებინა. ამასთან, ექსპერტებმა მოითხოვეს გლეხთა ნადელების შეკვეცა იმგვარად, რომ მემამულეების უშუალო განკარგულებაში დარჩენილიყო სახნავ-სათესი მიწების ორი მესამედი.

მემამულეთა დიდი ნაწილი კატეგორიულად აღუდგა წინ მუდმივი, უცვლელი ღალის დაწესებას, რადგან ამით მოიგებდნენ გლეხები და იზარალებდნენ თავადაზნაურნი. ისინი არ სჯერდებოდნენ მოსავლის მეოთხედს, აცხადებდნენ, რომ ნაფუძარი მიწებით სარგებლობის საზღაურად გლეხებმა მოსავლის ნახევარი უნდა გადაიხადონო.

ზემოთ აღნიშნული და ექსპერტთა სხვა შენიშვნების მოსმენის შემდეგ მთავარმა კომიტეტმა გლეხთა განთავისუფლების პროექტი გა-

დაამუშავა. თავადაზნაურთა ბევრი შენიშვნა გაითვალისწინეს, გლეხთა პირადი და საადგილმამულო უფლებები კიდევ უფრო შეკვეცეს და მემამულეთა უფლებების გაფართოება დააფიქსირეს.

1864 წლის 25 ივლისს დამთავრდა გლეხთა განთავისუფლებისა და მიწათმოწყობის პროექტის შედგენა. მეფისნაცვალმა ეს დოკუმენტი პეტერბურგს გაგზავნა და შუამდგომლობა აღძრა უმაღლესი მთავრობის წინაშე მისი დამტკიცების თაობაზე. მიხეილ რომანოვი ხაზს უსვამდა ქართველ თავადაზნაურთა მთავრობის წინაშე დიდ დამსახურებას, ამითაო განპირობებული მათთვის ფულადი საზღაურის მიცემა და სხვა შეღავათები. 1864 წლის 13 ოქტომბერს ალექსანდრე მეორემ მოიწონა კავკასიის ადმინისტრაციის „შემოქმედება" და უმაღლესად დაამტკიცა შემდეგი საკანონმდებლო დოკუმენტები:

1. ბრძანება სენატისადმი ბატონყმური დამოკიდებულებიდან თბილისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების შესახებ.

2. 1861 წლის 19 თებერვლის დებულების დამატებითი წესები თბილისის გუბერნიის ბატონყმობიდან გამოსული გლეხების შესახებ.

3. ადგილობრივი დებულება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მიწებზე მცხოვრებ გლეხთა მიწათმოწყობის თაობაზე.

4. დებულება სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შექმნის, გლეხთა მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების გაღების შესახებ.

5. გარიგების სიგელების შედგენის წესები თბილისის გუბერნიაში.

ამ საკანონმდებლო აქტებში ბევრი მუხლი მაღალფარდოვნად ლაღადებდა გლეხთა თავისუფლებასა და მათთვის იურიდიული პირის უფლების მიცემაზე, პირადი ვალდებულებიდან გამომდინარე საბატონო გადასახადთა გაუქმებაზე, მაგრამ სხვა მუხლები არა მარტო გლეხთა ქონებრივ უფლებას კვეცავდა, არამედ მნიშვნელოვნად ზღუდავდა გლეხთა სოციალურ უფლებებსაც.

თბილისის გუბერნიის გლეხთა მიწათმოწყობის დებულებაში ჩაწერილი იყო, რომ განთავისუფლებულ გლეხობას არსებობის შესანარჩუნებლად, მთავრობისა და მემამულეთა წინაშე თავის ვალდებულებათა შესასრულებლად მუდმივ სარგებლობაში ეძლეოდა გარკვეული ფართობის მიწის ნაკვეთები (ნადელები).

გლეხობას უფლება არ ჰქონდა პირადი თავისუფლების მიღებიდან 9 წლის გასვლამდე უარი ეთქვა ნადელებზე, რადგან ამით დაკარგავდნენ გადახდისუნარიანობას, ზარალს მიაყენებდნენ მთავრობასა და მე-

მამულეებს. სანადელო მიწის გამოსყიდვა გლეხს შეეძლო მხოლოდ მემამულის თანხმობის შემთხვევაში. ასეთ თანხმობაზე კი ბევრი მემამულე, სხვადასხვა მოსაზრებით, უარს ამბობდა, რაც გლეხის თავისუფლების შეზღუდვას მოასწავებდა, მის სამეურნეო საქმიანობას აფერხებდა.

ადგილობრივი დებულების ზოგი მუხლით გლეხებს ნადელებად ეძლეოდა რეფორმამდე მათ სარგებლობაში მყოფი მიწები. სხვა მუხლი ნადელის მაქსიმალურ ზომად კომლზე 10 დესეტინას, მინიმალურ ზომად — 5 დესეტინას აცხადებდა. მაგრამ დებულება ითვალისწინებდა მრავალ გამონაკლისს, რის შედეგადაც გლეხობის მიწათმფლობელობა საგრძნობლად მცირდებოდა. დებულების ერთი მუხლის თანახმად მემამულეს თავის უშუალო განკარგულებაში აუცილებლად უნდა დარჩენოდა სახნავ-სათესი მიწის ნახევარი და ბევრ შემთხვევაში ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ გლეხთა ნადელების შემცირების, ჩამონაჭრების ხარჯზე. დებულების სხვა მუხლი კი მცირემამულიან მებატონეებს (60 ჰექტარამდე მიწის მფლობელთ) სრულიად ათავისუფლებდა გლეხთათვის ნადელის გამოყოფის ვალდებულებისაგან.

თუ მემამულეს საკუთარი ეზო და ბაღი არ გააჩნდა, მას უფლება ჰქონდა დაპატრონებოდა რომელიმე ნაყმევის ეზოსა და ბაღს. მებატონეს იმის უფლებაც ეძლეოდა, რომ გლეხი მამაპაპური კარმიდამოდან აეყარა, სხვაგან გადაესახლებინა და მამული დაემრგვალებინა. მემამულეს არ ევალებოდა ნადელი მიეცა ისეთი გლეხისათვის, რომელსაც რეფორმამდე მიწა არ ჰქონდა.

ადგილობრივი დებულებით განისაზღვრებოდა სანადელო მიწებით სარგებლობისათვის გლეხებზე დაკისრებული ვალდებულებების, ღალისა და კულუხის (იგივე რენტის) ოდენობა. რენტა იყო როგორც ფულადი, ისე პროდუქტადი და ცალკე განისაზღვრებოდა ეზოსა, სახნავ-სათესი მიწისა და ვენახისათვის. საკარმიდამო მიწის რენტა გლეხებს ფულით უნდა დაეფარათ, ხოლო სახნავ-სათესი მიწისა და ბაღ-ვენახისა ძირითადი პროდუქტებით, მოსავლის მეოთხედის ოდენობით. სათიბიდან გლეხებს მემამულისათვის მოთიბულის მესამედი უნდა მიეცათ.

ადგილობრივმა დებულებებმა დააკანონა, ერთი მხრივ, გლეხთა სარგებლობაში არსებული მიწების თითქმის ერთი მესამედით შემცირება; ხოლო მეორე მხრივ მიწის რენტის გადიდება. თუ რეფორმამდე ღალის ოდენობა მერყეობდა მოსავლის ერთი შეათედიდან ერთ მეხუთედ ნაწილამდე, ხოლო კულუხი ერთი მეშვიდედიდან ერთ მეხუთედამდე, რეფორმის შემდეგ ორივე სავარგულზე დაწესდა მოსავლის მეო-

თხედი. ამდენად, თავადაზნაურობამ გლეხთა პირადი ვალდებულებების გაუქმებისათვის საზღაური გლეხობისაგანაც აიღო და მთავრობისგანაც, აგრარული რეფორმის გატარებით ზარალი არ განუცდია.

აღმოსავლეთ საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადება-გატარების შედეგად, დასავლეთ საქართველოში ანალოგიური მუშაობა გაადვილდა და დაჩქარდა. აქაც შემუშავდა ძირითადი დებულების დამატებითი წესები, რომელშიც აისახა ამ მხარის ცალკეული კუთხეების ბატონყმურ-აგრარული წყობის თავისებურებანი. იმპერატორმა იმერეთ-გურია-რაჭისათვის ბატონყმობის გაუქმებისა და გლეხთა მიწათმოწყობის დებულება დაამტკიცა 1865 წ. 13 ოქტომბერს, სამეგრელოსათვის— 1866 წ. 1 დეკემბერს, აფხაზეთისათვის — 1870 წ. 8 ნოემბერს, სადადეშქელიანო სვანეთისათვის — 1871 წ. 8 ოქტომბერს.

დასავლეთ საქართველოს მებატონეები ბევრს ლაპარაკობდნენ თავის გაჭირვებასა და მცირემიწიანობაზე, ყოველნაირად ცდილობდნენ გლეხთა მიწათმფლობელობის შემცირებას და მათ საადგილმამულო ვალდებულებების გადიდებას. მთავრობამ ანგარიში გაუწია პრივილეგიური წოდების სურვილებს. მაქსიმალურად დაიცვა მისი ინტერესები. მაგრამ იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და რაჭისათვის შედგენილი გლეხთა განთავისუფლება — მიწათმოწყობის დებულებანი არსებითად იმეორებდა 1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებას, უშვებდა მხოლოდ იმ გამონაკლისებს, რაც ქუთაისის გუბერნიის თავისებურებამ მოითხოვა.

განსხვავება იმაში გამოიხატა, რომ ქუთაისის გუბერნიაში საგლეხო ნადელის გაცილებით ნაკლები ნორმა დაწესდა (უმაღლესი 5 ჰა, უმცირესი—2 ჰა). მაგრამ ამ მაქსიმუმსა და მინიმუმს არსებითად ანგარიში არ ეწეოდა. რადგან დებულების სხვა მუხლები მცირე მიწიან მემამულეს ათავისუფლებდა არა მარტო აღნიშნული ოდენობის ნადელების გამოყოფის, არამედ საერთოდ გლეხთათვის ნადელის მიცემის ვალდებულებისაგან. ვისაც ეს ევალებოდა, რენტის მაღალი განაკვეთის დაწესებით ცდილობდა კომპენსაციის მიღებას, მოითხოვდა მიწით სარგებლობის საზღაურად მოსავლის მესამედს და ნახევარსაც კი, მაგრამ მთავრობამ ვერ გაბედა გლეხთა ესოდენ მძიმედ დაბეგვრა და დასავლეთ საქართველოშიც მოსავლის მეოთხედი დააწესა. გამონაკლისი დაუშვა მხოლოდ მაღლარი ვენახებისათვის, რომლით სარგებლობისათვის გლეხობას მოსავლის მესამედის გადახდა დააკისრა.

რუსეთის ცარიზმი კარგა ხანს უარყოფდა სომხეთ-აზერბაიჯანსა და საქართველოს გამაჰმადიანებულ რაიონებში ბატონყმობის არსებობას,

არ სცნობდა ბეგ-აღალარებისა და მელიქების საკუთრების უფლებას მიწაზე. მეფის მთავრობას ამით სურდა გაეადვილებინა სახაზინო მიწის ფონდის შევსება. მხოლოდ 1847 წ. პოლიტიკური მოსაზრებით, მუსლიმანური მაღალი წოდების გაერთგულების მიზნით, მეფისნაცვლის ვორონცოვის შუამდგომლობის თანახმად ბეგ-აღალებსა და მელიქებს დასახლებულ მამულებზე მიანიჭეს აზნაურული უფლებები. ამ მიწებზე მცხოვრებ გლეხებს ფორმალურად სახელმწიფო მოსახლეები უწოდეს. მაგრამ ფაქტიურად უშუალო მწარმოებელთა ეს მასა მოექცა მემამულეების დამოკიდებულებაში.

აღნიშნულ კატეგორიის გლეხთა მიწათმოწყობისათვის შეადგინეს სპეციალური დებულება, რომელიც იმპერატორმა 1870 წ. 14 მაისს დაამტკიცა. აგრარული რეფორმის ამ ვარიანტის მიხედვით მუსლიმან მემამულეთა და სომეხ მელიქთა მამულებში მცხოვრებმა გლეხებმა მიიღეს სახნავ-სათესი მიწით მუდმივად სარგებლობის უფლება. ტყე და საძოვარი არ შესულა ნადელთა შემადგენლობაში. ამ სავარგულებით სარგებლობის თაობაზე გლეხებს განსაკუთრებული ხელშეკრულება უნდა დაედოთ მემამულეებთან. სანადელო მიწით სარგებლობის საზღაურად გლეხებს დაეკისრათ მოსავლის მეათედის გადახდა და ამის გარდა ყოველ დესეტინაზე 15 კაპიკი (ფულად). ეს წესები გავრცელდა სომხეთსა და აზერბაიჯანზე, აგრეთვე საქართველოს იმ რაიონებზე, სადაც თურქულ-სპარსული მიწათმფლობელობის ფორმები იყო შემოსული (ახალციხის მაზრა, ბორჩალოსა და თბილისის მაზრის ზოგიერთი სოფლები).

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციისათვის მალე ცნობილი გახდა, რომ ახალციხის მაზრის დამოკიდებულ გლეხთა ერთი ნაწილი ცხოვრობდა იმ პირთა მიწებზე, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ პრივილეგიურ წოდებას და ამიტომ რუსეთის კანონების თანახმად, არ ჰქონდათ დასახელებული მამულების ფლობის უფლება. ამ კატეგორიის მფლობელთა მიწებზე აღმოჩნდა 1730 კომლი გლეხი. მათი მიწათმოწყობისათვის შეადგინეს 1870 წ. დებულების დამატებითი წესები, რომელიც დამტკიცდა 1877 წ. სექტემბერში. ამ წესებმა არაპრივილეგიურ მფლობელთა მამულებში მცხოვრები გლეხები შედარებით უკეთეს პირობებში მოაქცია. მათ, გამოსყიდვის გარეშე, საკუთრებაში დაუმტკიცდა ეზოები. გლეხთა მუდმივ სარგებლობაში დარჩა ყველა ის მიწები, რასაც დამატებითი წესების დამტკიცებამდე ამუშავებდნენ. თუ მხარეთა შორის ნებაყოფილობითი შეთანხმება ვერ მოხერხდებოდა, მომრიგებელ შუამავალს გლეხთა ღალა-გადასახდელი უნდა განესაზღვრა მოსავლის მეათედის ოდენობით.

ბატონყმური ინსტიტუტების სუსტად განვითარების გამო, მუსლიმანური რაიონების მემამულეებს გაცილებით ნაკლები უფლება ჰქონდათ უძუალო მწარმოებელ მასაზე. ამით იყო განპირობებული ის, რომ რეფორმის შემდეგ ამ რაიონთა გლეხობა შედარებით უკეთეს უფლებრივ-ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული რაიონების გლეხობასთან შედარებით.

აგრარული რეფორმა არ შეხებია საეკლესიო, სახელმწიფო და ხიზან გლეხებს. საეკლესიო გლეხები, მართალია, მალე ხაზინის უწყებაში გადაიყვანეს. მაგრამ ამას მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა თითქმის არ შეუცვლია. ხიზნების მდგომარეობა კი არა თუ გაუმჯობესდა, გაუარესდა კიდეც.

საქართველოში აგრარული რეფორმის შედეგად მებატონეთა დამოკიდებულებიდან განთავისუფლდა სულ 82680 კომლი, დაახლოებით 0.5 მლნ სული ყმა გლეხი. უდავოა ყმა გლეხთა მიერ პირადი თავისუფლების მიღება დადებითი მოვლენა იყო და ძირითადად ამით განისაზღვრა გატარებული რეფორმის პროგრესული მნიშვნელობა. მაგრამ პირადი თავისუფლება არ კმაროდა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ზედაფენების მიერ გატარებული აგრარული რეფორმის ერთი ძირითადი ნაკლი ის იყო, რომ მან გლეხობას მიწა მისცა არა საკუთრებად, არამედ მუდმივ მფლობელობა-სარგებლობაში. ვიდრე ნაყმევი ამ მიწას არ გამოისყიდდა, მანამდე იგი დროებით ვალდებულ გლეხად ითვლებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების სიგელების შედგენის პროცესში გლეხობას წაართვეს რეფორმამდე მათ სარგებლობაში მყოფი მიწის თითქმის მესამედი.

თბილისის გუბერნიის ყმა გლეხები (17261 კომლი) რეფორმამდე 8.1 ათას ჰა მიწას ფლობდნენ, რეფორმის შემდეგ მათ სარგებლობაში დარჩა 55 ათასი ჰა. კომლზე საშუალოდ 3,9 ჰა. თბილისის მაზრაში გლეხებმა ჩამონაჭრების სახით დაკარგეს თავის სამფლობელო სახნავ-სათესი მიწის 50,8%, გორის მაზრაში—45%, დუშეთის მაზრაში—22%, სიღნაღის მაზრაში—36%, თელავის მაზრაში—7,8%.

ცალკეული სოფლების ეროებით ვალდებულმა გლეხებმა ჩამონაჭრების სახით ამ საშუალო მოცულობაზე გაცილებით მეტი მიწა დაკარგეს. თბილისის მაზრის სოფ. კოდაში თავადმა ალექსანდრე საგინაშვილმა თავის 7 კომლ გლეხს 53 ჰა სამფლობელო მიწიდან ნადელის სახით დაუტოვა მხოლოდ 13 ჰა. იმავე სოფელში ელენე ერისთავმა თავის 10 კომლ გლეხს 91 ჰა მიწიდან ნადელის სახით გამოუყო მხოლოდ 6 ჰა. სოფ. გო-

უბანში ორბელიანმა 24 კომლ გლეხს 159 ჰა მიწიდან სარგებლობაში დაუტოვა 60 ჰა. სოფ. მუღანლოში დ. ჭავჭავაძის 71 გლეხს რეფორმამდე 2 ათასი ჰა მიწა ჰქონდა, რეფორმის შემდეგ მათ სარგებლობაში დარჩა 180 ჰა. სოფ. სადახლოში ი. მელიქიშვილის 57 გლეხი ფლობდა 800 ჰა მიწას, რეფორმის შემდეგ მათ ნაგელად დარჩა 227 ჰა.

გორის მაზრის სოფ. კარალეთში ერისთავის 44 კომლი გლეხი რეფორმამდე 268 ჰა სახნავ-სათეს მიწას ფლობდა, რეფორმის შემდეგ მათ ნაგელთა სახით შერჩა 78 ჰა. სოფ. ბევერაში თავად ი. აფხაზის 4 კომლი გლეხი ბატონყმობის გაუქმებამდე სარგებლობდა 7 ჰა მიწით, რეფორმის შემდეგ მათ დარჩათ 1.6 ჰა. იმავე სოფელში ჯავახიშვილის 4 კომლი გლეხი რეფორმამდე ფლობდა 9 ჰა მიწას, რაც მთლიანად მემამულემ დაისაკუთრა. სოფ. მერეთში მიწა მთლიანად დაკარგა 34 გლეხმა.

ასე და ამგვარად, „გამანთავისუფლებელმა" რეფორმამ ბევრი გლეხი მთლიანად გაანთავისუფლა წარმოების ძირითადი საშუალებებისაგან. შინაყმები, ქალაქს წასული გლეხები და ხიზნები არც რეფორმამდე ფლობდნენ მიწებს და არც მის შემდეგ მიიღიათ იგი. მათი რიცხვი კი 8 ათასს აჭარბებდა. აღმ. საქართველოში უმიწოდ დარჩა 5 ათასი კომლი (20 ათასი სული) გლეხი.

აგრარული რეფორმის გატარების პროცესში დიდად დაზარალდნენ დასავლეთ საქართველოს დროებით ვალდებული გლეხებიც. მათ ნაგელებად გამოუყვეს: შორაპნის მაზრაში კომლზე 2.7 ჰა, რაჭაში — 1,9 ჰა, გურიაში — 1,3 ჰა, ლეჩხუმში—2 ჰა მიწა. დასავლეთ საქართველოში სრულიად უმიწაწყლოდ დარჩა 6 ათასი კომლი (25 ათასი სული) გლეხი.

მეფის მთავრობისა და მემამულეების მიერ გატარებული საგლეხო რეფორმა თავიდანვე მოექცა კრიტიკის ცეცხლში. ამ მოვლენის თანადამსწრე ნ. ნიკოლაძემ 1865 წ. გერცენის „კოლოკოლში" გამოაქვეყნა სტატია—„გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", ახალგაზრდა პუბლიცისტი მკაცრად დაეხსა თავს რეფორმატორებს (მათ მიერ შედგენილ კანონ-დებულებას), რომლებმაც ყველა უფლება-პრივილეგია მემამულეებს უბოძეს, ყველა მოვალეობა კი განთავისუფლებულ გლეხებს დააკისრეს. „კაცმა რომ იკითხოს, — წერდა ნ. ნიკოლაძე „—სადაა აქ ბატონყმობის მოსპობა? ცარიელი სიტყვით შეგიძლიათ ბევრი რამე ილაქლაქოთ, მაგრამ თქვენს სიტყვებს ვინ რას დაუჯერებს, როცა საქმე არ აგვირგვინებს მას. აბა სადაა გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება? საკმარისია ოღნავ ჩაუფიქრდეს კაცი თქვენს კანონმდებლობებს, რომ

ცამდე აიყვანოს ძველი ბატონყმობა... ერთი გვითხარით თუ ღმერთი გწამთ, მოეპოვებათ თუ არა რაიმე აზრი თქვენს ეგრეთ წოდებულ რეფორმას. როდესაც მემამულეს გლეხობის მთელი მიწის მესაკუთრედ აცხადებთ, როდესაც გლეხს წინანდელზე უარესად აბამთ მიწაზე, როდესაც, ბოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაჭრას გლეხს მისი მიწის ნახევარი, როდესაც გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, ტყე და თითქმის ჰაერიც კი. რაღა შეადგენს თქვენი რეფორმის შინაარსს"? ყოველივე, ამის გამო წერილის ავტორი გაოცებას გამოთქვამდა, რომ მელანმა აიტანა და სირცხვილისაგან არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა სიყალბისა და მძარცველობის ეს დაკანონება.

ვ. ი. ლენინის აზრით საგლეხო რეფორმა იყო გლეხობის ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა სოფლის უშუალო მწარმოებელი მასის მიმართ „მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას". მიუხედავად ამისა, ლენინი რეფორმას თვლიდა ფეოდალურ და კაპიტალისტური ფორმაციების წყალგამყოფად. და მართლაც რეფორმამ შექმნა რა პირადად თავისუფალი, საწარმოო საშუალებებისაგან მნიშვნელოვანწილად გაძარცული ხალხის მასა, პირობები მოამზადა კაპიტალიზმის გაბატონებისათვის.

დროებითი ვალდებულების ინსტიტუტის და აგრარული ურთიერთობების სხვა კაბალური ფორმების შემორჩენის საფუძველი იყო მიწის საკუთრებაზე მემამულეთა კლასის მონოპოლია, რაც აგრარულმა რეფორმამ ხელუხლებელი დატოვა. მემამულეთა უშუალო განკარგულებაში მყოფი მიწები ჩამონაჭრების წყალობით კიდევ უფრო გაიზარდა. თავადაზნაურობას არც გლეხთათვის პირადი თავისუფლების მინიჭებით განუცდია დიდი ზარალი. ამის საზღაურად მათ მიიღეს მამაკაცის ყოველ სულზე 25—50 მანეთი. მთლიანად 7 მლნ მანეთი. ზოგმა მემამულემ ერთდროულად მიიღო 10—15 ათასი მანეთი. ეს თანხა და დამატებით გლეხთა სანადელო მიწების ყოველწლიური რენტა საკმარის საფუძველს ქმნიდა მეურნეობის კაპიტალისტურად გარეშექმნისათვის, მაგრამ რაციონალიზატორ მემამულეთა რიცხვი შედარებით ნელა იზრდებოდა.

მიწის საკუთრების მონოპოლია საშუალებას აძლევდა თავადაზნაურობას ძველი წესით განეგრძო მეურნეობა. გლეხობის დიდი ნაწილის უმიწაწყლობისა და მცირემიწიანობის პირობებში მეტად ხელსაყრელი გახდა მიწის იჯარით გაცემა. მემამულურ მეურნეობაში კი „მიწის იჯარით გაცემას საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს: ხან ეს არის მეურნეობის გადაცემა სხვა პირისათვის და სამაგიეროდ რენტის მიღება, ხან კი არის

საკუთარი მეურნეობის წარმართვის წესი, მუშახელით მამულის უზრუნველყოფის საშუალება"[1].

ქართველი მემამულეები მიწის იჯარით ორივე მიზანს აღწევდნენ. მაგრამ უმრავლესობა ერიდებოდა საკუთარი მეურნობის მოწყობის სიძნელეებს და მიწის რენტით ცხოვრებას ამჯობინებდა. მათ ჩამონაჭრებიც გლეხებს დაუტოვეს საიჯარო სარგებლობაში და სხვა სავარგულებსაც მათ კე აძლევდნენ იჯარით.

60-იანი წლების რეფორმამ, მართალია, საფუძველი ჩაუყარა გლეხობისა და მემამულეთა კლასის საადგილმამულო გამიჯვნას, გლეხური მეურნეობის დამოუკიდებლობას, მაგრამ უშუალო მწარმოებლის განთავისუფლების დიდი საქმე ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. ნადელების გამოსყიდვამდე გლეხთა მიწის იურიდიულ მესაკუთრედ მემამულე რჩებოდა, რაც საშუალებას აძლევდა მას შეეკვეცა განთავისუფლებული გლეხის უფლებები, ეკონომიკურად დაექვემდებარებინა გლეხის მეურნეობა. მთავრობის დახმარებისა და მიწის საკუთრების მონოპოლიაზე დაყრდნობით, თავადაზნაურობამ გლეხობას დააკისრა მძიმე საადგილმამულო ვალდებულებანი.

XIX ს-ის 70-იან წლებში, მეფისნაცვლის კანცელარიის გაანგარიშებით, საქართველოს დროებით ვალდებული გლეხები ერთ ჰექტარ სანადელო მიწაზე იხდიდნენ 9 მანეთს. სულ კი 262 ათასი ჰა მიწით სარგებლობისათვის 2.4 მლნ მანეთს. ამის გარდა გლეხები საძოვრებით სარგებლობისათვის მემამულეებს აძლევდნენ ე. წ. „საბალახოს", ტყით სარგებლობისათვის გარკვეულ თანხას. ორივე ერთად კომლზე საშუალოდ შეადგენდა 5 მანეთს, სულ კი 438 ათას მანეთს.

დროებით ვალდებული გლეხები მიწის რენტას იხდიდნენ აგრეთვე ნადელგარეშე მიწებით სარგებლობისათვის. აქ ძირითადი იყო ჩამოჭრილი ნაკვეთები, ორმხრივი შეთანხმებით იხდევდ გლეხთა სარგებლობაში რომ დარჩა, მაგრამ გადიდებული ღალის გადახდის პირობით. თუ სანადელო მიწებში გლეხები მოსავლის მეოთხედს აძლევდნენ ნაბატონარს, ჩამოჭრილი მიწებით სარგებლობისათვის იხდიდნენ მოსავლის მესამედსა და ნახევარს. ამას ემატებოდა სხვადასხვა ძღვენი, რასაც დებულება მართალია კრძალავდა, მაგრამ მემამულეები ახერხებდნენ ამ ძველი „ჩვეულება- ტრადიციის" შენარჩუნებას.

ამგვარად, დროებითვალდებულება, შეიძლება ითქვას, იყო ბატონყმობის ნაირსახეობა, რომელმაც ძალიან მალე გლეხთა სიძულვილი და პროტესტი გამოიწვია.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, 1948, გვ. 218.

თავი V

გლეხთა მოძრაობა XIX ს. 60-70-იან წლებში

აგრარულ რეფორმას გლეხური უწოდეს, მაგრამ იგი მაქსიმალურად იცავდა მემამულეთა ინტერესებს დროებითვალდებულ გლეხთა ხარჯზე. დებულების თანახმად, აგრარული ურთიერთობის ფორმები მემამულეთა და გლეხთა „ნებაყოფლობითი“ შეთანხმებით და მომრიგებელ შუამავალთა აქტიური მონაწილეობით უნდა განსაზღვრულიყო. ეს შეთანხმება იწერებოდა განსაკუთრებულ დოკუმენტში, რომელსაც გარიგების სიგელი ეწოდებოდა.

გარიგების სიგელში აღინიშნებოდა დროებითვალდებული გლეხისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთის (ნადელის) ოდენობა, ჩამოჭრილი მიწის ფართობი. იქვე ფიქსირდებოდა გლეხის საადგილმამულო გადასახდელის ფორმა და მოცულობა.

მემამულეებს დაევალა გლეხებთან შეთანხმებით გარიგების სიგელთა შედგენა დაემთავრებინათ რეფორმის გამოცხადების ორი წლისთავზე. ორივე მხარის ხელმოწერილ სიგელს მომრიგებელი შუამავალი ამტკიცებდა. ხოლო გლეხთაგან ხელმოუწერელ სიგელებს საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საგანგიოს უგზავნიდა. ეს უკანასკნელი გლეხების „დამუშავებისათვის“ ქმნიდა დროებით კომისიას. თუ დროებით ვალდებული გლეხი განმეორებით იტყოდა უარს სიგელის ხელმოწერაზე, ეს დოკუმენტი მის გარეშეც შედიოდა ძალაში და ორივე მხარეს იქ ჩაწერილი პირობები უნდა დაეცვა.

გარიგების სიგელთა შედგენის დროს მემამულეები გლეხთა დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ამიტომ, საკმარისი არ აღმოჩნდა ორწლიანი ვადა. ამ დოკუმენტების შედგენა-დამტკიცება ოთხი წლის თავზეც არ იყო მთლიანად დამთავრებული.

1868 წლის ოტომბრისათვის აღმოსავლეთ საქართველოში შეადგინეს 2360 გარიგების სიგელი, რომელიც ეხებოდა თავადაზნაურთა 3015 მამულს და 48675 სულ დროებითვალდებულ გლეხს. დიდი დავა-კამათის შემდეგ გლეხებმა ხელი მოაწერეს 2056 სიგელს, ხოლო 304 სიგელი დაიწუნეს — ხელმოუწერელი დატოვეს. მემამულეთა თვითნებობას არ დაემორჩილა 4871 გლეხი.

კიდევ უფრო დაძაბულად მიმდინარეობდა გარიგების სიგელთა შედგენა დასავლეთ საქართველოში. აქ მხარეების დიდ დავას ჰქონდა ად-

გილი ნადელებისა და ჩამოჭრილი მიწების განსაზღვრის დროს. მეფის ნაცვლის განკარგულებით 1867 წ. ქუთაისის გუბერნიის ოზ მაზრაში გაიგზავნა საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საგანგიოს მოხელენი და მიწისმზომელთა ჯგუფი. მათ დაევალა ადგილზე გაერჩიათ სადავო საქმეები, ხელმეორედ გადაეზომათ სადავო ნაკვეთები, რაც შეიძლება დაეჩქარებინათ გარიგების სიგელთა შედგენა-დამტკიცება. ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციის მოხელეებმა ამ დაჩქარებას იმით მიაღწიეს, რომ არ ელოდებოდნენ მემამულეთა და გლეხთა მორიგებას, თვით ადგენდნენ გარიგების სიგელებს და მხარეების თანხმობის გარეშე ამტკიცებდნენ კიდეც. 1868 წ. ივლისამდე დასავლეთ საქართველოში შედგენილ-დამტკიცებულ იქნა 5516 გარიგების სიგელი.

გარიგების სიგელების შედგენის პროცესში მემამულეთა და გლეხთა ანტაგონიზმი ჩვეულებრივზე მეტად გამწვავდა, აგრარულმა მოძრაობამ საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო. მთავრობისა და მემამულეებისაგან დაჩაგრულ დაბალ მასას ხელმძღვანელები და მეთაურებიც აღმოუჩნდა. თითქმის ყოველ დიდ სოფელში იყო თითო-ოროლა განათლებული, სოციალური უსამართლობისადმი სიძულვილით განმსჭვალული ადამიანი, რომელნიც თვალს უხელდნენ გლეხებს, განუმარტავდნენ მათ ზედაფენების მიერ გატარებული რეფორმის მძარცველურ ხასიათს, მოუწოდებდნენ არ დამორჩილებოდნენ მემამულეებს, ხელი არ მოეწერათ ძალადობისა და მძარცველობის დამაკანონებელ გარიგების სიგელებზე.

მთავრობის მოხელეებს შეუმჩნეველი როდი დარჩათ წამქეზებელთა და აგიტატორთა საქმიანობა. ერთ-ერთი მათგანი მეფის ნაცვალს აცნობებდა, რომ რეფორმის წარუმატებლობის მიზეზია ამ ნახევრად განათლებულ ადამიანთა მოქმედება, მათი მისწრაფება, უკმაყოფილება და მღელვარება გამოიწვიონო ხალხის ფართო მასაში. ეს მოხელეები გლეხთა ინტერესების დამცველ ადამიანებს „საეკვო პირებს“, „ბოროტ საქმეთა წამქეზებლებს“, „მშვიდობისა და წესრიგის მტრებს“ უწოდებდნენ. სწორედ მთავრობის წინააღმდეგ განწყობილი „ეოუსვენარი ადამიანების“ ჩაგონებით ამბობენო გლეხები უარს მემამულეებთან მორიგეობაზე, გარიგების სიგელების ხელმოწერაზე. ასეთი პირების მავნე მოღვაწეობა, მემამულეებისა და გლეხების ურთიერთობაში მათი არამკითხე ჩარევა იყო მაზრის უფროსების აზრით, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მიზეზი.

გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს მებატონეთა წინააღმდეგ ბრძოლის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. მეფის მთავრობის კავკასიის მოხელეთა ოფიციალურ მიმოწერიდან ჩანს, რომ ყინწვისელი საკაშვილი

რეფორმამდე კარგა ხნით ადრე ეწეოდა ანტიბატონყმურ აგიტაციას და ამისათვის საპატიმროშიც იჯდა. არც ყმობიდან გახთავისუფლებისა და დროებით ვალდებულების უღელში გაბმის შემდეგ შეუწყვეტია ამ გათვითცნობიერებულ გლეხს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა. სააკაშვილი თანასოფლელებს მოუწოდებდა არ დამორჩილებოდნენ მემამულეთა თვითნებობას. უარი ეთქვათ გარიგების სიგელთა ხელმოწერაზე, არ დაეთმოთ თავის ოფლით განოყიერებული ნაყიდი მიწები, რომელთა მითვისებასაც მთავრობის დახმარებით ცდილობდნენ მემამულეები.

თბილისის მაზრის სოფ. გერანში დროებითვალდებულების დაწესების წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა მთავრობის მოხელეთა მიერ „მეამბოხე გლეხად“ წოდებული არსენ ასლამაზიშვილი. 1866 წ. იანვარში აღნიშნულ სოფელს ესტუმრა მომრიგებელი შუამავალი, შეკრიბა გლეხები და ახსნაგანმარტებას აძლევდა აგრარული რეფორმის დებულებათა შესახებ. არსენ ასლამაზიშვილი არ შეუშინდა პოლიციელთა რაზმს, სასტიკად გააკრიტიკა შუამავლის მიერ ჩამოტანილი დებულების ტექსტი, გლეხებს მოუწოდა არ დათანხმებოდნენ მემამულეთა მოთხოვნებს, ხელი არ მოეწერათ გარიგების სიგელზე, უარი ეთქვათ ღალა-კულუხის გადახდაზე. არსენ ასლამაზიშვილი გლეხებს არწმუნებდა, რომ მიწით სარგებლობის საზღაურად მოსავლის მეოთხედის გადახდა მემამულეთა გამონაგონია. ჭეშმარიტ საგლეხო დებულებაში, რომელიც მოხელეებმა დამალეს, სულ სხვა რამ სწერიაო. მომრიგებელმა შუამავალმა მყისვე დააპატიმრა თავხედი და მეამბოხე გლეხი. როცა არსენ ასლამაზიშვილი შებოჭეს და საპატიმროსაკენ გაუყენეს გზას, მან კიდევ მოასწრო თანასოფლელებთან გამოლაპარაკება, მოუწოდა გლეხებს მემამულეებისათვის არ ღალომოთ, უარი ეთქვათ გადასახადების გაღებაზე.

დიდი სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის სეხნია და საქმის გამგრძობი არსენ ასლამაზიშვილი მთავრობამ სასტიკად დასაჯა, დიდი ხნით ეადაასახლა ტამბოვის გუბერნიაში.

გორის მაზრის სოფელ გორგაშენში ძმები გურაშვილები თავკაცობდნენ. მათ მიუღებლად, გლეხთა ინტერესების შემლახველად მიაჩნდათ რეფორმის დებულება და მეზობლებს გულახდილად ესაუბრებოდნენ ამაზე, ურჩევდნენ გლეხებს უარი ეთქვათ ადგილობრივი დებულებით დაკისრებულ ღალა-გადასახადებზე. გორის მაზრის ადმინისტრაცია „წამქეზებელთა“ რიცხვში ასახელებდა აგრეთვე სოფ. ფორმისის მკვიდრ გლეხებს ჯიტაშვილსა და ქეხოშვილს. რომელნიც კარდაკარ დადიოდნენ, „სხვადასხვა დაუჯერებელ ხმებს ავრცელებდნენ“, აცხადებდნენ, რომ გლეხები ძალიან ბევრს აკეთებენ მთავრობისა და მემამულეების გასამდიდრებლად და ძალიან ცოტას თავის საზოგადოების საჭიროებისათვის. მოუწო-

ლებდნენ თანამეამულეებს, არ დამორჩილებოდნენ ადგილობრივ მოხელეებს, რომელნიც მხოლოდ მემამულეთა ინტერესებს იცავდნენ და სოფელს უკანონო მოთხოვნებს უყენებდნენ.

სენაკის მაზრაში დროებითვალდებულ გლეხთა ერთ-ერთი თავკაცი და უსამართლობის წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლი იყო ნიკო გრიგოლია. შორაპნის მაზრაში პროტესტანტულად განწყობილი გლეხები შემოკრებილი იყვნენ ლომიძეების გარშემო. გურიაში ოფიციალური კანონდებულების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ ბასილა ვაჩეიშვილი, გაბილა ძნელაძე, ივანე მიქაშავიძე, ოტია მაღულარია, ივანე კეშელავა და სხვ. ისინი გლეხებს მოუწოდებდნენ არ დამორჩილებოდნენ მემამულეებს, არ შეესრულებინათ გარიგების სიგელებით ᲐᲗᲖᲔ დაკისრებული ვალდებულებანი.

მთავრობის ადმინისტრაციისა და მემამულეებისაგან შევიწროებული გლეხები თავიანთ რწმუნებულებად ირჩევდნენ შედარებით განათლებულ და გამბედავ სოციალურ თანამოძმეებს, რომელთაც უნარი ჰქონდათ საჩივარი დაეწერათ, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში დაეცვათ სოფლის მშრომელი მოსახლეობის ინტერესები. ოზურგეთის მაზრის სოფ. ნანეიშვილისეულის მკვიდრი გიორგი გიორგაძე, მაგალითად, რწმუნებულის რანგში იცავდა თანასოფლელ გლეხთა ინტერესებს საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საგანგიოში, რომლის ერთ-ერთ სხდომაზე იხილებოდა რამდენიმე მემამულისა და დროებითვალდებული გლეხების დავა. იგი არ შეუშინდა დასახელებული დაწესებულების დიდ ძალას, აშკარად გამოთქვამდა უპატივცემულობას ქუთაისის გუბერნიის მოხელეებისადმი, აშკარად გამოხატავდა ურჩობასა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებას.

ქუთაისის მაზრის სოფ. ვანის დროებითვალდებულ გლეხთა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას ლევან ვაშაყმაძე ხელმძღვანელობდა, საკმაოდ განათლებული, დიდი ავტორიტეტით მოსილი ეს გლეხი ვანელებმა თავის რწმუნებულად აირჩიეს, იგი თავის თანასოფლელთა დავალებით თბილისში მეფისნაცვალთან წავიდა, რათა გაერკვია სწორად მიიტანეს თუ არა ქუთაისის მაზრის მოხელეებმა გლეხებამდე მათი ყმობიდან განთავისუფლების პირობები, ხომ არ დამალეს კარგი დებულება და საკუთარი ცუდი გამონაგონი ხომ არ სურდათ მოეხვიათ თავს გლეხობისათვის.

ამგვარად, საქართველოში, ისევე როგორც უფრო ადრე რუსეთში, მშრომელი გლეხობა დიდი იმედით შეჰყურებდა მეფე „გამანთავისუფლებლის“ სარეფორმო საქმიანობას, ყოველად მოწყალე იმპერატორისაგან ჭეშმა-

რიტ თავისუფლებასა და მიწას მოელოდა. რაკი ეს იმედი არ გამართლდა, გლეხთა დიდმა ნაწილმა ხმა აღიმაღლა მძარცველური რეფორმის წინააღმდეგ, უარი თქვა მორჩილებაზე, გარიგების სიგელების ხელმოწერასა და დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაზე.

1869 წ. საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული გარიგების სიგელთა შედგენა. გაფორმდა სულ 13034 სიგელი. აქედან, გლეხობამ ხელი არ მოაწერა 3740 სიგელს. კლასობრივი ბრძოლის ამ ფორმას მიმართა 21 ათასმა დროებითვალდებულმა გლეხმა.

გარიგების სიგელების უმეტესი ნაწილი, მართალია, გლეხთაგან დადასტურებულად და ხელმოწერილად შევიდა სტატისტიკაში, მაგრამ ხელმოწერილ სიგელთა მიღმა მხარეთა წინააღმდეგობა და კლასობრივი ბრძოლის ფაქტები იმალებოდა. არქივის მასალებიდან ჩანს, მემამულეები და მომრიგებელი შუამავლები ხშირად მიმართავდნენ მუქარას, ძალადატანებას, მოტყუებას. მიხეილ, ბიძინა, სოლომონ და გრიგოლ ერისთავებს (გორის მაზრა), ჯორჯაძეებს, ანდრონიკაშვილებს (თელავის მაზრა), აბაშიძეებს, მიქელაძეებს (ქუთაისის მაზრა) და სხვა მემამულეებს უკმაყოფილო გლეხებმა გამოუცხადეს, რომ არ ეთანხმებიან სადაო საკითხების მათებურ გადაწყვეტას და ამიტომ გარიგების სიგელებზე ხელს არ მოაწერენ. მაგრამ თავადებმა ძალას მიმართეს, ყველაზე ურჩი გლეხები პოლიციას დააპატიმრებინეს, სხვებიც სხვადასხვა საშუალებებით დააშინეს და სიგელების ხელმოწერაზე „დაითანხმეს". ცხადია, ასეთი მეთოდებით შედგენილ-ხელმოწერილი სიგელები ნებაყოფლობითი გარიგების აქტად არ ჩაითვლებოდა. ამიტომ გასაგებია, რომ ვერც ხელმოწერილმა სიგელებმა დაამყარეს თანხმობა და სიყვარული მხარეებს შორის. დროებითვალდებულების მძიმე ტვირთის წინააღმდეგ თითქმის თანაბრად იბრძოდნენ ხელმოწერილ და ხელმოუწერელ გარიგების სიგელებში ფიქსირებული გლეხები.

გარიგების სიგელების ხელმოწერაზე უარის თქმა გადაჯაჭვართა დროებითვალდებულ გლეხთა ბრძოლის სხვა ფორმებს. 1869 წ. ივლისში აქტიურად გამოვიდნენ კახეთის მთელი რიგი სოფლების (ურიათუბანი, ნაფარეული, წინანდალი და სხვ.) დროებითვალდებული გლეხები, არა მარტო დახიეს სიგელები, არამედ გაანადგურეს საბატონო და საგლეხო მიწებს შორის დასმული მიჯნები და საფრთხე შეუქმნეს მემამულეთა სიცოცხლესაც კი. ინციდენტის ადგილზე სწრაფად ჩავიდნენ თელავის მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი და მიწის მზომელი, მაგრამ მათ ვერ შესძლეს აღშფოთებული გლეხების მემამულეებთან შერიგება.

ასეთივე ფაქტებს ადგილი ჰქონდა ქუთაისის მაზრის სოფ. ვანში, აქაური გლეხები არ დაემორჩილენ თავად ჩიჯავაძეს, ხელი არ მოაწერეს მის მიერ შეთხზულ სიგელს, მოითხოვეს ნადელების გაფართოება, ღალა-კულუხის შემცირება. ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსს ბარონ ნიკოლაის, რომ ვანელი ურჩი გლეხების საბრძოლო განწყობილება თანდათან ძლიერდება და მოსალოდნელია მისი არეულობაში გადაზრდაო.

დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მემამულეებსა და მთავრობის ადგილობრივ ადმინისტრაციას სამეგრელოსა და გურიის გლეხები. ისინი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ ძალაში რომ არ შესულიყო ძალადობა-უსამართლობის აქტები, გარიგების სიგელები, უარს ამბობდნენ "ზედმეტი მიწების" (ჩამონაჭრების) დათმობაზე, მიწის რენტის გადახდაზე.

გლეხთა ანტიბატონყმურმა მოძრაობამ აიძულა მეფის მთავრობა გაეტარებინა აგრარული რეფორმა. მაგრამ გლეხობამ ვერც სრული თავისუფლება მიიღო და ვერც მიწა. დროებითვალდებულება ბატონყმობის ნაირსახეობა იყო, ხოლო დროებითვალდებულების წინააღმდეგ ბრძოლა არსებითად ანტიბატონყმური ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა.

ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობა თავის არსით სტიქიური, ობიექტური პირობებით გამოწვეული მოვლენა იყო, მაგრამ მასზე გარკვეულ გავლენას ახდენდა სუბიექტური ფაქტორიც. გლეხთა უკმაყოფილების გაძლიერებას, მათი პროტესტანტული განწყობილების გაღვივებას, მასობრივ აჯანყებებს ხელს უწყობდნენ თვით გლეხთა წრიდან გამოსული აგიტატორები და რევოლუციონერი ხალხოსნები, რომლებმაც თავიანთი ორგანიზაციები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჩამოაყალიბეს.

ქართველ ხალხოსანთა საგრძნობმა ნაწილმა განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღო. სწავლის დროს ისინი რუს ხალხოსანთა ორგანიზაციების წევრები იყვნენ. აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ საქმიანობაში. ამისათვის ბევრი მათგანი დააპატიმრეს და შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს.

XIX-ის 70-იან წლებში ხალხოსნური ორგანიზაციები საქართველოშიც დაარსდა, აქაც დაიწყო რევოლუციური პროპაგანდა. საქართველოში მოღვაწეობდნენ ანტონ ფურცელაძე, ისიდორე ქიქოძე, მიხეილ ყიფიანი, შიო დავითაშვილი, რომან ფავლენიშვილი, ეგნატე იოსელიანი, ჯაბადარი და სხვ. ცნობილი ხალხოსნები.

კახეთის სოფლებში ხალხოსნურ იდეათა პროპაგანდას ეწეოდნენ სოფიო და იოსებ ჯორჯაძეები, ნიკოლოზ მრევლიშვილი, ივანე როსტო-

მაშვილი, ალექსანდრე ცხვედაძე, იოსებ გულისაშვილი, შიო შიუკაშვილი, ილიკო ჩერქეზიშვილი და სხვ. მათ მოახერხეს კავშირის დამყარება მოსწავლე ახალგაზრდობასთან და მიწის მუშა გლეხებთან. ხალხის მასაზე ზემოქმედების, მისი გააქტიურების მიზნით კახელი ხალხოსნები პროკლამაციებსაც კი ავრცელებდნენ.

ხალხოსნური მოძრაობა კიდევ უფრო ფართოდ დასავლეთ საქართველოს მოედო. წრეები და ორგანიზაციები ჩამოყალიბდა იმერეთში, რაჭაში, გურიასა და სამეგრელოში. ჟანდარმერიას მიაჩნდა, რომ ხალხოსნები აქტიურად მუშაობდნენ გლეხთა საყოველთაო აჯანყების მოსამზადებლად. სამეგრელოს გლეხობაში სათანადო პროპაგანდას ეწეოდნენ ანტონ იოსელიანი, ანთიმოზ ჯუღელი, ნესტორ კანდელაკი, ივანე ირემაძე, ანტონ შენგელია, ალექსი გოთუა და ბათუ აფაქიძე.

1876 წლის მაისში, ივნისსა და ივლისში ჩატარდა ხალხოსანთა თათბირები, მთავარი იყო გლეხთა შორის აგიტაცია-პროპაგანდის გაფართოების საკითხი. ისიდორე ქიქოძის ინიციატივით გურიაში ჩატარებულ თათბირს საქართველოს ყველა ხალხოსნურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თათბირის მონაწილეებს შეხვედრები ჰქონდათ გლეხებთან, სოფელ ნაგომარში მათი თავყრილობაც მოაწყვეს. ორატორების გამოსვლამ ცხადყო, რომ ქართველი გლეხობა ყველგან იბრძოდა უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ აკლდა ერთიანობა და ორგანიზებულობა.

ხალხოსნები გლეხთა ინტერესებს გამოხატავდნენ და გლეხობა რევოლუციის მთავარ ძალად მიაჩნდათ. მათ, როგორც ჩანს, მოახერხეს კავშირის დამყარება გლეხ აგიტატორებთან, ცდილობდნენ მათი მეშვეობით მოეპოვებინათ სოფლის მშრომელთა ნდობა. ხალხოსანთა აგიტაციაში მთავარი **ადგილი ეკავა ბატონყმობის** ნაშთებისა და მეფის მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის კრიტიკას. ისინი განუმარტავდნენ სოფლის მცხოვრებთ, რომ საზოგადოება გათიშულია ორ მოწინააღმდეგე ბანაკად. პირველ ბანაკში შედიან მემამულეები, მეორეში მშრომელი გლეხობა, რომლის ნაოფლარსაც ითვისებდნენ ზედაფენები. ხალხოსნები განუმარტავდნენ გლეხებს, რომ მთავარი მჩაგვრელი ძალა და ექსპლუატატორი თვით სახელმწიფო, მისი ბიუროკრატიული აპარატი იყო.

არსებული წყობილების წინააღმდეგ სოფლად გაშლილ აგიტაციაში დიდი ადგილი ეკავა აგრარულ საკითხებს. ხალხოსნები გლეხებს შთააგონებდნენ, რომ ბუნებისაგან ბოძებული მიწა მისი საკუთრებაა, ვინც ამუშავებს, არავის აქვს უფლება გლეხს გადასახადი დაადოს, მოსავლის წილი მოსთხოვოს. ზუგდიდის მაზრაში მემამულეთა საწინააღმდეგო აგი-

ტაციას ალექსი გოთუა ეწეოდა. სამეგრელოს ყველაზე მსხვილი მემამულე ნ. მინგრელსკი მთავრობას შესჩიოდა: დიდი ხანია გლეხებს ჩემს წინააღმდეგ ამხედრებს გადაგვარებული აზნაური ალექსი გოთუა, მოუწოდებს მათ საერთოდ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ. ყველაფერს იგი აქამდე ფარულად სჩადიოდა და ამიტომ თავს ვიკავებდი ოფიციალურად მომეხსენებინა მთავრობისათვის. ახლა კი ა. გოთუამ საჯაროდ, სოფლის გლეხთა ყრილობაზე მაზრის უფროსისა და მომრიგებელი შუამავლის და მთელი მოსახლეობის გასაგონად განაცხადა, რომ მე, მთავრის უძრავ-მოძრავი ქონების მემკვიდრედ თვით იმპერატორისაგან დამტკიცებულ ნიკოლოზ მინგრელსკის, არ მეკუთვნის არაკაცური მამული, რომ გარიგების მიხედვით გლეხებზე მიმაგრებული მიწები მათი სრული საკუთრებაა და ღალა-გადასახადით არ უნდა იბეგრებოდნენ. კიდევ მეტი-ისიც თქვა, რომ საქართველოში არაფერია საბატონო, ყველაფერი გლეხობას ეკუთვნისო.

ხალხსნებმა თავიანთი აგიტაციით მოახერხეს საგრძნობლად შეერყიათ რწმენა და ნდობა მეფისადმი. მათ დაარწმუნეს უშუალო მწარმოებელი მასის დიდი ნაწილი იმაში, რომ მეფე თავის მოხელეებით ხალხს აწევს ზურგზე მძიმე ტვირთად, რომ ზედაფენები პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. არქივის მასალებიდან ჩანს, რომ ხარშილაძე, მალაღურიძე, ამაშუკელი, ჩარგეიშვილი, მურუსიძე, გაბუნია და სხვა გლეხები საჯაროდ გამოდიოდნენ მეფისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ. ხოლო იოსებ გაბუნია, როგორც მაზრის უფროსი აუწყებდა ზემდგომ ინსტანციას, იმასაც კი ამბობდა თურმე, იარაღი რომ მომცა პირველად იმპერატორს დავხვრეტდიო.

ხალხსანთა აგიტაცია, მათი გამოსვლების შინაარსი ასახავდა სოფლად შექმნილ რეალურ ვითარებას, მშრომელი მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ამიტომ გასაგები იყო გლეხობისათვის, გულზე ხვდებოდა დაჩაგრულ მასას, უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყობდა ხალხს.

სამეგრელოს გლეხთა 1873—1876 წწ. აჯანყება. დროებითვალდებულ გლეხთა მასობრივი, რუსეთის იმპერიის მასშტაბით ყველაზე დიდი აჯანყება სამეგრელოში მოხდა. იგი დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა. 1876 წელს ქუთაისის გუბერნატორი მეფისნაცვალს მოახსენებდა: არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ზუგდიდის მაზრის გლეხებმა არაერთხელ თქვეს უარი მემამულეთა წინაშე თავის ვალდებულებათა შესრულებაზე, მაგრამ დამსჯელი რაზმების გამოჩენას გონზე მოჰყავდა ურჩნი და იარაღის

გამოყენება საჭირო არ გამხდარაო. ეს ცნობა ცხადყოფს, რომ საქართველოს ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი ნ. მინგრელსკი და ამ კუთხის სხვა მემამულეები მხოლოდ მეფის ჯარის დახმარებით და დამსჯელი ეგზეკუციებით ახერხებდნენ ღალა-გადასახადების აკრეფას. ძალადობა კი უფრო ზრდიდა უკმაყოფილებას, მასობრივ აჯანყებას ამზადებდა.

ხალხისნებს მიაჩნდათ, რომ გადამწყვეტი გამოსვლა-აჯანყებისათვის ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული პირობები და ამიტომ მათ სცადეს ლოკალური ბუნტების შეჩერება. 1876 წ. მიხეილ ყიფიანი სწერდა აფაქიძეს, რომ სამეგრელოს გლეხთა გამოსვლა დროებით შეეჩერებინა, რადგან სხვა კუთხეებში გლეხობა საერთო გამოსვლისათვის ჯერ მზად არ არის, როცა ნიშანს მოგცემთ, მაშინ ააფრიალეთ აჯანყების დროშაო.

მაგრამ სამეგრელოს გლეხთა დაოკება შეუძლებელი გახდა. 1873 წ. მღელვარება მოხდა ზუგდიდსა და კირცხში. იგი დაკავშირებული იყო მიწების გამიჯვნასთან. მემამულეები შეეცადნენ საუკეთესო მიწები თავისთვის დაეტოვებინათ, მწირი და უვარგისი კი გლეხებისათვის მიეზომათ. ამან გლეხთა აღშფოთება და აჯანყება გამოიწვია. ა. გოთუას რჩევით გლეხებმა შეაჩერეს გამიჯვნა, მიწისმზომელს გამოუცხადეს, თუ არ გაგვეცლები ადგილზე მოგკლავთო. ამასთან ერთად, ნ. მინგრელსკის გლეხებმა უარი თქვეს გადასახადების დაფარვაზე. კავკასიის ადმინისტრაცია შეშფოთდა. მთავარსამმართველოს უფროსი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სწერდა გლეხთა დასამშვიდებლად ენერგიული ზომები უნდა მიიღოთო.

1873 წ. 20 სექტემბერს თვით გუბერნატორი ჩავიდა ზუგდიდში, მიიღო კირცხის, ზუგდიდისა და სხვა სოფლების დროებითვალდებულ გლეხთა დელეგაცია, საყვედურით აავსო ურჩი გლეხები, არასწორად რომ განმარტავდნენ გლეხთა განთავისუფლების დებულებას, უარს ამბობდნენ ღალა-კულუხის გაღებაზე, წინააღმდეგობა კარგს არაფერს მოგიტანთ, სჯობს უსიტყვოდ დაემორჩილოთ მემამულეებსო. მაგრამ გლეხებს დამორჩილება აზრადაც არ მოსვლიათ. სამხედრო გუბერნატორმა წესრიგის დასამყარებლად ზუგდიდში ჟანდარმთა ოფიცერი გაგზავნა პოლიციელთა რაზმებით. საეჭვო პირები დააპატიმრეს, გლეხები დროებით დააწყნარეს.

1874 წ. აპრილში გლეხთა ამბოხებამ სოფ. კოკში, ლიაში, ხიბულასა და ნოსირში იფეთქა. გლეხებმა უარი თქვეს ნ. მინგრელსკისა და და კ. დადიანის მორჩილებაზე, ღალა-გადასახადების გაღებაზე. მემამულეთა ცდა, საკუთარი ძალების გამოყენებით წაერთმიათ გლეხთათვის წინა წლებიდან დარჩენილი და მიმდინარე წლის ღალა, მარცხით დამთავრდა. მემამულეებმა დახმარების თხოვნით საგუბერნიო ადმინისტრაციას

მიმართეს. ქუთაისის გუბერნატორმა ურჩი გლეხების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება ზუგდიდის მაზრის უფროსს დაავალა, ამ უკანასკნელმა კი მღელვარებით მოცულ სოფლებში ბოქაული ქავთარაძე გაგზავნა, დამსჯელი რაზმით. 11 აპრილს კაზაკთა და პოლიციელთა რაზმმა პირველი იერიში სოფ. ლიაზე მიიტანა. გლეხები სახლებში ჩაიკეტნენ. კაზაკებმა ძალას მიმართეს და სოფელი ააოხრეს. აღშფოთებულმა გლეხებმა იარაღს მოკიდეს ხელი, მომხდურთ მედგრად შეებრძოლენ. კაზაკებმა უკან დაიხიეს, საიმედო პოზიციებზე გამაგრდნენ. სოფ. ლიაში თოფის გასროლას მთელ სამეგრელოში ჰქონდა ეხო. სიტუაცია დაიძაბა.

სამეგრელოს გლეხობას მემამულეებისა და მთავრობის მოხელეთა წინააღმდეგ ბრძოლის დიდი ტრადიცია ჰქონდა. ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ 1857 წლის აჯანყების მეთაურები და მონაწილენი. ამიტომ მდგომარეობის ყოველი გართულება ადგილობრივი ადმინისტრაციის შეშფოთებას იწვევდა. ამჯერადაც სოფ. ლიაში მომხდარი ინციდენტის ამბავი სწრაფად აცნობეს ქუთაისის გუბერნატორს. მისი ბრძანებით სოფ. ლიაში მოქმედი რაზმის დასახმარებლად მეორე უფრო მრავალრიცხოვანი რაზმი გაიგზავნა. უთანასწორო ბრძოლაში გლეხები დამარცხდნენ. მათ თავის სარჩო-საბადებელი გადამალეს და ტყეს შეაფარეს თავი. ლიაში „წესრიგის“ დამყარების შემდეგ კაზაკთა რაზმი სოფ. კოკს შეესია, აქაც გატეხა გლეხთა წინააღმდეგობა და ძალით აკრიფა სათავადო გადასახადები.

მალე სოფ. ხიბულას ჯერიც დადგა, მაგრამ ადგილობრივი პოლიციის ძალებით ამბოხებულ გლეხთა დამორჩილება შეუძლებელი გახდა. კ. დადიანმა ქუთაისის გუბერნატორს სთხოვა დახმარება. ამ უკანასკნელის განკარგულებით სოფ. ხიბულაში ბოქაულ დგებუაძის მეთაურობით დამსჯელი რაზმი გაიგზავნა. გლეხები მოძალადეთა თავდასხმას მომზადებული შეხვდნენ. ბევრს ქვები და კეტები ჰქონდა მომარაგებული, ზოგიერთები ცეცხლსასროლი იარაღითაც იყვნენ აღჭურვილი. ბოქაულ დგებუაძეს მდგომარეობის კიდევ უფრო გართულების შეეშინდა, თავის ხელქვეითებს უბრძანა გლეხთა შეკრება და თავდაპირველად რჩევა-დარიგებით სცადა მათი მორჯულება. რაკი გლეხები დანიშნულ ადგილზე არ გამოცხადნენ, კაზაკებმა ძალას მიმართეს, ბევრ გლეხს სცემეს, მიიტაცეს მათი ქონება. ხალხმაც ხელი გამოიღო, ჯერ ქვები დაუშინეს კაზაკებს, შემდეგ თოფებიც აამოქმედეს. ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. უკეთ შეიარაღებულმა კაზაკებმა გაიმარჯვეს, გლეხები მიიმალნენ. ბრძოლის ველზე მოკლული დარჩა ორი გლეხი და ერთი კაზაკი. რამოდენიმე კაცი დაიჭრა.

თითქოს დამარცხებულ, მაგრამ დაუმორჩილებელ ხიბულაში თვით ზუგდიდის მაზრის უფროსი ჩავიდა შეიარაღებული რაზმის თანხლებით, მან ვლეხებს მოსთხოვა იარაღის დაყრა და დანაშაულის მონანიება, გლეხებმა კატეგორიულად უარყვეს მეფის მთავრობის წარმომადგენლის ბრძანება და საბრძოლველად გაემზადნენ. აჯანყებულებმა ითათბირეს. აწონდაწონეს შექმნილი მდგომარეობა და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ სოფლის ახლოს ჩასაფრებულ დგებუაძის რაზმისა და მაზრის უფროსის თანმხლებ პოლიციელთა გაიაზგურება. მოერიდნენ ამაო მსხვერპლის გაღებას, ხელი აიღეს შეიარაღებულ ბრძოლაზე და მიიმალნენ. ამის შემდეგ თვით გუბერნატორი ეწვია ხიბულას, მოიარა მღელვარება გამოვლილი ზუგდიდის მაზრის სხვა სოფლები, ყველგან ჩაატარა გლეხთა კრებები, ხალხს ელაპარაკა მღელვარება-აჯანყების უკანონობაზე და მის უაღრესად უარყოფით შედეგებზე. ურჩ გლეხთა ასეთი დამოძღვრის შემდეგ გუბერნატორმა მკაცრი ზომები მიიღო გადასახადთა აკრეფისათვის და რამდენიმე სოფელში ეგზეკუციაც ჩაატარა. ამბოხების მეთაურები—ივანე ირემაძე, ანტონ შენგელია და ალექსი გოთუა დააპატიმრეს, შემდეგ კი ხარკოვის გუბერნიაში გადაასახლეს.

1874 წლის გლეხთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ დადიანებმა კიდევ უფრო გაადიდეს სანადელო მიწებზე დადებული ღალა და დაბეგრეს გლეხთა ნაყიდი საკუთარი მიწებიც კი. ამან კვლავ გაამწვავა მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობა. 1875 წ. სოფ. ნოსირში ადგილი ჰქონდა გლეხთა მღელვარებას, რომელიც მემამულესთან შეტაკებაში გადაიზარდა.

1873—1875 წწ. სამეგრელოს გლეხთა გამოსვლები მარცხით დამთავრდა, მშრომელმა მასამ პოზიციები დათმო, თითქოს დაემორჩილა მთავრობისა და მემამულეების ძალადობას, უკან დაიხია, მაგრამ ამას დროებითი ხასიათი ჰქონდა, ისეთი უკანდახევა იყო, რომელსაც უახლოეს მომავალში აჯანყებათა ახალი ტალღა უნდა მოჰყოლოდა.

1876 წლის თებერვალში სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წელი სრულდებოდა. ამ კუთხეშიც გავრცელდა ხმები, რომ დროებითვალდებულება გაუქმდება, გლეხობას ღალა-გადასახადები მოეხსნება და სანადელო მიწები მათ საკუთრებად გამოცხადდებაო. როგორც ჩანს, გლეხობამ თავიდანვე არასწორად გაიგო სიტყვა „ნადელის“ მნიშვნელობა. უმრავლესობა ნადელს ეძახდა მემამულეთა სასარგებლოდ დაწესებულ ღალა-გადასახდელს. და რაკი დებულებაში ეწერა ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წლის გასვლამდე გლეხს უფლება არ აქვს ნადელზე უარი თქვასო, დროებითვალდებული გლეხები მოუთმენლად ელოდნენ ამ ცხრაწლიანი ვადის გასვლას, რომ მემამულეთა სასარგებლოდ ღალა-კულუხის გაღება

შეეწყვიტათ, რაც თავისთავად ნიშნავდა სანადელო მიწებზე საკუთრების უფლების მიღებას.

დარხეულმა ხმებმა მთავრობის მოხელეთა ყურამდე მიაღწია. თვით მეფისნაცვალი წერდა, რომ ცხრაწლიანი ვადის შესახებ გავრცელებული ყალბი ხმების გამო მოსალოდნელია სამეგრელოს გლეხთა ამბოხებაო. ამავე აზრს გამოთქვამდა მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსიც. იგი ზემდგომ ინსტანციას აცნობებდა: „დებულების გამოქვეყნებიდან ცხრაწლიანი ვადის გასვლის გამო, გლეხებს შორის გავრცელდა ხმები სანადელო მიწების მათ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. გლეხები აცხადებდნენ, რომ ამის შემდეგ აღარ ევალებათ მემამულეთათვის გადასახადების მიცემა. გლეხთა ამგვარი განწყობილება კიდევ უფრო გაამწვავებს მათ ურთიერთობას მემამულეებთან, შფოთსა და არეულობას გამოიწვევსო“.

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის დიდმოხელეთა ეს ვარაუდი გამართლდა. ბატონყმობის გაუქმების ცხრა წლის თავზე სამეგრელოში მართლაც მოხდა გლეხთა მასობრივი აჯანყება. თავდაპირველად გლეხთა გამოსვლები გრიგოლ დადიანის კუთვნილ სოფლებში — ლიასა და ფახულანში დაიწყო. რუსული გაზეთი „თბილისის მოამბე“ ამ ამბებთან დაკავშირებით წერდა: ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრიდან გვაცნობებენ რომ იქაურ გლეხთა შორის თავი იჩინა მოძრაობამ სანადელო მიწებიდან მოსავლის ერთი მეოთხედის აკრეფის გამო. გლეხები ამტკიცებენ, რომ ეგრეთწოდებული სანადელო მიწები მათს საკუთრებას შეადგენს და ამის დასამტკიცებლად მომრიგებელ მოსამართლესთან სათანადო საბუთები მიაქვთ. მომრიგებელმა სასამართლომ ამ საბუთების გარჩევა გადადო იმ იმედით, რომ გლეხები მშვიდობიანად მოურიგდებოდნენ მემამულეებს ამ მიწების გამოსყიდვის თაობაზე. რაც შეეხება ამ მიწებიდან მემამულეების მიერ მოსავლის ერთი მეოთხედის აღებას, ეს ხშირად იწვევდა გლეხობის მხრიდან აშკარა წინააღმდეგობასო. თბილისური პრესა შემდეგაც საკმაოდ სრულ ინფორმაციას აწვდიდა მკითხველ საზოგადოებას სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მიმდინარეობის შესახებ.

ლიასა და ფახულანში დაწყებული აგრარული მოძრაობა მალე მეზობელ სოფლებსაც მოედო, თანდათან გაფართოვდა და გაძლიერდა. სიმკაცრით სახელგანთქმული დადიანებიც კი იძულებული გახდნენ ზოგ დათმობაზე წასულიყვნენ, საგრძნობლად შეამცირეს გლეხთა საადგილმამულო ვალდებულებები. კონფლიქტში მომრიგებელი შუამავალი, საგლეხო საქმეთა საგანგიოს წევრები და თვით გუბერნატორიც ჩაერივნენ.

ბაგრამ უფრ გლეხთა დაწყარება-დამშვიდებისათვის ნახმარი თავდაპირველი საშუალებანი უშედეგო აღმოჩნდა.

გლეხთა მღელვარებამ თითქმის მთლიანად მოიცვა ზუგდიდის მაზრა. კავკასიის ადმინისტრაციის მოხელეებმა შემთხვევით როდი გაიხსენეს ბრისხანე 1857 წელი. სამეგრელოს გლეხთა 1876 წ. აჯანყება თავის მასშტაბითა და გაქანებით თითქმის 1857 წ. აჯანყებას გაუსწორდა.

1872—1874 წწ. ლოკალური და არაორგანიზებულ აჯანყებათა მარცხიდან, სამეგრელოს გლეხობამ, როგორც ჩანს, მწარე გაკვეთილი მიიღო, სათანადო დასკვნა გააკეთა. 1876 წლის აჯანყება მოფიქრებულად, შედარებით ორგანიზებულად დაიწყო. ხელმძღვანელებმა თავიდანვე მიზნად დაისახეს რაც შეიძლება მეტი გლეხი ჩაებათ მოძრაობაში. საყვირებით მთუწოდებდნენ ხალხს, ცეცხლსასროლ და ცივ იარაღს იმარაგებდნენ, მეზობელ სოფლებში მოციქულებს გზავნიდნენ, ყველას აჯანყებულა ლაშქარში იწვევდნენ. მთავარსამმართველოს უფროსი წერდა მ. რომანოვს—აჯანყების მეთაურები ცდილობენ მთელი სამეგრელო აამხედრონ მთავრობის უსამართლო პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამან სათანადო შედეგიც ეამოიღო. მთავრობა იძულებული გახდა სამეგრელოში მსხვილი საჯარისო ერთეულები გაეგზავნა.

სამეგრელოში აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი შეიარაღებული ძალების საერთო ხელმძღვანელობა მეფისნაცვლის საბჭოს წევრს თავად ჯორჯაძეს დაევალა. მთავარსამმართველოს მითითების თანახმად მას ხალხის დასაწყნარებლად თავდაპირველად მშვიდობიანი საშუალებები უნდა გამოეყენებინა, მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავდა საჭიროების შემთხვევაში იარაღის ამოქმედებას.

1876 წლის 15 ივნისს მეფისნაცვლის საბჭოს წევრი თავადი ჯორჯაძე და ქუთაისის გუბერნატორი ზუგდიდის მაზრაში ჩავიდნენ. მათ ჯარის ნაწილები საბრძოლველად გაამზადეს. არც გლეხები იდგნენ გულხელდაკრეფილი. აჯანყების ხელმძღვანელებმა შეიმუშავეს სენაკის მაზრასთან და მეზობელ სოფლებთან კავშირის დამყარების გეგმა. ბრძოლის ველზე უკვე გამოსული გლეხთა ლაშქარი სამ ჯგუფად გაიყო. ერთს სენაკის მაზრაში გადასვლა და იქაურ გლეხთა აჯანყებაში ჩაბმა დაევალა, ხოლო ორი ჯგუფი სხვადასხვა სოფლებზე განაწილდა იმავე მიზნებით.

მეფის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეებმა ადვილად ამოიცნეს გლეხთა გეგმა და მიზანი. გადაწყვიტეს სენაკისაკენ მიმავალ გლეხთა რაზმებისთვის გზის გადაკვეთა და ამდენად სენაკის მაზრის გლეხთა აჯანყების თავიდან აცილება. მალე თავად ჯორჯაძის ინიციატივით შეიქმნა სპეციალური ე. წ. მფრინავი რაზმი, რომელსაც პოდ-

პოლკოვნიკი პრინცი ჩაუდგა სათავეში. სწორედ ამ რაზმმა გადაკეტა სენაკისაკენ მიმავალი გზები. შემდეგ მთავრობის ჯარი ზემო სამეგრელოს შეესია და სოფ. ლეწურწუმეს მახლობლად შეება აჯანყებულთა რაზმებს. გლეხები ძალიან ცუდად იყვნენ შეიარაღებული, დამბაჩები და თოფები მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა, უმრავლესობა კეტებსა და ქვებზე ამყარებდა იმედს. ამიტომ სახალხო ლაშქარს, ბუნებრივია, გაუძნელდებოდა რეგულარული ჯარის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლა. სრული უპირატესობის მიუხედავად, პოდპოლკოვნიკმა პრინცმა ხერხს მიმართა, მოწინააღმდეგეს მოაჩვენა ვითომ საქმის მშვიდობიანად დამთავრების დიდი სურვილი ჰქონდა და გლეხებთან შუაკაცები გაგზავნა, დიდი შეღავათები აღუთქვა აჯანყებულებს. ღულუბრიყვილო აჯანყებულები ენდვნენ პრინცის სიტყვას, დაპირებას და ბისი რაზმი სოფელში შეუშვეს. გლეხთა შეცდომა კარგად გამოიყენა დამსჯელი რაზმის უფროსმა და 99 კაცის დაპატიმრება შეძლო. პრინცს და მის მფრინავ რაზმს ძვირად დაუჯდა ეს საქცელი. მეფის მოხელის თვალმაქცობამ და ვერაგობამ გლეხები აღაშფოთა. აჯანყებულთა საბრძოლო სულისკვეთება კიდევ უფრო ამაღლდა. ურჩი გლეხების დაპატიმრებით პრინცმა ვერავინ დააშინა, პირიქით, აჯანყების ცეცხლი საგრძნობლად გაფართოვდა.

აჯანყებულთა ცხენოსანი რაზმი ლეწურწუმეს მიმართულებით წავიდა. მთავრობის ჯარის განლაგებაში შეიჭრა და დაპატიმრებულ გლეხთა განთავისუფლება კატეგორიულად მოითხოვა. პოდპოლკოვნიკმა პრინცმა არამარტო უარყო ეს მოთხოვნა, არამედ კონტრმოთხოვნა წამოაყენა და გლეხებს დაშლა და იარაღის დაყრა უბრძანა. გაიმართა ხანგრძლივი მოლაპარაკება, რომლის დროსაც ორივე მხარე ერთმანეთს აშინებდა, იარაღის გამოყენებით იმუქრებოდა. 17 ივნისს აჯანყებულმა გლეხებმა ბუკს ჩაბერეს და იერიშზე გადავიდნენ. მფრინავი რაზმი თითქოს წინააღმდეგობას არ აპირებდა, იარაღს არ იყენებდა, ძალიან ახლოს მიუშვა აჯანყებულები. ბოლოს გაისმა პრინცის ბრძანება და ბატალიონმა ცეცხლი გახსნა, თოფებთან ერთად არტილერიაც აამოქმედა. აჯანყებულთა ლაშქარმა ვერ გაუძლო რეგულარული ჯარის მერ დანთებულ ტყვიის ცეცხს, უკან დაიხია და ბრძოლის ველზე დატოვა 19 მოკლული და 30 დაჭრილი. ამ დაჭრილთაგან 10 კაცი მალე გარდაიცვალა.

ლეწურწუმესთან სახალხო ლაშქარი მართალია, დამარცხდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა აჯანყების მთლიანად ჩახშობას. მეამბოხეთა ცალკეულმა ჯგუფებმა წინააღმდეგობა გააგრძელეს. თვით დამსჯელმა ექსპედიციამ, „გენერალური ბრძოლის“ მოგების შემდეგ, ტაქტიკა შეცვალა, საარტილერიო ზალპებიდან გლეხთა დაშოშმინებაზე გადავიდა.

ჯორჯაძემ დაპატიმრებული 99 კაცი გაანთავისუფლა, მფრინავმა რაზმმა კი ლეწერწუმედან კირცხისაკენ დაიხია, იქ დაიკავა უფრო საიმედო პოზიცია. აჯანყების ძირითადი კერის იზოლირების მიზნით მთავრობამ ჯარების გადაჯგუფება მოახდინა, ზუგდიდის მაზრაში დამატებით ერთი ქვეითი ბატალიონი გაგზავნა, სენაკის საზღვრის გასწვრივ განალაგა და აჯანყებულ გლეხთა მოქმედებისათვის თვალის დევნება დაავალა. ზედა ფენებს არც რეპრესიებზე უთქვამთ უარი, აჯანყების 14 მონაწილე დაპატიმრეს, ზოგს ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს, ზოგიც ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს.

სამეგრელოს გლეხთა 1876 წ. აჯანყება მართალია დამარცხდა, მაგრამ იგი ბრწყინვალე ფურცლებად დარჩა გლეხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის მატიანეში. ამ აჯანყებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს სხვა კუთხეთა მშრომელი მოსახლეობის განწყობილებაზე. ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი აღიარებდა, რომ ზუგდიდის მაზრის გლეხთა ამბოხებამ შესძრა დასავლეთ საქართველოს გლეხობა. მკაცრი ღონისძიებები რომ არ ყოფილიყო მიღებული, მოძრაობა მთელ გუბერნიას მოედებოდაო. ამიტომ იყო, რომ მეფისნაცვალი დიდად გაახარა ცნობამ აჯანყების ჩახშობის შესახებ და დამსჯელი ექსპედიციის ყველა მონაწილეს მადლობა გამოუცხადა.

მეფისნაცვლის მიერ საგანგებო უფლებით აღჭურვილმა თავადმა ჯორჯაძემ აჯანყების დათრგუნვის შემდეგ საეგზეკუციო რაზმები სოფლებში ჩააყენა, დამარცხებული გლეხები აიძულა უკლებლივ მიეცათ მემამულეებისათვის როგორც წინა წლების გადასახადთა ნარჩენები, ისე მიმდინარე წლის ღალა-კულუხი. გლეხებს გამოუცხადეს, რომ 9 წლიანი ვადის გასვლა სულაც არ ნიშნავს დროებითვალდებულების დამთავრებას, ნადელების გამოსყიდვამდე მემამულეებს ღალა-გადასახადები სრულად და თავის დროზე უნდა აძლიოთო.

სვანეთის გლეხთა 1875—1876 წწ აჯანყება. სადადეშქელიანო სვანეთი რუსეთის ცარიზმის მფარველობის ქვეშ 1833 წ. შეიდა. ამიერიდან ებატონე დადეშქელიანები ყოველნაირად ეხმარებოდნენ მეფის მთავრობის კავკასიურ ადმინისტრაციას თავისუფალი სვანეთის დამორჩილებისათვის ბრძოლაში. მეფის მოხელეები თავისუფალი სვანეთის მოსახლეობას შეღავათებს, მატერიალურ დახმარებას, გზების კეთილმოწყობას, განათლების გავრცელებას, სამედიცინო მომსახურების დაწყებას და სხვა სიკეთეს აღუთქვამდნენ, მაგრამ ამ კუთხის რუსეთთან შეერთების შემდეგ თითქმის ყველა დაპირება დაივიწყეს. ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით რუსეთთან შეერთებას სვანეთისათვის, ისევე როგორც მთელი

საქართველოსათვის, ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ უბატონობას მიჩვეული თავისუფალი სვანეთი ძნელად ურიგდებოდა ცარიზმის პოლიტიკას და მის მოხელეთა თვითნებობას. თავისუფალმა სვანებმა არაერთხელ სცადეს მეფის მოხელეთა განდევნა. XIX ს-ის 60-იან წლებამდე კავკასიის ადმინისტრაცია ამ მაღალმთიან კუთხეში ძალიან ფრთხილობდა, მოსახლეობის შეწუხებას, მისი გადასახადებით დაბეგვრას ერიდებოდა. გარკვეულ ფარგლებში ითმენდა თავისუფალ სვანთა ტრადიციულ თვითმმართველობას. მაგრამ კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ მეფის მთავრობამ თავისუფალ სვანეთშიც რუსული სამოქალაქო მმართველობის ორგანოები შექმნა. 1870 წ. სვანები სახელმწიფო გადასახადებით დაიბეგრენ. ჩუბეხევისა და ფარის სახაზინო გლეხებს კომლზე 5 მანეთი, ხოლო სხვა სოფლების მცხოვრებთ კომლზე 2 მანეთი შეაწერეს. 1873 წელს სცადეს ამ კუთხეში სააქციზო გამოსაღების შემოღება. 1875 წ. მთავრობამ გადაწყვიტა სვანთა მიწების აღრიცხვა და საადგილმამულო გადასახადის დაწესება. მეფის მოხელე-პოლიციელებთან ერთად თავისუფალ სვანეთს კვლავ ავიწროებდნენ დადეშქელიანები, რომლებიც მოსახლეობას ორსახოვანი მჩაგვრელის სახით მოევლინენ. ისინი კარგად იყენებდნენ მთავრობის მოხელის ძალაუფლებას თავიანთი მამულების გაფართოების და გლეხობის ხარჯზე ხელის მოთბობისათვის. გახშირდა შეტაკებები მეფის მოხელეებსა და მოსახლეობას შორის, დადეშქელიანებსა და თავისუფალ სვანებს შორის. ბალს ზემო სვანეთის სოფლები არც XIX ს. 70-იან წლებში ღალატობდნენ მამაპაპურ ტრადიციას და ხშირად გაერთიანებული ძალით გამოდიოდნენ რუსეთის მთავრობის ადგილობრივი მოხელეებისა და დადეშქელიანთა წინააღმდეგ, ცდილობდნენ თავისუფლების შენარჩუნებას.

ასეთ სიტუაციაში შენელებული მოქმედების ბომბის როლი შეასრულა მიწის მზომელთა გამოცხადებამ და სვანთა მიწა-წყლის აზომვა-დაბეგვრის დაწყებამ. ბალს ზემო სვანეთის მოსახლეობა გაბედულად წინ აღუდგა ბოქაულ ჯორჯაძეს, რომელიც ფაქტიურად ახორციელებდა ქუთაისის გუბერნატორის ბრძანებას მიწების აღწერის თაობაზე. მღელვარება თითქმის ყველა სოფელს მოედო, მთელი გლეხური მოსახლეობა დაირაზმა თავის ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად.

1875 წლის 4 ივნისს ქუთაისის გუბერნატორმა მალაფეევმა მიიღო ლეჩხუმის მაზრის უფროსის მოხსენება იმის შესახებ, რომ ბალს ზემო სვანეთის სასოფლო საზოგადოებათა (უშგული, კალა, იფარი, მულახი, შესტია, ლენჯერი, ლატალი) მცხოვრებნი—700 შეიარაღებული კაცი შეიკრიბა და ფიცი დასდო ხატისა და ერთმანეთის წინაშე, რომ არ შე-

ეშვათ სოფლებში მთავრობის მიერ გამოგზავნილი მიწის მზომელნი, რადგან დარხეული ხმების თანახმად მთავრობა აპირებდა არა მარტო აზომილ-აღწერილი მიწების, არამედ შინაური პირუტყვის დაბეგვრასაც. ზემო სვანეთის ბოქაულთან, რომლის რეზიდენცია ბეჩოში იყო, ყველა სასოფლო საზოგადოების თავკაცები გამოცხადდნენ და მოითხოვეს მთავრობის მიზანდასახულების განმარტება. ყველა დაინტერესებულ პირს ბოქაული სტანდარტულად პასუხობდა—„მთავრობა მიბრძანებს წარგუდგინო ცნობები თქვენი მიწების რაოდენობის შესახებ". ამ საჭირბოროტო საკითხისადმი ჩინოვნიკურმა მიდგომამ კიდევ უფრო გააძლიერა მრისხანების ცეცხლი სვანთა გულში და გააღრმავა მათი ეჭვი მთავრობის მოხელეთა არაკეთილგანზრახულებათა შესახებ.

აჯანყების პირველი ნაპერწკალი ლატალში გაჩნდა, ცეცხლად მულახში იქცა და მალე მთელ ბალს ზემო სვანეთს მოედო. არქივის მასალებიდან ჩანს, რომ ლატალში ყველაზე ადრე დაიწყო მიწების აზომვა-აღწერა. ნოსახლეობა უნდობლად მოეკიდა ამ ღონისძიებას, მაგრამ აშკარა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლამდე საქმე არ მისულა. ლატალის შემდეგ მიწის მზომელნი მესტიისა და მულახის თემებს ეწვივნენ. როცა ბოქაულმა აღწერის დავთრების გადაცემა დააპირა ამ საზოგადოებათა აზნაურებისათვის, ამ უკანასკნელებმა უარი თქვეს დოკუმენტების მიღებაზე. ეს გასაგებია, რადგან აზნაურის მიწის დაბეგვრა უჩვეულო მოვლენა იყო, მათ პირველად აღიმაღლეს ხმა მთავრობის წინააღმდეგ და ამდენად თითქოს ისინი იყვნენ პირველი დამნაშავენი.

მაგრამ ლატალელ გლეხთა ყრუ უკმაყოფილება და მოქმედება უფრო საშიში აღმოჩნდა. აქაურმა გლეხებმა მოციქულები გაგზავნეს ბალს ზემო სვანეთის ყველა სასოფლო საზოგადოებაში, მთავრობის განზრახვა აცნობეს. ერთობლივი გამოსვლისაკენ მოუწოდეს. ამას დადებითად გამოეხმაურა ყველა სოფლის გლეხობა და აზნაურთა ნაწილიც. ყველაზე ადრე „ბუნტი" მულახელებმა ატეხეს, მალე იგი ბალს ზემო სვანეთის საყოველთაო აჯანყებად იქცა.

აჯანყება 1875 წ. მაისის ბოლოს დაიწყო. მულახში ატყდა ხარების რეკვა. მთელმა ხალხმა თავი მოიყარა სამახვშოზე. ამ კრებაზე სიტყვით გამოვიდა სოფ. მუჟალის თავკაცი 1869 წ. მულახის მამასახლისად არჩეული ყასბულათ შერვაშიძე, მან განაცხადა, რომ მიწების აზომვა უბრალო ცნობისმოყვარეობით არ ხდება, მთავრობას უნდა ახალი გადასახადების შემოღებაო. კრებამ ასეთი დადგენილება მიიღო: თუ მართალია ჩვენი მიწის დაბეგვრის შესახებ დარხეული ხმები, პირველ რიგში მთავრობას ვთხოვოთ ხელი აიღოს ამ განზრახვაზე, ხოლო თუ თხოვნას

არ შეგვისრულებენ, ყველამ იარაღს მოეკიდოთ ხელი და თავისუფალ სვანთა უფლებები ბრძოლით დავიცვათ, ისე როგორც ჩვენი სახელოვანი წინაპრები იცავდნენ ყოველგვარი ძალმომრეობისაგან თავის დამოუკიდებლობას. ამ დადგეხილების თავისუფალი სვანეთის ყველა სასოფლო საზოგადოებისათვის შესატყობინებლად გამოიყო 50 კაცი.

მეორე დღესვე მოციქულად არჩეული 50 კაცი მესტიის საზოგადოებაში მივიდა. აქ სწრაფად მოიწვიეს სოფლის ყრილობა, რომელმაც მხარი დაუჭირა მულახელთა გადაწყვეტილებას. ამის შემდეგ მოციქულები ლენჯერის საზოგადოებას ესტუმრენ, იქაური გლეხებიც დაიამხანაგეს. ახლა უკვე მრავალრიცხოვანი დელეგაცია ლატალის საზოგადოებაში ჩავიდა. ამ სოფლის ერთ-ერთ ეკლესიაში ატყდა ზარების რეკვა, გაისმა მძლავრი ბუკის ხმა, შეირყა ხალხი და ლატალელთა ყრილობამაც მოიწონა მეზობელი თემების გადაწყვეტილება. აქ მოხდა ოთხი სასოფლო საზოგადოების წარმომადგენელთა დაფიცება ერთობასა და დაწყებული საქმის ერთგულებაზე. მალე ოთხ საზოგადოებას სამი დახარჩენი — იფარის, კალისა და უშგულის საზოგადოებებიც შეუერთდნენ.

ბალს ზემო სვანეთის მთელი სრულასაკოვანი და ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა შეიარაღდა და დაიძრა კალისაკენ, სადაც იყო მთელ სვანეთში სახელგანთქმული და ყველას მიერ აღიარებული სალოცავი —კვირიკეს ეკლესია. ერთგულების ფიცის მიღებამდე სოფ. ლალხორში (ლალხორი სვანურად ნიშნავს შესაკრებელ ადგილს, სადაც ადრე საჭიროების დროს იმართებოდა თავისუფალი სვანეთის ყრილობები) ერთხელ კიდევ და უკანასკნელად გაიმართა აჯანყების გზაზე დამდგარ თავისუფალ სვანთა ყრილობა. პირველი ქვაზე ავიდა ბრძენი მოხუცი გინდარუყ ფარჯიანი, რომელმაც თანამემამულეებს უთხრა: პატივი ეცით ჩემ ბაღარას, დაწყნარდით და მომისმინეთ. ჩემი აზრია ამოვირჩიოთ თავკაცები, ვითათბიროთ და გავარკვიოთ საქმის ვითარება. ჯერჯერობით აჯანყების საფუძველი არ გვაქვს, არ დამდგარა თავგანწირვის ჟამი. მაგრამ თუ მომავალში დავრწმუნდებით, რომ მთავრობამ მტკიცედ ვადაწყვიტა ჩვენს მიწაზე და შინაურ პირუტყვზე გადასახადის დადება, მაშინ ნამდვილად გვმართებს ვაჟკაცობა და შეურცხვეს ულვაში მას, ვინც მაშინ თავს დაზოგავს. ქალის ლეჩაქი დაიხუროს, თავლაფდასხმული იყოს ის კაცი, ვინც საჭიროების დროს სიკვდილს შეუშინდება.

ხალხმა მოიწონა გინდარუყ ფარჯიანის რჩევა. დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სიტყვა აიღო ყასბულათ შერვაშიძემ. „ამგვარი ყრილობა,—თქვა ყასბულათმა,—ძველ დროში ხშირად იმართებოდა თურმე. ამას იწვევდა მთელი ხევის გაჭირვება. თუ რომელიმე თავადიშვილი მო-

ინდომებდა სვანების დაყმევებას, ჩვენზე ბატონობას, ჩვენი მამა-პაპანი ყრილობას მოახდენდნენ და საერთო მტერს საკადრის პასუხს გასცემ-დნენ. ჩემზე უფრო მოხუცნიც არიან ამ ყრილობაზე და ისინი ჩემზე უკეთ გეტყვიან, რომ ვისაც კი ჩვენი დამონება მოუნდომებია ჩვენი წერა გამხდარა. თოფი და ხანჯალი ყოფილა ჩვენი დამცველი. სვანეთის სა-ლოცავმა გვაშოროს, რომ იარაღის გამოყენება დაგვჭირდეს ეხლაც. ამ-გვარი საქმის მოსურნე არავინ ვართ, რადგან სიცოცხლე გვინდა და არა სიკვდილი. ომში რუსებს ვერ გავუმაგრდებით, რადგან ისინი ბევრნი არიან, გამოულეველნი და ჩვენ ცოტანი ვართ. მართალია თავს ვისახე-ლებთ, მაგრამ ჩვენ ისეთი საქმე მოგვივა როგორც აფხაზებს. აქამდე რად უნდა მივიდეს ჩვენი საქმე? ჩვენ ხომ იმას არ ვეუბნებით მთავრობას, რომ თქვენს ხელში ყოფნა არ გვინდაო. ამის თქმა შეგვეძლო პირველად, როცა მტერი და მოყვარე ყველა რუსების ხელში გადასვლას გვირჩევდა, მაგრამ არ გვითქვამს უარი. იმიტომ რომ გვარწმუნებდნენ რუსების ხე-ლში უფრო ბედნიერი იქნებით, ვიდრე თავისუფლებაში ხართო, აქეთ ბევრს რამეს ჩამორჩებით და იქით მთავრობა არაფერს მოგთხოვთ. მე თვითონ მთავარმართველის ვორონცოვის მონათლული ვარ და იმისაგან მოკიდებული პატარა მოხელემდე ყველანი გვიმტკიცებდნენ რუსის მთავ-რობა გაგაკეთებთო, ჩვენ ეს დავიჯერეთ და ამიტომაც ძალადაუტანებ-ლად, ჩვენი ნებით დავუკარით თავი რუსებს. იმ იმედით, რომ მთავრობა ბევრ რამეს შეგვძენდა, მისი ყოველივე მოთხოვნილება ავასრულეთ; გა-მოგზავნა მღვდელი — დავაყენეთ, დანიშნა ბოქაული, მივიღეთ. სოფლის მოხელეები აირჩიეთო — დავუჯერეთ და ბოლოს ექვს აბაზ უზალთუნიც ბეგარად დავიდევით. ეს ბეგარა კი ძლიერ გამიკვირდა. გვე-უბნეოდნენ გაგაკეთებთო და პირიქით, ბეგარა ჩვენგან წაიღეს: ჯერ ჩვენთვის უნდა შეეძინათ რამე და მერე მოეთხოვათ, თორემ ისე გამო-დის, რომ ცხვარი თხას მიადგა მატყლის სათხოვნელად. ეს ასეა, მაგრამ ახლა კიდევ გვეუბნებიან მიწები უნდა გაგიზომოთო, რისთვის?.. ჩვენ-ში ხმა დადის, რომ მათი დაბეგვრა უნდათო. თუ ეს ხმა მართალი გამო-დგა, მაშინ კი სწორედ სიცოცხლის პირი არა გვაქვს და მუდამ წვალებას ის გვირჩევნია, ერთ დღეს გავთავდეთ".

ბოლოს ყასბულათ შერვაშიძემ ურჩია ყრილობას ჩვენი წინა-დადება მთავრობას შევატყობინოთ და მის პასუხს დაველოდოთო. ამას მხარი დაუჭირა მთელმა ხალხმა. გინდარუყ ფარჯიანმა კი ყ. შერ-ვაშიძის წინადადებას დაუმატა: ყოველთვის, როცა სვანეთში ასეთი დიდ-მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა, ჩვენი წინაპრები ამას წმინდა კვი-რიკეზე დაფიცებით აძლევდნენ დასტურსა და სიმტკიცესო. საჭიროდ მი-

მაჩნია დღესაც ასე მოვიქცეთ, წავიდეთ ეკლესიაზე და დავიფიცოთ რომ ერთმანეთს არ ვუღალატოთ, ჭირში და ლხინში ვიქნებით განუყრელი როგორც ერთი კაცი. თუ საქმე მოითხოვს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ და თავს შევწირავთ საერთო საქმეს.

ამით ყრილობა დამთავრდა. მისი ყველა მონაწილე დაიძრა კვირიკესაკენ. მოხუცმა მოძღვარმა ფანგანმა ეკლესიიდან გამოიტანა მთელი სვანეთის სათაყვანებელი „შალიანის“ ხატი. ხალხმა ქუდი მოიხადა, მუხლი მოიყარა, პირჯვრის წერით დადო ფიცი მთავრობის ავ განზრახვათა წინააღმდეგგ ერთსულოვან მოქმედებაზე. ყრილობამ „ამენ“ დაიგრიალა, რის შემდეგ ორი ათასმა შეარაღებულმა ვაჟკაცმა დატოვა კვირიკე, ყველამ თავის სოფელს და ოჯახს მიაშურა მტკიცე გადაწყვეტილებით ფრთხილად ედევნებინათ თვალი მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოქმედებისათვის და საჭიროების შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობის ძალადობისათვის.

ბალს ზემო სვანეთის მოსახლეობის მღელვარებამ შეაშინა ადგილობრივი ადმინისტრაცია. ბოქაულმა თავადმა ჯორჯაძემ ქუთაისის გუბერნატორს ისე აცნობა მომხდარი ფაქტი, თითქოს სვანეთის მოსახლეობამ ფიცი დადო ბეჩოში დაბანაკებული რუსთა რაზმისა და მოხელეთა განადგურებაზე. ბოქაულმა დახმარება მოითხოვა ქუთაისიდან. დახმარების თხოვნით მიმართა თავად დადეშქელიანსაც. ამ უკანასკნელმა ქუთაისის გუბერნატორს დაასწრო, მთავრობისადმი ერთგულ ქვეშევრდომული გრძნობა დაამტკიცა იმით, რომ თავის რაზმით მყისვე გამოცხადდა ბეჩოში სვანეთის ბოქაულის დასახმარებლად.

თავად დადეშქელიანის მოქმედება ცნობილი გახდა თავისუფალი სვანებისათვის, ხმა დაირხა მთავრობის ერთგული დადეშქელიანის რაზმი ლატალის საზოგადოებაზე თავდასასხმელად ემზადებაო. კვირიკეზე ფიცის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბალს ზემო სვანები ხელმეორედ შეიყარნენ, ამჯერად უკვე იმ მიზნით, რომ თავს დასხმოდნენ ბეჩოს გარნიზონს. ბალის ქედზე გადასვლისთანავე აჯანყებულებს გზა გადაუჭრა დადეშქელიანთა რაზმმა. თენგიზ დადეშქელიანმა ბალს ზემო სვანებს სთხოვა შეჩერება, მისი სიტყვის მოსმენა. თუ ჩემს რჩევას არ მიიღებთ, ბეჩოში დაბანაკებულ მთავრობის რაზმზე თავდასხმას შემდეგაც მოასწრებთო. აჯანყებულებს არ უნდოდათ შერიგების სიტყვის მოსმენაც კი, მაგრამ მოხუცებმა ხალხი დააშოშმინეს. დადეშქელიანმა ამით ისარგებლა და აჯანყებულთა ლაშქარს უთხრა: თქვენ თვითონ ხედავთ, რომ რუსთა რაზმი ამჟამად ჩვენი ხიზანია, ჩვენ მიწაწყალზე დაბინავებული და სტუმარი, ნუ შეგვარცხვენთ! როგორღა გამოვჩნდეთ სადმე, თუ ჩვენი სტუ-

მარი ამოსაწყვეტად დაგანებეთ. გვირჩევნია უწინ ჩვენ დაგვხოცოთ, ჩვენ-ჩკვდარ სხეულზე გაიაროთ და ისე მიხვიდეთ რაზმის ამოსაწყვეტად, ვიდრე ცოცხალი დავრჩეთ და ასე გიყურეთო. დადეშქელიანების რუსეთის მთავრობის ერთგულებაზე ასეთმა თავგამოდებამ თავისუფალი სვანები კიდევ უფრო განარისხა, მათ გზა განაგრძეს ბეჩოსკენ, მაგრამ ბალს ქვემო სვანებმა კვლავ გადაუღობეს გზა. დადეშქელიანის ერთმა კაცმა თქვა — თუ ბეჩოსაკენ წასვლას არ დაიშლით თავს შეგაკლავთო, რად იქცევით ასე, რატომ უნდა დავხოცოთ ერთმანეთი? ამ სიტყვამ და აგრეთვე იმან, რომ სვანებს ორივე ბანაკში ბევრი ნათესავ-მოყვრები აღმოჩნდნენ, აჯანყებულნი შეაფიქრიანა. ბოლოს და ბოლოს თავისუფალმა სვანებმა ხელი აიღეს ბეჩოს გარნიზონის განადგურებაზე და უკან გაბრუნდნენ. ბალის ქედზე მათ ყრილობა ჩაატარეს. გადაწყვიტეს ბალის ქედისა და ლატფარის უღელტეხილის ჩაკეტვა. ბეჩოში მჯდარ ბოქაულსა და მის ჯარს წინადადება მისცეს ადგილზე დარჩენილიყვნენ, ბალს ზემო სვანეთში ფეხი არ შეედგათ. ლატალელ და ლენჯერელ გლეხებს დაევალა თავისუფალი სვანეთის დასავლეთი საზღვრის დაცვა, ხოლო სხვა სოფლების მოსახლეობას ლატფარის უღელტეხილის გამაგრება. ყრილობის ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შესრულდა, თავისუფალი სვანეთისაკენ მიმავალი ყველა გზები აჯანყებულებმა გადაკეტეს.

ბეჩოში გამოკეტილმა ბოქაულმა ჯორჯაძემ სვანეთში შექმნილი სიტუაცია თავდაპირველად ლეჩხუმის მაზრის უფროსს გრინევსკის გააცნო. შემდეგ კი ქუთაისის გუბერნატორსა და თვით მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს შეატყობინა. ამ უკანასკნელის ბრძანებით სვანეთში გაიგზავნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დამსჯელი ექსპედიცია ჭენერალ ციტოვიჩის მეთაურობით. ექსპედიციაში შედიოდა არმიის სხვადასხვა გვარეობის ნაწილები — ერთი ქვეითი პოლკი, რამდენიმე ასეული, საარტილერიო ბატარეა. ბეჩოს რაზმისათვის დასახმარებლად და გენერალ ციტოვიჩის დამსჯელ ჯარებთან შესაერთებლად მეფისნაცვლის განკარგულებით, თუ ამის საჭიროება შეიქმნებოდა, ყაბარდოდანაც უნდა გაგზავნილიყო პოლიციის რაზმები. 1875 წ. 10 ივლისს ამ ჯარის ძირითადი ნაწილი ლეჩხუმს ავიდა და მურის ციხესთან დაბანაკდა. დამსჯელი ექსპედიციის მოახლოვება ცნობილი გახდა თავისუფალი სვანებისათვის. მათ ბაჟძლიერეს დაცვა, დაიწყეს მზადება ბრძოლისათვის. ქუთაისის ვიცე გუბერნატორის დავალებით ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი ქვემო სვანეთის სოფ. ლუჯრში ავიდა რაზმით და სცადა ზემო სვანეთში შექმნილი მდგომარეობის დადგენა. მან დააკავა 6 კაცი (სვანი მგზავრები),

ლუჯიში მაზრის უფროსთან გამოცხადდა აგრეთვე თარჯიმნად მიწვეული ბესარიონ ნიჟარაძე. გრინევსკიმ სვან მგზავრებს დაავალა გადაეცათ ამბოხებულთათვის, რომ სვანეთში ახალი გადასახადების დაწესებას არავინ აპირებს, მოითხოვა აგრეთვე მასთან გამოცხადებულიყვნენ არეულობის მეთაურები და რვა-რვა წარმომადგენელი ყოველი სასოფლო საზოგადოებიდან, გრინევსკის გეგმით კავკასიის ადმინისტრაციასა და თავისუფალ სვანებს შორის პირველი მოლაპარაკება ქვემო სვანეთში უნდა მომხდარიყო, რაც შემდეგ ქუთაისში გაგრძელდებოდა. 13 ივლისს ლეჩხუმის მაზრის უფროს გრინევსკისთან მართლაც გამოცხადდა ბალის მთის ზემო სვანეთის 10 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია ყასბულათ შერვაშიძის ხელმძღვანელობით. მაზრის უფროსმა საყვედურებით აავსო ყ. შერვაშიძე. თითქმის 15 წელია მთავრობის სამსახურში ხარ, მამასახლისად მუშაობ, მთავრობამ ორი მედლით დაგაჯილდოვა, შენ კი მის საწინააღმდეგოდ სვანებს ამხედრებ, თუ შენს მიერ აჯანყებულ ხალხს არ დააწყნარებ სასტიკად დაისჯებიო.

• ყასბულათმა ამ ბრალდებაზე უპასუხა: „ტყუილად გგონიათ, რომ მე სვანეთის თავი ვიყო, მე კი არა, მოთავედ, როგორც ხედავთ, რუსთ ხელმწიფესაც უარჰყოფენ. ჩემი მოთავეობა არაფერ შუაშია; სვანეთში არავინ მეგულება, რომ თავის ნებაზე ხალხი ააჯანყოს და დაამშვიდოს. ყველაფერი ყრილობის საქმეა. რასაც ყრილობა დაადგენს ის უნდა აასრულოს ყოველმა სვანმა. მთელმა ხეობამ ყრილობა მოახდინა კალას, მეც იქ ვიყავი, ჩემი აზრი მეცა ვთქვი. მე მთავრობის სასარგებლოდ ბევრი რამ ვთქვი, სხვა უარესს იტყოდა. მადლობას ველოდი. თქვენ კი მიწყრებით. თქვენ რომ ხალხის ლაპარაკი გაგეგონათ, მაშინ სულ სხვა აზრზე დადგებოდითო“. ამის, შემდეგ გრინევსკი ყასბულათს შეეკითხა—მაშ არ შეგიძლია ყრილობა დაშალო. ბეჩოსა და ლატფარზე ჩასაფრებული ყარაულები მოხსნა? თავისუფალ სვანთა წარმომადგენელმა უპასუხა—„რა ბრძანებაა! ყრილობის უნებართვოდ არაფერი გამოვა“. შეფიქრიანებულ-შეშფოთებულმა გრინევსკიმ სვანთა დელეგაცია წაიყვანა და ცაგერში ამობრძანებულ ვიცე-გუბერნატორ მალაფეევს წარუდგინა.

მეფის მთავრობის ამ მოხელემ დელეგაციას ჰკითხა — რა იწვევს უკმაყოფილებასა და მღელვარებას. ყასბულათ შერვაშიძემ უპასუხა: უხსოვარი დროიდან ჩვენ თავისუფალი ვიყავით, არავის ვემორჩილებოდით, ბეგარასა და გადასახადს არ ვიხდიდით. ამ ბოლო დროს ჩვენ ნებაყოფლობით რუსეთს შევუერთდით, გვეგონა მთავრობა დაპირებებს შეასრულებდა, რამე შემწეობას მოგვცემდა, მაგრამ ნაცვლად ამისა ჩვენვე გვახდევინებენ გადასახადს. ამას მიჩვეული არა ვართ, მონობაში ყოფნისა

არა ვიცით რა და ჩვენი წინაპრების სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას ასე ადვილად ვერვის გავათელვინებთ ფეხქვეშო. მალაფეევმა სცადა დაერწმუნებინა სვანთა თავკაცები, რომ მთავრობა საადგილმამულო გადასახადის შემოღებას არ აპირებს, რაც შეეხება ჩვეულებრივ სახელმწიფო გადასახადს, ამ გზით შემოსული ფული თქვენთან დანიშნულ მთავრობის მოხელეებს, ხმარდება და ეს უნდა იცოდეთ. ამაზე ყასბულათმა გაბედულად თქვა: თუ მთავრობა ამდენს ხარჯავს თქვენს მიერ ჩამოთველილ მოხელეთა შესანახად, ალბათ იმიტომ, რომ ყველა ისინი თვით მთავრობას სჭირდება. ჩვენ კი არავითარ სარგებლობას ამ პირებისაგან არ მოველით, უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ როცა ისინი არ გვყავდა, უფრო კარგად ვცხოვრობდით. მფარველი და ბატონი თავისუფალ სვანეთს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში არ ჰყოლია და არც ახლა სჭირდებაო.

ვიცე-გუბერნატორი დარწმუნდა, რომ ბალს ზემო სვანები ვერც ადგილობრივ ბატონს იტანენ და ვერც მისულ მოხელეს. მან შეწყვიტა მოლაპარაკება და თავის ჯარით ლატფარის უღელტეხილისაკენ დაიძრა. აჯანყებულებმა თავდასაცავი პოზიციები კიდევ უფრო გაამაგრეს. მალაფეევი შეფიქრიანდა, მოეჭიდა სისხლის ღვრას, ჯარი ჩოლურში შეაჩერა და სვანთა დელეგაციის ერთი წევრი ხალხის დასამშვიდებლად გაგზავნა. ყასბულათმა, როგორც ჩანს, აწონ-დაწონა დამსჯელი ექსპედიციის ძალა, აჯანყებულთ, მალაფეევის მიერ გაგზავნილი სვანის პირით, ლატფარის უღელტეხილზე დაცვის მოხსნა, ვიცე-გუბერნატორის თავაზიანი მიღება ურჩია. სვანებმა, მართალია, ლატფარზე დაყენებული დაცვა მოხსნეს, მაგრამ სულაც არ აპირებდნენ დამორჩილებას. ვიცე-გუბერნატორმა აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად ლეჩხუმის მაზრის უფროსი, 20 თავადაზნაური და სვანეთის მკვიდრი ბესარიონ ნიჟარაძე გაგზავნა. მთავრობის დელეგაციამ უხიფათოდ გადაიარა ლატფარი და მიუახლოვდა ლალხორს, სადაც 2 ათასი შეიარაღებული სვანი ყრილობაზე ბჭობდა. მათ გრინევსკისთან მოლაპარაკებაზე უარი თქვეს, ბესარიონ ნიჟარაძის პირით ლეჩხუმის მაზრის უფროსს შეუთვალეს ჩვენი მიწა დასტოვე, მოციქულები უვნებლად დაგვიბრუნე, თორემ ბრძოლას დავიწყებთო, გრინევსკი და მისი თანხლები პირნი დარწმუნდნენ, რომ სიკვდილის საშიშროების წინაშე აღმოჩდნენ, ცხენებს მოახტნენ, ლეჩხუმისაკენ გაუტიეს და ვიცე-გუბერნატორს თავისი წარუმატებელი მისიის შესახებ მოახსენეს. მალეფეევმა სვანთა მოთხოვნა შეასრულა, ყასბულათ შერვაშიძე და დელეგაციის სხვა წევრები სვანეთს გაუშვა. რამდენიმე დღის შემდეგ ლატფარისაკენ დაიძრა თვით ვიცე-გუბერნატორი მალაფეევი და გენერალი ციტოვიჩი ჯარით. სვანებმა გარკვეული მოსაზრებით უღელტეხილზე ბრძოლას თავი მოა-

რიდეს, დაუპატიჟებელი სტუმრები სოფ. კალაში შეუშვეს. აქ, ენგურის ორივე მხარეს ერთმანეთის პირისპირ განლაგდა 2 ათასი შეიარაღებული სვანი და მთავრობის ჯარის ორი ბატალიონი. მალაფეევმა მშვიდობიანი მოლაპარაკება დაიწყო, შეეცადა დაერწმუნებინა ხალხი, რომ მთავრობას სვანეთის მიმართ მხოლოდ კეთილი განზრახვა ამოძრავებს, ახალი გადასახადების შემოღებას არ აპირებს, დარხეული ხმები სიყალბეაო. ვიცე-გუბერნატორმა სვანთა გათიშვა დაისახა მიზნად; კალასა და უშგულის სასოფლო საზოგადოებათა მცხოვრებნი დაიბარა თავისთან, სხვა სოფლებიდან გამოსულ მოლაშქრეებს შინ დაბრუნება ურჩია, თქვენთან ცალკე მექნებაო მოლაპარაკება. აჯანყებულებმა ამაზე განაცხადეს, რომ ქუთაისიდან ციტოვიჩის ჯარის შემოსვლა, ხოლო ჩრდილოეთიდან ყაბარდოს მილიციის მოსალოდნელი შემოჭრა თავისუფალ სვანეთს აოხრებას უქადის, ამიტომ გადაეწყვიტეთ ბრძოლაში დავიხოცოთ, ვიდრე ჩვენი ოჯახების დაღუპვის გულგრილ მაყურებლად დავრჩეთო.

მალაფეევი და ციტოვიჩი კვლავ ირწმუნებოდნენ, ჩვენს მიზანს მხოლოდ დარღვეული წესრიგის აღდგენა შეადგენს, ხმები მიწისა და შინაური პირუტყვის დაბეგვრის შესახებ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მთავრობის ამ დიდმოხელეებმა არ დამალეს, რომ მიზნად აქვთ დასახული აღმოაჩინონ და შეიპყრონ ის არასაიმედო პირები, რომლებმაც ყალბი ხმების გავრცელებით ხალხი ესოდენ მძიმე დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანა. თუ განკარგულებას სვანები ნებაყოფლობით შეასრულებენ, მათთან მორჩილებით გამოცხადდებიან, აჯანყების მეთაურთა დაპატიმრებას და დასჯას დავჯერდებითო, ვიცე-გუბერნატორმა და დამსჯელი ჯარის უფროსმა ფარისევლური მოქმედებითა და კეთილგანზრახული დაპირებით მართლაც მოახერხეს თავისუფალ სვანთა უნდობლობის შესუსტება, მათ ერთიანობაში ბზარის შეტანა. 20 ივლისს კალელები და უშგულელები გამოეყვნენ აჯანყებულთა ლაშქარს და დამსჯელი ჯარის მეთაურებთან გამოცხადდნენ. მეორე დღეს თავიანთ სოფლებს დაუბრუნდნენ სხვა აჯანყებულნიც. მაგრამ ხალხის წარმომადგენლებმა კატეგორიული უარი თქვეს აჯანყების მეთაურთა გაცემაზე.

მეფის ჯარმა მიზანს ძირითადად მიაღწია. ბეჩოსაკენ მიმავალ გზაზე მალაფეევსა და მის ჯარს ხალხის საგრძნობი ნაწილი მორჩილებას აღუთქვამდა, თავის „დანაშაულს“ გულუბრყვილობასა და უცოდინრობას აბრალებდა. მხოლოდ ბალის მთაზე, ლატალსა და ბეჩოს შორის მდებარე უღელტეხილზე შეხვდა დამსჯელი ექსპედიცია შეიარაღებულ სვანთა რაზმს. მართალია, მანაც მორჩილება გამოაცხადა, მაგრამ თავის წარმომადგენელთა მეშვეობით მთავრობის ჯარის უფროსს ისიც მოახსენა, რომ

უნდობლობით ეკიდება მის კეთილ განზრახვას და ღმერთსა თხოვს ამ ჯარის სვანეთიდან გაყვანას, მალაფეევი და ციტოვაჩი კი სვანეთიდან წასვლას არ ჩქარობდნენ. ბეჩოში ჩასვლისთანავე მათ ბოქაულისაგან მიიღეს აჯანყების მეთაურთა და წამქეზებელთა სია, რომელშიც 36 კაცი იყო შეტანილი. ჩატარდა გამოძიება, მოწმეთა დაკითხვა. დაასკვნეს, რომ აჯანყებულებს არჩეული მეთაურები არ ჰყავდათ. მაგრამ მღელვარების პერიოდში თანდათან გამოიკვეთენ ისეთი პირები და მჭერმეტყველი ორატორები. რომლებიც მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებით ხელს უწყობდნენ აჯანყების გაღვივებას, ახერხებდნენ ერთსულოვან მოქმედებას. მთავარ დამნაშავეებად მიჩნეულ იქნა 16 კაცი: ყასბულათ შერვაშიძე, გინდარუყ ფარჯიანი, სვინჯი ჯაფარიძე, შახუბათ ქურდიანი, ბესი გოშთელიანი, ბითე იოსელიანი, გაბილა ფილფანი, ბექმურზა ცვირიბიანი, თაისავ კვანჭიანი, გურმაჩ გასვიანი, ჩარგაზ ჯოხაძე, ედავ გირგვლიანი, მურათბი ჩართოლანი, ბექი ფილფანი, ბაბი ნავერიანი და ყაისუნ შერვაშიძე.

ჩამოთვლილ პირთა უმრავლესობა წინააღმდეგობის გაუწევლად ჩაბარდა დამსჯელ ექსპედიციას. დანებებაზე უარი თქვეს გირგვლიანმა, ქურდიანმა, გასვიანმა და ჯოხაძემ. ედავ გირგვლიანი, კოვზა და პიკა გირგვლიანებთან ერთად ჩაიკეტა კოშკში. ციტოვიჩის ჯარმა არტილერიის ცეცხლი გაუხსნა გირგვლიანების კარ-მიდამოს, სახლი და კოშკის ნაწილი დაინგრა, ცეცხლი აბლოს მდებარე რამდენიმე სახლსაც მოედო. ბრძოლის დროს გირგვლიანებმა 6 მომხდური დაჭრეს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩაბარდნენ მტერს.

დამსჯელმა ექსპედიციამ თავის მიზანდასახულება თითქმის მთლიანად შეასრულა და ქუთაისში დაბრუნდა. ვიცე-გუბერნატორმა მალაფეევმა 1875 წ. 16 აგვისტოს მეფისნაცვალს წარუდგინა თავისი მოქმედების ანგარიში და დამნაშავეთა დასჯის წინადადება, წესრიგის დამყარების წინაპირობად მიიჩნია მათი შორეულ გუბერნიებში გადასახლება. მეფისნაცვალმა დაადასტურა ეს წინადადება. ადმინისტრაციული წესით გადასახლებულთა სიიდან ამოიღეს ყასბულათ და ყაისუნ შერვაშიძეები, ჩარგაზ ჯოხაძე, გურმაჩ გასვიანი, შახუბათ ქურდიანი, თაისავ კვანჭიანი, ედავ, კოვზა და პიკა გირგვლიანები, რომელნიც სასამართლო პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი.

დამნაშავენი ქუთაისის საპატიმროში ჩასვეს. თავისუფლების მოყვარე სვანებმა ვერ აიტანეს ტყვეობა. 4 მათგანი საპატიმროში გარდაიცვალა, ერთმა თავის მოკვლა სცადა. ვიცე-გუბერნატორმა მალაფეევმა იშუამდგომლა მეფისნაცვლის წინაშე, დამნაშავენი ან სწრაფად გადა-

ესახლებინათ ადმინისტრაციული წესით, ან გადაეყვანათ თბილისის საპყრობილეში. მართლაც მალე მ. რომანოვის განკარგულებით დამნაშავენი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს შიდა რუსეთის გუბერნიებში. გადასახლებულთა სიაში შეტანილი იყვნენ ჩ. ჯოხაძე, გ. გასვიანი და შ. ქურდიანი, რომელნიც ჯერ კიდევ არ იყვნენ დაპატიმრებული.

სვანეთის გლეხთა 1875 წლის აჯანყება ჩააქრეს, მისი მეთაურები დასაჯეს, მაგრამ მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის მოხელეებს სულაც არ მიაჩნდათ გამორიცხულად მდგომარეობის კვლავ გამწვავება ,და ახალი შეიარაღებული აჯანყების დაწყება. ამიტომ მათ სცადეს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, ხალხის უკმაყოფილების სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრა. ამ მოხელეებმა აღიარეს, რომ სვანეთში 1869 წელს შემოღებულმა მმართველობამ ვერც მთავრობის იმედი გაამართლა და ვერც ადგილობრივი მოსახლეობისა. ბოქაულის და პოლიციელთა რაზმის საქმიანობა არსებითად პარალიზებული იყო. ოფიციალურ სასამართლოს არავინ მიმართავდა. აღძრული სისხლის სამართლის საქმეები გადაუწყვეტელი რჩებოდა, რადგან დამნაშავეთა დაპატიმრებას ვერავინ ახერხებდა. გადასახადები არ იკრიფებოდა და მისი გაზრდა თითქმის გამორიცხული იყო. გადასახადების გაღების საჭიროებაში სვანთა დარწმუნება მხოლოდ მაშინ მოხერხდებოდა თუ ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებდა ნამდვილ თვითმმართველობას, უზრუნველყოფილი იქნებოდა ხეობის უშიშროება, მართლმსაჯულება და სწავლა-განათლება. მაგრამ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორმა სვანთათვის თვითმმართველობის მინიჭება დაუშვებლად სცნო და მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორების წინაპირობად მიიჩნია: 1. ენგურის ხეობაში გზის მშენებლობის დაუყოვნებლივ დაწყება, 2. ბეჩოში მდგარი მთავრობის ჯარის ადგილობრივი მოსახლეობისაგან გამოყვანილი მილიციით შეცვლა, 3. სვანეთის ბოქაულისათვის მაზრის უფროსისა და მილიციის უფროსის უფლება-კომპეტენციის მინიჭება, 4. სვანეთში მუდმივ მოქმედი სასამართლოს შექმნა, 5. ბოქაულის თანაშემწის შტატის დაშვება, 6. სვანეთში მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცება და დაწყებითი სკოლების გახსნა.

მეფისნაცვალმა ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციისაგან სვანეთში ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა მოიწონა და დაამტკიცა კიდეც. მაგრამ ვიდრე საჭირო სახსრებს გამონახავდნენ და გეგმის რეალიზაციას დაიწყებდნენ, სვანეთში მდგომარეობა კვლავ დაიძაბა, სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა.

მეფის მთავრობის ადგილობრივ ადმინისტრაციას დაუშვებლად მიაჩნდა თავისუფლად დატოვება იმ პირებისა, რომელნიც მეფისნაცვლის ბრძანებაში იყვნენ მოხსენებული და დასჯა-გადასახლებას ექვემდებარებოდნენ. 1876 წ. ივნის-ივლისში ლეჩხუმის მაზრის უფროსს გრინევსკის დაევალა შახუბათ ქურდიანის, გურმაჩ გასვიანისა და ჩარგაზ ჯოხაძის შეპყრობა.

გრინევსკი ივლისის ბოლოს ჩავიდა ბეჩოში და იქ მდგარ გარნიზონის უფროსს მაიორ ლეუსს დამნაშავეთა შესაპყრობად რაზმი მოსთხოვა. მალე თვით მაზრის უფროსი გრინევსკი, მაიორი ლეუსი, ექიმი ბელსკი და 100 ჯარისკაცი მულახისაკენ გაუდგა გზას. ამ რაზმმა რაკი მულახში შ. ქურდიანი ხელთ ვერ ჩაიგდო, მისი ორი შვილი დააპატიმრა და მძევლად აიყვანა. ამის შემდეგ გრინევსკი თავის თანმხლებ პირებით კალას ჩავიდა და მოლაპარაკება გამართა ხალდელებთან, მათგან დამნაშავეების (გ. გასვიანი, ჩ. ჯოხაძე) გაცემა მოითხოვა. ასეთ მუხანათურ საქციელზე სოფელმა უარი განაცხადა. ხალდელებმა მოციქულებს მოახსენეს, მთავრობა თუ თვითონ დაიჭერს დამნაშავეებს, ჩვენ მათ დაცვაზე თავს არ გამოვიდებთო. ამ პასუხით განრისხებულმა გრინევსკიმ მთელი მოსახლეობა თავისთან დაიბარა. სოფელმა მაზრის უფროსის ამ მოთხოვნაზეც უარი თქვა—თქვენ დამნაშავე მამის მაგიერ მისი შვილები დააპატიმრეთ, რა გარანტია გვაქვს რომ ხალდელებსაც ასე არ მოექცევითო.

სოფ. ხალდე აღელვებამ მოიცვა. ოჯახის ბევრმა მეთაურმა ცოლშვილი მთებში გახიზნა. მათ არ მიიღეს ბ. ნიჟარაძის რჩევა, გრინევსკისთან გამოცხადებაზე კვლავ უარი თქვეს, მოციქულს შეახსენეს, რომ გასულ წელს დაპატიმრებულნი ქუთაისის ციხეში დაიხოცნენ, თუ გრინევსკის ჩავბარდებით ჩვენც ეს ბედი მოგველის, საპატიმროში სიკვდილს აქ სიკვდილი გვირჩევნიაო. მაიორმა ლეუსმა თავის დამცირებად მიიჩნია გაჭიანურებული მოლაპარაკება და ხალდესაკენ დაიძრა. მას გაყვნენ სხვა მოხელეები და კაზაკთა რაზმი.

სოფ. ხალდეში იმ დროს 19 კომლი გლეხი ცხოვრობდა და 40 შეიარაღებული მამაკაცი ითვლებოდა. ყოველ მოსახლეს ერთი-ორი ქვიტკირის სახლი და კოშკი ჰქონდა. როგორც კი მთავრობის შეიარაღებული რაზმი სოფელს მიადგა, ხალდელი ვაჟკაცები კოშკებში ჩაჯდნენ და ბრძოლისათვის მოემზადნენ. მოხუცები კი სოფლის შუაგულში დაელოდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს. მათ თავაზიანად სთხოვეს მაზრის უფროსს უბედურებას ნუ დაგვატეხთო თავს, ამაღამ გიმასპინძლებთ, ვახშამს გაგიმართავთ, ხვალ კი თქვენი სურვილის შესრულებას შევეცდებითო, გრინევსკის საქმის მშვიდობიანი მოგვარების იმედი მიეცა, მაგრამ შეიარაღე-

ბული რაზმის უფროსი მაიორი ლეუსი გამომწვევად მოქმედებდა. მან არ დაუცადა მოლაპარაკების შედეგს და 1 აგვისტოს ხალდეს ალყა შემოარტყა, თავისი რაზმი გადამწყვეტი ბრძოლისათვის გაამზადა. სოფლის შუაგულში დამსჯელი ექსპედიციის მესვეურებს სვანთა წარმომადგენლები გეგი და გიორგი გირგვლიანები შეხვდნენ. მათ მოლაპარაკების გაგრძელება ჰქონდათ დავალებული. მაგრამ მაიორმა ლეუსმა ამ ორი სვანის ხიშტებზე აგება ბრძანა და ამის შესრულება 8 კაცს დაავალა. ჯარისკაცებმა გიორგი მყისვე გამოასალმეს წუთისოფელს, მსუბუქად დაჭრილმა გეგიმ ხანჯალი იშიშვლა, სამი ჯარისკაცი მოკლა და თვითონაც ზედ შეაკვდა მომხდურებს. რაკი მთავრობის ჯარმა პირველმა დაიწყო სისხლიანი ანგარიშსწორება, კოშკებში გამაგრებულმა ხალდელებმაც ცეცხლი გახსნეს, რამდენიმე წუთში მოკლეს მაიორი ლეუსი, უნტერ-ოფიცერი ტიშჩენკო და რამდენიმე ჯარისკაცი. დაჭრეს ბოქაული მიქელაძე და 9 ჯარისკაცი. ბრძოლა გვიან ღამემდე გაგრძელდა. უმეთაუროდ დარჩენილი ჯარისკაცები პანიკამ მოიცვა, გაქცევით სცადეს თავის გადარჩენა, მაგრამ სიბნელის გამო რამოდენიმე უფსკრულში გადაიჩეხა. გადარჩენილებმა სოფელ ლალხორს მიაღწიეს და იქ დაიბანაკეს.

პირველ შეტაკებაში გადარჩენილი გრინევსკი, მძიმედ დაჭრილი მიქელაძე, ექიმი ბელსკი, სასამართლოს ბოქაული ასათიანი სოფლის განაპირა სახლს შეეფარნენ. მაგრამ ხალდელებმა მათი სამალავი მალე აღმოაჩინეს და ყველა სიცოცხლეს გამოასალმეს.

მეორე დღეს ხალდელები სოფლის ცენტრში შეგროვდნენ. მოკლული მოხელეები და 17 ჯარისკაცი დაასაფლავეს. აჯანყებულებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ ჩადენილ დანაშაულს არავინ აპატიებდა. გადაწყვიტეს თავდაცვა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლა. მთავრობის ჯარის ახალი ნაწილების თავდასხმის მოლოდინში ხალდელთა ნაწილმა სოფლის მისადგომები გაამაგრა. სხვები ხიდების ჩაგდებას, გზების ჩახერგვას შეუდგნენ. იზრუნეს ტყვია-წამლის მომარაგებაზეც, რამდენიმე კაცი ბალს ზემო სვანეთის სოფლებში გაგზავნეს. მეზობლებს ამ დიდ გასაჭირში დახმარება სთხოვეს.

ხალდეში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის ამბავი როგორც კი მისწვდა კავკასიის ადმინისტრაციის დიდ მოხელეთა ყურს, მაშინვე შეადგინეს ურჩი ხალდელების ამოწყვეტისა და სოფლის ძირიანად დანგრევის გეგმა. დამსჯელი ექსპედიციის მეთაურობა ამჯერადაც გენერალ ციტოვიჩს მიანდეს. 1876 წლის 19 აგვისტოს მან გადალახა ლატფარის უღელტეხილი და დაბანაკდა მიჯვრისში, საიდანაც სოფ. ხალდე ხელის

ბოლოვით ჩანდა. დამსჯელი ექსპედიციის ოფიცრებმა ზუსტი ცნობები შეკრიბეს მოწინააღმდეგეზე. დაადგინეს, რომ ხალდეში იყო 11 მაგარი კოშკი; 50 კარგად შეიარაღებული კაცი ტყვია-წამლისა და სურსათის საკმაოდ დიდი მარაგით. 20 აგვისტოს გენერალ ციტოვიჩის ჯარის ავანგარდმა ხალდეს მისადგომებზე გადაინაცვლა, იერიშისათვის მოემზადა. 21 აგვისტოს ციტოვიჩის არტილერიამ ცეცხლი გახსნა, მაგრამ სვანურ კოშკებს ვერაფერი დააკლო. 22 აგვისტოს დამსჯელი ექსპედიციის უფროსმა ხალდელებს წინააღმდეგობის შეწყვეტა, დანებება მოსთხოვა, მაგრამ ამაოდ. კოშკებში გამაგრებული აჯანყებულნი უთანასწორო ბრძოლას განაგრძობდნენ. რაკი შორიდან მეზარბაზნეებს მიზანში ვერ ახვედრებდნენ, 6 კაცი გამოყვეს, რომლებმაც უგზო-უკვლო ხეობა გაიარეს. ქვემეხებს უკანიდან მიადგნენ და 7 მეზარბაზნე მწყობრიდან გამოიყვანეს (სამი მოკლეს, ოთხი მძიმედ დაჭრეს).

დამსჯელი ჯარის მთავარი ძალები 25 აგვისტოს კიდევ უფრო მიუახლოვდნენ სოფელს და სამმხრივ ალყაში მოაქციეს. შემდეგ იერიში წამოიწყეს, სოფლის დასავლეთ მისადგომებთან ხელსაყრელი მდებარეობის ბორცვს. ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან ხალდეს განაპირა სახლებს დაეფლნენ. ამ ბრძოლების დროს აჯანყებულებს ზარალი არ უნახავთ, ხოლო მთავრობის ჯარში რამდენიმე ჯარისკაცი დაიჭრა. იმავე დღის მიერ ნახევარში მოალყე ჯარებმა სცადეს ხალდეს ყველაზე დიდი კოშკის აფეთქება. მაგრამ ვერაფერს გახდნენ. აჯანყებულები თითქმის განუწყვეტლივ ისროდნენ, მესანგრეებს კოშკების ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოების შესაძლებლობას არ აძლევდნენ.

მოალყეებმა დამხმარე ჯარები მიიღეს და ალყა კიდევ უფრო შეავიწროვეს. გენერალმა ციტოვიჩმა ხალდეს განადგურებისათვის ბრძოლაში ქართული და სვანური მილიციაც კი ჩააბა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ დადეშქელიანები და გარდაფხაძეები, რომლებსაც თავისუფალ სვანებთან ისტორიული მტრობა ჰქონდათ.

ხალდეს ერთმა მუჭა დამცველებმა ერთ კვირას გაუძლეს მრავალრიცხოვანი ჯარის იერიშებს. 27 აგვისტოს დამსჯელმა ექსპედიციამ გადამწყვეტი იერიში წამოიწყო. ხალდეს გარსშემოვლებული ცოცხალი კედელი თანდათან შევიწროვდა. მოალყეებმა დაიწყეს კოშკებში ასაფეთქებელ ნივთიერებათა ჩაწყობა. ხალდეს დამცველებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ. მათ დაჭრილებისათვის საკაცეები გააკეთეს, სცადეს აღმოსავლეთის გზით მთისკენ გაჭრა, მაგრამ მთავრობის ჯარს წააწყდნენ და უკან

მობრუნდნენ. ამის შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით კლდეებისაკენ აიღეს გეზი. ამ მხარეს ალყას თენგიზ დადეშქელიანის მიერ თანამოძმეთა შესაპყრობად ძალად წამოყვანილი ქვემო სვანეთის გლეხები კრავდნენ. მათ უთანასწორო ბრძოლაში დაღლილ-დატანჯულ ხალდელებს გზა მშვიდობისა უსურვეს და გაატარეს.

ციტოვიჩს ხალდეს დამცველთა ძირითადი ნაწილის გასხლტომა გვიანობამდე არ გაუგია, 28 აგვისტოს დილაადრიან მის ბრძანებაზე მთავრობის ჯარი სოფლის ცენტრში შეიჭრა, მოიერიშეებს წინააღმდეგობა თითქმის არ შეხვედრია. როცა მესანგრეები მთავარი კოშკის აფეთქებას შეუდგნენ, მეზობელი კოშკიდან სროლა ატეხეს. ერთი ჯარისკაცი მოკლეს, სამი კი დაჭრეს. მაგრამ მესანგრეებმა თავისი საქმე მაინც გააგრძელეს. მალე რამდენიმე კოშკის აფეთქების ხმა გაისმა. პირველი კოშკის ნანგრევებში დაჭრილი გეგი და გიორგი გასვიანები მოჰყვნენ, დანარჩენ ორში არავინ არ აღმოჩნდა. დამსჯელმა ექსპედიციამ გააგრძელა „გმირული“ მოქმედება, მიწასთან გაასწორა ხალდეს ყველა კოშკი, ლამაზი სოფელი ნანგრევების გროვად გადააქცია. ცოცხლად დარჩენილნი შეიპყრეს. სოფლის ტერიტორია გადახნეს. ხალდელთა მოსამკელ ყანებს ცეცხლი წაუკიდეს. ხალდეს დამცველთა დედაწულმა სვანეთის სხვადასხვა სოფლებში პოვა თავშესაფარი. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მიიღეს მათ მშობლიურ ხალდეში დაბრუნების უფლება და ნანგრევებზე რამდენიმე სახლი აღადგინეს.

ამგვარად, სვანეთის გლეხთა 1875—76 წ.წ. სახალხო გამათავისუფლებელი მოძრაობა ორეტაპოვანი იყო. პირველი ეტაპი მიმდინარეობდა 1875 წ. მაისიდან აგვისტოს ბოლომდე. იგი შედარებით მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და მასში თავისუფალი სვანეთის მთელი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა მონაწილეობდა. მთავრობის ჯარმა სისხლიანი რეპრესიების გარეშე შეძლო აჯანყების დროებით შეჩერება. მის მეთაურთა შეპყრობა. სახალხო მოძრაობის მეორე ეტაპი დაიწყო 1976 წ. ივლისში და დამთავრდა აგვისტოში. ამ პერიოდში მოძრაობა, მართალია, ლოკალური იყო, ხალდეს არ გასცილებია, მაგრამ მიიღო შეიარაღებული ბრძოლის, სისხლიანი ტრაგედიის ხასიათი. ხალდეს ერთმა მუჭა დამცველებმა დიდი ვაჟკაცობა და საზრიანობა გამოიჩინეს, მეფის მთავრობის მობილეთა, დამსჯელი ექსპედიციის ძალადობას ძალა დაუპირისპირეს და პირველი შეტაკების დროს შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება. ხალდეს ვაჟკაცთა გმირობა მთავრული ასოებით ჩაიწერა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მატიანეში. ხალდეს განადგურება-დანგრევის დროს შეიპყრეს 9 კაცი: ჩოფი, ბითე, ბექა, კაცია, გიერგ, გუა გასვიანე-

ბი, გეგი ჩოფლიანი და ბადი ჯოხაძე. ისინი სწრაფად გაასამართლეს, ზოგს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, ზოგსაც სამუდამო კატორღა. მთებსა და მეზობელ სოფლებში გახიზნულ ხალდელთა შეპყრობა დაევალა სვანეთის ბოქაულის თანაშემწეს თენგიზ დადეშქელიანს. პოლიციელთა რაზმი მთაში წააწყდა გახიზნულ აჯანყებულთა ბუდე-სამალავს და ალყა შემოარტყა. ხალდელები ორ კვირას უწევდნენ წინააღმდეგობას მომხდურთ, შემდეგ მოახერხეს ალყის გარღვევა და სხვადასხვა მიმართულებით გაფანტვა, მაგრამ ზამთრის პირზე გაქცეულების ნაწილი ნებაყოფლობით ჩაბარდა მთავრობას, ზოგი კი შეიპყრეს დადეშქელიანის რაზმელებმა. 22 დაპატიმრებული ხალდელი ეტაპით გაგზავნეს ქუთაისში. შეპყრობილთა შორის იყვნენ წინააღმდეგობის პირველი წამომწყებნი გურმაჩ გასვიანი და ჩარგაზ ჯოხაძე.

მეფის მთავრობის კავკასიურ ადმინისტრაციას სურდა 22 პატიმარს. სამხედრო კანონების მეშვეობით, ისევე სწრაფად გასწორებოდა, როგორც უფრო ადრე შეპყრობილი 9 სვანის საქმე გადაწყვიტა. მაგრამ ასეთი თვითნებობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა მოწინავე საზოგადოებამ. თავისუფლების მოსაპოვებლად ამხედრებულ სვანთა დასაცავად აღდგა ქართველი ინტელიგენცია.

სვანეთის ანტიცარისტულ აჯანყებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ნ. ნიკოლაძე, მან რუსულ გაზეთ „თბილისის მოამბეში" გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომელშიც აჯანყებ-ს გარომწვევ მიზეზად ლეხუმის სამაზრო ადმინისტრაციის უგუნური მოქმედება და ბოროტმოქმედება გამოაცხადა. ნ. ნიკოლაძემ შეპირისპირებით დაახასიათა ერთი მხრივ სვანეთი და მისი მოსახლეობა, ხოლო მეორე მხრივ მეფის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაცია. სვანები საუკუნეების განმავლობაში თავისებურ პირობებში ცხოვრობდნენ და ისინი, ნ. ნიკოლაძის განცხადებით, XIX ს-ის 70-იან წლებშიც გამოირჩეოდნენ ადრესებით, უანგარობით, რაინდული გმირობითა და მაღალი ზნეობით. თუ ადგილობრივ ადმინისტრაციას სურდა სვანთა თანაგრძნობის მოპოვება, მათი პოლიტიკური ცხოვრების ახალი პირობებისადმი შეგუება, ამისათვის ტაქტიანი მოქმედებითა და ახალი ადმინისტრაციის უპირატესობის ჩვენებით უნდა მიეღწიაო. მრავალგვარი ექსცესებია მოსალოდნელი ქვეყანაში, სადაც ადმინისტრაციის უმეცარი წარმომადგენელნი მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ ვინმე დაჩაგრონ, თავის უპირატესობა უხეში ძალის გამომჟღავნებით დაამტკიცონ. ხალხი, რა თქმა უნდა, ასეთი ადმინისტრატორთადმი პატივისცემით ვერ განიმსჭვალებოდა, თავის ყავლგასულ, მაგრამ სამართლიან თვითმმართველობას ვერ დათმობდა. ნ. ნიკოლაძემ სვანეთის გლეხთა

აჯანყებაში, ხალდეს ტრაგედიაში მთელი პასუხისმგებლობა მეფის მთავრობის ადგილობრივ ადმინისტრაციას დააკისრა.

მეფის მთავრობის ადგილობრივმა მოხელეებმა სვანეთის შეიარაღებული აჯანყების 9 მონაწილის გასამართლება-დასჯით „გამოცდილება მიიღეს“ და 22 დამნაშავეზეც სწრაფად შეადგინეს საბრალდებო დასკვნა. ხალდელებს სახელმწიფო დანაშაული დაბრალდა და ომიანობის პირობების კანონის შესაბამისად მათი გასამართლება, სამხედრო-საველე სასამართლოს დაავალეს. სასამართლო პროცესი ქუთაისში 1876 წ. 27 ნოემბერს დაიწყო. მაგრამ საქართველოს ფართო საზოგადოებრიობამ მოითხოვა და მთავრობა იძულებული გახდა საველე სასამართლო საჯაროდ ჩაეტარებინა, რომლის დროსაც ბრალდებას სამხედრო პროკურორი ასაბუთებდა, ხოლო ბრალდებულებს ადვოკატები იცავდნენ.

სამხედრო პროკურორმა შლეტინსკიმ მომხდარი სისხლისღვრისათვის მთელი ბრალი ხალდელებს დააკისრა, მეფის მთავრობის მოხელეები კი უცოდველ კრავებად წარმოადგინა, მან ბრალდებულთა უმკაცრესად დასჯა, ნაწილის ჩამოხრჩობა, სხვების სამუდამო კატორღაში გაგზავნა მოითხოვა.

სასამართლო პროცესზე ბრალდებულებს იცავდნენ ადვოკატები— დავით ლორთქიფანიძე და ლუარსაბ ლოლუა. მათ აღნიშნეს, რომ ბრალდებულები აღიარებენ ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის, რამოდენიმე მომხდურის მოკვლის ფაქტს. მაგრამ ამასთან, მტკიცედ აცხადებდნენ, რომ დამნაშავენი არ არიან: შექმნილმა გარემოებამ აიძულა ისინი თავი დაეცვათ და ამ თავდაცვის დროს შემოაკვდათ რამოდენიმე მოხელე და ჯარისკაცი. ადვოკატებმა სცადეს სამხედრო სასამართლოსათვის დაემტკიცებინათ, რომ ხალდეს სისხლიანი ტრაგედია სვანებისათვის უცხო კანონების თავსმოხვევის, ადგილობრივი ადმინისტრაციის ბოროტმოქმედების და მთავრობის ჯარის უფროსის ახირება-ძალადობის შედეგი იყო. ადვოკატებმა ისიც აღნიშნეს, რომ ლეჩხუმის მაზრის ადმინისტრაციას მარტო ჯოხაძისა და გასვიანის დაპატიმრება არ ჰქონდათ მიზნად. მას სურდა ორი კაცის დაუმორჩილებლობა საბაბად გამოეყენებინა და რეპრესიებისათვის ფართო მასშტაბი მიეცა, მეფის მოხელეებმა არც კი დაუცადეს ხალდელთა პასუხს და დამსჯელი რაზმით სოფელს მიადგნენ. მათ პირველებმა გამოიყენეს იარაღი და მხოლოდ ამის შემდეგ იწვნიეს ხალდელთა საპასუხო გასროლის ძალა. ხალდელები თავს იცავდნენ, წინასწარგანზრახული დანაშაული არ ჩაუდენიათ. ამიტომ მათ არ შეიძლება მივუყენოთ სამხედრო კანონით გათვალისწინებული უმა-

ღლესი სასჯელი. სამართალში მიცემულთა მკაცრი დასჯა არავითარი თვალსაზრისით არ იქნება გამართლებულიო.

სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა არაოფიციალური დამცველის როლში დიდი პოეტი აკაკი წერეთელი გამოვიდა. მკვლელობა,—განაცხადა პოეტმა,—ყოველთვის დიდ დანაშაულად იყო მიჩნეული. ხალხი გმობდა და ზიზღით უყურებდა მკვლელს. ჩვენს წინაშეც თითქოს მკვლელები სხედან. მაგრამ დახეთ საკვირველებას, არავითარ ზიზღს ჩვენ მათდამი არ განვიცდით. დამსწრე საზოგადოება მათი ბედ-იღბლისადმი ერთნაირი თანაგრძნობითაა გამსჭვალული. იმისათვის რომ ხალდელები გაემართლებინა ა. წერეთელმა ყურადღება გაამახვილა სვანეთის ადმინისტრაციისა და ჯარის ნაწილის უკანონო მოქმედებაზე. მან აღნიშნა, რომ ზნეობრივად და გონებრივად ადმინისტრაცია სვანებზე უფრო მაღლა უნდა დამდგარიყო. მას ახალი და უცხო კანონები ძალადობით არ უნდა მოეხვია ხალხისათვის, წინასწარი ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ სინამდვილეში პირიქით ხდებოდა. თავის სიტყვაში პოეტმა მოურიდებლად ამხილა მაიორ ლეუსის ბოროტმოქმედებამდე მისული თვითნებობა და სიმკაცრე. ისიც აღნიშნა, რომ ადმინისტრაციას ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, დამსჯელი ფუნქციის არაადამიანურად მკაცრი შესრულებით გამოიწვიაო ხალდელთა საპასუხო გასროლა. ა. წერეთელი შეეხო საქმის ფორმალურ მხარესაც, აღნიშნა, რომ სვანები კანონის თანახმად ვალდებულნი იყვნენ ხელისუფლების ყოველ ბრძანებას და მათ შორის კანონსაწინააღმდეგოსაც დამორჩილებოდნენ. ხელისუფლების წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიებაც დაუშვებელია და ამდენად,—ირონიულად განაცხადა პოეტმა,—სვანებს, რომლებსაც ხიშტებზე აგებდნენ, არავითარი წინააღმდეგობა არ უნდა გაეწიათ. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე სვანები ასეთ კანონებს პატივს არ სცემენ. და ძალადობას სამართლიანი წინააღმდეგობა გაუწიესო. ერთი სიტყვით თავის კარგად დასაბუთებულ დაცვით სიტყვაში ა. წერეთელმა მოურიდებლად ამხილა მეფის მოხელეთა თვითნებობისა და ძალადობის მრავალი ფაქტი, ცხადყო, რომ ხალდეს სისხლიანი ტრაგედია მთავრობის მოხელეთა უკანონო მოქმედების, ძალადობა-გაუკითხაობის შედეგი იყო და ამიტომ ხალდელები არ იმსახურებდნენ დიდ სასჯელს. მან მოუწოდა სამხედრო სასამართლოს წევრებს კანონის სიმტკიცე შეეთავსებინათ სამართლიანობა-ჰუმანურობის გრძნობასთან. სიმართლისა და შეწყალების პრინციპი მიეყენებინათ ხალდელებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ დაცვამ გააქარწყლა ბრალდების ძირითადი ნაწილი, პროკურორმა ხალდელთა სასტიკი დასჯა მოითხოვა. სასამართლომ განაჩენი 1876 წ. 1 დეკემბერს გამოიტანა. 4 კაცს მიუსაჯეს სამუდამო კატორღა, ერთს—20 წლით საკატორღო სამუშაოები, 12 კაცს — ციმბირის შედარებით ახლო გუბერნიაში სამუდამო გადასახლება, 5 კაცს გადასახლება იმპერიის რომელიმე სამხრეთ გუბერნიაში. პროკურორი უფრო მკაცრ სასჯელს მოელოდა, მაგრამ სამხედრო საველე სასამართლო იძულებული გახდა ანგარიში გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის, მან ვერ გაბედა სახელმწიფო დამნაშავეებად გამოცხადებული ხალდელების სიკვდილით დასჯა, მათ სამუდამო კატორღა და გადასახლება „აკმარა“.

სვანეთის გლეხთა აჯანყება ერთი შეხედვით თითქოს იზოლირებული იყო, მას კავშირი არ ჰქონდა საქართველოს სხვა კუთხეების გლეხთა აჯანყებებთან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზეზებს, ხასიათსა და ამოცანებს იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ყველა ეს ლოკალური გამოსვლები და მათ შორის სვანეთის გლეხთა აჯანყება ერთი დიდი მოვლენის—განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი რგოლები იყო. ამ ასპექტში ხედავდნენ თერგდალეულები, ხალხოსნები და სხვა პროგრესულ მიმდინარეობათა ყველა წარმომადგენელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე გლეხთა მოძრაობას და ცდილობდნენ დაემყარებინათ მათ შორის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული კავშირი, მშრომელი მასა დაერაზმათ ცარიზმის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლისათვის.

კახეთის გლეხთა 1878 წლის აჯანყება. საგლეხო რეფორმამ კახეთის გლეხთა მიწათმფლობელობაც შეამცირა. მათაც მძიმე საგლეხომამულო ვალდებულებანი დააკისრა. ბევრად უკეთესი არც სახაზინო გლეხთა და ხიზანთა მდგომარეობა იყო. ყველა იჩაგრებოდა ცარისტული რეჟიმის ქვეშ, ყველას უკმაყოფილებას იწვევდა მეფის მოხელეთა თვითნებობა და ბოროტმოქმედება.

საქართველოს მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა რუსეთ-თურქეთის 1877—1879 წწ. ომის დროს. გლეხთა ნაწილი სახალხო მილიციაში გაიწვიეს. უფრო მეტს მძიმე სატრანსპორტო და საგზაო ბეგარა დააკისრეს. მიწას მოწყვეტილი გლეხობა სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა მეურნეობას, მოსავლიანობა კატასტროფულად შემცირდა, რამაც შიმშილობა გამოიწვია.

1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომს ქართველი ხალხი ეროვნული ინტერესების პრიზმაში ხედავდა, დარწმუნებული იყო, რომ ამ ომის

ძლევამოსილად დამთავრებას თურქთაგან ადრე მიტაცებული მიწების განთავისუფლება, საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენა მოჰყვებოდა. ქართველები და მათ შორის კახელებიც მრავლად ჩაეწერენ სახალხო ლაშქარში და თავისი წვლილი შეიტანეს მტრის დამარცხებაში.

ასეთი პატრიოტული აღმავლობის დროს მოხდა სწორედ კახეთის გლეხთა აჯანყება, რომლის უშუალო მიზეზი გახდა სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ დარხეული ხმები. კახელები, მართალია, პატრიოტები იყვენ და შესაძლებლობის ფარგლებში კიდეც მონაწილეობდნენ თურქეთის წინააღმდეგ ომში, მაგრამ არ სურდათ ჯარისკაცის ფარაჯის ჩაცმა, არმიაში ხანგრძლივი სამსახური და სწორედ ამის წინააღმდეგ გამოთქვეს პროტესტი, აჯანყების დროშა ააფრიალეს. გლეხთა უკმაყოფილების მიზეზები უფრო ღრმა და მრავალმხრივი იყო, არქივის საბუთებიდან ჩანს, რომ გლეხები აცხადებდნენ—მემამულეებს არ მივცემთო ღალას. კიდევ მეტი, აჯანყებული გლეხები არბევდნენ მემამულეთა სახლ-კარს, თავადაზნაურთა წინამძღოლი ვაჩნაძე მიიჩნიეს მთავარ დამნაშავედ და ცემა-ტყეპით გაუმასპინძლდნენ მას. ერთი სიტყვით, 1878 წ. აჯანყებაში ყველა კატეგორიის გლეხები მონაწილეობდნენ, მაგრამ განსაკუთრებით აქტიურობდნენ დროებითვალდებული გლეხები. ეს გამოსვლა სოციალურმა და პოლიტიკურმა უსამართლობამ გამოიწვია, აჯანყების მახვილი მიმართული იყო როგორც ქართველი მემამულეების, ისე მეფის მთავრობის მოხელეთა წინააღმდეგ.

კახეთის გლეხთა აჯანყების უშუალო მიზეზი გახდა კავკასიის ადმინისტრაციის მეთაურის, მეფისნაცვლის განკარგულება საქართველოდან ახალგაზრდობის მილიციაში გაწვევის შესახებ. შემუშავებული წესის თანახმად მილიციაში გაწვევა ხდებოდა არა სასოფლო საზოგადოების შერჩევით, არამედ კენჭისყრის საფუძველზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში მოსახლეობის ჯარისკაცებად გაწვევის დროს. სწორედ ამიტომ სიღნაღის მაზრის მცხოვრებთა შორის გავრცელდა ხმები, რომ მთავრობას ახალგაზრდობა მილიციაში კი არა ჯარში მიჰყავსო, სწორედ ამან შეაშფოთა კახეთის მოსახლეობა.

1878 წ. მაისის ბოლოს ქვემო მაჩხაანის, ანაგის, ვაქირის, კარდენახის, ბაკურციხის და სხვ. სოფლების გლეხებმა ჩვეულებრივ საქმიანობას თავი ანებეს, შეიკრიბნენ და ერთხმად დაადგინეს არ მიეცათ მთავრობისათვის ახალგაზრდები „სალდათებად“. მილიციაში გასაწვევთა კენჭისყრა 5 ივნისისათვის იყო დანიშნული. წინა დღეს ქიზიყელები ზემო მაჩხაანში შეიკრიბნენ, გამოიძახეს ამ სოფლის მამასახლისი ბოსტაღანაშვილი და

მილიციაში გასაწვევთა სიები მოსთხოვეს. აბობოქრებული ხალხით შეშინებულმა მამასახლისმა განაცხადა, ჩემთან მარტო სიების ასლი არ არ-ხება, დედანი მაზრის უფროსს ჩაბარდაო. აღშფოთებულმა გლეხებმა მამასახლისს მუშტები უთავაზეს და მაზრის ცენტრისაკენ დაიძრნენ.

სიღნაღის მაზრის უფროსსა [illegible]ანყებულ სოფლები ხალხის დასაშშვიდებლად ბოქაული ჯანშიევი და ჩაფრების რაზმი გაგზავნა. ბოქაულმა ვერც ტკბილი სიტყვით და ვერც მუქარით ხალხის დამშვიდება ვერ შეძლო. გლეხები ერთსულოვნად გაიძახოდნენ, „არ მოგცემთ მილიციონერებს სალდათებადო". კიდევ მეტი, ქვეყნიდან მაჩიაანელება [illegible] ბოდბისხეველი, საქობოელი და ანაგელი გლეხები. ეროვნულად დაადგინეს წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობისათვის. ბოქაული გაწბილებული დაბრუნდა სიღნაღში და მაზრის უფროსს საკმაოდ სრული ინფორმაცია მიაწოდა შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

სიღნაღის მაზრის უფროსმა ტიზენჰაუზენმა გადაწყვიტა კენჭისყრა და ახალგაზრდების მილიციაში გაწვევა სამხედრო ძალის დახმარებით ჩაეტარებინა. ამისათვის მან არ იკმარა ჩაფართა რაზმი და გაეშურა ალაზნის პირებში მდგარი ჯარის უფროს გენერალ-მაიორ იოსებ ორბელიანისაკენ, რათა მისთვის გამოეთხოვა კაზაკთა ასეულები. გენერალი ამ დროს თავად ვაჩნაძესთან ქეიფობდა ბაკურციხეში და ტიზენჰაუზენმაც იქით აიღო გეზი. სოფ. ანაგასთან მაზრის უფროსს გზა გადაუჭრეს რამდენიმე საზოგადოების გლეხებმა და განუცხადეს: „სალდათებს წილის ყრით არ მოგცემთ, მაგრამ თუ ხელმწიფე გვიბრძანებს ყველანი გამოვალთ ლაშქარში სამშობლოს დასაცავადო". მაზრის უფროსმა სცადა გლეხების დამშვიდება, არწმუნებდა მათ, რომ ახალგაზრდებს მილიციაში იწვევენ და არა ჯარში, რაც შეეხება კენჭისყრას, თქვენივე საკეთებლობისათვის კეთდება, ამით თავიდან აიცილებთ მამასახლისთა ბოროტმოქმედებასო. ამ სიტყვებმა სათანადო შედეგი არ გამოიღო. გლეხთა თავყრილობაში გაბრეული ქალები აყვირდნენ—„არ შეიძლება, არ მოგცემთ სალდათებსო". გლეხთა ერთი ჯგუფი მაზრის უფროს მიუახლოვდა და მილიციაში გასაწვევთა სიები მოითხოვა. შეფიქრიანებულ ტიზენჰაუზენს მამასახლისი მჭედლიშვილი აეფარა. გლეხებს წესრიგისაკენ მოუწოდა. აღშფოთებულმა ხალხმა თავხედ მამასახლისს თანამდებობის ნიშანი ჯვარი ჩამოგლიჯა კისრიდან და კარგადაც სცემა. ამ მომენტით ისარგებლა მაზრის უფროსმა და ბაკურციხისაკენ გაქუსლა.

ტიზენჰაუზენი ვაჩნაძის სასახლეში გამოცხადდა. აქ [illegible] დაბრუნდა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა ეთელი კრებული: გენერალი ი.

ორბელიანი, გენერალი კურილო, პოლკოვნიკი კოლაკუცკი, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის თანაშემწე ლევცოვიჩი, მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწენი—ხოსროევი და დრაგომირეცკი. გაიმართა თათბირი. მაზრის უფროსი და ი. ორბელიანი შეთანხმდნენ, რომ მღელვარებით მოცულ სოფლებში ჯარის ნაწილები გაეგზავნათ. მაგრამ მათდა გასაოცრად 5 ათასი აჯანყებული ბაკურციხეში ჩამოვიდა და თავისი უკმაყოფილების მიზეზი მოხელეთა ამ ჯგუფს მოახსენა. შეშფოთებულმა გენერალმა შიკრიკი აფრინა, ჯარის ნაწილი გამოითხოვა. აჯანყებულები მიხვდნენ უფროსების განზრახვას, შიკრიკი გზაზე დააკავეს და წერილი ჩამოართვეს. აღშფოთებული გლეხთა ნაწილი ხანჯლებითა და კეტებით შეიარაღებული შეიჭრა ვაჩნაძის სახლში. სახლის პატრონმა რ. ვაჩნაძემ, თავადმა ი. აფხაზმა, მომრიგებელი მოსამართლის მოადგილე ხოსროევმა სცადეს გლეხთა დამშვიდება, ურჩიეს მათ გონზე მოსვლა და დაშლა, მაგრამ ამაოდ. აჯანყების თავკაცებმა მოითხოვეს მაზრის უფროსის, მისი თანმხლები მოხელეების და მილიციის გამწვევი კომისიის წევრების ხალხისათვის გადაცემა. ისინი არიან ჩვენი მჩაგვრელები და მძარცველები, მათ შეადგენეს მილიციაში გასაწვევთა სიები. გაიგოს ყველამ, რომ წილისყრით მილიციელების გაწვევას არ დავუშვებთო.

ამ აჯანყების დროს განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალები. იყო მომენტი, როცა გენერალ ორბელიანის ახსნა-განმარტებამ და რჩევა-დარიგებამ თითქოს გაჭრა, ხალხი დაშლას აპირებდა, მაგრამ მანდილოსნები თავიანთ ქმრებსა და ვაჟიშვილებს მიუბრუნდნენ და შემდეგი სიტყვებით მიმართეს: თქვენ ?რა კაცები ხართ, მოიხადეთ თქვენი მამაკაცური ქუდები და ჩვენ დედაკაცებს მოგვეცით. სიტყვიერ ზემოქმედებასაც არ დაჯერდნენ. ?ბედულების მაგალითიც მისცეს ვაჟკაცებს—ვაჩნაძის სახლის ფანჯრებს ქვები დაუშინეს. ბოლოს ერთი მანდილოსნის მოწოდებაზე ხალხი იმ ოთახში შეცვივდა სადაც მაზრის უფროსი ტიზენჰაუზენი იმყოფებოდა და მისთვის მილიციაში გასაწვევთა სიების წართმევას შეეცადა.

შეშინებულმა ტიზენჰაუზენმა, გლეხებს გამოუცხადა მზად ვარ თქვენივე წარმომადგენლის ხელით წერილი გავგზავნო სამაზრო სამმართველოში, იქ ჩემი მოადგილე მილიციაში გასაწვევთა სიებს გადმოგცემთო. აჯანყებულთა უმრავლესობას სარწმუნოდ მოეჩვენა მაზრის უფროსის

სიტყვა და დაპირება. მაგრამ ერთმა ქალმა შეჰყვირა—ეს გაიძვერა მოტყუებას გვიპირებსო. მაშინ რამოდენიმე გლეხი მიუვარდა ტიზენჰაუზერს. რაღაც ნაწერები გამოგლიჯეს ხელიდან.

ხალხმა უფროსების მოთვინიერება ძალის გამოყენებით სცადა. მაზრის უფროსი ეზოში ჩაათრიეს და კარგად მიბეგვეს. გლეხთა ერთმა ჯგუფმა ტიზენჰაუზენი სიღნაღში ჩაიყვანა, მაგრამ იქ პოლიციელთა რაზმმა მას გაბედულება შემატა, ფიქრი იმაზე დაიწყო თუ როგორ დაესაჯა თავგასული გლეხები. სიღნაღის მაზრის უფროსმა თბილისის გუბერნატორს სასწრაფოდ გააცნო შექმნილი ვითარება და შეიარაღებული ძალები მოითხოვა.

ამასობაში აჯანყებულთა მეორე ჯგუფმა სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს ანდრონიკაშვილს დაუწყო ძებნა. გზაზე შემთხვევით შეხვდნენ გენ. ი.-ორბელიანს. ეს არის ჩვენი დამღუპველიო, შესძახეს გლეხებმა და ცემა დაუწყეს. შემდეგ აჯანყებულებმა ჩამოიარეს სოფლები, დაარბიეს კარდანახის, ვაქირის, საქობის, ანაგის და სხვა სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისების სახლ-კარი, მილიციაში გასაწვევთა სიების შედგენაში ბრალდებულ სანდრო ჭრელაშვილის დუქანი, მკაცრად მოექცნენ ზოგიერთ სხვა ვაჭარ-მეფუქნეებსაც. ასე ჩათავდა 1878 წლის 5 ივნისი, სიღნაღის მაზრის გლეხობისა და სამაზრო ადმინისტრაციისათვის მეტად დაძაბული დღე.

კახეთში გლეხთა მოძრაობის დაწყების თაობაზე ცნობის მიღებისთანავე თბილისის გუბერნატორი შეიარაღებული რაზმით სიღნაღისაკენ გაემართა. დაიწყო რეპრესიები. გუბერნატორის ბრძანების თანახმად ჯარისა და პოლიციის რაზმებმა განახორციელეს დამსჯელი ოპერაციები, შეიპყრეს აჯანყების მეთაურები და წამქეზებელნი.

კახეთის გლეხთა აჯანყების ფაქტი ფართოდ გახმაურდა. მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა ჯერ კავკასიის კომიტეტს გააცნო შექმნილი ვითარება და შემდეგ ეს სამწუხარო მოვლენა იმპერატორს შეატყობინა. ალექსანდრე მეორემ საქმის დეტალური გამოძიება, დამნაშავეთა სასტიკი დასჯა თავის მოხელეებს დაავალა. პეტერბურგიდან საქართველოში (კახეთში) გამოგზავნა სპეციალური კომისია სენატორ სტარიცკის მეთაურობით.

სტარიცკის კომისიამ თითქმის სამ თვეს იმუშავა და 1878 წ. 3 ოქ-

ტომბერს ვრცელი მოხსენებითი ბარათი კავკასიის კომიტეტში და მისი მეშვეობით უმაღლეს მთავრობაში წარადგინა. მეფის მთავრობის მოხელეებმა აღიარეს, რომ ქართველმა ხალხმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და არასოდეს უთქვამს უარი მილიციაში გაწვევაზე; საომარი მოქმედების დაწყებისთანავე თვით საზოგადოების ინიციატივით, არჩეული პირების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული მილიციის რაზმები, რომლებმაც სასახელო ფურცლები ჩაწერეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მატიანეში. დიდმოხელეებმა ისიც აღნიშნეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, მილიციაში გაწვევის ახალი, არასწორი წესის შემოღება გახდა აჯანყების უშუალო მიზეზი და ამიტომ აჯანყების ხელმძღვანელთა და აქტიურ მონაწილეთა სასტიკი დასჯა გამართლებული არ იქნებაო.

გამოძიებამ კახეთის გლეხთა აჯანყების მოთავეებად დაასახელა 22 კაცი: დიმიტრი კუდაშვილი, თომა მირიანაშვილი, გეგენა ალხანაშვილი, ილია ნალბანდიშვილი, ილია მუჯღლიშვილი, სესია მეკელიშვილი, იასე ნარეკლიშვილი, გეგენა სვიმონიშვილი, გაბრო კასრიძე, ილია კვირიკაშვილი, მელანია ხელაშვილი, კეკე დავითაშვილი, საბედა გულსადარიშვილი, გიორგი შიოშვილი, ჯანდიერ სიფრაშვილი, ივანე ბაყაშვილი, ილია მირინაშვილი, გეგენა დარჩიაშვილი, ზაზიკა გონებაშვილი და სხვები.

მეფისნაცვლის განკარგულებით აჯანყების ხელმძღვანელობაში ბრალდებულ კახელ გლეხთა საქმე განსახილველად სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცა. სასამართლო პროცესს თვალყურს ადევნებდა იუსტიციისა და სამხედრო სამინისტროები, კავკასიის კომიტეტი, თბილისის გენერალ-გუბერნატორი და სხვა დიდი მოხელეები. პასუხისგებაში მიცემული 22 კაციდან სასამართლომ დამნაშავედ სცნო 9 მამაკაცი და ორი ქალი, რომლებსაც 3-დან 15 წლამდე საკატორღო მუშაობა მიუსაჯა.

ამგვარად, კახეთის გლეხთა 1878 წ. აჯანყება სოციალური უთანასწორობისა და დესპოტური პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. მართალია, მას ფართო მასშტაბი არ მიუღია, სწრაფად იქნა ლიკვიდირებული, მაგრამ ქართველ გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ მატიანეში კახელ გლეხთა ამ აჯანყებას სათანადო ადგილი უკავია.

თ ა ვ ი VI

ქართველი გლეხობა XIX ს-ის 80—90-იან წლებში

აგრარულმა რეფორმამ ყმა გლეხები დროებითვალდებულ გლეხებად აქცია. ისინი შეადგენდნენ გლეხური მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ მეტს. ეს რეფორმა სხვა კატეგორიის გლეხებს უშუალოდ არ შეხებია, მაგრამ XIX ს-ის 70-ანი წლებიდან საგრძნობი ცვლილებები მოხდა საეკლესიო, ხიზანი და სახელმწიფო გლეხების ცხოვრებაშიც.

1869 წ. 13 ნოემბერს ალექსანდრე მეორის ბრძანების თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილ-მამული სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. ხაზინის ხელში გადავიდა 126 ათასი ჰექტარი ტყე და სახნავ-სათესი მიწები. საეკლესიო გლეხებს კი საზეიმოდ გამოუცხადეს, რომ ისინი განთავისუფლებული არიან ეკლესიის დამოკიდებულებისაგან და ენიჭებათ სახელმწიფო გლეხთა უფლებები. ყოფილი საეკლესიო გლეხები დაიბეგრნენ სახელმწიფო საკომლო გამოსაღებით. მაგრამ მათ ნადელები მუდმივ სარგებლობაში არ გამოყოფიათ. ხაზინის ამ ახალ ქვეშევრდომთა ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი ნაკვეთები შეიტანეს საღალოდ გასაცემი მიწების კატეგორიაში და მათვე დაუტოვეს სარგებლობაში უვადო საიჯარო პირობით. ამდენად, ყოფილ საეკლესიო გლეხებს ერთი და იგივე მიწებით სარგებლობისათვის ახდევინებდნენ როგორც სახელმწიფო საკომლო გამოსაღებს, ისე საიჯარო ქირას, რასაც მეფის მთავრობის მოხელეები ღალას უწოდებდნენ. ამან, როგორც ჩანს, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გლეხობაში, რამაც აიძულა მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია „აღმოეჩინა“ დაშვებული „შეცდომა“ და უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის ამ ნაწილისათვის უკანონო საიჯარო გადასახადი მოეხსნა.

ზემოაღნიშნული ღონისძიება XIX ს-ის 70-იან წწ. დასავლეთ საქართველოზეც გავრცელდა. სახელმწიფო ხაზინის ხელთ გადავიდა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრების ყმა-მამული, რის შედეგადაც სახელმწიფო გლეხთა კატეგორია კიდევ უფრო გაიზარდა.

1868 წ. კავკასიაში შეიქმნა სახელმწიფო ქონებათა სამმართველო. გუბერნიებსა და მაზრებში სახაზინო ქონებისა და სახაზინო გლეხთა გამგებლობა დაევალა პოლიციის მოხელეებს. პოლიციის ამ არაპირდაპირი მოვალეობისაგან განთავისუფლების მიზნით, 1874 წ. სახელმწიფო ქონე-

ყველა ის მიწები, ხიზნები რომ 1891 წ. დებულების გამოცემამდე ფლობდნენ მათვე რჩებოდათ სარგებლობაში, რის საზღაურადაც მემამულეთა წინაშე ასრულებდნენ გარკვეულ ვალდებულებებს. ხიზნების მიერ მემამულეთა მიწებზე აგებული სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, მათგან გაშენებული ბაღ-ვენახთა ნარგავები ხიზანთა საკუთრებად იქნა ცნობილი. თუ მემამულე მოისურვებდა ხიზნის აყრას, მას ერთი წლით ადრე უნდა გაეფრთხილებინა ხიზანი და თანაც აენაზღაურებინა მისთვის ნაგებობა-ნარგავებისა და მიწის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები. ხოლო ხიზნის გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევაში მემამულეს საზღაური ორმაგად უნდა გადაეხადა.

შექმნილ პირობებში 1891 წ. 3 ივნისის დებულებას ხიზანთათვის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მას გააჩნდა არსებითი ნაკლი. კანონში განსაზღვრული არ იყო ხიზანთა ვალდებულებები. იგი მემამულეს აძლევდა რენტის შეცვლის (ვადიდების) და ხიზნის აყრის იურიდიულ უფლებას. ამდენად, 1891 წლის 3 ივნისის დებულებამ ხიზანთა უფლებები რამდენადმე შეკვეცა, ხოლო მემამულეთა თვითნებობას კვლავ დაუტოვა ასპარეზი.

მიუხედავად ამისა, თავადაზნაურობას არ მოეწონა დებულება ხიზანთა შესახებ. 1893 წ. ქართველმა თავადაზნაურობამ იმპერატორს გაუგზავნა საჩივარი, რომელშიც თავს ესხმოდა დებულების მისთვის არასასურველ მუხლებს.

უმაღლესი ბრძანებით 1891 წ. 3 ივნისის დებულების გადასინჯვა დაევალა სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილ კომისიას. კომისიის ოქმების საფუძველზე 1895 წ. ამიერკავკასიის მთავარმმართველის საბჭოში შემუშავებული იქნა კანონპროექტი. მალე 1891 წ. 3 ივნისის დებულების დამატების სახით გამოქვეყნდა 1900 წ. 5 ივნისის კანონი, რომელშიც გათვალისწინებული იყო თავადაზნაურთა ზოგიერთი მოთხოვნები.

ახალ კანონს ცვლილება შეჰქონდა ხიზნის განსაზღვრებაში. ხიზნად ჩაითვლებოდა ის გლეხი, რომელიც საადათო სამართლის საფუძველზე მემამულის ნებართვით დაესახლა მის მიწაზე. ამ ცვლილების შედეგი იყო ის, რომ ბევრი გლეხი (თვითნებურად ჩამოსახლებულნი) უკვე ვეღარ ახერხებდა თავისი ხიზნობის დამტკიცებას და იძულებული იყო ჩვეულებრივი მოიჯარის უფლებებს დასჯერებოდა. თვით ნამდვილი ხიზნების მდგომარეობაც უფრო მერყევი გახდა. ახალი კანონი აუქმებდა ხიზნის გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევისათვის დაწესებულ ორმაგ საზღაურს და ამით მემამულეებს არასასურველი ხიზნებისაგან მიწის გაწმენდის შესაძლებლობას უადვილებდა. თუ ხიზანი თვით იტყოდა უარს

ქართველი გლეხობა ყოველწლიურად ეწეოდა შრომასა და ხარჯს, რომლის ფულადი გამოხატულება იყო 400—500 ათასი მანეთი.

ხიზან გლეხთა კატეგორია, როგორც აღვნიშნეთ, XVII—XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. გაუთავებელი ომებით გაპარტახებულ საქართველოში მიწა შედარებით ბევრი იყო, მიწის მუშა კი ნაკლები. ასეთ პირობებში ყველა მემამულე ხალისით ღებულობდა კარზე მიმდგარ ხიზნებს, რომელთა შემწეობითაც მიტოვებულ მიწებს ამუშავებდნენ, ყამირს ტეხდნენ და თავის შემოსავალს ზრდიდნენ.

ხიზნური ურთიერთობა ამჟღავნებდა გამარადისობის ტენდენციას და ყალიბდებოდა ჩვეულება-ადათის საფუძველზე, რასაც ფეოდალურ საქართველოში დაწერილი კანონის ძალა ჰქონდა. ხიზანს მიწა უვადო სარგებლობაში ეძლეოდა და იხდიდა გადაკვეთილ გადასახადს (რენტას), რომლის თვითნებურად შეცვლა არც ერთ მხარეს არ შეეძლო. რუსეთის ცარიზმის კავკასიური მოხელეები ხიზნობას თვლიდნენ საადგილმამულო ურთიერთობის ბედნიერ გამონაკლისად. 1861 წ. თბილისის გუბერნატორი წერდა, რომ ქართული ხიზნობა ფერმერობის პირველსახე არისო. მეფის მთავრობის ეს მოხელე დიდად როდი ცდებოდა. რეფორმამდელ საქართველოს პირადად თავისუფალ ხიზნებს ზოგი რამ მართლაც ჰქონდათ საერთო ინგლისელ ფერმერებთან, რომლებიც მიწებს საიჯაროდ 99 წლის ვადით იღებდნენ და თანაც გადაკვეთილი რენტის გადახდის პირობით.

მიწათმფლობელს ხიზნის პიროვნებაზე ხელი არ ძიუწვდებოდა. ხიზანი მხოლოდ საადგილმამულო ვალდებულებით იყო მასზე დამოკიდებული. ბუნებრივია, მემამულეები ცდილობდნენ ხანმოთეული ხიზნებისათვის პირადი ვალდებულებების დაკისრებას, მათ დაყმევებას, რასაც არც თუ იშვიათად ახერხებდნენ კიდეც. მაგრამ გლეხთა გაქცევა-გახიზვნისა და ხიზნად ქცევის მასშტაბი გაცილებით ფართო იყო, ვიდრე ხიზანთა დაყმევების შემთხვევები და ამიტომ გვიანფეოდალური ხანის საქართველოში ხიზან გლეხთა კონტინგენტი თანდათან იზრდებოდა. რეფორმის წინ საქართველოში 7000-მდე კომლი ხიზანი ითვლებოდა.

1864 წ. 13 ოქტომბრის დებულების მერვე მუხლის ძალით ყმური წარმოშობის ხიზნები თავისუფლდებოდნენ ძველი მებატონის ყმობისაგან და ახალი მემამულის მიწაზე რჩებოდნენ ხიზნის მდგომარეობაში საადგილმამულო ურთიერთობის ნორმათა ყოველგვარი შეცვლის გარეშე. ეს მუხლი ისე იქნა გაგებული ხიზნების მიერ, თითქოს საკანონმდებლო წესით მიემაგრათ მათ სარგებლობაში მყოფი მიწები. ამიტომ უნადელოთ

დარჩენილ განთავისუფლებულ ყმა გლეხთა თვალში ხიზნურ მდგომარეობას მიმზიდველობა პიემატა და რეფორმის გატარებიდან რამდენიმე წელში ხიზანთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად ამისა დრო ხიზნობის ინსტიტუტის წინააღმდეგ მოქმედებდა.

საგლეხო რეფორმა არ შეხებია ხიზნურ მიწათსარგებლობას, მაგრამ რეფორმის შედეგები ხიზანთა უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების მიზეზად იქცა. იმის გამო, რომ რეფორმის გატარებისას დროებითვალდებულმა გლეხებმა დიდი რაოდენობით მიწები დაკარგეს ჩამონაჭრების სახით, მიწაზე მოთხოვნილება გაიზარდა. და სწრაფად აიწია საიჯარო ფასმა. ასეთ პირობებში ძველი საადათო ურთიერთობის ნორმებით ხიზნებისათვის მიწის სარგებლობაში დატოვება მემამულეებს უკვე აღარ მიაჩნიათ ხელსაყრელად. თავადაზნაურობამ დაიწყო ბრძოლა ხიზნობის ინსტიტუტის წინააღმდეგ, ხიზანთა ჩვეულებრივ მოიჯარადრეებად გადაქცევისათვის.

დავიწყებული იქნა ის დიდი დამსახურება, რაც ხიზნებმა გასწიეს ყამირი მიწების სახნავ-სათესად და ბაღ-ვენახად გადაქცევის საქმეში. გაწეული შრომისა და ხარჯის საზღაურად ხიზნებმა, უდაოდ, დიდი უფლება მოიპოვეს მათ მიერ დამუშავებული ნაკვეთების მიმართ, მაგრამ მემამულეებმა ხიზნების სამფლობელო მიწები თავისი შეუზღუდავი საკუთრების ობიექტად გამოაცხადეს. ძველი საადათო სამართლის დარღვევა ხიზნობის ინსტიტუტის ორი მთავარი ნიშნის უარყოფაში გამოიხატებოდა: 1. მემამულეები უარყოფდნენ მიწის რენტის უცვლელობის პრინციპს და ხიზანთა საადგილმამულო ვალდებულებებს (ღალა-კულუხი, მუშაობა) ადიდებდნენ. 2. უარყოფდნენ ხიზნების მიერ მიწით სარგებლობის უვადობის პრინციპებს, გადაჰყავდათ ისინი ვადიან წერილობით საიჯარო ურთიერთობაზე, ან სულაც ერეკებოდნენ მათი მამაპაპეული ადგილებიდან, რათა მიწები სხვებზე გაეცათ უფრო ხელსაყრელი გარიგებით.

დაიწყო მწვავე აგრარული ბრძოლა. თავადაზნაურობა ხიზნებს აცხადებს ჩვეულებრივ მოიჯარეებად, რომელთა აყრა-გადასახლების უფლება მათ ყოველთვის ჰქონდათ და მომავალშიც უნდა ჰქონოდათ. ხიზნების დამცველად გამოდის მოწინავე საზოგადოებრიობა (დავით ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.). ისინი იცავდნენ ხიზნების უფლებას, მათ მიერ დამუშავებულ მიწებზე, რომელთა მიმართ მემამულეების საკუთრება მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული.

მთავრობის დაწესებულებებისაკენ საჩივრების ნიაღვარი დაიძრა. ჩიოდნენ როგორც მემამულეები, ისე ხიზნები. გამოვიდა სასამართლოს

რამდენიმე დადგენილება ხიზანთა აყრის შესახებ, რამაც დიდი დავა და სერიოზული არეულობა გამოიწვია. ხიზნებმა საჩივარი უმაღლეს მთავრობაში გადაიტანეს. ასეთ პირობებში მოხდა მთავრობის პირველი ჩარევა მემამულეებისა და ხიზნების აგრარულ ურთიერობაში. 1876 წ. 12 ივნისს თბილისის გუბერნატორ ორლოვსკის წინადადებით გლეხთა შომწყობ მთავარმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ხიზანთა საქმე ამოღებულიყო სასამართლოს კომპეტენციიდან და დაქვემდებარებოდა საგლეხო დაწესებულებებს. ამგვარად, თავადაზნაურობამ ვერ შეძლო გაეყვანა თავისი თვალსაზრისი ხიზნების როგორც ჩვეულებრივ მოიჯარეების შესახებ. ხიზანთა საქმის საგლეხო საქმის დაწესებულებებისადმი დაქვემდებარება იმის მომასწავებელი იყო, რომ მთავრობამ ხიზნები აღიარა გლეხთა განსაკუთრებულ კატეგორიად.

1876 წ. დადგენილებამ რამდენადმე შეამცირა ხიზანთა თვითნებური აყრის შემთხვევები. ხიზნების გადაყვანამ ვადიან საიჯარო ურთიერთობაზე კი ამის შემდეგ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, რასაც თან სდევდა გლეხთა საადგილმამულო ვალდებულებების გადიდება.

1882—1884 წწ. ხიზნების რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში 6774 კომლს, ხოლო დასავლეთ საქართველოში 2680 კომლს შეადგენდა. ამ კატეგორიის გლეხთა 70—80% ცხოვრობდა გორის, ბორჩალოსა და ზუგდიდის მაზრებში. იმის გამო, რომ მემამულეთა მოთხოვნით თანდათან მეტი რაოდენობით იდებოდა ვადიანი საიჯარო ხელშეკრულებანი, XIX ს. 80—90-იან წლებში ხიზანთა რიცხვი მცირდებოდა. 1894 წ. აღმოსავლეთ საქართველოში იყო 6361 კომლი ხიზანი, დასავლეთ საქართველოში კი 1901 წლისათვის 1337 კომლი ხიზანი ითვლებოდა.

მიწის სარგებლობისათვის დაწესებული ხიზანთა ვალდებულების სახეები მრავალგვარი იყო. ისინი იხდიდნენ პროდუქტად ღალა-კულუხს (პურისა და ღვინის მოსავლის გარკვეულ ნაწილს), ფულად გამოსაღებს და განსაზღვრული დროის განმავლობაში მუშაობდნენ მემამულის მიწაზე. საილუსტრაციოდ მივმართოთ ციფრებს: სოფ. მარაბდის 19 კომლი ხიზანი ფლობდა 77 დეს. მიწას, რომლით სარგებლობისათვის მემამულეს უხდიდნენ 55 მანეთს ფულად. ამის გარდა 15 კომლი ნატურით იხდიდა სულ 510 ფუთ ხორბალს, 3 კომლი კი მოსავლის მეოთხედს. სოფ. ახალდაბაში მცხოვრები 3 კომლი ხიზანი 11 დეს. მიწით სარგებლობის საზღაურად მემამულის მეურნეობაში მუშაობდა წლიურად 18 კაცდღეს და იხდიდა 44 კოდ ხორბალს. სოფ. ბოჭორმის 20 კომლი ხიზანი 66 დეს. მიწით სარგებლობისათვის იხდიდა 400 მანეთს და 7 ფუთ კარაქს. ზუგდიდის მაზრის ხიზნები იხდიდნენ წლიურად 7948 მანეთს. ამის გარდა

2[illegible]8 კომლი ნატურით იხდიდა მოსავლის მეოთხედს, 809 კომლი მოსავლის მესამედს; 35 კომლი — მოსავლის ნახევარს, 24 კომლი მუშაობდა მემამულეთა მიწაზე 392 კაცდღეს წლიურად, 1 კომლი მუშაობდა მოთხოვნილების მიხედვით, 4 კომლი კი ვალდებულებას იხდიდა მემამულის ოჯახში პირადი სამსახურით.

ამგვარად, რეფორმის მომდევნო ხანაში ხიზნების ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდა. ღალა-გამოსაღებთა ოდენობით ისინი დროებით ვალდებულ გლეხებს გაუსწორდნენ, მიწით უზრუნველყოფის მხრივ კი უარეს მდგომარეობაში ჩავარდნენ. ხიზნები უმიწაწყლოდ დარჩენის მუდმივი საშიშროების ქვეშ იმყოფებოდნენ. ხიზანთა საკითხი მთავრობისა და ქართული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში რჩებოდა.

ხიზანთა საკითხის გადაწყვეტის აუცილებელ წინაპირობად მიჩნეული იქნა ფაქტიური მდგომარეობის ადგილებზე შესწავლა. ამ მიმართულებით XIX ს. 80-იან წლებში მართლაც ჩატარდა გარკვეული მუშაობა. [illegible]ობის მიერ შექმნილ კომისიებში საკითხით დაინტერესებული მხოლოდ ერთი მხარე, კერძოდ თავადაზნაურთა წარმომადგენლები შეიყვანეს. 1885 წ. ამიერკავკასიის მთავარმმართველის საბჭოში მოსმენილ იქნა 60 თავადაზნაურის აზრი ხიზნობაზე. დებატები ეხებოდა როგორც ხიზნობის არსს, ისე საკითხის გადაჭრის გზებს. მემამულეთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ ხიზნები ჩვეულებრივი მოიჯარეები არიან და ამიტომ მათი მიწათმფლობელებთან ურთიერთობის სფერო საერთო სამოქალაქო კანონმდებლობას, ტიპობრივ საიჯარო სამართალს უნდა ექვემდებარებოდესო. მემამულეთა მცირე ნაწილი ხიზნებზე ასეთ გამარტივებულ შეხედულებას არ იზიარებდა. ისინი ხიზნების სახით ხედავდნენ გლეხთა გარკვეულ კატეგორიას, რომლებსაც მემამულეებთან შეთანხმებით მიწის მიღებაც შეეძლო მუდმივ სარგებლობაში. უმიწოდ დარჩენილი ხიზნები სახაზინო ნაკვეთებით უნდა იქნეს დაკმაყოფილებულიო.

თბილისის საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში ხიზანთა საკითხის შესახებ ილია ჭავჭავაძემ წარადგინა საინტერესო მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ხიზნობის ინსტიტუტი ისტორიულ ასპექტშია განხილული. საზოგადოებრივ თანაცხოვრებაში,—წერდა ილია,—თავდაპირველად გაბატონებული იყო საკუთრების საზოგადოებრივი ელემენტი, რომელმაც სხვადასხვა მიზეზების გამო (თანდათან დაუთმო ადგილი საკუთრების პირად ელემენტს. ადგილმამული დაგროვდა ცალკეულ პირთა ხელში და შრომა გამოეყო მისი გამოყენების ობიექტს—მიწას. ამან გამო-

იწვია მიწის მესაკუთრისა და მშრომელის შეთანხმების აუცილებლობა. შეთანხმება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ პირადის საზოგადოებრივი ელემენტისადმი დათმობის საფუძველზე. ამით განისაზღვრებოდა მიწით სარგებლობის სხვადასხვა ფორმები ოა მათ შორის ხიზნობა. ხიზნობის ინსტიტუტში საკუთრების საზოგადოებრივი ელემენტი თავს იჩენს რენტის უცვლელობასა და მიწათსარგებლობის უვადობაში, რითაც რამდენადმე შეზღუდულია საკუთრების პირადი ელემენტი.

ილია მიუთითებს, რომ ხიზნობა ადათით და ჩვეულებითაა განსაზღვრული. ადათს უპირატესობა აქვს დაწერილ კანონთან შედარებით იმ მხრივ, რომ იგი გამოწვეულია ცხოვრების მოთხოვნილებით. მაგრამ ადათს აკლია ღირსება დაწერილი კანონისა, რომელიც იმიტომ, რომ დაწერილია, თავისუფალია ყოველგვარი შემთხვევითი დანაშრევისაგან. ცხოვრების განვითარებამ და გართულებამ აიძულა ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები საადათო სამართალი შეეცვალათ დაწერილი კანონებით. ადათით განსაზღვრული ბეკლემრეხტი ნიდერლანდებში, აფორამანტო პორტუგალიაში და ოლსტერის ჩვეულება ინგლისში დაკანონებული იქნა წერილობითი აქტებით. ასეთივე გზით უნდა წავიდნენ სხვა ქვეყნებიც.

მთელი ჩვენი ამოცანა,—განაგრძობს ილია,—მდგომარეობს იმაში, რომ საადათო სამართალს, რომლითაც განსაზღვრულია ხიზნობა, **მივცეთ** დაწერილი კანონის უპირატესობა, თანაც შევინარჩუნოთ ამ ინსტიტუტის ყველა ის თავისებურება, რაც შედეგია ხალხის სულის საუკუნოვანი მუშაობისა და რომელიც მიწისა და შრომის გათიშულობის პირობებში მეტად თუ ნაკლებად უპასუხებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.

მთავრობის ღონისძიებანი ხიზანთა მიწათმოწყობისათვის მუშავდებოდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლისა და პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით. მაგრამ მთავრობა უფრო მეტ ანგარიშს უწევდა თავის სოციალური საყრდენის—თავადაზნაურთა სურვილებს.

1891 წ. 3 ივნისს გამოქვეყნდა დებულება ხიზანთა შესახებ. ეს დებულება წარმოადგენს პირველ იურიდიულ აქტს, რომელშიც ფიქსირებულია ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებით წარმოშობილი და საადათო სამართლით განსაზღვრული ურთიერთობა.

დებულების ძალით ხიზნებად ითვლებოდნენ ის გლეხი მიწათმოქმედნი, რომელნიც 1891 წლამდე დასახლდნენ მემამულეთა მიწებზე და რომელთაც მიწათმფლობელებთან არ ჰქონდათ დადებული ვადიანი საჯარო წერილობითი ხელშეკრულებანი.

ყველა ის მიწები, ხიზნები რომ 1891 წ. დებულების გამოცემამდე ფლობდნენ მათვე რჩებოდათ სარგებლობაში, რის საზღაურადაც მემამულეთა წინაშე ასრულებდნენ გარკვეულ ვალდებულებებს. ხიზნების მიერ მემამულეთა მიწებზე აგებული სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, მათგან გაშენებული ბალ-ვენახთა ნარგავები ხიზანთა საკუთრებად იქნა ცნობილი.

თუ მემამულე მოისურვებდა ხიზნის აყრას, მას ერთი წლით ადრე უნდა გაეფრთხილებინა ხიზანი და თანაც აენაზღაურებინა მისთვის ნაგებობა-ნარგავებისა და მიწის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები. ხოლო ხიზნის გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევაში მემამულეს საზღაური ორმაგად უნდა გადაეხადა.

შექმნილ პირობებში 1891 წ. 3 ივნისის დებულებას ხიზანთათვის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მას გააჩნდა არსებითი ნაკლი. კანონში განსაზღვრული არ იყო ხიზანთა ვალდებულებები. იგი მემამულეს აძლევდა რენტის შეცვლის (ვადიდების) და ხიზნის აყრის იურიდიულ უფლებას. ამდენად, 1891 წლის 3 ივნისის დებულებამ ხიზანთა უფლებები რამდენადმე შეკვეცა, ხოლო მემამულეთა თვითნებობას კვლავ დაუტოვა ასპარეზი.

მიუხედავად ამისა, თავადაზნაურობას არ მოეწონა დებულება ხიზანთა შესახებ. 1893 წ. ქართველმა თავადაზნაურობამ იმპერატორს გაუგზავნა საჩივარი, რომელშიც თავს ესხმოდა დებულების მისთვის არასასურველ მუხლებს.

უმაღლესი ბრძანებით 1891 წ. 3 ივნისის დებულების გადასინჯვა დაევალა სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილ კომისიას. კომისიის ოქმების საფუძველზე 1895 წ. ამიერკავკასიის მთავარმმართველის საბჭოში შემუშავებული იქნა კანონპროექტი. მალე 1891 წ. 3 ივნისის დებულების დამატების სახით გამოქვეყნდა 1900 წ. 5 ივნისის კანონი, რომელშიც გათვალისწინებული იყო თავადაზნაურთა ზოგიერთი მოთხოვნები.

ახალ კანონს ცვლილება შეჰქონდა ხიზნის განსაზღვრებაში. ხიზნად ჩაითვლებოდა ის გლეხი, რომელიც საადათო სამართლის საფუძველზე მემამულის ნებართვით დაესახლა მის მიწაზე. ამ ცვლილების შედეგი იყო ის. რომ ბევრი გლეხი (თვითნებურად ჩამოსახლებულნი) უკვე ვეღარ ახერხებდა თავისი ხიზნობის დამტკიცებას და იძულებული იყო ჩვეულებრივი მოიჯარის უფლებებს დასჯერებოდა. თვით ნამდვილი ხიზნების მდგომარეობაც უფრო მერყევი გახდა. ახალი კანონი აუქმებდა ხიზნის გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევისათვის დაწესებულ ორმაგ საზღაურს და ამით მემამულეებს არასასურველი ხიზნებისაგან მიწის გაწმენდის შესაძლებლობას უადვილებდა. თუ ხიზანი თვით იტყოდა უარს

მის სარგებლობაში არსებული მემამულის მიწით სარგებლობაზე, ეს ნაკვეთი გლეხის მიერ აგებულ-გაშენებული ყველა ნაგებობითა და ნარგავებით მემამულის ხელში გადავიდოდა ყოველგვარი საზღაურის გარეშე. ახალ კანონში დადებითი მხოლოდ ის იყო, რომ იგი ავალდებულებდა მომრიგებელ შუამავლებს მემამულეებისა და მათი ხიზნების საადგილმამულო ურთიერთობის ნორმები ჩაეწერათ ხიზანთა ოქმებში. მხარეების უფლება-ვალდებულებათა ფიქსაცია რამდენადმე ზღუდავდა მემამულის თვითნებობის ასპარეზს. კანონი დასაშვებად მიიჩნევდა მხარეების ნებაყოფლობითი შეთანხმებით უვადო ხიზნური ურთიერობის შეწყვეტას ვადიანი წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების, ან ხიზნის მიერ მიწის საკუთრებაში გამოსყიდვის გზით. ამ საკანონმდებლო აქტის ცხოვრებაში გატარების შედეგად ხიზნები უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობით თითქმის მთლიანად გაუთანაბრდნენ დროებითვალდებულ გლეხებს.

ყველა კატეგორიის გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა აგრარული ურთიერთობის არქაული ფორმები, საადგილმამულო და სხვა სახის გადასახადები, მაგრამ სავალალო ისიც იყო, რომ სოფლის უშუალო მწარმოებელი მასის დიდი ნაწილი, სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით ფლობდა სანადელო მიწებს და იძულებული იყო იჯარისათვის მიემართა.

საქართველოში XIX ს-ის 80—90-იან წლებში მიწის თითქმის მონოპოლიურ მესაკუთრეს სახელმწიფო ხაზინა და თავადაზნაურობა წარმოადგენდა. ისინი იყენენ ძირითადად მიწის იჯარით გამცემნი. მოიჯარეთა ძირითად კონტინგენტს კი გლეხობა ქმნიდა.

სახელმწიფო ხაზინას, გარდა გლეხებისათვის მუდმივ სარგებლობაში გადაცემული ნადელებისა, დიდძალი თავისუფალი მიწის ნაკვეთები ჰქონდა, რომელთა ექსპლუატაცია აგრეთვე მოიჯარეთა მეშვეობით სწარმოებდა. სახელმწიფო ქონებათა საგუბერნიო სამმართველო თითქმის ყოველ ნაკვეთზე ვაჭრობას აცხადებდა, ხელოვნურად ქმნიდა კონკურენციას მიწის მსურველთა შორის და ვინც ყველაზე მეტ ფასს შეაძლევდა, საიჯარო ხელშეკრულებას იმასთან აფორმებდა.

1899 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში იჯარით გაცემული საბაზინო მიწის ფართობი უდრიდა 381 ათას, ხოლო დასავლეთ საქართველოში 74 ათას ჰექტარს.

„გლეხურ მეურნეობაში,—წერს ვ. ი. ლენინი,—იჯარას საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს, ზოგისათვის ის წარმოადგენს მეურნეობის ხელსაყრელ გაფართოებას, ზოგისათვის კი—გაჭირვებით გამოწვეულ

გარიგებას"[1]. საქართველოში გლეხური იჯარის ორივე ფორმა იყო გავრცელებული, მაგრამ რამდენადმე სჭარბობდა გაჭირვებით გამოწვეული იჯარა, რაც აიხსნება ჩვენი ქვეყნის გლეხური მოსახლეობის მცირემიწიანობით.

მოსახლეობის ზრდისა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების პირობებში სანადელო და საკუთარი მიწები სულ უფრო და უფრო არასაკმარისი იყო გლეხობისათვის, თანდათან იზრდებოდა იჯარის როლი გლეხურ მეურნეობაში. ილუსტრაციისათვის ბორჩალოს მაზრა გამოდგება. აქაურ გლეხობას სანადელოდ ჰქონდა 74 ათასი ჰა, საკუთრებაში 28 ათასი, ხოლო იჯარაში 70 ათასი ჰა მიწა. თელავის მაზრაში, მაგალითად, ბევრი იყო სოფლები, რომელთა გლეხობა მთლიანად საიჯარო მიწებზე სახლდებოდა და მეურნეობდა, სხვა საზოგადოებებში კი გლეხთა მიერ იჯარით აღებული მიწის ფართობი სჭარბობდა სანადელო და საკუთარი მიწების ფართობს.

იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების ფართობი უმეტესწილად დამოკიდებული იყო გლეხის მეურნეობაში არსებული მუშახელისა და მუშაპირუტყვის რაოდენობაზე. შეძლებული გლეხობა მიმართავდა მსხვილ გრძელვადიან, ხოლო ღარიბები წვრილ მოკლევადიან იჯარას, რომლის პირობები გაცილებით მძიმე იყო. მოკლევადიანი იჯარა გრძელდებოდა ერთ-ორ წელს. მემამულეები ამჯობინებდნენ იჯარის ამ ფორმას, რადგან იგი საშუალებას აძლევდა მათ სწრაფი ტემპით, ხელშეკრულების ყოველი გაფორმებისას აეწიათ საიჯარო ფასი. 3 წლით და მეტი ხნით დადებული ხელშეკრულება გრძელვადიანად ითვლებოდა.

საიჯარო ურთიერთობაში მიწის რენტის სამივე ფორმა გამოიყენებოდა. ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით არსებობდა შრომითი, პროდუქტადი და ფულადი რენტა, მაგრამ თანდათან იცვლებოდა მათ შორის თანაფარდობა, გაბატონებული ხდებოდა ფულადი რენტა.

XIX ს.-ის ბოლომდე შემორჩა საიჯარო ურთიერთობის ყველაზე არქაული ფორმა, რომელსაც ბატონყმობის დროიდან დაედო სათავე. მემამულეები ამ დროსაც კარგად იყენებდნენ მიწის საკუთრების მონოპოლიას. მათთვის მიწის იჯარით გაცემა იყო საკუთარი მეურნეობის წარმართვის წესი, მუშახელით მამულის უზრუნველყოფის საშუალება. ასეთ მეურნე-მიწათმფლობელთა სურვილის თანახმად მათი მოიჯარე გლეხები საიჯარო ფასს იხდიდნენ მემამულის მეურნეობაში მუშაობით—შრომამოგებით.

---

[1] 1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, 1948, გვ. 218.

იმდროინდელი დამკვირვებელნი გადმოგვცემენ, რომ შრომამოგების ფორმები მეტად მრავალგვარი იყო და მოიცავდა თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. შრომამოგებას განსაკუთრებით ფართოდ ის მემამულეები იყენებდნენ, რომელთაც წარმოების საშუალებანი (მანქანა-იარაღები, გამწევი პირუტყვი) და მუშების დაქირავებისათვის საჭირო ფული (ცვალებადი კაპიტალი) არ გააჩნდათ. მემამულე გამოსავალს იჯარის არქაულ და კაბალურ ფორმაში პოულობდა. შრომამოგება მოიჯარეთათვის მეტად მძიმე იყო, და ბუნებრივია, გლეხობა ცდილობდა მისგან თავის დაღწევას, მოითხოვდა ფულად რენტაზე გადაყვანას, მაგრამ მემამულეებისათვის იჯარის ეს ფორმა იმდენად ხელსაყრელი იყო, რომ კი არ ამცირებდნენ, თანდათან ადიდებდნენ მის მასშტაბს. შრომამოგება ფართოდ იყო გავრცელებული ქუთაისის, თიანეთის, დუშეთის და განსაკუთრებით გორის მაზრაში, სადაც მის მძიმე უღელს ეწეოდა 37 სახაზინო სოფელი.

და მაინც XIX ს-ის 80-იანი წლების საქართველოში უფრო მეტი იყო პროდუქტადი რენტის მასშტაბი. XIX ს-ის ბოლოს კი არსებითად გაბატონდა ფულადი რენტა და ზოგიერთ რაიონებში საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო კაპიტალისტურმა რენტამაც.

საიჯარო ქირა საერთოდ საკმაოდ სწრაფი ზრდის ტენდენციას ამჟღავნებდა. მოსახლეობის გამრავლებისა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების კვალობაზე მოთხოვნილება წარმოების ძირითად საშუალებაზე—მიწაზე თანდათან იზრდებოდა, რაც თავისთავად რენტის გადიდებას განაპირობებდა. პროდუქტიული იჯარის პირობებში ვენახი და კარგი სახნავი მიწა თითქმის ყველგან მოსავლის ნახევრის გადახდის პირობით გაიცემოდა. მენახევრეობა საქართველოში ისე ფართოდ გავრცელდა, რომ იგი წვრილი გლეხობის ხეტყველებაში მიწის იჯარის სინონიმად იქცა. თელავის მაზრაში, მაგალითად, სახნავი მიწა გაიცემოდა სანახევროდ, მაგრამ მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ მემამულე იმას აძლევდა მიწას, ვინც დაწესებული მოსავლის ნახევრის მეტ ფულს წაუმატებდა. ეს წანამატი ჰექტარზე ზოგ სოფლებში ერთ მანეთს შეადგენდა, ზოგანაც ორ მანეთს აღწევდა.

XIX ს-ის 80—90-იან წლებში ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის საიჯარო ქირა მისი ხარისხის მიხედვით მერყეობდა და შეადგენდა: ქუთაისის მაზრაში 5—30 მან., ზუგდიდ-სენაკის მაზრებში—8—74 მან., ლეჩხუმის მაზრაში—20—22 მან., ოზურგეთის მაზრაში—8—74 მან., რაჭის მაზრაში 4—52 მან., შორაპნის მაზრაში—4—43 მანეთს. კარგი ვენახის საიჯარო ქირა ზემო იმერეთში 56—160 მანეთს უღრიდა.

XIX ს. ბოლოს საიჯარო მიწები ზაღალ ფასადაც კი ყოველთვის როდი იყო ხელმისაწვდომი გლეხობისათვის. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოთხოვნილება მიწაზე აჭარბებდა მის მიწოდებას. ამის გამო მოიჯარეებს შორის ხშირად კონკურენცია იმართებოდა, რაშიც უმეტესწილად მოსახლეობის შეძლებული ფენები იმარჯვებდნენ. თავისუფალი სახაზინო მიწების დიდ ნაწილს იჯარით იღებდნენ ვაჭრები და კულაკები. ისინი საკუთრად მხოლოდ ბაღ-ვენახებს ამუშავებდნენ, სხვა ნაკვეთებს კი გლეხებზე სცემდნენ მეორადი იჯარით ზოგჯერ იმაზე 2—3-ჯერ მეტ ფასად, ვიდრე თვით უხდიდნენ ხაზინას. შრომისა და კაპიტალის დაუხარჯავად 'ბამდიდრების 'შესაძლებლობა ააქტიურებდა სხვადასხვა ჯურის საქმოსნებს და ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ გლეხთათვის განსაკუთრებით აუცილებელი მიწის ნაკვეთები. მართალია, გლეხებს დიდი სურვილი ჰქონდათ უშუალოდ აეღოთ იჯარით სახაზინო მიწის ნაკვეთები, მაგრამ ისინი ვერ გებულობდნენ საჯარო ვაჭრობის დროსა და ადგილს, ან ვერ ახერხებდნენ ქალაქებში წასვლას, სადაც ჩვეულებრივ იმართებოდა ეს ვაჭრობა, გლეხებს არც წინასწარი ფულადი საწინდარის შეტანა შეეძლოთ და აშინებდათ სახაზინო მიწის აღებასთან დაკავშირებული ფორმალობანი.

წვრილ გლეხობას, ბუნებრივია, უჭირდა საიჯარო ქირის გაღება. ხშირად მათზე ირიცხებოდა გადასახდელთა ნარჩენები. ზოგჯერ სეტყვა და სხვა სტიქიური მოვლენები ანადგურებდა ნათესებს, გლეხები შიმშილობდნენ, მაგრამ მიწათმფლობელები მაინც თავისას მოითხოვდნენ. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხები ზოგჯერ მეფესაც კი მიმართავდნენ საჩივრით. სოფ. ჩარდახის (ქართლი) გლეხები იმპერატორს სწერდნენ: „ჩვენ ვსარგებლობთ საუფლისწულო უწყების მიწებით. მაგრამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირა იმდენად მაღალია, რომ ვერ ვუძლებთ მის სიმძიმეს. ამ მიწაზე უარის თქმით ჩვენ გავთავისუფლდებოდით მძიმე საიჯარო მოვალეობისაგან. მაგრამ არ შეგვიძლია ამის გაკეთება იმ მარტივი და ადვილად გასაგები მიზეზით, რომ იქ, სადაც ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და სადაც ახლა ჩვენ ვსახლობთ, მთელი მიწები საუფლისწულო უწყების ხელშია. დიდო ხელმწიფევ, მოგვაქციე ყურადღება უბედურ გლეხებს, უბრძანეთ ვისაც ჯერ არს შეგვიმციროს საიჯარო გადასახდელი ჩვეულებრივი ღალის დონემდე და ამით მოგვცეს შესაძლებლობა ვიყოთ სასარგებლონი არა მარტო ჩვენი ოჯახების, არამედ მეფისა და სამშობლოსთვისაც“. მაგრამ გლეხები ამაოდ ევედრებოდნენ „ყოვლად მოწყალე“ ხელმწიფეს.

ამგვარად, რეფორმის მომდევნო ხანაში ფართოდ გავრცელებული იჯარა სასარგებლო იყო მიწათმფლობელებისა და მსხვილ მწარმოებელთათვის. უმიწაწყლო გლეხობა კი მოიჯარეობით თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას იშვიათად ახერხებდა. იჯარით აღებული მიწის დამუშავების მთელ ხარჯებს (სათესლის ჩათვლით) გლეხი ფარავდა. მენახევრეობის დროს ეს ხარჯები აჭარბებდა ნაკვეთის სუფთა შემოსავალს და ნთქავდა მთელი შემოსავლის 60—65%-ს. ასეთი კაბალური პირობით ვაჭრები და კულაკები მიწას არ იღებდნენ და მით უმეტეს არ ამუშავებდნენ, რადგან მათ მიზანს მოგების მიღება შეადგენდა. წვრილი გლეხობა კი კაპიტალისტური წარმოების კანონებს მიღმა იდგა, საქონელს კი არა თავის საარსებო საშუალებას აწარმოებდა და იძულებული იყო მიწათმფლობელისაგან ნაკარნახევი იჯარის კაბალური პირობები მძიმე ტვირთად ეტარებინა, რათა მიეღო დამატებითი მარცვეული ოჯახის გამოსაკვებად.

* * *

საქართველოს გლეხურ მოსახლეობას არ აკმაყოფილებდა მიწის მფლობელობა-სარგებლობის არსებული პირობები და, ბუნებრივია, იბრძოდა მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლისათვის. გლეხობის ამ მისწრაფებას მხარს უჭერდა მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც მთავრობისაგან მოითხოვდა რადიკალური ღონისძიებების გატარებას, სოფლის უშუალო მწარმოებელი მასისათვის ეროვნული და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მემამულეებსა და გლეხებს შორის დამყარებულ სავალდებულო საადგილმამულო ურთიერობას მეფის მთავრობა თვლიდა გარდამავალ ღონისძიებად. რეფორმის საბოლოო მიზნად კი გამოცხადებული იყო დროებითვალდებულ გლეხთა მიერ სანადელო მიწების საკუთრებაში გამოსყიდვა. ამით ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, თვით გლეხები იყვნენ დაინტერესებული.

საგლეხო რეფორმის გატარებისას ჩადენილი ერთ-ერთი დიდი ბოროტება იყო მიწათსარგებლობის საზღაურად გლეხთათვის მძიმე ვალდებულებების დაკისრება. ღალა-კულუხის სიმძიმის გამო ხშირად მემამულეები ხელსაყრელად სთვლიდნენ ჩამოჭრილი მიწებიც გლეხთა ფაქტიურ მფლობელობაში დაეტოვებინათ და ამ გზით უზრუნველეყოთ თავიანთვის მუდმივი და გარანტირებული შემოსავალი.

ვალდებულების სიმძიმე გლეხს აიძულებდა სანადელო მიწის გამოსყიდვისა და ამდენად სრული განთავისუფლებისათვის ეზრუნა. მაგრამ

გამოსასყიდი ფასების სიდიდის გამო გლეხთა დიდი ნაწილი ვერ ახერ-ხებდა „თავის დახსნას“ და მათი დროებითვალდებულება ათეული წლე-ბი გრძელდებოდა. გლეხობა სულ მზარდი ოდენობით იხდიდა ღალა-კუ-ლუხს. თექვსმეტი წლის ღალის ჯამი უდრიდა ოფიციალურად დაწესებულ ნადელის გამოსასყიდ ფასს, მაგრამ ამას ბუნებრივეობაში არავინ ღებუ-ლობდა.

ვადის ვასვლის შემდეგაც დროებ-თვალდებულ გლეხებს სპეციალური გამოსყიდვის ხელშეკრულების დადება სჭირდებოდა მემამულეებთან და კვლავ დიდი თანხის გაღება იმ მიწების საკუთრებაში მიღებისათვის, რომელთა მაღალი ფასი მათი შრომა-გარჯის შედეგს წარმოადგენდა.

1868 წ. დამტკიცდა დებულება, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მთავრობის სესხის გამოყენებით ნადელთა გამოსყიდვის წესები. დებუ-ლების თანახმად გამოსყიდვით ოპერაციებს განაგებდა მომრიგებელი სასამართლო და საგლეხო საქმის საგუბერნიო საკრებულო. ფულადი ღა-ლის შემთხვევაში ნადელის გამოსასყიდი ფასი გამოიანგარიშებოდა წლი-ური ღალის 6 % საფუძველზე კაპიტალიზაციის ვზით. ნატურალური ვალდებულების დროს კი ეს ფასი მხარეების ნებაყოფლობითი შეთანხ-მებით განისაზღვრებოდა. სხვადასხვა კატეგორიის მიწების ყოველ დესე-ტინაზე მთავრობის სესხი შეადგენდა 20—60 მანეთს. დაწესებული სეს-ხის ზომა XIX ს. 60—70-იან წლებშიც არ შეადგენდა ნადელთა ღირებუ-ლების 50—60 %-ზე მეტს. 90-იან წლებში კი ამ თანხას შეიძლება დაეფა-რა მხოლოდ ნადელთა ღირებულების 30—40 %. ამასთან, მთავრობის სესხი არ ვრცელდებოდა ბაღ-ვენახებზე და ჩამოჭრილ ნაკვეთებზე.

1876 წ. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 60199 კომლი დრო-ებით ვალდებული გლეხი ითვლებოდა. აქედან 20 ათას კომლს, მოხელეთა განცხადებით, შეეძლო ნადელი გამოესყიდა საკუთარი სახსრებით, 40 ათას კომლს კი დასჭირდებოდა სესხი 12 მლნ. მანეთის ოდენობით. თუ ეს ღონისძიება განხორციელდებოდა, 20 წლის შემდეგ ყველა გლეხი მესაკუთრედ იქნებოდა გადაქცეული, რაც საშუალებას მისცემდა მთავ-რობას გაეუქმებინა საგლეხო დაწესებულებანი, რომელთა შენახვა საკ-მაოდ ძვირი უჯდებოდა სახელმწიფოს.

მაგრამ ყველა როდი იზიარებდა გლეხთა მომწყობი ცენტრალური კომიტეტის მოხელეთა მოსაზრებას. როგორც ჩანს, ამიერკავკასიის ადმი-ნისტრაციის დიდმოხელეთა შორის სჭარბობდა იმ დროს საკმაოდ ფარ-თოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით გლეხობის მესა-კუთრედ გადაქცევა არ იყო ხელსაყრელად მიჩნეული.

მთავრობის აგრარული პოლიტიკა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ძას შეეძლო ამა თუ იმ მოვლენის დაჩქარება ან შეფერხება. მაგრამ ნადელთა გამოსყიდვის პროცესი, მისი ნელი თუ სწრაფი ტემპი ძირითადად განპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების დონით.

ფეოდალური მეურნეობიდან კაპიტალიზმზე და მიწის თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლის წინაპირობად კ. მარქსს მიაჩნდა ნატურალური რენტის ფულადით შეცვლა, რაც თავისთავად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგი და ერთ-ერთი გამოხატულება იყო: ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევა მარქსის განცხადებით „ერთი მხრით იმისათვის გამოიყენება, რომ თანდათანობით მოხდეს ძველ მფლობელ გლეხების ექსპროპრიაცია და მათი კაპიტალისტური მოიჯარადრეებით შეცვლა; მეორე მხრით, ამას იქამდე მივყავართ, რომ წინანდელი მფლობელი გამოისყიდის რენტის გადახდის ვალდებულებას და იქცევა დამოუკიდებელ გლეხად, სრული საკუთრების უფლებით მის მიერ დამუშავებულ მიწაზე“[1].

ასეთი დასკვნა გამოიტანა კ. მარქსმა დასავლეთ ევროპაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე დაკვირვების შედეგად. კაპიტალის პირვანდელი დაგროვების გამოხატულებას ინგლისში წარმოადგენდა გლეხობის დიდი ნაწილის ექსპროპრიაცია და მათ საცხოვრისზე კაპიტალისტ მოიჯარეთა. ბურჟუა-ფერმერთა ცხვრის ფარების გაშლა („ცხვრებმა შეჭამეს ადამიანები“), დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში კი ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევის გამოვლინების მთავარი ფორმა იყო თავისუფალ გლეხურ და ბურჟუაზიულ საკუთრებაზე გადასვლა.

რეფორმამდელი ხანის ცენტრალურ რუსეთში გლეხთა მიერ მიწის საკუთრებაში შესყიდვა შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. თავის დახსნას თითქმის მხოლოდ გლეხური წარმოშობის ვაჭარ-მრეწველები ახერხებდნენ. მეფის მთავრობა და რუსი მემამულეები ხელოვნურად აფერხებდნენ ამ პროცესს. ეყრდნობოდნენ რა რუსეთში არსებულ პრაქტიკას, ამიერკავკასიის ადმინისტრაციის მოხელეები საქართველოშიც ამუხრუჭებდნენ მიწის ყიდვა-გაყიდვის აქტებში გლეხების მონაწილეობას. რეფორმის გატარების დროს მთავრობის მოხელეებმა და მემამულეებმა უარი თქვეს ეცნოთ გლეხთა საკუთრების უფლება ბატონყმობის

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3. გვ. 317.

დროს შეძენილ მიწებზე იმ საბაბით, რომ ნოტარიალური წესით დამტკიცებული მიწის ნასყიდობის აქტები მათ არ გააჩნდათ. გლეხთა ბევრი ნაყიდი მიწის ნაკვეთი საწესდებო სიგელების ძალით ნადელებზე იქნა მითვლილი, ბევრიც ჩამონაჭრების სახით მემამულეთა სრულ საკუთრებაში გადავიდა.

გლეხები, ბუნებრივია, არ შეურიგდნენ აშკარა მძარცველობას. მათ ათასობით საჩივარი აღძრეს მეგამულეთა წინააღმდეგ და სასამართლოებში წარადგინეს შინაურული წესით გაფორმებული ნასყიდობის სიგელები. მაგრამ მომრიგებელი შუამავლები და სხვა მოხელეები გლეხთა საჩივარ-საბუთების გარჩევას ათეული წლები აჭიანურებდნენ.

მეფის მთავრობის ბიუროკრატი მოხელეები და გაბიუროკრატებული მომრიგებელი შუამავლები თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ გლეხთა ვედრებას ან დაუძლეველ დაბრკოლებას უქმნიდნენ მათი კანონიერი პრეტენზიების დაკმაყოფილებას. გაუთავებელი სასამართლო პროცესებით თავმობეზრებულმა გლეხებმა დაკარგეს რწმენა თავის საბუთების ძალისადმი და მომრიგებელ მოსამართლეთა სამართლიანობისადმი. უმრავლესობა გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ ნადელთან ერთად ხელმეორედ გამოესყიდა საკუთარი მიწაც როგორც ჩანს, მემამულეებიც ერიდებოდნენ ზედმეტი რისკის გაწევას და ამჯობინებდნენ შედარებით დაბალ ფასად დაეთმოთ დროებითვალდებულ გლეხებისათვის ის ნადელები საკუთრებაში, რომელთა დიდ ნაწილს სადაო მიწის ნაკვეთები შეადგენდა. ამან განაპირობა ის, რომ ქუთაისის გუბერნიაში 1876 წლისათვის შეწყდა 30 ათასი ნასყიდობის სიგელის საფუძველზე წარმოებული საადგილმამულო დავა.

XIX ს. 80—90-იან წლებში სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება კიდევ უფრო დაჩქარდა. ნატურალური რენტის ხარჯზე ფულადი რენტის მასშტაბი საგრძნობლად გაიზარდა. სახელმწიფო გლეხთა გადასახადების სრული კომუტაცია რეფორმამდე მოხდა და რეფორმის შემდეგ სავსებით შესაძლებელი ჩანდა დროებითვალდებულ გლეხთა ფულად რენტაზე გადაყვანა, მაგრამ რაკი მემამულეებისათვის გაცილებით ხელსაყრელი იყო მოსავლის წილის მიღება, ისინი ყოველნაირად აფერხებდნენ თავის დროებითვალდებულ გლეხთა ღალა - გადასახდელების კომუტაციას. ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატიც მემამულეთა ინტერესებს იცავდა. ამიერკავკასიის ადმინისტრაციამ „ვერ მოახერხა“ გლეხობის ნატურალურ ვალდებულებათა ღირებულების განსაზღვრა და მისი ფულზე გადატანა. ამ შემაფერხებელი ფაქტორების მიუხედავად საერთოდ საქართველოში XIX ს-ის

80-იანი წლებისათვის უკვე სჭარბობდა ფულადი რენტა და იგი ამჟღავნებდა სრული გაბატონების ტენდენციას, რაც თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა.

სახელმწიფო გლეხებს მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ მათ ამ მისწრაფებას ფრთებს აკვეცდა სახელმწიფო ხაზინა. მეფის მთავრობამ ამიერკავკასიაზე არ გაავრცელა 1886 წლის კანონი, რომელმაც რუსეთის სახელმწიფო გლეხები მესაკუთრედ აღიარა. აქაურ სახელმწიფო გლეხებს სანადელო მიწის გამოსყიდვის უფლება არ მიუღია. მიწის გასაკუთრებისათვის ბრძოლაში მარცხი განიცადეს ხიზნებმაც.

სანადელო მიწების გამოსყიდვისა და მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის ოფიციალური უფლება (ზოგიერთი შეზღუდვებით) მინიჭებული ჰქონდათ დროებითვალდებულ გლეხებს და ისინიც, შეძლებისდაგვარად, იყენებდნენ ამ უფლებას.

1869 წ. თბილისის საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საგანგიომ განსახილველად მიიღო ნადელთა გამოსყიდვის 47 ხელშეკრულება, რომელიც 24 მემამულესა და 581 კომლ დროებითვალდებულ გლეხს შორის იყო დადებული. გამოსყიდვით ხელშეკრულებაში აღინიშნებოდა მხარეების ვინაობა, ნადელების ფართობი, რენტის ოდენობა და მისი კაპიტალიზაციის გზით დადგენილი გამოსასყიდი ფასი. დადებული ხელშეკრულების დამტკიცებისთანავე, თუ ნადელის გამოსყიდვა მთავრობის დახმარებით ხდებოდა, სახელმწიფო ბანკი მემამულეს გადაურიცხავდა სესხის სახით დაშვებულ თანხას, რომელიც პროცენტთან ერთად გლეხს უნდა დაეფარა 49 წლის განმავლობაში. თუ გლეხმა ნადელის გამოსასყიდათ სესხად მიიღო, ვთქვათ 300 მანეთი, 49 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა აღნიშნულზე სამჯერ მეტი თანხა.

1869 წლიდან XX ს-ის დამდეგამდე აღმოსავლეთ საქართველოში ნადელთა გამოსყიდვის გზით მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაირიცხა 4595 კომლი დროებითვალდებული გლეხი. 17 ათასი ჰექტარი მიწის გამოსყიდვისათვის მათ გაიღეს მთავრობისაგან სესხად მიღებული 1 მლნ მანეთი და დაახლოებით 0,5 მლნ მანეთი საკუთარი ნაღდი ფული. გლეხობას უჭირდა ნადელთა გამოსასყიდი სესხისა და მისი სარგებლის დაფარვა. 1899 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ნადელგამოსყიდულ გლეხებზე ირიცხებოდა გადასახდელთა ნარჩენები 270 ათასი მანეთის ოდენობით.

გლეხებმა კარგად გაიგეს თუ რას ნიშნავდა მთავრობისაგან „დახმარების" მიღება. მიხვდნენ, რომ გამოსასყიდი ხელშეკრულების გაფორ-

შებაა ცვლილება თითქმის არ შეჰქონდა მათ მდგომარეობაში. ნადელგამოსყიდული გლეხები, მართლია, თავისუფლდებოდნენ მემამულისათვის ღალა-კულუხების გადახდის ვალდებულებისაგან, მაგრამ ექცეოდნენ სახელმწიფო ხაზინის კაბალაში. მიღებული სესხისა და მისი პროცენტის დასაფარავად მათ ყოველწლიურად უნდა გაეღოთ იმაზე რამდენადმე მეტი თანხა ადრე ნადელით სარგებლობისათვის რომ უხდიდნენ მემამულეებს. ამ მიზეზის გამო აღმოსავლეთ საქართველოს დროებითვალდებულ გლეხთა დიდი ნაწილი, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი სახსრები, უარს ამბობდა მთავრობის „დახმარებით“ ნადელის გამოსყიდვაზე და ფაქტიურად მუდმივვალდებულის მდგომარეობაში ვარდებოდა, ნაყმევ გლეხთა დაახლოებით 75% დარჩა მემამულეთა ეკონომიკურ დამოკიდებულებაში.

დასავლეთ საქართველოს დროებითვალდებულმა გლეხებმა თავიდანვე უარი თქვეს მთავრობის სესხზე, რადგან იგი არახელსაყრელად მიიჩნიეს. ისინი საკუთარი სახსრებით ახერხებდნენ სანადელო მიწების გამოსყიდვას. აქაური შეძლებული გლეხები ფულს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გაყიდვით, ხოლო სხვები ძირითადად საშოვარზე სიარულით იღებდნენ. 1869 წლიდან 1904 წლამდე დასავლეთ საქართველოში ნადელი გამოისყიდა 35 ათასმა კომლმა დროებითვალდებულმა გლეხმა. მათ 149 ათასი ჰექტარი მიწის საკუთრებაში შესყიდვა 7,5 მილ მანეთი დაუჯდათ. დროებითვალდებულებაში დარჩა დაახლოებით 20 ათასი კომლი გლეხი. ქუთაისის გუბერნია იყო ერთადერთი მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, სადაც დროებითვალდებულ გლეხთა 69%-მა საკუთარი სახსრებით გამოისყიდა სანადელო მიწა, სხვა გუბერნიებში საგამოსყიდვო ოპერაციები ძირითადად მიმდინარეობდა მთავრობის სესხის გამოყენებით.

სავაჭრო ბრუნვაში დიდი რაოდენობით შევიდა ნადელგარეშე მიწებიც. მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესში, რომელმაც რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო, ყველა სოციალური ფენა მონაწილეობდა, მიწის გამყიდველთა შორის სჭარბობდა თავადაზნაურობა, მყიდველთა შორის კი გლეხობა. მიწის ფასი სწრაფად ზრდის ტენდენციას ამჟღავნებდა. XIX ს-ის 80-იან წლებში ერთი ჰა მიწის საშუალო ფასი 200 მანეთს შეადგენდა. 90-იან წლებში 300 მანეთს გადააჭარბა. ნაყოფიერი სახნავ-სათესი და ბაღ-ვენახები 1000—2500 მანეთად იყიდებოდა.

სანადელო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვისა და საერთოდ მიწის ყიდვის ოპერაციებში აქტიური მონაწილეობის შედეგად გლეხობის საკუთარი მიწების ფართობი საგრძნობლად გაიზარდა. XX ს-ის დამდეგს დასავლეთ საქართველოს გლეხთა საკუთრებაში იყო დაახლოებით 400 ათასი ჰა მიწა, ხაზინისა და თავადაზნაურთა საკუთრებაში კი რჩებოდა 200 ათასი

ჰა გლეხთა სანადელო მიწა. აღმოსავლეთ საქართველოში გლეხობის საკუთარი მიწის ფონდი უფრო ნელა იზრდებოდა. XIX—XX სს. მიჯნაზე მათ კანონიერი დოკუმენტებით საკუთრებაში ჰქონდათ 150 ათასი ჰა მიწა. ხაზინისა და თავადაზნაურთა საკუთრებაში რჩებოდა 900 ათას ჰექტარამდე გლეხობის სანადელო მიწა.

ამგვარად, სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ შედეგსა და მის გამოხატულებას წარმოადგენდა საკმაოდ მრავალრიცხოვან მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის გაჩენა. მიწის წვრილ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლას იმ პერიოდში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. „საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხობის პარცელური საკუთრების ეს ფორმა,—წერდა მარქსი,—შეადგენს ერთი მხრივ, საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს უძველესი კლასიკური დროის საუკეთესო ხანაში, ხოლო მეორე მხრივ ამავე ფორმას ვპოულობთ ჩვენ თანამედროვე ხალხებშიც, როგორც ერთ იმ ფორმათაგანს, რომელნიც ფეოდალური მიწის საკუთრების დაშლიდან წარმოსდგებიან“[1]. კ. მარქსი იმასაც აღნიშნავს, რომ წვრილი წარმოების დროს მიწაზე კერძო საკუთრება პროგრესის აუცილებელი წინაპირობაა. „მიწის საკუთრება წარმოების ამ წესის სრული განვითარებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც იარაღების საკუთრება ხელოსნური წარმოების თავისუფალი განვითარებისათვის. მიწის საკუთრება პიროვნული დამოუკიდებლობის განვითარების საფუძველი და თვით მიწათმოქმედების განვითარებისათვის აუცილებელი გარდამავალი საფეხურია“[2].

ქართველი გლეხიც საკუთარ მიწაზე გაცილებით მუყაითად შრომობდა, ყოველნაირად ცდილობდა მეურნეობის გაუმჯობესებას. იგი დარწმუნებული იყო, რომ მიწა ადრე თუ გვიან აუნაზღაურებდა იმ შრომასა და ხარჯს მისი ნაყოფიერების გაზრდისათვის რომ გასწია მემამულეებისა და ხაზინის ეკონომიკურ დამოკიდებულებაში დარჩენილი მიწის რენტის გადამხდელ გლეხებს ასეთი სტიმული არ ამოძრავებდა. ბატონყმობის ნაშთები და კაბალური იჯარის ფორმები საგრძნობლად აფერხებდა გლეხური მეურნეობის აღმავლობას.

* * *

უკვე ითქვა, რომ გლეხობის ქონებრივ დიფერენციას ადგილი ჰქონდა ფეოდალური ფორმაციის თითქმის მთელ სიგრძეზე და იგი უფრო

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 431.

[2] იქვე, გვ. 431—432.

გაღრმავდა გვიანფეოდალურ ხანაში. საღალო მეურნეობისა და პროდუქტადი რენტის ბატონობა, რომლის დროსაც გლეხები შედარებით მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, გლეხობის დაშლის თავდაპირველი საფუძველი იყო. საკმაოდ მომრავლდნენ წელმაგარი გლეხები, რომელნიც მიწის შესყიდვასაც ახერხებდნენ, გლეხის ეკონომიურ დაწინაურებას მისი უფლებრივი აღზევებაც თან სდევდა. მაგრამ გარკვეულ დრომდე ყველაფერი ეს თავსდებოდა ფეოდალური წოდებრიობის ჩარჩოებში. ეკონომიურ-უფლებრივად აღზევებულ გლეხებს შესაძლებლობა ჰქონდათ ექსპლუატაცია გაეწიათ თავიანთი სოციალური „თანამოძმეებისათვის". გლეხის გლები (ყმა) თუ ხიზანი ფეოდალურ საქართველოში არცთუ იშვიათი გამონაკლისი იყო. მდიდარი გლეხები ღებულობდნენ თარხნობას, აზატობას, გადადიოდნენ მსახურის კატეგორიაში. მსახურთ კი „აზნაურული თვისებები" გააჩნდათ. ისინი თან ახლდნენ მეფეებსა და ბატონებს ლაშქრობა-ნადირობაში და მათ შორის უფრო ჩენილნი აზნაურობასაც ღებულობდნენ. ფეოდალიზმის ხანაში გლეხობის ეკონომიურად აღზევებული ფენა იყო, ძირითადად, აზნაურთა წოდების შემავსებელი რეზერვი. ამდენად გლეხობის ქონებრივი დიფერენციაციის ლოგიკურ შედეგს გარკვეულ დრომდე მათი ერთი ნაწილის პრივილეგიურ წოდებაში გადასვლა წარმოადგენდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. მეფის მთავრობამ თანდათან გააუქმა თარხანი, აზატი და მსახური გლეხების პრივილეგიები, საზღვარი დაუდო თავადაზნაურთა წოდების „დანაგვიანებას" დაბალი ფენებიდან გამოსული პირებით. ეკონომიურად აღზევებულთა წოდებრივადაც დაწინაურების პირობები თითქმის მთლიანად მოიშალა. ამის შემდეგ გლეხის მდგომარეობა საზოგადოებაში მხოლოდ ეკონომიური შეძლებით განისაზღვრებოდა. ქონებრივ-წოდებრივი დიფერენციაციაც თანდათან შეიცვალა ქონებრივ-კლასობრივი დიფერენციაციით. ბურჟუაზიული რეფორმების მომდევნო ხანაში, როცა გლეხებმა მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვეს და როცა სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობა უფრო განვითარდა, გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი გაღრმავდა.

ვ. ი. ლენინი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე წერდა, რომ ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს, როცა პროდუქტადი რენტა წამყვანი გახდა და უშუალო მწარმოებელმა შედარებით მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვა, თავს იჩენს გლეხობის დიფერენციაციის სიმპტომები, მაგრამ ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერდება პროდუქტადიდან ფულად რენტაზე გადასვლის შემდეგ. ამ დრო-

იდან „დამოკიდებული გლეხის ტრადიციული, ადათზე დამყარებული ურთიერთობა მიწათმფლობელთან აქ იქცევა წმინდა ფულად ურთიერთობად... ეს იწვევს, ერთი მხრით, ძველი გლეხობის ექსპროპრიაციას, მეორე მხრით—გლეხის მიერ თავისი მიწის და თავისი თავისუფლების გამოსყიდვას. ...ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევას არათუ აუცილებლად თან სდევს, არამედ წინ უსწრებს კიდეც უქონელი დღიური მუშების კლასის გაჩენა, ... გლეხობის დაშლა საშუალო გლეხობის ანგარიშზე ავითარებს მის უკიდურეს ჯგუფებს და ჰქმნის სოფლის მოსახლეობის ორ ახალ ტიპს. ორივე ტიპის საერთო ნიშანია მეურნეობის სასაქონლო, ფულადი ხასიათი. პირველი ახალი ტიპია სოფლის ბურჟუაზია.... მეორე ახალი ტიპია სოფლის პროლეტარიატი, დაქირავებული მუშების კლასი ნადელით"[1].

რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში წვრილი მიწათმფლობელობა-მეურნეობის დამარღვეველი ფაქტორები გამრავლდა და გაძლიერდა. ამ დროინდელ დამკვირვებელთა განცხადებით, მას შემდეგ, რაც გლეხებს პირადი თავისუფლება და სამეურნეო დამოუკიდებლობა მიენიჭათ, გლეხთა ერთი ნაწილი გამდიდრდა მეორის ხარჯზე. მდიდარი გლეხები მიწების შესყიდვით და იჯარის აღებით აფართოებდნენ თავიანთ მეურნეობას, ღარიბი გლეხები კი თავს ანებებდნენ საკუთარ მინიატურულ მეურნეობას. უშუალო მწარმოებელი მასის დიდი ნაწილისათვის კრედიტი აუცილებელი გახდა და იგი მევახშის კაბალაში მოექცა.

მართალია, თბილისსა და ქუთაისში არსებობდა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკები, თანდათან მრავლდებოდა ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობებიც, მაგრამ გლეხური მოსახლეობა ძირითადად სავახშო კაპიტალს იყენებდა. ამ უკანასკნელის სარგებელი კი ბაცილებით მაღალი იყო—20—40%-ს შეადგენდა. ზოგჯერ 100%-საც აღწევდა. 1887 წლისათვის თელავის მაზრის 11 სასოფლო საზოგადოებაში გლეხების ვალი ვექსილების მიხედვით 400 ათას მანეთს უდრიდა. ისინი სარგებლის სახით ყოველწლიურად იხდიდნენ თავნის 30—40%. რადგან გლეხობას პროცენტის გადახდა ეძნელებოდა, საყოველთაოდ იყო გავრცელებული სესხის სარგებლის საზღაურად ადგილმამულის „დაწინდვა", დაგირავება. გლეხები მევახშესთან აგირავებდნენ ეზოს, ვენახს, სახნავ-სათესს და ზოგჯერ მთელ ნადელსაც. გირავნობის ხელშეკრულება ფაქტი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, 1948, გვ. 189—291.

ურად მიწის გახსვისების აქტს წარმოადგენდა, რადგან ეს მიწა კრედიტორის სრულ განკარგულებაში გადადიოდა სესხის დაფარვამდე. მეურნეობის შეწყვეტის წყალობით გლეხი კარგავდა შემოსავალს. ვალის გადახდის შესაძლებლობას და ამდენად მიწასაც.

XIXს. 80-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხები კომლზე საშუალოდ 17 ჰა მიწას ფლობდნენ, მაგრამ ამ საშუალო ციფრს უკან იმალება გლეხთა შორის მიწის არათანაბრად განაწილების ფაქტი. ამ კატეგორიის გლეხთა უმრავლესობა 1—3 ჰა მიწას ფლობდა. ხუთ პროცენტს კი ჰქონდა 20—50, 100 ჰა და ზოგჯერ მეტი მიწაც. იმავე პერიოდში დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხები კომლზე საშუალოდ 4 ჰა მიწას ფლობდნენ, რამდენიმე ასეულს კი კომლზე 25—150 ჰა მიწა ჰქონდა.

კულაკები გაცილებით მეტი იყვნენ მესაკუთრე გლეხთა შორის. XIX ს. ბოლოს მარტო ბორჩალოს მაზრაში ითვლებოდა 706 შეძლებული გლეხი, რომელნიც კომლზე საშუალოდ ფლობდნენ 27 ჰა მიწას. სოფ. ჯალალოღლიში 2 გლეხს საკუთრებაში ჰქონდა 712 ჰა მიწა, ბორჩალოს მაზრაში ცხოვრობდა სოფლის ბობოლა, რომელიც მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას ეწეოდა 2 ათას ჰა საკუთარ მიწაზე. XX ს. დამდეგს თიანეთის მაზრის ერწოს უბანში მეურნეობას ეწეოდა რამდენიმე კულაკი, რომელთაც ათასობით ჰა საკუთარი და იჯარით აღებული მიწა ჰქონდათ. მეორე მხრივ, იმავე ერწოს უბანში ბლომად ცხოვრობდნენ ღარიბი გლეხები, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთარი ნათესები და საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ძლივს ახერხებდნენ არსებობას.

დიდი მიწის მფლობელი გლეხები, როგორც წესი, მდიდრები იყვნენ. ზოგი მათგანი მიწის რენტით ცხოვრობდა. უფრო მეტი, ბუნებრივი პირობებისა და ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად, ფართო მასშტაბით ეწეოდა მემინდვრეობას, მევენახეობა-მეღვინეობას, მეცხოველეობას და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს. მევენახეობის რაიონებში იყვნენ კულაკები, რომელთაც 3—5, 7—10 ჰა ვენახი ჰქონდათ და დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ სასაქონლო ღვინოს. ზოგიერთ გლეხს 20—30 და 50 ჰა ნათესი გააჩნდა. კულაკთა ხელთ იყო კონცენტრირებული მუშა-პირუტყვის დიდი ნაწილი.

სიღნაღის მაზრაში სახელმწიფო გლეხთა 6% ფლობდა მთელი მუშა პირუტყვის 40%-ს. ასეთ გლეხებს მინდვრად საკუთარი გუთნეული გაჰყავდათ. გლეხობის ნახევარს კი არც მუშა პირუტყვი ჰყავდა და არც გუთანი გააჩნდა. მათ მიწის დამუშავება შეეძლოთ მხოლოდ საამხანაგო გუთნეულით.

დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედების წარმოება შედარებით ადვილი იყო. იქ არ იყო საჭირო საწარმოო არტელების შექმნა. ნიადაგისა და კლიმატის თავისებურება იმის შესაძლებლობას ქმნიდა, რომ გლეხს 1—2 უღელი ხარით დაეხნა თავისი მიწა და შეესრულებინა სხვა აუცილებელი სამუშაოები. მაგრამ გლეხობის დიდი ნაწილისათვის უღელი ხარიც საოცხებო საგანი გახდა. XIX—XX სს. მიჯნაზე მუშა პირუტყვი სულ არ გააჩნდა: ქუთაისის მაზრაში 7 ათას კომლს, შორაპნის მაზრაში 11 ათას კომლს, ოზურგეთის მაზრაში 6700 კომლ გლეხს. მათ ან მეზობელი მდიდარი გლეხებისათვის უნდა ეთხოვათ დახმარება, ან თოხითა და ბარით ეცოდვილათ მცირე მიწის ნაკვეთებზე.

მდიდარი გლეხების ხელთ მოექცა პროდუქტიული პირუტყვის დიდი ნაწილი. კახეთში იყვნენ კულაკები, რომელთაც 100—300 ძროხა და 500-1000 ცხვარი ჰყავდათ. მეცხოველეობას, კერძოდ მეცხვარეობას, განსაკუთრებით ფართოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მისდევდნენ. თუშეთში იყვნენ გლეხები 2—5 ათას სულიან ფარებს რომ ფლობდნენ, ხოლო დუშეთის მაზრის მთიელებიდან ზოგი გამდიდრებული ბობოლა 10 ათას სულიან ფარებს აძოვებდა იალაღებსა და ყიშლაღებზე. ასეთ კომლებს, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებდა ოჯახში არსებული მუშახელი, ისინი 10—50 და ზოგჯერ 100 მწყემსსაც კი ქირაობდნენ.

ამგვარად, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის, სავაჭრო მიწათმოქმედებისა და კაპიტალიზმის განვითარების უშუალო შედეგს, მის გამოხატულებას წარმოადგენდა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია, გლეხური ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის წარმოშობა, მაგრამ გლეხობის დაშლის პროცესი არა თუ XIX—XXსს. მიჯნაზე, სოციალისტური რევოლუციის წინა დღეებშიც არ იყო დამთავრებული. გლეხობა, როგორც კლასი, კვლავ არსებობდა. მისი ძირითადი ბირთვი იყო საშუალო გლეხობა, რომელიც გლეხური წარმოშობის მოსახლეობის ნახევარს შეადგენდა. დაახლოებით 5 პროცენტი სოფლის ბურჟუაზიად, ხოლო 45 პროცენტი სოფლის პროლეტარიატად გადაიქცა. საქართველო წარმოადგენდა გლეხური პარცელიური მეურნეობის კლასიკურ ქვეყანას. სრულიად უმიწაწყლო ღატაკები შედარებით მცირე იყო. აქ თითქმის ყველას ჰქონდა სანადელო, საიჯარო, თუ საკუთარ მიწაზე მოწყობილი მცირე მეურნეობა, მაგრამ გლეხური მოსახლეობის თითქმის ნახევარს სანახევროდაც არ ჰყოფნიდა ამ მინიატურულ მეურნეობაში მიღებული სურსათ-სანოვაგე. ამიტომ ძალიან ბევრი მიმართავდა დამხმარე სარეწებს და სა-

მოვარზე გასვლას. ისინი სასაქონლო-ფულად და კაპიტალისტურ ურთიერთობაში ებმებოდნენ როგორც საკუთარი სამუშაო ძალის გამყიდველნი და საარსებო საშუალებათა მყიდველნი.

სამუშაო ძალის ბაზარი და დაქირავებული მუშების კონტინგენტი ბეტნაკლები მასშტაბით საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა. სოფლის პროლეტართა შრომას იყენებდნენ როგორც მემამულურ, ისე ბურჟუაზიულ (მათ შორის კულაკურ) მეურნეობებში. მაგრამ გლეხობის გალატაკებული მასის დიდი ნაწილი ადგილზე სამუშაოს ვერ პოულობდა, ისინი მშობლიურ სოფლებს სტოვებდნენ და საშოვარზე გადიოდნენ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეებში.

ღატაკი გლეხის გარე სამუშაოებზე გასვლა არც დამოუკიდებელი, ფეოდალური საქართველოსათვის იყო უცხო მოვლენა. სვანები, რაჭველები და სხვა კუთხეთა მთიელები და ბარელებიც ქალაქებში ჩადიოდნენ დაბატებითი შემოსავლის მისაღებად. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქალაქების მიზიდულობის ძალა კიდევ უფრო გაიზარდა, გარე სამუშაოებისაკენ თანდათან მზარდი რაოდენობით გადიოდა მშრომელი გლეხობა. მაგრამ ამ პროცესს აფერხებდა ბატონყმობა. სამეგრელოს მთავარს, მაგალითად, თბილისში ჰყავდა სპეციალური რწმუნებული, რომლის მოვალეობას შეადგენდა მოენახა მებატონეთა უნებართვოდ იქ ჩასული გლეხები, დაებრუნებინა ისინი უკან. სხვა მებატონეებიც ასევე ეძებდნენ ქალაქებში გაქცეულ გლეხებს. დიდ ნაწილს უკან აბრუნებდნენ და მიწაზე ამაგრებდნენ.

მთავრობამ და მებატონეებმა საპასპორტო სისტემის შემოღებით სცადეს ამ მოვლენის რეგულირება. ბატონყმობის გაუქმების წინ, 1862 წელს საშოვარზე წასვლის მიზნით პასპორტი აიღო: ქუთაისის მაზრაში — 386 კაცმა, შორაპნის — 487, ახალციხის — 625, რაჭის მაზრაში — 1253 კაცმა. უნებართვოდ გარესამუშაოებზე წასულთა რაოდენობას სტატისტიკა ვერ აღრიცხავდა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როცა გლეხთა საგრძნობი ნაწილი საწარმოო საშუალებებისგანაც (მიწა) განთავისუფლდა, საშოვარზე გასულთა რიცხვი თანდათან გაიზარდა. 1867 წელს, მაგალითად, რაჭიდან გარესამუშაოებზე წავიდა 4 ათასამდე გლეხი. ამიტომ იყო, რომ უკვე 1873 წელს რაჭის მაზრის უფროსი საშოვარზე გასვლას „რაჭველებში განმტკიცებულ ჩვეულებას“ უწოდებდა.

გლეხობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებისა და მიმოსვლის საშუალებათა (რკინიგზები, გზატკეცილები) განვითარების პარალე-

ლურად, გარესამუშაოებზე გასულთა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. 1892 წელს ქუთაისის გუბერნიის 6 მაზრიდან (ქუთაისის, ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, რაჭის, შორაპნის) საშოვარზე გავიდა 20 ათასამდე, 1897 წელს კი 30 ათასამდე გლეხი. აღმოსავლეთ საქართველოში გლეხთა საშოვარზე გასვლის შედარებით მეტი მასშტაბით გამოირჩეოდნენ გორის, დუშეთის, თიანეთისა და ბორჩალოს მაზრები. გარესამუშაოებზე გასულთა ასპარეზი იყო ამიერკავკასიის ქალაქები და სოფლები, შავი ზღვის ნავსადგურები, შუა აზია, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი. საშოვარზე გასულთა მცირე ნაწილი მუშაობდა ფაბრიკა-ქარხნებში, უფრო მეტი კი ავსებდა სავაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებულ სეზონურად და დღიურად დაქირავებულთა რიგებს. ბევრი ეწეოდა ხუროობას, მეპურეობას, მზარეულობას, შინამოსამსახურეობას და სხვ.

გარესამუშაოებზე გასულნი თავიანთი საქმიანობის გაადვილებისა და შრომის განაწილების მიზნით, ხშირად ამხანაგობებს ქმნიდნენ. თუ ერთი სოფლიდან ზამთრის პირზე თბილისში ჩამოვიდა, ვთქვათ, 10 კაცი, მომდევნო წლის გაზაფხულზე მუშათა ამ რიცხვიდან მხოლოდ ნახევარი ბრუნდებოდა უკან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად. ისინი ვალდებული იყვნენ მიწის ნაკვეთის დამუშავებაში დახმარებოდნენ ქალაქში დარჩენილ თანასოფლელ მუშების ოჯახებსაც. ზამთრის პირზე ეს 5 კაცი კვლავ ბრუნდებოდა თბილისში, რათა მეორე ზაფხულს თვით დარჩენილიყვნენ იქ, ხოლო მათი 5 ამხანაგი სოფლად მიდიოდა იმავე ფუნქციით. ასე იცვლებოდნენ ისინი წლიდან წლამდე, წელზე ფეხს იდგამდნენ, რათა მოეპოვებინათ საარსებო საშუალებანი, რამდენადმე მაინც გაეუმჯობესებინათ ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა. შრომის ასეთი განაწილება განსაკუთრებით საჭირო იყო მარტოხელა მცირემიწიანი გლეხებისათვის. ამით ახერხებდნენ ისინი როგორც მიწის ნაკვეთების დამუშავებას, ისე დროის რაციონალურად გამოყენებას გარეშე გამომუშავებისათვის. შრომის განაწილების ასეთი ფორმა, შემოსავლის გაყოფის ხასიათზეც მიუთითებს: ამხანაგობის ყველა წევრი სამუშაო ძალის გაქირავებით მიღებული შემოსავლიდან თანაბარ წილს ღებულობდა.

საშოვარზე გასულთა შრომისა და ცხოვრების პირობები მეტად მძიმე იყო. იმდროინდელი დამკვირვებელი ასე აგვიწერს ტვირთის მზიდავი მუშის მდგომარეობას: ზაფხულის სამუშაოების დამთავრების შემდეგ იგი ტოვებს თავის კუთხეს. ხშირად არ იცის სად იპოვის სამუშაოს, ჯიბეში კი ერთი გროშიც არ უდევს. ქალაქში ჩასული მეკურტნე მუდამ

ბაზარშია, სადაც სწარმოებს ყიდვა-გაყიდვა და სადაც მეტია მოთხოვნილება ტვირთის მზიდავ მუშის შრომაზე. თბილისისა და ქუთაისის მცხოვრებლები ყოველთვის ხედავენ მძიმე ტვირთით წელში მოხრილ, დამქირავებლის უკან მიმავალ მუშას. ყველა შესაძლო გაჭირვებით ავსილი მუშის ცხოვრება არის უთავშესაფრო პროლეტარის საქმიანობა. თუ ბედმა არ გაუღიმა მეკურტნეს და განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის თანამემამულე მეპურისაგან არ მიიღო ბნელ სარდაფში თავის შეფარების უფლება, მას ღამის გათევა მოუხდება ქუჩებში, ბაღებში, სახლების შესასვლელებთან და დუქნების დახურულ კარებებთან. იკვებება მუშა შავი პურითა და მწვანილით. უდრტვინველად ატარებს რა ესოდენ მძიმე ცხოვრებას, იგი ამავე დროს ცდილობს გაიგოს სად მეტია მოთხოვნილება შრომაზე, სად შეიძლება მეტი გასამრჯელოს მიღება. მუშა ბევრს არ ფიქრობს, მოაგროვებს თავის ბარგიბარხანას და მიდის „აღთქმულ ქვეყანაში". მას ხედავენ ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ქერჩში, სევასტოპოლში, თბილისში. ყველგან მიდის იგი თავის „ცხენური" ძალით, უსაზღვრო მოთმინებით და გროშების შოვნის დიდი სურვილით.

თავის კუთხის გარეთ შრომა-საქმიანობით სოფლის პროლეტართა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ახერხებდა ეკონომიკური მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესებას. საშოვარზე გასულთა ძირითადი მასის გამომუშავება კი სრულიად უმნიშვნელო იყო. არაადამიანურად მძიმე შრომითაც ვერ ივსებდნენ ისინი მცირემიწიანობით გამოწვეულ საარსებო საშუალებათა დანაკლისს.

ამგვარად, სოფლის მშრომელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი პროლეტარიატის დონემდე იყო დასული, საარსებო საშუალებებს საშოვარზე სიარულით და საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით პოულობდა. მიუხედავად ამისა, გაღატაკებული გლეხობის შედარებით მცირე ნაწილი გადადიოდა სამრეწველო მუშათა კლასის რიგებში, უმრავლესობა ქალაქს თავისი შრომითი საქმიანობის დროებით ასპარეზად თვლიდა, იმაზე ოცნებობდა, რომ აღებული გროშებით სოფლად საკუთარი მეურნეობა გაეფართოებინა. XIX—XX სს მიჯნაზე, კულაკთა ხელში მიწების კონცენტრაციის პარალელურად, მიმდინარეობდა საკუთრების პარცელაციის პროცესიც. მინიატურულ მეურნეთა რიცხვი იზრდებოდა. მაგრამ მათ ცალი ფეხი საკუთარ მიწაზე ედგათ, მეორე კი დამქირავებლის წარმოებაში.

თავი VII

სოფლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. კლასობრივი ანტაგონიზმის ხასიათი და გლეხობის განმათავისუფლებელი ბრძოლა XIX—XX სს. მიჯნაზე

XIX საუკუნეში, მშვიდობიანობის დამყარებისა და ეკონომიკური აღმავლობის გამო, საქართველოს მოსახლეობა თითქმის ოთხჯერ გაიზარდა. მართალია გაცილებით მაღალი იყო ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპი, მაგრამ ამ საუკუნის ბოლოსაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის 85 %-ს სოფლის მცხოვრებნი შეადგენდნენ.

1897 წელს, რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერის დროს, საქართველოში აღირიცხა 2 109273 მცხოვრები, საიდანაც 1786 962 (84,7 %) სოფლის მკვიდრი იყო, 322312 კი ქალაქისა. შრომისუნარიანი მოსახლეობის 70 % სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული.

კ. მარქსი და ვ. ი. ლენინი კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად კლასებად თვლიდნენ მიწათმფლობელებს, კაპიტალისტებსა და მუშებს. გლეხობას მარქსიზმის კლასიკოსები მიიჩნევდნენ ფეოდალიზმის დროიდან შემორჩენილ არაძირითად კლასად, არამყარ სოციალურ ფენად, რომელიც კაპიტალიზმის განვითარების პროცესში იშლებოდა, თანდათან ავსებდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის რიგებს.

რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი განაპირა მხარე საქართველო, რა თქმა უნდა, არ იყო მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა, მაგრამ აქაც ფართოვდებოდა სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმოქმედება, კაპიტალისტური მრეწველობა, რაც დიდ ცვლილებებს იწვევდა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში. ძველი ფეოდალური წოდებების ადგილს თანდათან კაპიტალისტური საზოგადოების კლასები იკავებდნენ.

XIX—XX სს. მიჯნაზე ქართველი თავადაზნაურობა უკვე აღარ წარმოადგენდა ერთიან წოდებასა და კლასს, უკვე მომხდარი იყო მისი სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია. ამ დროს ძირძველი თავადაზნაურობა საქართველოს მოსახლეობის 4 %-ს შეადგენდა; მაგრამ ნახევარს დაკარგული ჰქონდა ეკონომიკური შეძლება და პოლიტიკური წონა. მეწარმე თავადაზნაურთა გამრავლება, რენტისა და კრედიტის კაპიტალისტური ფორმების დანერგვა არსებითად ცვლიდა ძველ წოდებას. მიმდინარეობდა ფეოდალური საკუთრებისა და მემამულური მეურნეობის ბურ-

ჟუაზიული ევოლუცია. თავადაზნაურთა ერთი ნაწილი კაპიტალისტური საზოგადოების მიწათმფლობელთა კლასს ქმნიდა. საერთოდ, მიწათმფლობელი თავადაზნაურობა ორმაგი ბუნების იყო,—ფეოდალური წოდებისა და კაპიტალისტური კლასის ნიშნებს აერთიანებდა, იყენებდა როგორც ფეოდალური, ისე კაპიტალისტური ექსპლუატაციის ფორმებს.

თავადაზნაურობის ხელთ რჩებოდა კერძო მესაკუთრული მიწების უდიდესი ნაწილი. XX ს. დამდეგს საქართველოში ითვლებოდა თავადაზნაურთა 18741 მამული, რომლებსაც ფართობის სიდიდის მიხედვით იმდროინდელი სტატისტიკოსები 4 ჯგუფად ყოფდნენ: წვრილი (2,5 ჰექტრამდე), საშუალო (25—100 ჰა), მსხვილი (100—500 ჰა) და ძალიან მსხვილი (500 ჰექტარზე მეტი). აღმოსავლეთ საქართველოში მამულების 53% წვრილი იყო, 24% საშუალო, 17% მსხვილი და 6% ძალიან მსხვილი. წვრილი და საშუალო მამულების საერთო ფართობი შეადგენდა 97047 ჰა-ს (9,8 %), ხოლო მსხვილი და ძალიან მსხვილი მამულების ფართობი უდრიდა 859108 ჰა-ს (90,2%). მარტო 361 ძალიან მსხვილი მემამულის (6,44 %) საკუთრებაში იყო 676 ათასი ჰა, ანუ თავადაზნაურთა მთელი მიწის ფონდის 68%. მიწის ფონდი კიდევ უფრო უთანაბროდ იყო განაწილებული დასავლეთ საქართველოში. აქ 82 უმსხვილესი მემამულე (0,84 %) ფლობდა 317 ათას ჰექტარს, ანუ თავადაზნაურთა მთელი მიწის 64 %.

საქართველოში კიდევ უფრო მსხვილი მიწათმფლობელი იყო რუსეთის სახელმწიფო ხაზინა, მის საკუთრებას შეადგენდა 2,56 მლნ ჰა მიწა, ანუ მთელი მიწის ფონდის 47 %.

ამგვარად საქართველოში მიწაზე თითქმის მონოპოლიურ საკუთრებას ხაზინა და თავადაზნაურობა ინარჩუნებდა. მათ ხელში იყო მთელი მიწის ფონდის 78 %. დანარჩენი მიწებიდან უმეტესობა არათავადაზნაურული წარმოშობის მფლობელებს (ვაჭრებსა და მრეწველებს) ეკუთვნოდა. გლეხობის საკუთრებაში კი იყო 500 ათასი ჰა, ანუ მთელი მიწის ფონდის 7—8 %.

ხაზინისა და თავადაზნაურობის ხელში მიწის საკუთრების მონოპოლია განაპირობებდა იმას, რომ გლეხობა მემამულეთა ეკონომიკურ და კაბალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, მიწით სარგებლობის საზღაურად მაღალ რენტას იხდიდა. მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის ბაზაზე ძალიან დიდხანს შემორჩა დროებითვალდებულების ინსტიტუტი. 1912 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილ საბატონო გლეხთა 74 % დროებითვალდებულებაში რჩებოდა. დასავლეთ

საქართველოში ნადელთა გამოსყიდვის პროცესი გაცილებით სწრაფი იყო, მაგრამ 1912 წელს დროებითვალდებულების უღელს კვლავ ატარებდა 19 ათასი კომლი გლეხი.

მართალია, გლეხობას მეტ-ნაკლები მოცულობით გააჩნდა ნადელები, თანდათან ფართოვდებოდა მათ მიერ ნაყიდი, კერძო საკუთრებაში მყოფი მიწების ფართობიც, მაგრამ სოფლის უშუალო მწარმოებელი მოსახლეობის დიდი ნაწილი მწვავედ განიცდიდა მცირემიწიანობას და იძულებული იყო მიწის იჯარისათვის მიემართა.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ რუსეთის გაღატაკებული მცირე მიწიანი გლეხობის დაპირისპირება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისათვის აშკარა შეცდომა იყო. აკრიტიკებდა რა ლიბერალი ხალხოსნების თვალსაზრისს რუსეთის წვრილი გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის შესახებ, ვ. ი. ლენინი წერდა: „სინამდვილეში ამ გლეხობის მასა ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაშია ჩაყენებული, ვიდრე სოფლის პროლეტარიატი იმყოფება დასავლეთ ევროპაში. ... ფისკალური დაწესებულებები რომ ხელოვნურად არ უკავშირებდნენ ერთმანეთს შეძლებულ და ღარიბ გლეხობას, აუცილებელი გახდებოდა ამ უკანასკნელის ოფიციალური მიკუთვნება სწორედ პაუპერებისადმი და ეს უფრო ზუსტად და უფრო მართებულად განსაზღვრავდა თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულებას მოსახლეობის ამ ფენისადმი“.[1]

ვ. ი. ლენინმა ოსტატურად გახსნა წვრილი გლეხური მეურნეობის „დამოუკიდებლობის“ ხასიათი და „ბამძლეობის“ მიზეზი. „ჩვეულებრივ,—წერდა ვ. ი. ლენინი,—იმოწმებენ სტატისტიკის მონაცემებს, რაც ვერ ადასტურებს მსხვილი მიწათმფლობელების მიერ წვრილის განდევნას. მაგრამ ეს მონაცემები მხოლოდ იმას მეტყველებენ. რომ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მრეწველობაში... მიწათმოქმედებაში კი წვრილი წარმოების განდევნას, უწინარეს ყოვლისა, ხელს უშლის მიწის ფართობის შეზღუდულობა; წვრილი ნაკვეთების შესყიდვა მსხვილის შესაქმნელად—მეტისმეტად ძნელი საქმეა. მსხვილი მიწათმფლობელობისათვის არც იქნებოდა ხელსაყრელი წვრილის სავსებით განდევნა: უკანასკნელი მას მუშახელს აწვდის. ამიტომ ხშირად მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს ისეთი კანონები გაჰყავთ, რომელნიც ხელოვნურად ამაგრებენ წვრილ გლეხობას. წვრილი მიწათმოქმედება მტკიცე მდგომარეობას მაშინ იძენს, როდესაც იგი აღარ

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4. გვ. 105—106.

წარმოადგენს მეტოქეს მსხვილი მიწათმოქმედებისათვის, როდესაც მისთვის მუშახელის მიმწოდებელი ხდება. მსხვილ და წვრილ მიწათმფლობელთა ურთიერთობა სულ უფრო და უფრო ეახლოვდება ურთიერთობას კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის"[1]. ამდენად, წვრილ გლეხს იმიტომ შეეძლო თავის მცირე ნაკვეთზე ეცოდვილა, რომ მას ჰქონოდა გარეშე შემოსავალი. იმ შემთხვევაში, როცა არ ხერხდებოდა საკუთარი მინიატურული მეურნეობის შეთავსება ქირაზე მუშაობასთან, გლეხი საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვას არჩევდა. მაგრამ თითქმის ყველგან და საქართველოშიც შესაძლებელი იყო ასეთი შეთავსება. მინიატურულ მეურნეობათა პატრონები უმეტეს დროს გარე სამუშაოებზე იყვნენ გასული, საარსებო საშუალებებს ძირითადად საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით პოულობდნენ. სოფლის გაღატაკებული მასა ქმნიდა ძირითადად მუშათა კლასის სარეზერვო არმიას, მისი შევსების წყაროს.

1901 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „თანამედროვე რუსეთის სოფელში შეთავსებულია ორგვარი კლასობრივი დაპირისპირება: ჯერ ერთი, სოფლის მუშებსა და სოფლის მეწარმეთა შორის, მეორე, მთელ გლეხობასა და მთელ მემამულეთა კლასს შორის. პირველი დაპირისპირება ვითარდება და იზრდება, მეორე—თანდათან სუსტდება. პირველი—ჯერ კიდევ მთლად მომავალს ეკუთვნის, მეორე—მეტწილად უკვე წარსულს ჩაბარდა. და მიუხედავად ამისა, თანამედროვე რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის სწორედ მეორე დაპირისპირებას აქვს უფრო მეტად არსებითი და პრაქტიკულად უფრო დიდი მნიშვნელობა".[2] სასოფლო-სამეურნეო მუშების კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებისათვის რომ უნდა ვიმუშაოთ, განაგრძობს ვ. ი. ლენინი, ეს ყველა სოციალისტისათვის ცხადია. „მაგრამ ჩვენი სოფლის მუშები ჯერ კიდევ მეტისმეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებული გლეხობასთან, მათ ჯერ კიდევ უხუთავს სულს საერთო-გლეხური სიდუხჭირე, და ამიტომ საერთო-ნაციონალურ მნიშვნელობას სოფლის მუშათა მოძრაობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებს ვერც ახლა და ვერც ახლო მომავალში. პირიქით, ბატონყმური ნაშთების აღგვის, რუსეთის სახელმწიფოს ყოველგვარი წესებიდან წოდებრივი უთანასწორობისა და ათეული მილიონობით „მდაბიო ხალხის" დამცირების სულისკვეთების აღმოფხვრის საკითხს უკვე ამჟამად აქვს საერთო-ნაციონალური

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4. გვ. 106—107.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 521.

მნიშვნელობა, და პარტიას, რომელიც თავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლის როლს ჩემულობს, არ შეუძლია ამ საკითხს თავი აარიდოს"[1].

საქართველოში გაცილებით მეტი მასშტაბით რჩებოდა ბატონყმობის ნაშთები, ვიდრე რუსეთში. ამდენად, ვ. ი. ლენინის ზემომოყვანილი სიტყვები უფრო ზუსტად ასახავს საქართველოს სინამდვილეს, აქ განვითარებული სოციალური ანტაგონიზმისა და კლასობრივი ბრძოლის ხასიათს. საქართველოს სოფელში, მართალია, თანდათან მწვავდებოდა წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, მაგრამ თვით 1917 წლამდე აშკარად სჭარბობდა ბატონყმობის ნაშთების საფუძველზე აღმოცენებული კლასობრივი წინააღმდეგობა და ამ ნაშთების მოსპობისათვის წარმოებული რევოლუციური ბრძოლა.

რუსეთის ცარიზმი, მართალია, მზარდი ბურჟუაზიული საზოგადოებისა და საერთო დემოკრატიული მოძრაობის წინაშე გარკვეულ დათმობაზე წავიდა, გაატარა აგრარული, ადმინისტრაციული, სასამართლო და საქალაქო რეფორმები, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას თითქოს თვითმმართველობაც უბოძა, მაგრამ იგი ძირითადად მაინც თავადაზნაურობის ინტერესთა სადარაჯოზე იდგა. მეფის მთავრობის რეაქციული პოლიტიკით იყო ძირითადად განპირობებული ის გარემოება, რომ XX ს-ის დამდეგამდე ხელუხლებელი დარჩა თავადაზნაურობის წოდებრივი პრივილეგიები, მემამულეთა ლატიფუნდიები და აგრარული ურთიერთობის კაბალური ფორმები. რუსეთის იმპერიაში ერთმანეთს ეხლართებოდა მშრომელი მასების ექსპლუატაციის ნახევრად ბატონყმური და კაპიტალისტური სახეები, რასაც კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ცარიზმის მიერ შექმნილი პოლიტიკური ჩაგვრის სისტემა. ამან განაპირობა რევოლუციური მოძრაობის ცენტრის დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადმონაცვლება, იმპერიის ხალხთა პროგრესული ძალების წინაშე ცარიზმის დამხობისა და ბატონყმობის ნაშთების მოსპობის ამოცანის დასმა.

მაგრამ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან განსხვავებით დაიწყო და გაიშალა სოციალ-ეკონომიკური განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე, რაც აადვილებდა სოციალისტურ რევოლუციაში მის გადაზრდას. XX ს-ის დამდეგს რუსეთში და იმპერიის პერიფერიების უმრავლესობაში უკვე არსებობდა რევოლუციური პროლეტარიატი, შექმნილი იყო ახალი ტიპის ჭეშმარიტად რევოლუციური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობდა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, 1955. გვ. 522.

პროლეტარიატსა და გლეხობას ყოველგვარი ექსპლუატაციის მოსპობისათვის ბრძოლაში. ამ ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა ის, რომ რუსეთი ექცა მსოფლიო იმპერიალისტური ჯაჭვის სუსტ რგოლად. რუსეთის პროლეტარიატს დააკისრა ისტორიამ პირველი სოციალისტური რევოლუციის განხორციელების საპატიო მისია.

საქართველოს მშრომელი მოსახლეობა რევოლუციურ ძალთა ერთ-ერთ მოწინავე რაზმს ქმნიდა. საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობას თავისი დიდი წვლილი შეჰქონდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში

* * *

გლეხთა ანტიბატონყმური ბრძოლის არნახული მასშტაბით გაფართოებამ, ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებამ და ზედა ფენების კრიზისმა განაპირობა XIX ს. 50—60-იანი წლების მიჯნაზე რევოლუციური სიტუაციის შექმნა, რამაც აიძულა ცარიზმი ზევიდან გაეუქმებინა ბატონყმობა, მაგრამ ზედაფენების მიერ გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ დიდი რაოდენობით დატოვა ბატონყმობის ნაშთები, რომლის მოსპობისათვის ქართველი გლეხობა 50 წელი იბრძოდა. ეს იყო სწორედ პირველი სოციალური ომი, მთელი გლეხობის ბრძოლა დროებითვალდებულების ინსტიტუტის, კაბალური იჯარის, მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის მოსპობისათვის.

სოციალური უსამართლობის, მეფის მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ საქართველოში მასობრივი აჯანყებები მოხდა. მეფის სატრაპებმა სისხლში ჩაახშეს სვანეთის 1875—1876 წწ. აჯანყება, სამეგრელოს გლეხთა 1876 წლისა და კახეთის გლეხთა 1878 წლის აჯანყებები.

XIX ს. 80—90-იან წლებში გლეხთა მასობრივი აჯანყებანი აღარ მომხდარა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს სოციალური ანტაგონიზმისა და კლასობრივი ბრძოლის შესუსტებას. ამ პერიოდში ძალიან ფართო მასშტაბი მიიღო გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ისეთმა ფორმებმა, როგორიც იყო ღალა-გადასახდელებზე უარის თქმა, მემამულეების ტყე-საძოვრებით თვითნებური სარგებლობა, თავადაზნაურთა სახლ-კარის განადგურება, ყველაზე უფრო საძულველ მემამულეთა მკვლელობა, ყაჩაღობა-ფირალობა.

მემამულეებისა და დროებითვალდებულ გლეხთა აგრარული ურთიერთობა თანდათან მწვავდებოდა. მხარეები ძალიან ხშირად მიმართავდნენ მომრიგებელ შუამავლებსა და მთავრობის ბიუროკრატიული აპა-

რატის სხვადასხვა ინსტანციებს. 1867-დან 1880 წლამდე თბილისის გუ-ბერნიის გლეხებმა და მემამულეებმა ერთმანეთის წინააღმდეგ აღძრეს 48 ათასი საჩივარი. ერთი საჩივრის უკან არაიშვიათად რამდენიმე კომ-ლი, მთელი სოფელი იდგა, რაც ბრძოლის ამ ფორმის ფართო მასშტაბზე ღაღადებს. მემამულეები გლეხთა მიერ ღალა-კულუხის გადახდის დაგ-ვიანების ან მისი გადაუხდელობის გამო ჩიოდნენ, გლეხები კი მემამუ-ლეებს გადამეტებულ პრეტენზიებში სდებდნენ ბრალს.

ფართოვდებოდა გლეხთა აქტიური ბრძოლის ფორმებიც. მოთმინე-ბა-მორჩილებიდან გამოსული გლეხები ანადგურებდნენ მემამულეთა კარმიდამოს. მარტო 1875 წელს თბილისის გუბერნიაში აღირიცხა მემა-მულეთა სახლ-კარის გადაწვის 150, 1883 წელს კი 155 შემთხვევა. გო-რის მაზრის უფროსი ზემდგომ ინსტანციებს მოახსენებდა, რომ მემამუ-ლეთა სახლ-კარის განადგურებამ ფართო მასშტაბი მიიღო. 1892—1894 წლებში შიდა-ქართლის გლეხებმა ააოხრეს, გაძარცვეს და ცეცხლი წაუ-კიდეს ი. მუხრანბატონის, ა. ციციშვილის, მაჩაბლების, ფალავანდიშვი-ლების, ერისთავების, დიასამიძეების სახლ-კარს. იმავე დროს ბრძოლის ამ ფორმამ ფართო მასშტაბი მიიღო დასავლეთ საქართველოში. პრო-ტესტის ნიშნად გლეხებმა დაარბიეს მიქელაძეების, ჩიჯავაძეების, ჯაფა-რიძეების და სხვ. თავადაზნაურთა კარ-მიდამო.

მხარეთა შეტაკებანი ხშირად სისხლის ღვრით თავდებოდა. 1877 წელს თბილისის გუბერნიაში ადგილი ჰქონდა მკვლელობის 77 შემთხვე-ვას, 1883 წელს — 107, 1891 წელს — 414 შემთხვევას. მკვლელობათა დიდ ნაწილს სოციალური სარჩული ედო, ბრძოლის ეს ფორმა ძირითა-დად მემამულეების წინააღმდეგ გამოიყენებოდა. სოფ. ბრილის (შიდა ქართლი) გლეხებისა და თავად დიასამიძეთა შორის წინააღმდეგობა, მა-გალითად, რეფორმის გატარებისთანავე აღმოცენდა. მთავრობის მოხე-ლეთა დახმარებით მემამულემ ბევრი გლეხი აყარა მამაპაპური ადგილე-ბიდან, სხვაგან გადაასახლა. ათი გლეხი დაემორჩილა ბედს, სხვები წი-ნააღმდეგობას უწევდნენ ძალადობას, უარს ამბობდნენ დაწესებული ღალა-კულუხის გადახდაზეც. 1897 წელს ბრილში ჩავიდა მეფის მთავრ-ობის მოხელე აბაშიძე, რათა მოერიგებინა მხარეები, მაგრამ გლეხებმა უარი თქვეს გულქვა მემამულესთან შერიგებაზე, მოითხოვეს ნადელ-გარეშე მიწებითა და ტყით უსასყიდლოდ სარგებლობის უფლება. მე-მამულეს თითქმის ყოველთვის ძალის გამოყენება, მთავრობისაგან გა-მოგზავნილი საეგზეკუციო რაზმის დახმარება სჭირდებოდა ღალა-კულ-უხის აკრეფისათვის. ასეთი გამწვავებული ურთიერთობის ლოგიკური შედეგი იყო გლეხთა მიერ თავად დიასამიძის მოკვლა.

სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი თბილისის გუბერნატორს ატყობინებდა, რომ გახშირდა გლეხთა მემამულეებზე თავდასხმის შემთხვევები. მომრიგებელ მოსამართლეთა ჩარევა და მათ მიერ გამოტანილი განაჩენი ვერ უზრუნველყოფს მემამულეთა უშიშროებას. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ამ საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქციოთ — იშუამდგომლეთ კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე, რომ ურჩი და მეამბოხე გლეხების წინააღმდეგ მიიღოს მკაცრი ადმინისტრაციული ზომებიო. და მართლაც, ადმინისტრაციული წესით (სასამართლოს დადგენილების გარეშე) მეამბოხე გლეხების ციმბირს გადასახლება ჩვეულებრივი ამბავი გახდა. გახშირდა ეგზეკუციები. მარტო 1883—1884 წლებში დამსჯელი რაზმები გორის მაზრის 129 სოფელში ჩააყენეს.

არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატულება იყო სოციალური შინაარსის ყაჩაღობა-ფარალობა, რომელმაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი XIX ს. 80—90-იან წლებში მიიღო. იარაღასხმული, ტყედ გავარდნილი გლეხები, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად, ტერორს მიმართავდნენ ყველაზე უფრო საძულველი მემამულეებისა და მოხელეების წინააღმდეგ. მშრომელმა გლეხობამ გმირის შარავანდედით შემოსა სანდრო ხუბულურის, დათუნა ხურგულაძის, სიმონა დოლიძის, ტატო ჯიოშვილის, ალექსი ხასიაშვილის, გოგია ლომჯარიას, სისონა დარჩიას, დვალიშვილის, ადეიშვილის, კვარაცხელიას, ლაკობიას და უსამართლობის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლ სხვა ყაჩაღთა სახელები.

ინდივიდუალურად და ჯგუფურად მოქმედი ყაჩაღები ბლომად იყვნენ ქართლში, აფხაზეთში, გურია-სამეგრელოში. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი 1881 წელს წერდა, რომ ქურდობა და ავაზაკობა ჩვენში თანდათან მატულობს, ადმინისტრაცია მკაცრ ღონისძიებებს მიმართავს. მაგრამ იმის გამო, რომ ყაჩაღებს ხალხი თანაუგრძნობს, თავშესაფარს აძლევს, მთავრობის მოხელეთა მოქმედება უშედეგოდ მთავრდებაო. კორესპონდენტი, როგორც ჩანს, ცენზურის თვალის ასახვევად ნათლავდა ყაჩაღებს ქურდებად და ავაზაკებად. ისე კი მანაც, ალბათ, კარგად იცოდა, რომ ხალხი არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარებოდა ქურდებსა და მძარცველებს, იგი თავშესაფარს მხოლოდ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ყაჩაღებს აძლევდა, სწორედ ასეთი ყაიდის ყაჩაღებმა მოკლეს ოზურგეთის მაზრის უფროსის მოადგილე, კაპიტანი დგებუაძე, მოურავი ჩიკაშუა, გაძარცვეს ვაჭარი თუმანოვი და გურიის

ეპისკოპოსი. ისინი არც მედუქნეებსა და კულაკებს ინდობდნენ, სახალხო გმირის არსენას პრინციპით მოქმედებდნენ. მდიდრებს ართმევდნენ და ღარიბებს აძლევდნენ. „გურიაში, — წერდა „დროების“ კორესპონდენტი 1881 წელს, — დადგა შავი დღეები, არც ერთ მემამულეს, არც ერთ შეძლებულ გლეხს არ შეუძლია მშვიდი ძილი“. სამაგიეროდ ღარიბმა გლეხებმა ფირალების სახით ქომაგნი და თავის ინტერესთა დამცველნი შეიცნეს, რომელთა მოქმედება რამდენადმე ბოჭავდა მთავრობის მოხელეებისა და მემამულეთა აღვირახსნილობას. ბუნებრივია, გლეხები ასეთ ფირალებს თანაუგრძნობდნენ, საჭიროების შემთხვევაში თავშესაფარს აძლევდნენ. ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციამ, მაგალითად, ვერაფრით ვერ შეძლო დათუნა სურგულაძის დაპატიმრება, „რადგა მისთვის ყოველთვის მზად იყო ღამის გასათევად სახლი, საჭმელი და ყოველივე, რაც დასჭირდებოდა“.

XIX ს. 90-იან წლებში ფირალები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამაც საგანგებო ზომები განახორციელა მათ გასანადგურებლად. გურიაში სამხედრო წესები შემოიღეს, დამსჯელი რაზმები აავსეს ეს პატარა მაზრა. სამხედრო გუბერნატორმა გლეხებს კატეგორიულად მოსთხოვა ფირალების გაცემა. მაგრამ ვერაფერს მიაღწია. სოფლებში ჩაყენებულმა საეგზეკუციო რაზმებმა გლეხთა გარკვეული ნაწილი კიდევ უფრო გააჩანაგა. ლიხაურის, აკეთის, ჯუმათის და ლანჩხუთის სასოფლო საზოგადოებებს ეგზეკუციამ 12 ათასი მანეთის ზარალი მიაყენა. ამასთან, დასახელებული სოფლების გლეხებმა დამსჯელი რაზმების მოქმედების წყალობით დაკარგეს ნორმალური ცხოვრების, შრომისა და ძილის საშუალებაც კი. გაზ. „ივერიის“ რედაქციას მიაჩნდა, რომ ეგზეკუციები და მთავრობის მოხელეთა სიმკაცრე საზოგადოებრივ წესრიგს ვერ დაამყარებდა, ესოდენ გამწვავებულ აგრარულ საკითხს ვერ გადაჭრიდა. პირიქით, გადამეტებული უხეშობა, ორმაგი უსამართლობა, რედაქციის განცხადებით, სხვასაც აუვსებდა მოთმინების ფიალას, კიდევ უფრო გაზრდიდა ტყეში გაჭრილ ყაჩაღთა და ფირალთა რიგებს.

მკაცრი ზომების მიუხედავად, მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ ყაჩაღობა-ფირალობას ბოლო ვერ მოუღო, რადგან შექმნილ პირობებში ერთი შეპყრობილი და დასჯილი ყაჩაღის ადგილს მეორე იკავებდა. 1899 წელს მთავარმმართველმა ჩამოაყალიბა სპეციალური კომისია, რომელსაც „ყაჩაღობის“ გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელება დაევალა. მაგრამ ამაოდ, ყაჩაღობა-ფირალობის აღკვეთა მთავრობამ ვერ

შეძლო, პირველი რევოლუციის წლებში ფირალები და ყაჩაღები. აჯანყებულ გლეხებს შეუერთდნენ, წითელ რაზმებში შევიდნენ, ზოგი მათგანი რაზმის მეთაურიც გახდა.

ამავე პერიოდში გლეხობის კლასობრივი დაშლისა და სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გამო აღმოცენდა ანტაგონიზმი შრომასა და კაპიტალს შორის, ჩაისახა მეორე სოციალური ომის კონტურები. სოფლის პროლეტარები და ღარიბი გლეხები მარტო ბატონყმობის ნაშთებისა და თავადაზნაურობის წინააღმდეგ როდი იბრძოდნენ. ისინი მტრულად უპირისპირდებოდნენ აგრეთვე მათსავე წრიდან გამოსულ კულაკებსა და ვაჭარ-მრეწველებს, რომლებმაც ვრცელი მამულები შეისყიდეს და მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები შექმნეს სოფლად. მეორე სოციალური ომის მასშტაბი შედარებით ფართო იყო სახაზინო სოფლებში, სადაც თავადაზნაურობა თითქმის არ იყო და კაპიტალიზმი შედარებით სწრაფად ვითარდებოდა. ფშავში, მთიულეთსა და ხევში, მართალია, კარგა ხანს შემორჩა „დავარდნილთა დახმარების“ და მაღი ფეხზე წამოყენების პატრიარქალური ტრადიცია, მაგრამ XIX ს-ის ბოლოს აქაც შეიჭრა კაპიტალიზმის მგლური კანონები, მთიელ ბობოლებსა და ღარიბ გლეხებს შორის კლასობრივი ბრძოლა გაჩაღდა. შირაქის საზამთრო საძოვრებზე გახშირდა შეტაკებანი მსხვილ და წვრილ მეცხვარეთა შორის. წესრიგის აღსადგენად საკმარისი არ აღმოჩნდა სიღნაღის მაზრის მილიცია და ამიტომ თიანეთიდანაც ყოველწლიურად იგზავნებოდა შირაქში პოლიციელთა რაზმი. ამ შეტაკებათა ძირითადი მიზეზი იყო ფშაველ ბობოლათა მოქმედება, რომლებმაც მითვისეს ზამთრის საძოვრების დიდი ნაწილი და მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს მეცხვარეთა მასა.

სოფლის ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის წინააღმდეგობა, მათ შორის მომხდარი ბრძოლის ფაქტები მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა (ე. ნინოშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური). მაგრამ XIX ს. 80—90-იან წლებში მეორე სოციალური ომის გავრცელების არეალი შედარებით ვიწრო იყო.

ამდენად, XIX ს. 80—90-იან წლებში, მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურთა ლატიფუნდიები რამდენადმე შემცირდა და ბურჟუაზიული მეურნეობები მომრავლდა, ბატონყმობის ნაშთების საფუძველზე აღმოცენებული კლასობრივი ანტაგონიზმი კვლავ ძლიერი იყო და ამ ნიადაგზე გაჩაღებული სოციალური ომის მასშტაბი არა თუ მცირდებოდა, მეტ გაქანებასაც კი ღებულობდა. ამ პერიოდის გლეხთა გამოსვლე-

ბი იზოლირებულ და სტიქიურ ხასიათს ატარებდა. ასევე ითქმის ეს სოფლის პროლეტართა მოძრაობაზე. 90-იან წლებში, მართალია, სამრეწველო, მუშათა მოძრაობა დაიწყო, რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ჩაისახა, მაგრამ სოფელში მისი იდეურ-ორგანიზაციული გავლენა ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა.

ლენინური პერიოდიზაციის მიხედვით 1895 წლიდან რუსეთში დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ეტაპი. მუშათა მოძრაობამ ძალიან მალე დიდი გავლენა მოახდინა გლეხთა მოძრაობაზე. ორი კლასის დამაკავშირებელი ძალის ფუნქციას საშოვარზე მავალი სოფლის ნახევრად პროლეტარები ასრულებდნენ. მართალია, გარე სამუშაოებზე გასული სოფლის პროლეტარები განვითარება-შეგნების დონით საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ სამრეწველო მუშებს, მაგრამ იმ ადგილებისათვის, საიდანაც ისინი გამოდიოდნენ და სადაც ბრუნდებოდნენ, ისინი პროგრესის პიონერებად გვევლინებოდნენ. გარესამუშაოებზე ნამყოფი სოფლის პროლეტარები ქალაქად შეთვისებულ ახალ მოთხოვნილებებს, ახალ იდეებს ავრცელებდნენ თანასოფლელთა შორის. გლეხობაში აღვიძებდნენ შეგნებას, ადამიანური ღირსების გრძნობას, რწმენას საკუთარი ძალისადმი (ვ. ი. ლენინი). სწორედ გარე სამუშაოებზე მავალმა გალატაკებულმა გლეხებმა აითვისეს განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, პროლეტარული ფორმები და გადაიტანეს იგი სოფელში.

XIX—XX სს. მიჯნაზე საქართველოშიც დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული პერიოდი. რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ სოციალისტური გეზი მისცა მუშათა მოძრაობას. მანვე უფრო მაღალ ეტაპზე აიყვანა გლეხთა მოძრაობაც.

მესამე დასიდან, რომელსაც ახასიათებდა საერთო დემოკრატიული და სოციალისტური ნიშნები, 1897—1898 წლებში გამოიყო მემარცხენე რევოლუციური ფრთა. მან სცადა მუშათა მოძრაობასთან დაკავშირება და საგრძნობ წარმატებასაც მიაღწია ამ მიმართულებით. 1901 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული, ლენინურ-ისკრული კომიტეტი, ხოლო ერთი თვის შემდეგ ასეთივე კომიტეტი ბათუმშიც შეიქმნა. მათ ძალიან მალე შეასრულეს დიდი ამოცანა, სოციალიზმის თეორია დაუკავშირეს მუშათა მოძრაობას. მისცეს მას შეგნებული და ორგანიზებული ხასიათი.

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია მუშათა მოძრაობის ჩაბშობის მიზნით რეპრესიებს მიმართავდა და არაიშვიათად იარაღსაც იყენებდა. 1901 წლის აგვისტოში დიდი გაფიცვა მოხდა თბილისის რკი-

ნ-ვზის საბელსნოებში, ეფრო სწორად ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, რომელშიც 3 ათასზე მეტი მუშა იყო დასაქმებული. გაფიცულები დამარცხდნენ. თბილისის პოლიციამ რამდენიმე ათეული მუშა დააპატიმრა, რამდენიმე ასეული კი მშობლიურ სოფლებში გაასახლა. 1902 წ. 8 მარტს, როტშილდის ქარხანაში მომხდარი გაფიცვისა და 32 მუშის დაპატიმრების გამო, ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა მანიფესტაცია მოაწყო, რომლის 348 მონაწილე პოლიციამ დააპატიმრა. პროტესტის ნიშნად 9 მარტს ბათუმში გაიმართა 6 ათასიანი დემონსტრაცია. ჯარმა დემონსტრანტებს სროლა აუტეხა, მოკვდა 15 მუშა, დაიჭრა 54, დააპატიმრეს 500 კაცი, რომელნიც ცოტა მოგვიანებით გურია-სამეგრელოსა და იმერეთის სოფლებში გაასახლეს. ასეთი რეპრესიებით მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ თავისდაუნებურად, ობიექტურად ხელი შეუწყო მუშათა და გლეხთა დაკავშირებას, სოფლად რევოლუციური მოძრაობის ალის გადატანას.

თბილისიდან გასახლებული მუშები ძირითადად გორის მაზრის სოფლებში ჩავიდნენ, ახალი იდეები და ბრძოლის პროლეტარული ფორმები ჩაიტანეს იქ. 1902 წ. 19 აპრილს სოფ. კარალეთში დაიწყო გლეხთა მღელვარება, რაც გამოიწვია თავად ერისთავის მოქმედებამ. მემამულემ დაარღვია გარიგების სიგელში ფიქსირებული ეფლება, დაიწყო სოფლის ახლოს მდებარე საძოვრების გადახვნა, რითაც დროებითვალდებული გლეხები რამდენიმე ათეული წელი სარგებლობდნენ. გლეხთა შინაური პირუტყვი დაღუპვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და, ბუნებრივია, სოფელმა საჩივარი აღძრა. საქმე გაარჩია მომრიგებელმა შუამავალმა. ხოლო საგლეხო საქმეთა თბილისის საგუბერნიო საგანგიომ აღნიშნული საძოვრიდან 400 ჰა მემამულის ხელშეუხებელ საკუთრებად სცნო, ხოლო 100 ჰა გლეხებისა და მემამულის საერთო საძოვრად.

კარალეთელი გლეხები არ დაემორჩილნენ ადგილობრივი მთავრობის ამ ავტორიტეტული დაწესებულების დადგენილებას და საქმე იმპერიის სენატში გაასაჩივრეს. თავის მხრივ ერისთავმა გუთნეული გაამზადა და 19 აპრილს პოლიციელთა რაზმის დაცვის ქვეშ დაიწყო სადავო საძოვრის მოხვნა. კეტებით შეიარაღებული გლეხები სწრაფად მოვიდნენ ადგილზე. განაცხადეს, რომ საჩივარი ჯერ არ განუხილავს სენატს, ამ დაეშვებენ საძოვრის მოხვნას. 400 კომლის შინაური პირუტყვის დაღუპვას. თუ საჭირო გახდა ამ მიწისათვის სისხლსაც დავღვრითო. მილიციის კაპიტანი შეფიქრიანდა და თავის „სტრაჟნიკებით" სადაო მინდორს გაეცალა. გლეხებმა კი საქმის გასარკვევად გორში თავისი

წარმომადგენლები გააგზავნეს. გორის მაზრის უფროსმა გლეხთა წარმომადგენლები გლეხთა გამოსვლის ხელმძღვანელებად მიიჩნია და ყველა დააპატიმრა. მალე ამის შემდეგ 150 კარალეთელი გლეხი თბილისს ჩავიდა. აირჩიეს 12 წარმომადგენელი და ამიერკავკასიის მთავარმმართველთან შეგზავნეს. გოლიცინმა თითქოს ყურადღებით მოუსმინა გლეხებს და საქმის გარჩევა თავის კანცელარიის დირექტორს დაავალა, აღელვებული გლეხები უკან კარალეთში გაისტუმრა. მაგრამ პოლიციამ გლეხთა ამ გამოსვლის მეთაურად მიჩნეული პირები მაინც დააპატიმრა.

1902 წ. 19 აპრილს კარალეთელ გლეხთა მიერ დაწყებული აგრარულ-რევოლუციური მოძრაობა თითქმის მთელ გორის მაზრას მოედო. 23 აპრილს სოფ. სატიხარში მოხდა გლეხებისა და „სტრაჟნიკების" შეტაკება. ამის თავდაპირველი მიზეზი გახდა მემამულე ამილახვარი, რომელმაც მის მიწაზე შემთხვევით შესული გლეხთა საქონელი დააკავა. პარუტყვის პატრონები გამოუდგნენ ამილახვრის შინაკაცებს, მოხდა შეტაკება, ორივე მხრიდან რამდენიმე კაცი დაიჭრა, გლეხებმა თავისი პირუტყვი დაიბრუნეს. მაზრის უფროსმა სატიხარში საეგზეკუციო რაზმი გაგზავნა. ჯარისკაცები 2 თვეს იმყოფებოდნენ სოფელში, მაგრამ ამბოხებული გლეხები მორჩილებაში ვერ მოიყვანეს.

შიდა ქართლის გლეხთა აგრარულ-რევოლუციურ მოძრაობაში იგრძნობოდა სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელი როლი. ეს კარგად შეამჩნია მეფის მთავრობის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ. თბილისის გუბერნატორმა აცნობა მთავარმმართველს, რომ გორის მაზრის გლეხთა შორის აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან ინტელიგენტური პირები, რომელნიც არწმუნებენ გლეხებს არ დაემორჩილონ მემამულეებს, ბოიკოტი გამოუცხადონ თავადაზნაურობასა და მოხელეებს. ამის შედეგი ის იყო, რომ 1902 წ. მეორე ნახევარში შიდა ქართლის გლეხთა აგრარულ-რევოლუციური მოძრაობა გაფართოვდა, უფრო ორგანიზებული გახდა. დირბის, ურბნისის, რუისის, ველისციხის, ორთუბანის, არადეთის, საღოლაშენის და სხვ. სოფლების გლეხებმა უარი თქვეს დრამის ფულის, აგრეთვე ღალა-გადასახდელების გაღებაზე, სოფლებიდან განდევნეს გადასახადთა ამკრეფნი, ჩამოართვეს მათ უკვე შეგროვებული თანხა. გლეხთა „დასაწყნარებლად" ჯარი გაიგზავნა, რამდენიმე კაცი დააპატიმრეს, მაგრამ რეპრესიებმა გლეხობა ვერ დააშინა. იგი უსამართლობა-გაუკითხაობის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა.

1902 წლის მაისში აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის ალი გურიას მოედო. მისი გამომწვევი ობიექტური მიზეზი და ძირითადი საფუძველი იყო გლეხთა მცირე მიწიანობა, მაღალი სახელმწიფო გადასახადე-

ბი, მიწის საიჯარო ქირის ზრდა, მეფის მთავრობის მოხელეთა და მემამ-ულეთა თვითნებობა-უსამართლობა. მოძრაობა დაიჩქარა ბათუმის 1902 წ. მარტის ამბებმა, სოფლად გადასახლებული მუშების რევოლუციურმა შემართებამ. გურულმა გლეხებმა სწრაფად აითვისეს რევოლუციური ბრძოლის პროლეტარული ფორმები, მნიშვნელოვანწილად გაითავისეს აგრარულ საკითხზე სოციალ-დემოკრატიის შეხედულებები.

1902 წ. მაისში სოფ. ნიგოითის გლეხებს, მიწის სავარგულებიო სარგებლობის პირობების გამო, შეტაკება მოუხდათ მემამულე მაჭუტა-ძეებთან, რომელნიც ყოველნაირად ავიწროებდნენ ნაყმევებს. მაჭუტაძე-ები გლეხებზე იჯარით გაცემულ სახნავ-სათეს მიწაში მოსავლის ნახევარს იღებდნენ, ასევე დიდ გასამრჯელოს მოითხოვდნენ ტყითა და საძოვრით სარგებლობის საზღაურადაც. სტიქიურად დაწყებულ ნიგოეთელთა ბრძოლას ძალიან მალე სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატია და მის-ცა მას ორგანიზებული ხასიათი.

ნიგოითელ გლეხთა აჯანყების ამბავი ცნობილი გახდა მთელ გურ-იაში. აგრარულ-რევოლუციურ ბრძოლაში ჩაებნენ ჩოჩხათელი, სუფ-სელი, ჯურყვეთელი, ბასილეთელი, ძიმითელი, მამათელი, ჯუმათელი, აკეთელი, ხვარბეთელი და სხვ. სოფლების გლეხები. ისინი ღამღამობით მართავდნენ კრებებს, განიხილავდნენ მტკივნეულ საკითხებს, მსჯელო-ბდნენ ღალაზე, საიჯარო ქირაზე, სახელმწიფო გადასახადების შესახებ. ღებულობდნენ დადგენილებებს ღალისა და საიჯარო ქირის შემცირების, ტყითა და საძოვრით სარგებლობისათვის დაწესებული გამოსაღების გა-უქმების თაობაზე. გლეხები სვამდნენ აგრეთვე საეკლესიო გადასახადის (დრამის ფული) მოსპობის საკითხს.

ბათუმიდან მშობლიურ სოფლებში გასახლებული მუშების რჩევით გურიის გლეხებმა 1902 წ. ზაფხულში პირველად გამოიყენეს მუშათა კლასობრივი ბრძოლის ფორმები — გაფიცვა და ბოიკოტი. გლეხებმა ფი-ცი დასდეს ერთსულოვნად მოქმედებასა და დაწყებული საქმის ერთ-გულებაზე. მათ გაწყვიტეს ყოველგვარი ურთიერთობა თავადაზ-ნაურობასთან, უარი თქვეს მემამულეთა მიწების იჯარით აღება-დამუ-შავებაზე, ვიდრე მათი ყველა სამართლიანი მოთხოვნილებები არ დაკ-მაყოფილდებოდა.

სახალხო მოძრაობა თანდათან ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საიდუმლო კრებების ჩატარება, სოციალ-დემოკრატი აგიტატორებისა და გლეხების დიალოგი, მსჯელობა მემამ-ულეთა მიერ გლეხობის ექსპლუატაციის გაძლიერებისა და უსამართლ-ობის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმების შესახებ. გურიის თითქმის ყველა

სოფელში ჩამოაყალიბეს გლეხებმა თავიანთი საერთო და კონკრეტული მოთხოვნები.

მემამულეებმა, სამღვდელოებამ და სოფლის ბურჟუაზიამ უარი თქვა გლეხთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მაგრამ ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ დათმობების გარეშე თავიდან ვერ აიცილებდნენ გლეხთა რისხვას და გამოაცხადეს, რომ გლეხთა სურვილი შესრულდებოდა. ორსებითად ეს გააკეთეს იმ მიზნით, რომ დრო მოეგოთ, ხელისუფლებისაგან მიეღოთ რეალური დახმარება თავგასული გლეხების მორჩილებაში მოსაყვანად.

თავადმა გურიელმა რამდენჯერმე ინახულა ქუთაისის გუბერნატორი, გააცნო მას გლეხთა მოთხოვნილებანი, ჯარის გაგზავნა სთხოვა გლეხთა აჯანყების ჩახშობისათვის. გლეხებმა გაიგეს გურიელის „ვიზიტების“ შესახებ, ჩაუსაფრდნენ მას და სოფ. სუფსის ახლოს მოკლეს კიდეც. გლეხებმა სიცოცხლეს გამოასალმეს აგრეთვე ნაკაშიძე, ქარცივაძე და სხვა მემამულეები. სოციალ-დემოკრატებმა არ მოიწონეს ტერორის ტაქტიკა, რჩევა-დარიგება მისცეს გლეხებს განმათავისუფლებელი ბრძოლის მართებული ფორმების შესახებ. გურულმა გლეხებმა რჩევა მიიღეს, კიდევ უფრო მტკიცედ დადგნენ გაფიცვისა და ბოიკოტის ტაქტიკაზე.

1902 წ. ივნისის ბოლოს ნიგოითში შეტაკება მოხდა თავად მაჭუტაძეების მოურავსა და ამ სოფლის გლეხებს შორის. მიზეზი თითქოს არ იყო სერიოზული, 50 გლეხმა ძალით დაიბრუნა მაჭუტაძის საძოვრებზე შემთხვევით გადასული და იქ დაკავებული თავისი საქონელი. თავადმა გლეხთა ამ „ძალადობის“ შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა ლანჩხუთის „პრისტავს“. ისიც „სტრაჟნიკებით“ მოვიდა სოფელში, შეიპყრო 17 გლეხი და ლანჩხუთის საპატიმროში ჩასვა. ამით აღშფოთებულმა სოფელმა მანიფესტაცია მოაწყო. 450 კაცი ლანჩხუთის საპატიმროსთან მივიდა, თანასოფლელთა განთავისუფლება მოითხოვა. ბოქაული შეშინდა და წინა დღეს დაპატიმრებული 17 გლეხი გაათავისუფლა. გამარჯვებულმა გლეხებმა დემონსტრაცია გამართეს, ლანჩხუთიდან ნიგოეთამდე 15 ვერსი წითელი დროშით გაიარეს. ამ მოვლენამ გურულ გლეხებს თავის ძალისადმი რწმენა განუმტკიცა, კიდევ უფრო აამაღლა მათი რევოლუციური შემართება.

მეორე მხრივ, ოზურგეთის სამაზრო ხელისუფლება რეპრესიებისათვის განემზადა. ნიგოეთში სწრაფად ჩავიდა თვით მაზრის უფროსი ჟანდარმერიის პოლკოვნიკისა და ,,ჯაზაკთა რაზმის თანხლებით. ძალთა უპირატესობაში დარწმუნებულმ მაზრის უფროსმა თვითნება გლეხებს ჭკუის სწავლების მაგალითი ჩაუტარა, მისი ბრძანებით პოლიცი-

ელებმა გაროზგეს დანაშაულში ბრალდებული რამდენიმე გლეხი. სამაზრო ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, მიზანს ვერ მიაღწია. გლეხობა ვერ დააშინა. პირიქით, ამ ძალადობამ, გლეხთა პიროვნების დამცირება-შეურაცხყოფამ მთელ გურიაში საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა.

1902 წ. მეორე ნახევარში ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა მეტი ყურადღება მიაქცია გურიას. გაძლიერდა აგიტაცია-პროპაგანდა, ჩამოყალიბდა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრეები. მაზრის უფროსმა აცნობა ქუთაისის გუბერნატორს, რომ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია მთელ გურიას მოედო, ფარული რევოლუციური ორგანიზაციების რიცხვი იზრდება, რევოლუციონერთა გავლენა ძლიერდებაო.

გურიის შეშინებული თავადაზნაურობა ოზურგეთში შეიკრიბა. კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება და შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე დაუყოვნებლივი დახმარების თაობაზე. საგუბერნიო ადმინისტრაცია, რა თქმა უნდა, გულგრილი არ დარჩენილა თავადაზნაურთა ვედრებისადმი. აჯანყებულ გურიაში თვით გუბერნატორი სმაგინი ჩავიდა. მან ბრძანება გასცა გლეხთა შეკრების თაობაზე. როცა ამ დიდი მოხელის სურვილი შესრულდა, სმაგინმა გურულთა თავყრილობას სიტყვით მიმართა, მომახსენეთ თქვენი სურვილები, მზად ვარ ყველა თქვენი მოთხოვნა დავაკმაყოფილოო. გუბერნატორი დარწმუნებული იყო, რომ გლეხები არათუ რადიკალური მოთხოვნების წამოყენებას, სიტყვის თქმასაც კი ვერ გაბედავდნენ მრისხანე ადმინისტრატორის წინაშე, მაგრამ გლეხთა წარმომადგენლებმა მყისვე წარუდგინეს გუბერნატორს მთელი რიგი მოთხოვნილებანი. ამასთან ერთად, ძიმითელმა, ჩოჩხათელმა და ჯუმათელმა გლეხებმა განაცხადეს, მოუსავლიანობამ ძალიან შეგვაწუხა და მადლობელი დავრჩებით თუ მთავრობა სურსათ-სანოვაგეს მოგვაწოდებსო. განრისხებულმა გუბერნატორმა მუქარისა და ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა, გლეხების უსიტყვო მორჩილება, სახელმწიფო გადასახადებისა და საჯარო ქირის დაუყოვნებლივ გაღება მოითხოვა. მაშინ გამოვიდა ჩოჩხათელი მოხუცი გლეხი, გაიძრო გამხმარი ქალამანი, გუბერნატორს გადაუგდო და უთხრა: „აი, ყველაფერი, რაც მე დამრჩა, ესეც თქვენი ბრწყინვალებისათვის მომირთმევია“. განრისხებულ სმაგინს უნდოდა მყისვე დაეპატიმრებინა თავხედი გლეხი, მაგრამ გურულებმა მოხუცის გარშემო წრე შეკრეს. გუბერნატორის თანმხლებმა პირებმა ამ მამაცი მოხუცის ვინაობის დადგენაც კი ვერ მოახერხეს.

გაწბილებულმა გუბერნატორმა „მშვიდობიანი“ მოგზაურობა მაინც

გააგრძელა. მეორე დღეს სადგურ სუფსაში მიქელ-გაბრიელის სასოფლო საზოგადოების კრება მოიწვია. 500 გლეხი შეიკრიბა და გუბერნატორ[illegible] ასეთი მოთხოვნები წაუყენა: 1. დაწესებული ღალა მოსავლის ნახევრიდან შემცირდეს ერთ მერვედ ნაწილამდე. 2. გაუქმდეს საძოვრებით სარგებლობისათვის არსებული გამოსაღები. 3. მოისპოს არყის აქციზი. 4. სასოფლო გზების, საზოგადოებრივი შენ[illegible]ბისა და ეკლესიების შეკეთება ყველა წოდების პირებს თანაბრად დაევალოს. 5. მიწის გამოჯვნის ხარჯები თანაბრად იკისროს ყველა წოდებამ. 6. გაუქმდეს საეკლესიო გადასახადი. 7. გაუქმდეს წოდებრივი პრივილეგია-განსხვავებანი, გამოცხადდეს კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა.

გუბერნატორს არც შეეძლო და არც სურდა გლეხთა ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. რაკი დარწმუნდა, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერაფერს მიაღწევდა, დუმილი ამჯობინა, მყისვე დატოვა გლეხთა კრება და გაწბილებული გაეშურა ქუთაისისაკენ. სუფსაში კი კრება გაგრძელდა. მიქელ-გაბრიელის სასოფლო საზოგადოებამ დაადგინა: მტკიცედ მდგარიყვნენ თავის მოთხოვნილებებზე, არავითარ შემთხვევაში არ დაეხიათ უკან, საბოლოოდ გაეწყვიტათ კავშირი მემამულეებთან. კრების დამთავრების შემდეგ გლეხებმა დემონსტრაცია გაძართეს. ხალხი რევოლუციური სიმღერებით, სამართლიანი საქმის გამარჯვების დიდი რწმენით მიდიოდა. გლეხები, დროშების უქონლობის გამო, ჯოხებზე დამაგრებულ წითელ ცხვირსახოცებს აფრიალებდნენ. ლოზუნგების („გაუმარჯოს ერთობას!“, „ძირს მემამულეები და სამღვდელოება!“) ძახილით ბრუნდებოდნენ მშობლიურ სოფელში.

მიქელ-გაბრიელის გლეხთა მიერ წამოყენებული მოთხოვნილებები გურიის მთელი გლეხობის საბრძოლო პროგრამად იქცა. გლეხთა კლასობრივი თვითშეგნება ამაღლდა, მოძრაობა გაფართოვდა, იგი ვეღარ ჩაეტია აგრარული საკითხის ჩარჩოებში, პოლიტიკური ხასიათი მიიღო, მემამულეების ინტერესთა დამცველი მთავრობის წინააღმდეგაც წარიმართა.

შეშფოთებულმა ქუთაისის გუბერნატორმა დახმარებისათვის მთავარმმართველს მიმართა, მისგან მოითხოვა ნებართვა გადაეყენებინა სოფლის არასანდო მოხელეები და მთავრობის მამასახლისები ჩაეყენებინა ნიგოითში, ჩოჩხათში, მიქელ-გაბრიელში, ჯუმათში, ხვარბეთში, დვაბზუში და ბასილეთში, ყოველი მათგანისათვის გლეხთა ხარჯზე დაენიშნა 300—400 მან. ჯამაგირი. მთავრობის ადგილობრივ ადმინისტრაციას მიაჩნდა, რომ გლეხთა კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებაში დიდი როლი შეასრულა სკოლებმა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებმა, ამიტომ გუბერნა-

ტორმა ამ კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა. დახურვის ნებართვაც გამოითხოვა.

ამიერკავკასიის მთავარმმართველ გოლოვინის ბრძანებით გურიის გლეხთა აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად კაზაკთა რაზმები გაიგზავნა. 1902 წ. აგვისტოში ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი კალაჩევი და ჟანდარმთა პოლკოვნიკი ჯარით შეიჭრნენ ურჩთა მხარეში, დაიწყეს რეპრესიები გლეხ რევოლუციონერთა წინააღმდეგ. 7 აგვისტოს კაზაკთა რაზმმა მიქელ-გაბრიელში 5 გლეხი დაჭრა და 19 დააპატიმრა. მეორე დღეს კაზაკებმა ნიგოითში, სუფსაში, ჩოჩხათში, ხიდისთავში, ბაღლებაში, ხვარბეთში და სხვ. სოფლებში 250 კაცი დააპატიმრეს. კაზაკთა რაზმების გარდა, გურიაში ჩავიდა რეგულარული არმიის ერთი პოლკი, რომელიც დამსჯელი ექსპედიციების სახით ვანაწილდა სხვადასხვა სოფლებში. 6 აგვისტოს დაწყებული რეპრესიები 5 სექტემბრამდე გაგრძელდა. ჯარისკაცები და კაზაკები არბევდნენ სოფლებს, ძარცვავდნენ გლეხებს, აუპატიურებდნენ ქალებს.

1902 წ. 14 აგვისტოს ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი მეორედ ეწვია გურიას. ამასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატთა მიერ გავრცელებულ პროკლამაციაში ნათქვამი იყო, რომ გურიაში ჯარით ჩასულმა გუბერნატორმა მიმართა რევოლუციონერებისა და ურჩი გლეხების მასობრივ დაპატიმრებას, სოფლებში ჩააყენა დამსჯელი რაზმები, გლეხები აიძულა დაეფარათ ვადასახადები. დახურა სკოლები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, დააპატიმრა რევოლუციურად განწყობილი მასწავლებლები.

სისხლიანმა რეპრესიებმა ერთხელ კიდევ დაარწმუნეს გლეხები, რომ თვითმპყრობელობა იარაღით იცავს თავადაზნაურობის წოდებრივ ინტერესებს. ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ბრძოლა ცარიზმის დამხობისათვის.

მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ ასეთი მკაცრი ღონისძიებებითა და სამხედრო წესების შემოღებითაც ვერ შეძლო გლეხთა წინააღმდეგობის გატეხვა. გურიის თითქმის ყველა სოფელში ხდებოდა საპროტესტო გამოსვლები.

გურიის გლეხთა მოძრაობამ მხარდაჭერა და გამოძახილი პოვა საშეგრელოსა და იმერეთში. გლეხთა მოძრაობის დიდი ტრადიციების მქონე სამეგრელოში სიწყნარე არ XIX ს 80—90-იან წლებში ყოფილა, მაგრამ აგრარული შინაარსის ბრძოლა, რომელმაც რევოლუციური ხასიათი მიიღო, აქ გაჩაღდა 1902 წ. მეორე ნახევარში. გლეხთა ფარული კრებები ჩატარდა ლესიჭინეში, ლეხაინდრაოში, ნოჯიხევში, აბიდარში, სალხინოში, ეცერში, ტალეში და სხვა სოფლებში. აღსანიშნავია, რომ 1902 წ.

ზემოაღნიშნულ სოფლებში პ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით მოეწყო საპირველმაისო დემონსტრაციები. 25 აგვისტოს ფარული კრება ჩაატარეს სოფ. ნარეზნის გლეხებმა, ძმური ფიცი დადეს და მიიღეს გადაწყვეტილება არ გაეღოთ გადასახადები. ამაზე ამ გადაწყვეტილებას შეუერთდა სოფ. ჯაფისკარის გლეხობა, სექტემბრის დამდეგს კი აგრარული მოძრაობა თითქმის მთელ ზუგდიდის მაზრას მოედო. ამ გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო გლეხი ბიგვავა, რომელიც აქამდე გურიაში ცხოვრობდა და აქტიურად მონაწილეობდა გურიის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში. სწორედ მან გადმოიტანა სამეგრელოში გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება და ბრძოლის ფორმები.

1902 წ. სექტემბერში კავკასიის მთავარმმართველის მოადგილე გენერალი პრეზე იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებდა, რომ ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთა მღელვარება მეზობელ ზუგდიდის მაზრასაც მოედო. ხოლო ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი გენ. სტოპჩანსკი პოლიციის დეპარტამენტს უპატაკებდა იმის თაობაზე, რომ რეპრესიულმა ღონისძიებებმა ზუგდიდის მაზრის გლეხთა გამოსვლებზე ჩვენთვის სასურველი ზემოქმედება ვერ მოახდინა. ვერც აქ მყოფმა ჯარის ნაწილმა, ვერც დამნაშავეთა მასობრივმა დაპატიმრებამ ვერ აიძულა გლეხები მიეცათ ღალა-კულუხი თავად მინგრელსკისათვის. გლეხთა აგრარული მოძრაობა კიდევ მეტი გაქანებით გრძელდებაო.

1902 წ. სექტემბერში საამბოხოდ შეიმართნენ სოფლები: ჩხორია, შამგონა, კორცხელი, კოკი, ხურჩა, ცაცხვი, ჩხოუში, ურტა და ჩაქვინჯა. ყველგან ჩატარდა გლეხთა ფარული კრებები. დაადგინეს, არაფერი აღარ გადაეხადათ მემამულეებისათვის. 12 სექტემბერს სოფ. მუხურის მკვიდრი 70 გლეხი თავს დაესხა თავად დადიანისა და აზნაურ ჩარკვიანის მამულებს მიწების ხელში ჩაგდების მიზნით. მუხურიდან ამბოხება მოედო სოფ. ლახაგრეს, ,ოხს, ნაკიანს. გლეხთა მიზანი იყო თავადაზნაურთა მამულების მითვისება. სოფლის მშრომელთა „ძალადობის“ აღკვეთა ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალის გამოყენებით მოახერხა.

სენაკის მაზრაში აგრარული მოძრაობა მოედო ნაქალაქევს, გახომელას, კოტიანეთს, ძველ სენაკს, უშაფათს, ილორს, საჭილაოს და სხვა სოფლებს. გლეხებმა თავდაპირველად ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულეებს, უარი თქვეს მათი მიწების იჯარით აღებასა და დამუშავებაზე. შემდეგ კი დაიწყეს თავის ყოფილ მებატონეთა სახლ-კარის განადგურება. სამეგრელოს გლეხთა მოძრაობის სათავეში იდგნენ მუშა სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც ბათუმში გიარეს რევოლუციური ბრძოლის სკოლა.

სამეგრელოში მდგარი შეიარაღებული ჯარის ნაწილები საკმარისი

არ აღმოჩნდა „საზოგადოებრივი წესრიგის“ აღსადგენად. ქუთაისის გუბერნატორმა კავკასიის მთავარმმართველს რევოლუციური მოძრაობის დასაჩრგუნავად დამატებითი სამხედრო ძალები გამოსთხოვა.

იმერეთში აგრარულ-რევოლუციური ბრძოლის დროშა პირველად სოფ. იანეთის გლეხებმა აღმართეს. 1902 წ. აპრილის ბოლოს მათ ჩაატარეს საიდუმლო კრება, განიხილეს მემამულეებისა და მთავრობის მოხელეთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. მაისის პირველ რიცხვებში იანეთელთა მაგალითს მიბაძეს ეწერის, ღანირის, კულაშის, ჩაგანის, მელაურის, კვირიკეს, გორმაღალას, ნაბაკევის და სხვ. სოფლების გლეხებმა. 14 მაისს აღნიშნულ სოფლებში გლეხთა დამშვიდების მიზნით ქუთაისის მაზრის უფროსი ჩამოვიდა პოლიციელთა რაზმით. დააპატიმრეს გლეხთა გამოსვლების 6 ხელმძღვანელი. ამ ზომამ სოფლის მშრომელები ვერ დააშინა. გლეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულეებს. უარი თქვეს მათი მიწების იჯარით აღება-დამუშავებაზე. სახელმწიფო გადასახადებსა და სამემამულო ღალა-კულუხის გადახდაზე. შეწყვიტეს დრამის ფულის გაღება, აღარ გამოვიდნენ საგზაო ბეგარაზე.

1902 წ. ბოლოს დაბა ხონში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელმაც გამოსცა რამდენიმე პროკლამაცია, მოუწოდა ხალხსა და მოსწავლე ახალგაზრდობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ხონის ორგანიზაციის საქმიანობამ ხელი შეუწყო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას არა მარტო დაბაში, არამედ მთელ იმერეთში.

რაჭა-ლეჩხუმის დროებითვალდებულმა გლეხთა 90%-მა ნადელები გამოისყიდა და მემამულეებთან თითქმის აღარაფერი ჰქონდა სადავო, მაგრამ სახნავი მიწის საიჯარო ფასის სიდიდისა და ტყე-საძოვრით სარგებლობის გართულების გამო წოდებრივ-კლასობრივი ანტაგონიზმი აქაც ძლიერი იყო. 1902—1904 წლებში მემამულეთა და მთავრობის მოხელეთა საწინააღმდეგო გამოსვლები მოხდა ამბროლაურში, ხოტევში, წკადისში, ნიკორწმინდაში, ხონჭიორში, ზედაშავრაში, პატარა ონში, ბაჯში, ხვანჭკარაში, სადმელში. გლეხები აგრარული ხასიათის მოთხოვნებთან ერთად აყენებდნენ დემოკრატიული თავისუფლების მოთხოვნებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაჭის მამაკაცი მოსახლეობის ორი მესამედი ზამთარში და ერთი მესამედი ზაფხულშიც გარე სამუშაოებზე იყო გასული. რაჭველი მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ჭიათურის და სხვა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში.

აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის მიღმა არც აჭარა და აფხაზეთი დარჩენილა. მართალია, ამ კუთხეებში არ შექმნილა დროებითვალდებულე-

ბის ინსტიტუტი და გლეხობის უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა რამდენადმე უკეთესი იყო, მაგრამ უშუალო მწარმოებელი მასა აქაც განიცდიდა ექსპლუატაციას ცალკეული მემამულეებისა და სახელმწიფო ხაზინის მოხელეებისაგან.

აჭარელი გლეხები ვერ შეურიგდნენ იმას, რომ რუსეთთან შეერთებისთანავე რუსეთის ცარიზმმა მიწის მთელი ფონდი სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა და მწარმოებელ მოსახლეობას აუკრძალა ტყითა და საძოვრით უფასოდ სარგებლობა. ამის გამო 1894 წელს ზემო აჭარის გლეხთა აჯანყებაც მოხდა. ბათუმის ოლქის ადმინისტრაციამ შეიარაღებული ძალა გამოიყენა, აჯანყებულნი გაფანტეს, მეთაურები დააპატიმრეს. მაგრამ მკაცრი რეპრესიების შემდეგაც განაგრძობდნენ აჭარელი გლეხები მიწისა და თავისი ადამიანური უფლებების დაცვისათვის ბრძოლას.

1902 წლიდან აჭარელ გლეხთა აგრარული მოძრაობაც ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. მჭიდროდ დაუკავშირდა სოციალ-დემოკრატიასა და მუშათა მოძრაობას. აგვისტოში ზუნდაგის, საღორეთისა და აგარის გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ბათუმის ოლქის მოხელეებს, განაიარაღეს მათი თანმხლები სამხედრო რაზმი. აჭარელთა შეუპოვრობით შეშინებული მთავრობის მოხელეები კუდამოძუებული დაბრუნდნენ ბათუმში. ჩაქვის საუფლისწულო მამულის სამმართველომ დახმარება უმაღლეს მთავრობას სთხოვა. ზვმოლან დავალებით ბათუმის ოკრუგში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ჩამოვიდა ჯარით. მან თითქოს ჩაქვის რაიონის გლეხებიც დააწყნარა და ართვინის ოკრუგშიც დაამყარა წესრიგი. სინამდვილეში კი დაძაბული სიტუაცია არსებითად არ განმუხტულა. აჭარელ გლეხთა ბრძოლა ადგილობრივი მემამულეებისა და მთავრობის მოხელეების წინააღმდეგ გრძელდებოდა.

ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სოფელზე, კახეთის გლეხთა მოძრაობაზეც გავრცელდა სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენა. თბილისის მუშათა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის დასჯილი პირები კახეთშიც ბლომად გაასახლეს. მშობლიურ სოფელში დაბრუნებული მუშები, ბუნებრივია, მონაწილე გახდნენ გლეხური ჭირ-ვარამისა და გლეხთა მოძრაობისა. 1902 წ. მაისის ბოლოს სიღნაღის მაზრაში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. პრასიანის, ბოდბისხევის, ჯუვაანის და სხვა სოფლების გლეხებმა უარი თქვეს საიჯარო და სანადილო ღალა-გადასახდელზე. მემამულეებმა დახმარებისათვის ხელისუფლებას მიმართეს. მაზრის უფროსის ბრძანების თანახმად რამდენიმე მეამბოხე გლეხი დააპატიმრეს, სხვები კი აიძულეს გადასახადების გაღება განეახლებინათ.

1902 წლის მაისში თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა პროკლამაციები გამოსცა, რომელიც მშრომელ მასას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ეს პროკლამაციები დიდი რაოდენობით გავრცელდა კახეთში, გააძლიერა აქაურ გლეხთა აგრარულ-რევოლუციური მოძრაობა. 1902 წ. 31 მაისს გლეხთა აჯანყებამ იფეთქა თელავის მაზრის სოფლებში — აწყურსა და ნოდში. გლეხებმა ბრძოლა გაუმართეს მემამულეებს — სულხანიშვილებს, მეღვინეთუხუცესსა და გამყრელიძეს, შეუწყვიტეს გადასახადების გაცემა, მათი ოჯახებიდან გამოიყვანეს დაქირავებული მუშები და შინამოსამსახურეები. მეფის მთავრობის ადგილობრივი ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა აჯანყებულებს, ხელმძღვანელები დააპატიმრეს, სამართალში მისცეს. სასამართლო პროცესზე გლეხებმა მოახერხეს და დამსწრე საზოგადოებას დაურღვეველი ფაქტებით აჩვენეს მშრომელი მასის მძიმე მდგომარეობა, მემამულეების თვითნებობა, მთავრობის მოხელეთა სიმკაცრე და გარყვნილება. თვით სახელმწიფო ბრალმდებელიც კი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ გლეხთა აჯანყება გამოიწვია მემამულეებისა და მთავრობის მოხელეთა მიერ დათესილმა **ბოროტებამ.**

რეპრესიებმა კიდევ უფრო გაზარდა მტრობა და სიძულვილი მხარეებს შორის. გლეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულეებს, შეწყვიტეს მათთან ყოველგვარი ურთიერთობა. სოფ. აწყურში, მაგალითად, საქმე იქამდე მივიდა, რომ როცა თავად სულხანიშვილს დედა გარდაეცვალა, არც ერთი დროებითვალდებული გლეხი პანაშვიდზე არ მისულა, არც ერთი თანასოფელი მგლოვიარე თავადს არ დახმარებია. მამასახლისსა და მის მოადგილეს რომ არ გამოედოთ თავი და საჭირო სამუშაოები არ შეესრულებინათ, მიცვალებული დაუმარხავი დარჩებოდა.

კახელმა გლეხებმა მოითხოვეს ტყეებით უფასოდ სარგებლობის უფლება და როცა მემამულეებისაგან უარი მიიღეს, წნორის, ასანურის, ტიბაანის, საქობოს, პრასიანის, ჩალაუბანისა და სხვა სოფლების დროებითვალდებულმა გლეხებმა განდევნეს მემამულეთა ტყის მცველები და დაიწყეს ტყით თავისუფლად, მაგრამ ზომიერად სარგებლობა.

ამავე პერიოდში გლეხთა მოძრაობამ საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო თიანეთისა და დუშეთის მაზრებში. 1902 წ. აგვისტოში სოფ. ჩაბანოს, ხაიშოს, ორხევის, ბოჭორმის, ჭიაურის (თიანეთის მაზრა), საშაბუროს, ბაზალეთის, მლაშეს, ციხისძირის, ლაზვინის (დუშეთის მაზრა) გლეხებმა შეწყვიტეს საეკლესიო გადასახადის — დრამის ფულის გაცემა და უარი თქვეს ღალა-ბეგარაზე. ბევრი გლეხი თვითნებურად ხნავდა მემამულეთა მიწას, მაგრამ საიჯარო ქირას არ იხდიდა. ადგილი ჰქონდა ცალკე-

ულ თავადაზნაურთა სახლ-კარის განადგურებას, ყველაზე უფრო საძულ-ველ მემამულეთა მკვლელობას. 2 ნოემბერს გაიმართა დუშეთის მაზრის რამდენიმე სოფლის გლეხთა წარმომადგენლების კრება, დაადგინეს აღარ შეეტანათ გადასახადები. ხოლო, როცა საშაბურაში ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები გამოცხადდნენ, გლეხებმა მათ გაბედულად განუცხადეს, რომ არ გვინდა არც მემამულეები, არც მღვდლები და არც სხვა ვინმეო (ე. ი. მოხელეები). კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ბოიკოტი გამოეცხადებინათ მემამულეებისათვის, არ დამორჩილებოდნენ ხელისუფ-ლების ორგანოებს, არ გაეღოთ არავითარი გადასახადი, არ შეესრულები-ნათ არავითარი ვალდებულება.

ამგვარად, 1902 წლიდან საქართველოს გლეხთა მოძრაობაში დაიწყო თავისებურად ახალი ეტაპი. თუ ადრე გლეხთა გამოსვლა-აჯანყებები სტიქიური და არაორგანიზებული იყო, ამ დროიდან გლეხთა მოძრაობა შეექცა სოციალ-დემოკრატიის გავლენისა და ნაწილობრივ ხელმძღვანე-ლობის ქვეშაც, მჭიდროდ დაუკავშირდა მუშათა მოძრაობას. გადაიქცა საერთო დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ დიდ ნაკადად.

1903—1904 წწ. განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული სოფ-ლებისა და კომლების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. გურია-სამე-გრელოსა და ზოგ სხვა რაიონში ჩამოყალიბდა გლეხთა და სოფლის მუ-შათა კომიტეტები, რომლებმაც აგრარულ-რევოლუციურ მოძრაობას მის-ცეს უფრო შეგნებული, ორგანიზებული და პოლიტიკური ხასიათი. გლეხ-თა მასობრივი გამოსვლები მოხდა საქართველოს თითქმის ყველა რაიონ-ში. კვლავ ძალაში იყო 1902 წ. შემუშავებული ბრძოლის ფორმები — გაფიცვა და ბოიკოტი. განსაკუთრებით გაძლიერდა გლეხთა მასობრივი გამოსვლები გურია-სამეგრელოსა და იმერეთში. მთავრობამ კვლავ შიშ-ველ და უხეშ ძალას მიმართა, ბევრ მაზრაში დამსჯელი რაზმები გაგზავნა, ასობით სოფლებში ეგზეკუციები ჩააყენა. 1903 წ. მარტო ერთი თვის განმავლობაში პოლიციამ ქუთაისის გუბერნიაში დააპატიმრა და ციმბირს გადაასახლა 300-მდე მეამბოხე გლეხი.

აგრარულ-რევოლუციურმა მოძრაობამ კულმინაციას 1904 წელს მიაღ-წია. გურიის მშრომელებმა სოფ. ხიდისთავში გამართეს საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ დაარბია. ოქტომბერში მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოაწყვეს შიგა კახეთის გლეხებმა. დემონ-სტრანტებმა წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით ჩა-მოიარეს სოფლები და მემამულეებს მოსთხოვეს მიწებზე ხელის აღება, ადგილმამულის გლეხებისათვის გადაცემა. ბოლშევიკთა აგიტაცია-პრო-პაგანდის შედეგად კახელ გლეხებს უკვე შეგნებული ჰქონდათ, რომ თა-

ვადაზნაურთა წოდებრივ პრივილეგიებსა და მიწათმფლობელობას მეფის მთავრობა იცავდა. ამიტომ მათ ბოიკოტი გამოუცხადეს თვითმპყრობელური მართვა-გამგეობის ადგილობრივ ორგანოებსა და სასამართლოებს. საქართველოს ბევრი სოფლის გლეხები არ დასჯერდნენ მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს, შექმნეს მართვა-გამგეობის საკუთარი ორგანოები, სახალხო ყრილობებზე აირჩიეს სოფლის მეთაურები და მოსამართლეები. ასე მოხდა, მაგალითად, გურიაში და კახეთში, სადაც ხალხისაგან არჩეული პირები წყვეტდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხებს. რევოლუციური თვითმმართველობის გზაზე გამოსული გლეხობა ისე მტკიცედ და ერთსულოვნად მოქმედებდა, რომ მაზრის უფროსი, ბოქაული და პოლიციელები თვითმმართველ სოფლებში შესვლასა და რეპრესიულ ღონისძიებათა განხორციელებას ყოველთვის როდი ბედავდნენ.

ამ პერიოდში აღმავალი ხაზით ვითარდებოდა სოფლის მუშათა მოძრაობაც. ფართოვდებოდა მეორე სოციალური ომის მასშტაბი.

1903 წ. 8 აგვისტოს გაიფიცნენ საუფლისწულო უწყების საკუთრება-გამგებლობაში მყოფი ჩაქვის სუბტროპიკული მეურნეობის მუშები, რომლებმაც მოითხოვეს ხელფასის მომატება. პოლიციამ გაფიცვის მეთაურები დააპატიმრა, მუშათა ეს გამოსვლა უხეში ძალის გამოყენებით დათრგუნა. მიუხედავად ამისა, 1904 წ. ჩაქვის მეურნეობის მუშები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, ორი გაფიცვა მოაწყვეს. მუშების მოთხოვნილებები იმდენად რადიკალური და კატეგორიული იყო, რომ მეურნეობის ადმინისტრაცია შეშფოთდა, მთავრობისაგან კონფლიქტში ჩარევა, ურჩი მუშების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება მოითხოვა. თხოვნა დაკმაყოფილდა, მამულში შეიარაღებული „სტრაჟნიკები“ ჩააყენეს.

1904 წ. ზაფხულში გაიფიცნენ კაპიტალისტ კ. პოპოვის სუბტროპიკული მეურნეობის (სალიბაური) მუშები, მოითხოვეს ხელფასის მომატება და შრომის პირობების გაუმჯობესება. ამ „თავხედობით“ განრისხებულმა კაპიტალისტმა მუშები თავის მეურნეობიდან დაითხოვა, მუშათა სხვა ჯგუფი მოიწვია. მაგრამ გაფიცული მუშები ისე შეუპოვრად იბრძოდნენ, რომ მოწვეულებმა მტრეიკერეებმაც ხელი აიღეს, სალიბაურიდან წავიდნენ. ბოლოს და ბოლოს კ. პოპოვი იძულებული გახდა გაფიცულთა მოთხოვნები ძირითადად დაეკმაყოფილებინა.

1904 წ. გაფიცვა მოხდა აგრეთვე საუფლისწულო უწყების მუხრანის მეურნეობაში. მუშები მოითხოვდნენ: 1. ყველა მუშისათვის თვიური ხელფასის 25 მანეთამდე გაზრდას; 2. დაოჯახებული მუშების საც-

ხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფას; 3. მეურნეობის ხარჯზე მუშებისათვის მზარეულის მიმაგრებას და ავადმყოფ მუშათა უფასო მკურნალობას. 4. მუშებისათვის აბანოსა და სამრეცხაოს აშენებას; 5. მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის სკოლის გახსნას და უფასო სწავლების დაწესებას; 6. მუშების მიერ გადახდილი ჯარიმების სწავლა-განათლებისათვის მოხმარებას; 7. მუშების მეურნეობიდან დათხოვნის საკითხთა გარჩევაში მუშათა წარმომადგენლები მონაწილეობას. მეურნეობის მფლობელმა მისაღებად ჩათვალა ზოგი მოთხოვნა, გაფიცვის შეწყვეტის წინაპირობად მუშებისათვის ხელფასის მომატება მიიჩნია, მაგრამ საუფლისწულო უწყებამ ამაზე უარი თქვა, მუშათა გაფიცვა რეპრესიების გამოყენებით ჩაქრო.

ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობამ გააპირობა 1904 წ. საქართველოში რევოლუციური სიტუაციის შექმნა. რევოლუციისათვის მზად იყო ქალაქიც და სოფელიც, მუშაც და გლეხიც. ამიტომ, ბუნებრივია, რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის დაწყებისთანავე მასში აქტიურად ჩაება საქართველოს მშრომელი მოსახლეობა.

თავი VIII

ქართველი გლეხობა სამი რევოლუციის ჭარცეცხლში

„1861 წელმა წარმოშვა 1905 წელი" (ვ. ი. ლენინი). ბელადის ამ ლაკონურ დებულებაში ღრმა აზრია. XIX ს-ის 60-იან წლების დამდეგს რუსეთის მრავალეროვანი მოსახლეობის წინაშე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანები იდგა. მათი გადაჭრა ბატონყმობის გაუქმებით, გლეხობისათვის მიწისა და თავისუფლების ბოძებით უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ზედაფენებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და ბურჟუაზიული რეფორმები ზევიდან გაატარეს. ამ კუდმოკვეცილმა რეფორმებმა კი დიდი რაოდენობით დატოვა ბატონყმობის ნაშთები ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ბაზისშიც და პოლიტიკურ ზედნაშენშიც. რევოლუციურ ძალებ და მათ შორის გლეხობის მთავარ მიზნად XIX—XX სს. მიჯნაზეც რჩებოდა ამ ნაშთების მოსპობა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანების თანამიმდევრული განხორციელება.

რსდმპ მეორე ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილი აგრარული პროგრამა, რომელიც ღაღადებდა: ბატონყმობის ნაშთების მოს-

პობისა და კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის, პარტია მოითხოვს გამოსასყიდი გადასახდელებისა და ყოველგვარი ბეგარის გაუქმებას, თავისუფალი მიწათსარგებლობის შეშხღუდველი კახონების მოსპობას, იმ მიწების დაბრუნებას გლეხებისათვის, რომელიც ჩამოაჭრეს, წაართვეს მათ ბატონყმობის გაუქმების დროს. პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე შექმნას გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა, რომლებიც იბრძოლებდნენ სოფლის საზოგადოებებისათვის ჩამოჭრილი მიწების დასაბრუნებლად, ბატონყმობის ნაშთების მოსასპობად საერთოდ.

რსდმპ მეორე ყრილობის მიერ მიღებული აგრარული პროგრამის ერთი მუხლი სპეციალურად კავკასიასა და საქართველოს ეხებოდა. ამ მხარეში გლეხთა კომიტეტების ამოცანად მიჩნეული იყო დროებითვალდებულებისა და ხიზნობის ინსტიტუტების მოსპობა, დროებითვალდებულ და ხიზან გლეხთა გადაყვანა მესაკუთრეთა კატეგორიაში ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე.

რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან განსხვავებით, გაიშალა სოციალ-ეკონომიკური განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე. რუსეთში უკვე არსებობდა რევოლუციური პროლეტარიატი, შექმნილი იყო ახალი ტიპის სოციალისტური პარტია. კონკრეტული სიტუაცია განაპირობებდა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ინტერესი მოითხოვდა, რომ მას მხდალი და კონსერვატიული ბურჟუაზიის ნაცვლად სათავეში ჩადგომოდა რუსეთის მუშათა კლასი. გლეხობას კი მისი საიმედო მოკავშირის საპატიო მისია დაეკისრა. ამ ორი კლასის მტკიცე საბრძოლო კავშირზე იყო ძირითადად დამოკიდებული რევოლუციის ძლევამოსილად დამთავრება.

1905 წ. 9 იანვარს მეფის ბრძანებით ჯარმა სისხლში ჩაახშო პეტერბურგის პროლეტარიატის მშვიდობიანი დემონსტრაცია. საპროტესტო გამოსვლებისა და მანიფესტაციების ტალღა მთელ რუსეთს მოედო. რევოლუცია დაიწყო. „სისხლიანი კვირის“ გაკვეთილებთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერდა: იწყება აჯანყება, ძალა უპირისპირდება ძალას. შენდება ბარიკადები, გრიალებს ზალპები და ქუხს ზარბაზნები. სისხლი ნაკადებად იღვრება, ჩაღდება სამოქალაქო ომი თავისუფლებისათვის. პეტერბურგის პროლეტარიატს მზად არიან შეუერთდნენ მოსკოვი და სამხრეთი, კავკასია და პოლონეთი. მუშების ლოზუნგი გახდა „სიკვდილი ან თავისუფლება“.

საპროტესტო მოძრაობის ტალღამ მთელ საქართველოს გადაუარა

ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა რევოლუციის ავანგარდულ ძალთა შორის აღმოჩნდა. 1905 წ. 18 იანვარს გაფიცვა-დემონსტრაცია დაიწყეს თბილისის პროლეტარებმა. პირველი ნიშანი მისცეს თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშებმა, მალე გაფიცვა-დემონსტრაციას შეუერთდნენ მექანიკური საწარმოების, ტყავისა და თამბაქოს ფაბრიკების, სტამბის მუშები. 22—23 იანვარს პოლიტიკური შინაარსის გაფიცვა-დემონსტრაციებმა თბილისში საყოველთაო ხასიათი მიიღო. 20 იანვარს ბათუმში დაწყებული გაფიცვა 5 დღის შემდეგ საყოველთაო დემონსტრაციაში გადაიზარდა. ამავე დროს გაფიცვა-დემონსტრაციები მოხდა ფოთში, ქუთაისში, ჭიათურაში, ტყიბულში და საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებში. საქართველოს მშრომელთა საყოველთაო გაფიცვა-დემონსტრაციით შეშინებულმა კავკასიის ადმინისტრაციამ მზადყოფნაში მოიყვანა პოლიცია, ჟანდარმერია, კაზაკთა რაზმები, ჯარის ნაწილები. რეაქციის ძალებმა იმთავითვე მიმართეს რეპრესიებს, გახშირდა პოლიტიკურ დამნაშავეთა დაპატიმრება, ადმინისტრაციული წესით გადასახლება. მაგრამ რევოლუციის ალის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა. თებერვალში გაფიცვა-დემონსტრაციებმა, რომლის ნაწილი პოლიციასთან შეტაკებითა და სისხლის ღვრით დამთავრდა, კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო.

ბატონყმობის ნაშთების მოსპობისათვის საქართველოს გლეხობის მიერ ადრე დაწყებულმა აგრარულ-რევოლუციურმა ბრძოლამ პირველი რევოლუციის წლებში არნახულ გაქანებას მიაღწია. უკვე იანვარ-თებერვალში თითქმის ყველა მაზრის გლეხობა გააქტიურდა. ბოლშევიკური აგიტაცია-პროპაგანდით გათვითცნობიერებული სოფლის მშრომელები უარს ამბობდნენ ბეგარა-გადასახადებზე, ბოიკოტს უცხადებდნენ მემამულეებს, სამღვდელოებასა და მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის მოხელეებს. ეუფლებოდნენ სახაზინო და მემამულეთა მიწებს, სოფლებიდან აძევებდნენ მთავრობის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირებს, პროტესტის ნიშნად ცეცხლს უკიდებდნენ სოფლის კანცელარიებს.

პირველი რევოლუციის დაწყების შემდეგ სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა სოფლად. თბილისის, იმერეთ-სამეგრელოს, გურიის, გორის და სხვა კომიტეტები დიდი რაოდენობით გზავნიდნენ ბოლშევიკ აგიტატორთა ჯგუფებს ადგილობრივი ორგანიზაციების დასახმარებლად, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, აწყობდნენ გლეხთა კრებებს. სასოფლო საზოგადოებებში რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე ადგილობრივი პროპაგანდი-

რებული გლეხები. ზოგან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ: ა. კალანდარიშვილი, ა. დოლიძე, ი. ცინცაძე, მ. ტუღუში (ოზურგეთის მაზრაში), კ. ტოტოჩავა, შ. ზარანდია, მ. თოლორდავა (ზუგდიდის მაზრაში), კ. მგელაძე, კ. კაკაბაძე, ნ. ხარებავა, ვ. სტურუა (ქუთაისის მაზრაში), ი. ნახიტაძე, გ. მუედლიშვილი, ს. ჯიქურაშვილი, გ. დოლეიშვილი, გ. უმიკაშვილი (გორის მაზრაში), მ. გურგენიძე, ლ. ბერიშვილი (რაჭის მაზრაში).

მეფის მთავრობის რეაქციული პოლიტიკისა და ადგილობრივი მოხელეების თვითნებობისადმი უკმაყოფილებას გლეხები ხშირად გამოხატავდნენ პოლიტიკური დემონსტრაციებით. ერთ-ერთი ასეთი დემონსტრაცია, მაგალითად, მოეწყო სოფ. დიდ ჯიხაიშში. შეიკრიბა რამდენიმე ათასი კაცი. გაისმა მოწოდებები — „ძირს თვითმპყრობელობა!" „გაუმარჯოს თავისუფლებასა და დემოკრატიულ რესპუბლიკას!" დემონსტრანტები შეიჭრნენ სოფლის კანცელარიაში, გამოიტანეს მეფის პორტრეტი და ნაკუწებად აქციეს. ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციამ დიდ ჯიხაიშში კაზაკთა და პოლიციელთა რაზმი გაგზავნა. გლეხები ამან ვერ შეაშინა, ცულებით, ფიწლებით და ხელკეტებით შეუტიეს კარგად შეიარაღებულ მთავრობის რაზმს. როცა პოლიციელები შეტევაზე გადავიდნენ, დემონსტრანტებმა ქვების სეტყვა დააყარეს და თავდამსხმელთა განიარაღებაც კი სცადეს. პოლიციელებმა და კაზაკებმა ცეცხლი გახსნეს, მოკლეს ორი და დაჭრეს შვიდი გლეხი. დიდ ჯიხაიშელ დემონსტრანტთა დახვრეტამ საქართველოს მშრომელთა დიდი აღშფოთება გამოიწვია. ბევრგან მოეწყო საპროტესტო გამოსვლები.

გორის მაზრის ზოგიერთ სასოფლო საზოგადოებაში ჩამოყალიბდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც ცდილობდნენ მთავრობის სამაზრო ადმინისტრაციის პარალიზებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებას. თებერვლის შუა რიცხვებში დაბა ცხინვალში შეიკრიბა 8 სოფლის ელჩობა, ფრიალებდა წითელი დროშები, გაისმოდა „მარსელიოზას" ჰანგები. ბოლშევიკი ორატორები გლეხებს მოუწოდებდნენ ზუშათა კლასთან მჭიდრო კავშირისა და ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ. რამდენიმე დღის შემდეგ მიტინგი და დემონსტრაცია მოეწყო სოფ. ყორნისში, აგრეთვე კავთისხევში. გლეხთა წარმომადგენლებმა მოითხოვეს „ჩამონაჭრების" დაბრუნება, ტყითა და საძოვრებით უსასყიდლოდ სარგებლობა, ღალა-გადასახადების გაუქმება და ერთიანი საშემოსავლო გადასახადის დაწესება, წოდებრივი უთანასწორობის მოსპობა, სკოლების გახსნა და ქართულ ენაზე სწავლების დაკანონება.

ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა გლეხთა მოძრაობა დუშეთი, თელავისა და სიღნაღის მაზრებშიც. აქაური გლეხები ერიდებოდნენ ტერორსა და ძალადობას, მშვიდობიან კრებებსა და მიტინგებს აწყობდნენ. გლეხები ირჩევდნენ ნდობით აღჭურვილ პირებს, მათ აკისრებდნენ ადმინისტრაციული და სამოსამართლო ფუნქციების შესრულებას. ეს შეკრებები იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ პოლიციელთა რაზმები ვერ ახერხებდნენ მათ გაფანტვას, „საზოგადოებრივი წესრიგის" აღდგენას.

დიდი გაქანებითა და მაღალი რევოლუციური შემართებით გამოირჩეოდა გლეხთა მოძრაობა გურიაში. ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდი" რუსეთის იმპერიის მშრომელებს აუწყებდა: „ოზურგეთის მაზრაში უკვე სამი წელია მოქმედებენ ადგილობრივი ეროვნული რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც გაბედულად ეწინააღმდეგებიან მემამულეებს, სამღვდელოებასა და მთავრობას. მაზრა მთლიანად ამ კომიტეტების ხელშია, ისინი სოფლის ცხოვრების ყოველ წვრილმანში ერევიან. მემამულეთა ბოიკოტი გრძელდება. სამღვდელოების სასარგებლოდ დაწესებული გადასახადი არ იკრეფება. კომიტეტების ნებართვის გარეშე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიც კი არ სწარმოებს. მეფის მთავრობის ადმინისტრაცია და სასამართლო არ მოქმედებს. მართვასა და მართლმსაჯულებას გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ახორციელებენ",

18 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრასა და ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. ამ რაიონებში წესრიგის დამყარება გენერალ მაიორ ალიხანოვ-ავარსკის დაევალა. დამსჯელი ოპერაციების ჩასატარებლად ჩამოყალიბდა სპეციალური, ე. წ. „რიონის საექსპედიციო რაზმი", რომელშიც შევიდა თითქმის ყველა სახეობის ჯარის ნაწილები — ქვეითი და კავალერია, არტილერია და სანიტარული აღალი. სიმკაცრით სახელგანთქმული მეფის ერთგული გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ამ ჯარით მიადგა გურიის საზღვრებს და რევოლუციურ ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოემზადა.

ოზურგეთის მაზრის მშრომელი მოსახლეობა დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ რევოლუციური გურია მარტო როდი იყო. ალიხანოვ-ავარსკის სისხლიანი გეგმა დაგმო საქართველოს მუშათა კლასმა. გლეხობამ, პროგრესულმა ინტელიგენციამ, ყველამ ერთხმად მოითხოვა გურიიდან ჯარების გამოწვევა. კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგება საყოველთაო პროტესტის ხმამ შეაშინა მთავარმმართველის მოვალეობის შემსრულებელი გენერალი მალამა. მან სადამსჯელო ოპე-

რაციები შეაჩერა, გურიის მშრომელებთან მოსალაპარაკებლად და რევოლუციური გლეხობის მოსათვინიერებლად მთავარსამმართველოს საბჭოს წევრი სულტანი კრიმ გირეი გაგზავნა.

23 თებერვალს კრიმ გირეი „მშვიდობიანი" მისიით ჩავიდა გურიაში და პირველად სოფ. ბახვს ესტუმრა. სასოფლო საზოგადოების მიერ არჩეულმა წარმომადგენლებმა გლეხთა მოთხოვნები „მანიფესტის" სახით წარუდგინეს მეფის მთავრობის ამ დიდ მოხელეს. ბახველებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ კრიმ გირეისთან პოლემიკის გამართვა წყლის ნაყვა იქნებოდა, იცოდნენ, რომ ამ მოხელეს არ შეეძლო მშრომელი ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამიტომ გლეხთა წარმომადგენლებმა კრიმ გირეის მხოლოდ ის აუწყეს, რომ გურიისა და მთლიანად საქართველოს გლეხთა მოთხოვნილებები კერძო, მხოლოდ ქართველთა მოთხოვნები როდიაო. ჩვენ ვუერთდებით რუს ძმებს, მათთან ერთად დიადი მიზნების განხორციელებისათვის ვიბრძვითო. მთელი რუსეთის მშრომელი მასის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პირობები მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როცა ხალხი საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი ხმის მიცემით აირჩევს თავის წარმომადგენლებს, შექმნის დემოკრატიულ მთავრობასო.

კრიმ გირეიმ გურიის 12 სასოფლო საზოგადოება შემოიარა, გლეხებმა მას ყველგან წაუყენეს რევოლუციური მოთხოვნები, რაც თითქმის მთლიანად ემთხვეოდა სოციალ-დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმს. მთავარმმართველის საბჭოს წევრი დარწმუნდა, რომ გლეხებთან მოლაპარაკებით ვერაფერს მიაღწევდა, ხელს ვერ ააღებინებდა მათ რევოლუციურ ბრძოლაზე. კრიმ გირეიმ საჭიროდ აღარ ჩათვალა თავის „სტუმრობით" დანარჩენი 13 სასოფლო საზოგადოების „გაბედნიერება", შეწყვიტა მოგზაურობა და თბილისს დაბრუნდა. „კომედია, — წერდა იმ დროს გაზეთი „ვპერიოდი", — რომელიც გაითამაშეს კავკასიის ხელისუფლებმა სულთან კრიმ გირეის გურიაში გაგზავნით, დამთავრდა. სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებულმა ხალხმა მეფის მოხელეს ყველგან ერთი და იგივე მოთხოვნები წაუყენა. სულთანი კრიმ გირეი თბილისში გაიწვიეს, დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია". დაიწყო პოლიციის, კაზაკებისა და ჯარისკაცთა რაზმებით ოზურგეთის მაზრის „სანიტარული დამუშავება". რესპრესიებმა ფართო მასშტაბი მიიღო, ადგილობრივი საპატიმროები გურიის რევოლუციური გლეხებით აივსო.

1905 წ. იანვარ-თებერვალში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა უფრო მასობრივი და ორგანიზებული გახდა აჭარაშიც. აქაური სოფლის

მშრომელები ფართოდ იყენებდნენ კლასობრივი ბრძოლის პროლეტარულ ფორმებს—გაფიცვასა და ბოიკოტს. ზოგიერთ სოფელში გლეხებმა აღა-ბეგების მამულები და სახლ-კარი დაარბიეს, მათი მიწები დაინაწილეს. ომერ-აღა ზადემ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს სთხოვა დახმარება. ეს უკანასკნელი შეიარაღებული რაზმით ჩავიდა სოფ. მინდიაში, გლეხებს თვითნებურად დაკავებული მიწები ჩამოართვა და „კანონიერ" პატრონს დაუბრუნა. მაგრამ ერთ სოფელში „წესრიგის" დამყარება ამინდს ვერ ცვლიდა. აჭარელი გლეხები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მთავრობის მოხელეთა მიერ მიღებულ რეპრესიულ ღონისძიებათა საპასუხოდ აჯანყებისათვის მზადება დაიწყეს.

აჯანყებისათვის მზადებას სათავეში რსდმპ ბათუმის კომიტეტი ჩაუდგა. დაბა ქედაში და სოფ. გულებში ჩატარდა გლეხთა ფარული კრებები, აირჩიეს ხელმძღვანელი ცენტრი, რომელშიც შევიდნენ ს. დიასამიძე, მ. ცინცაძე, მ. ბერიძე, ო. ბასილაძე, დ. თურმანიძე, ს. დიასამიძე და სხვ. აჯანყების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ კანცელარიის მწერალი ლ. მენაბდე და მასწავლებელი კ. მკურნალი. ქვემო აჭარის სოფლებში გლეხთა შეიარაღებული რაზმებიც ჩამოყალიბდა. ბათუმის კომიტეტმა ქვემო აჭარის აჯანყების ცენტრს თოფები და რამდენიმე ყუთი ტყვია-წამალი გაუგზავნა.

ქვემო აჭარის გლეხთა აჯანყება 1905 წ. 7 თებერვალს დაიწყო. შეიარაღებულ გლეხთა რაზმები ქედისაკენ დაიძრნენ, ქედის ხიდთან შეიკრიბნენ, იქ გამართეს მიტინგი, გულისწყრომით დაგმეს თვითმპყრობელური რეჟიმი, აღა-ბეგებისა და სხვა ექსპლუატატორთა ძალადობა. ერთგულების ფიცის დადების შემდეგ 2 ათასი შეიარაღებული გლეხი მწყობრად დარაზმული გამოცხადდა ქედის საპოლიციო უბნის შენობასთან. გლეხთა წარმომადგენლებმა ბოქაულ სერგეევს თავის მოთხოვნები წარუდგინეს. ქვემო აჭარის გლეხები, კერძოდ, მოითხოვდნენ სასოფლო ოკრუგების სამმართველოთა გაუქმებას, მათი შესანახი ხარჯისაგან გლეხთა განთავისუფლებას, ტყის უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებას, ნავთზე დადებული ბაჟის მოსპობას, გზის სამუშაოზე გაყვანილი გლეხების სამუშაო ქირის გადიდებას, სოფლის მოსახლეობის დანაზოგებით შექმნილ ურთიერთდამხმარე სალაროს გამგის პოსტიდან დერვიშ-ბეგ ბეჟანიძის გადაყენებას და ამ დაწესებულების მართვის ფუნქციის გლეხთაგან არჩეული პირებისათვის გადაცემას.

საპოლიციო უბნის შეშინებულ მოხელეთა უმრავლესობა კანცელარიის სადგომებში მიიმალა. ბოქაულმა სერგეევმა კი გაბედა აჯანყებულთა წინაშე გამოსვლა. მან ლმობიერი ტონით განაცხადა, რომ გლეხთა-

გან წამოყენებული მოთხოვნების შესრულება არ შედიოდა მის კომ-პეტენციაში. ასეთი პასუხით აღშფოთებული გლეხები დაერივნენ ქედის საპოლიციო უბნის დაწესებულებებს, განიარაღეს მთავრობის მოხელენი, გამოაძევეს ისინი დაწესებულებებიდან, აბრები ჩამოხსნეს ადმინისტრაციულ შენობებს, გარეთ გადმოყარეს კანცელარიის ნივთები, დაწვეს დოკუმენტები, საჯაროდ დახიეს ნიკოლოზ მეორის სურათი.

ბათუმის ოლქისა და ოკრუგის ხელისუფლება შეშფოთდა. სასწრაფო ზომები მიიღო ქვემო აჭარის გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად. 10 თებერვალს ქედაში ჩავიდა ბათუმის ოკრუგის უფროსი პოდპოლკოვნიკი ჩერნოვი. აჯანყებულებმა მეფის ამ მოხელეს მასწავლებელ კ. მკურნალის დახმარებით რუსულ ენაზე დაწერილი პეტიცია გადასცეს. გლეხები ჩიოდნენ გადასახადთა განუწყვეტელი გადიდების, აღა-ბეგებისა და მოხელეების თვითნებობის გამო და კვლავ მოითხოვდნენ სასოფლო ოკრუგების სამმართველოთა დახურვას, გლეხთა თვითმმართველობის ორგანოთა შექმნას. ჩერნოვმა ტკბილი სიტყვა არ დაიშურა, მაგრამ ფაქტიურად არაფერი გააკეთა. გლეხებმა არ ირწმუნეს მეფის მოხელის პირფერული დაპირება, გააგრძელეს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება.

ბათუმის ოლქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა იარაღის გამოყენებით ჩაეხშო აჯანყება, რეპრესიებით გამასპინძლებოდა გათავხედებულ გლეხობას. 19 თებერვალს ქედაში გაიგზავნა კაზაკთა ბატალიონი ორი ოფიცრისა და მშვიდობიან მოლაპარაკებაში ხელმოცარული პოდპოლკოვნიკ ჩერნოვის მეთაურობით. აჯანყებულებმა გადაწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა და დარწმუნებულიც იყვნენ გამარჯვებაში. მაგრამ რსდმპ ბათუმის კომიტეტმა ნაადრევად და მიზანშეუწონლად მიიჩნია ქვემო აჭარის გლეხთა შეიარაღებულ ბრძოლაში ჩაბმა და აჯანყების ხელმძღვანელებს სათანადო რჩევა მისცა. გლეხთა მეთაურებიც დარწმუნდნენ, რომ ლოკალური აჯანყების მომენტალური წარმატება, რაც ალბათ დიდი მსხვერპლის გაღებით იქნებოდა მოპოვებული, ბევრს არაფერს შემატებდა სარუსეთო რევოლუციას. ამიტომ მათ შეიარაღებულ ბრძოლაზე უარი თქვეს, თავისი პოზიციები კაზაკთა ასეულებს დაუთმეს. უბრძოლველად „გამარჯვებულმა“ ბათუმის ოლქის ადმინისტრაციამ რეპრესიებს მაინც მიმართა, აჯანყების 60 ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე დააპატიმრა, ქედის საბოქაულოს დაწესებულებები და დარბეული სასოფლო კანცელარიები აღადგინა.

გურიისა და აჭარის გლეხებს, კლასობრივი თვითშეგნებითა და რევოლუციური შემართებით, არც მეგრელი გლეხები ჩამორჩებოდნენ.

ისინი ხშირად ატარებდნენ კრებებსა და ყრილობებს, მოითხოვდნენ მემამულეთა მიწების გლეხთათვის გადაცემას, ბეგარა-გადასახადების მოსპობას. ხალხისათვის სიტყვის, შეკრების, სინდისის თავისუფლების მინიჭებას, ჭეშმარიტი თვითმმართველობის დაწესებას, დამფუძნებელი კრების მოწვევას, რუსეთის იმპერიის მართვა-გამგეობის სისტემის დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნას. ზუგდიდისა და სენაკის სამაზრო ადმინისტრაციამ სოფლად გაშლილი რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად ჩამოაყალიბა კაზაკთა და პოლიციელთა მფრინავი რაზმები. გახშირდა შეიარაღებული შეტაკებები. 14 თებერვალს, მაგალითად, ბოქაული შენგელია „სტრაჟნიკებით" დაესხა თავს სოფ. კახათის სამი აზასიან კრებას და დააპატიმრა 16 კაცი. კრების მონაწილეებმა ამაზე პროტესტი განაცხადეს და კატეგორიულად მოითხოვეს ამხანაგების გაწთავისუფლება. რაკი ბოქაულმა ეს არ ინება, გლეხები შეტევაზე გადავიდნენ, კეტები დაატრიალეს და პოლიციელებს, რომლებმაც ცეცხლი გახსნეს, ქვების სროლით უპასუხეს. შენგელიას სტრაჟნიკებმა ვერ გაუძლეს გლეხთა თავგანწირულ შეტევას და მოკურცხლეს. ბრძოლა ერთ საათს გაგრძელდა. გლეხებმა შეტაკებისას 12 კაცი დაკარგეს მოკლულთა სახით. მაგრამ დაპატიმრებულ სოციალურ თანამოძმეთა განთავისუფლება მაინც მოახერხეს. ამის შემდეგ კახათელმა გლეხებმა გადაწყვიტეს ზუგდიდზე თავდასხმა. იქ არსებულ მთავრობის დაწესებულებათა განადგურება, მაგრამ სამაზრო ადმინისტრაციამ დაცვა გააძლიერა, ძალაუფლების შენარჩუნება შეძლო.

სამეგრელოს გლეხებმა გადაწყვიტეს ძალისათვის ძალის დაპირისპირება. ზუგდიდის, წალენჯიხის, მარტვილისა და მარნის საპოლიციო უბნებში ჩამოყალიბდა შეიარაღებული წითელი რაზმები. ისინი სოფლის მშრომელ მოსახლეობას იცავდნენ მეფის მოხელეთა თვითნებობისა და პოლიციელთა თავდასხმებისაგან. სოფლებიდან აძევებდნენ თანამდებობის პირებს, ებრძოდნენ დამსჯელ ეგზეკუციებს. ცდილობდნენ რევოლუციური წესრიგის დამყარებას.

გლეხთა მოძრაობა ახალი ძალით გაჩაღდა ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრებში, მოედო აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთს. ყველგან საგრძნობლად ამაღლდა გლეხთა კლასობრივი თვითშეგნება. ყველგან იგრძნობოდა სოციალ-დემოკრატიის მაორგანიზებელი როლი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში რევოლუციურ გლეხთა მიერ წამოყენებული მოთხოვნილებები, ნიუანსებში, მართალია, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ არსებითად ერთგვაროვანი იყო. ჩვენი ქვეყნის სოფლის მშრომელმა მოსახლეობამ, რომელიც აქტიურად ჩაება

რუსეთის საყოველთაო სახალხო რევოლუციაში, მიზნად დაისახა: 1. დროებითვალდებულების ინსტიტუტის მოსპობა და ყოველგვარი სახის დამოკიდებულებითი ურთიერთობის გაუქმება, სანადელო მიწების გლეხთა საკუთრებად დამტკიცება; 2. გლეხებისათვის გადახდილი ღალისა და ნადელთა გამოსასყიდი ფასის უკან დაბრუნება; 3. სახელმწიფო ხაზინისა და მემამულეთა მიწების კონფისკაცია, უმიწაწყლო გლეხებისათვის მისი დარიგება; 4. მღვდელმსახურებისათვის გლეხებზე დადებული გადასახადის გაუქმება; 5. საგზაო-სატრანსპორტო ბეგარის მოსპობა, გზების გაკეთება, რემონტის სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე შესრულება; 6. არაპირდაპირი გადასახადების, სხვადასხვა ბაჟების მოსპობა, საშემოსავლო გადასახადის შემოღება და მისგან 500 მანეთზე ნაკლებ შემოსავლიან მეურნეობათა განთავისუფლება; 7. წოდებრივი პრივილეგიების გაუქმება, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის გათანასწორება; 8. პიროვნების ხელშეუხებლობის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების შექმნის, გაფიცვების თავისუფლების დაკანონება; 9. დამფუძნებელი კრების მოწვევა, ხალხის წინაშე პასუხისმგებელი დემოკრატიული მთავრობის შექმნა, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევნების დაწესება; 10. ფართო უფლება-კომპენტენციით აღჭურვილი სამაზრო და სარაიონო თვითმმართველობის ორგანოთა შექმნა; 11. 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ქართულ ენაზე საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლების შემოღება; 12. საპასპორტო სისტემის გაუქმება, მიგრაციის თავისუფლების დაკანონება; 13 „სალდათობისა" და მუდმივი ჯარის გაუქმება, სახალხო მილიციის ჩამოყალიბება.

საქართველოს გლეხობის ეს აგრარული და საერთო დემოკრატიული მოთხოვნები შეესაბამებოდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმს. ცხადია, ბოლშევიკების აგიტაცია-პროპაგანდამ სათანადო ნაყოფი გამოიღო, ხელი შეუწყო გლეხობის კლასობრივი თვითშეგნებისა და ორგანიზებულობის ამაღლებას, რევოლუციის გაფართოებას. ამ მოთხოვნათა განხორციელება მოასწავებდა ბატონყმობის ყველა ნაშთის მოსპობას, ცარიზმის დამხობასა და მართვა-გამგეობის დემოკრატიული სისტემის შექმნას. მაგრამ რუსეთის პირველი, დაგვიანებული ბურჟუაზიული რევოლუცია ამ ჩარჩოებში ვერ ეტეოდა. 1905—1907 წწ. თვისობრივად უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მეორე სოციალური ომიც, კაპიტალისტური ექსპლოატაციის მოსპობისათვის დაირაზმა ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი. მუშათა კლასის ამ მიზანს სოლიდარობას უცხადებდა ღარიბი და ნაწილობრივ საშუალო გლეხობაც.

გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ, რომლის მახვილი უპირველეს ყოვლისა თავადაზნაურული მიწათმფლობელობისა და წოდებრივი პრივილეგიების წინააღმდეგ იყო მიმართული, თავგზა აუბნია „ბრწყინვალე“ წოდებას. შეშინებულმა მემამულეებმა მიატოვეს სოფლები, საგუბერნიო და სამაზრო ცენტრებში შეეყუჩდნენ, დაიწყეს სათანადო, რა თქმა უნდა, რეაქციული ღონისძიებების შემუშავება. თბილისში, ქუთაისში და სამაზრო ქალაქებში ჩატარდა თავადაზნაურთა წოდებრივი თათბირები, მორიგი და საგანგებო კრებები. სპეციალური კომისიები გამოიყო მხარეთა გამწვავებული ურთიერთობის მოსაგვარებლად, აგრარული საკითხის სიმწვავის გასანელებლად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შემართულ თავადაზნაურობასა და გლეხობის შესარიგებლად. თავადაზნაურობის ყველაზე უფრო რეაქციულად და ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილი გმობდა მშვიდობიანი მოლაპარაკების ტაქტიკას, იარაღს აღარუნებდა. სამეგრელოს თავადაზნაურთა კრებაზე ,,. ალიშბაიამ განაცხადა: „როცა რევოლუციური ბრბო გადაწვავს თავადაზნაურთა ერთ სახლს, ჩვენ ცეცხლს უნდა მივცეთ გლეხთა ასი სახლი, როცა მოკლავენ პრივილეგიური წოდების ერთ წარმომადგენელს, სამაგიეროდ სიცოცხლეს უნდა გამოვასალმოთ ათასი გლეხი. რევოლუციური მასის დამშვიდება მხოლოდ თოფ-ზარბაზნების ბათქით შეიძლებაო“. ასეთი პირები მოუწოდებდნენ, ევედრებოდნენ მთავრობას დამსჯელი ნაწილები გაეგზავნა რევოლუციის ალით მოცულ სოფლებში, ტყვიით გამასპინძლებოდა გათავხედებულ გლეხებს. მაგრამ პრივილეგიური წოდება მარტო მეფის მთავრობასა და მის არმიაზე როდი ამყარებდა იმედს, თვითაც აქტიურობდა, „თვითმოქმედების“ უნარს ამჟღავნებდა, თითქმის ყველა მაზრაში წითელრაზმელებთან საბრძოლველად ყალიბდებოდა თავადაზნაურთა შავი რაზმები.

1905 წ. აპრილში ჩატარდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) მესამე ყრილობა. გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების საკითხზე ყრილობამ მოისმინა ვ. ი. ლენინისა და მ. გ. ცხაკაიას მოხსენებები. მ. ცხაკაიამ ყრილობის ღელეგატებს საკმაოდ სრული ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს გლეხთა მოძრაობის ფართო მასშტაბზე, მუშათა კლასისა და გლეხობის საბრძოლო კავშირზე, ბოლშევიკების მაორგანიზებელი როლის შესახებ. მ. ცხაკაიას მოხსენების გამო პარტიის მესამე ყრილობამ მიიღო თვით ვ. ი. ლენინის ხელით დაწერილი რეზოლუცია. იქ აღნიშნული იყო, რომ კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყო იქ პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების

შექმნას. კავკასიის მშრომელი მოსახლეობის რევოლუციური მოძრაობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო აჯანყებამდე. მეფის მთავრობა უკვე გზავნის ჯარსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად დაუნდობელ განადგურებას. კავკასიელთა საბალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვება უაღრესად მავნე გავლენას მოახდენს რუსეთის მთელი მშრომელი მოსახლეობის აჯანყების მსვლელობაზე და ამიტომ აუცილებელია ცენტრალურმა კომიტეტმა არა მარტო სოლიდარობა გამოუცხადოს კავკასიის მშრომელებს, არამედ რეალური დახმარებაც გაუწიოსო მათ თავის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებებით.

ამგვარად, ბოლშევიკური პარტიის მესამე ყრილობამ თავის დადგენილებაში დააფიქსირა ის ფაქტი, რომ კავკასიის მშრომელი მასა რუსეთის პირველი რევოლუციის ავანგარდში იდგა, თვით კავკასიაში კი განსაკუთრებით მაღალი რევოლუციური შეგნებით საქართველოს მშრომელები გამოირჩეოდნენ, სწორედ საქართველოში გაჩნდა აჯანყების პირველი კერები, მოხდა შეიარაღებული შეტაკებები მთავრობის ჯარებსა და რევოლუციურ ხალხს შორის. მიუხედავად ამისა, 1905 წ. გაზაფხულზე რევოლუციური მოძრაობის მთავარ ფორმას ჯერ კიდევ გადასახადებზე უარის თქმა და მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტი წარმოადგენდა. ხალხმა აიძულა სოფლის სამმართველოები და სასამართლოები შეეწყვიტათ ფუნქციონირება, ბევრგან პარალიზებული აღმოჩნდა სამაზრო ხელისუფლებაც. თითქმის ყველა სასოფლო საზოგადოებაში ჩამოყალიბდა რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები.

საქართველოს სოფელში ორი ტიპის გლეხთა ორგანიზაციები ჩამოყალიბდა. დაარსდა როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიული ორგანიზაციები, ისე რევოლუციურ-დემოკრატიული გლეხთა უპარტიო ორგანიზაციები. რევოლუციური თვითმმართველობის უმცირესი ერთეული იყო ათი გლეხისაგან შემდგარი წრე არჩეული ათისთავით. რამდენიმე ასეთი წრე შეადგენდა სოფლის ჯგუფს, რომელსაც მეთაურობდა არჩეული ასისთავი. რამდენიმე სოფელი ირჩევდა წარმომადგენლებს და მათ მეთაურობას ათასის თავს ავალებდა. ათასის თავების კრებული ქმნიდა გლეხთა რევოლუციურ კომიტეტს. გლეხთა რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოებზე პარტიული ხელმძღვანელობა ხორციელდებოდა სათანადო პარტიული ორგანოს მიერ დანიშნული რწმუნებულების მეშვეობით.

1905 წ. ქარიშხლიან დღეებში გლეხთა რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს თითქმის ყველა მაზრასა და რაიონში ჩამოყალიბდა. მშრომელი მოსახლეობა აღარ სცნობდა მეფის მთავრობის ადგილობრივ ადმინისტრაციას და ხელისუფლების ორგანოებად მხოლოდ რევოლუციურ კომიტეტებს აღიარებდა. რევოლუციური თვითმმართველობის ეს ორგანოები წყვეტდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხებს. მიწის ფონდი საერთო სახალხო საკუთრებად გამოცხადდა. თავადაზნაურთაგან ჩამორთმეულ მამულებს რევოლუციური კომიტეტები ანაწილებდნენ გლეხთა შორის. გლეხობა განთავისუფლდა სანაფლო და საგარეო გადასახადებისაგან, თავისუფლად სარგებლობდა ტყითა და საძოვრით. სადაო საკითხებს სახალხო სასამართლოები არჩევდნენ.

1905 წ. საქართველოში მეფის მთავრობისაგან შექმნილი ოფიციალური სასამართლოები ფაქტიურად გაუქმდა. ხალხმა დემოკრატიული ყაიდის სასამართლოები შექმნა. მოისპო სამართალწარმოების ბიუროკრატიული წესები. სახალხო სასამართლოებს კომპეტენციაში შედიოდა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეები. სამართალწარმოება საჯაროდ და სწრაფად მიმდინარეობდა. თუ რომელიმე მხარე განაჩენით უკმაყოფილო დარჩებოდა, საქმე გადაეცემოდა სამეფიატორო სასამართლოს, რომელიც თავისებურ უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა და მისი გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლებოდა.

რევოლუციური კომიტეტები და სახალხო სასამართლოები მშრომელი გლეხობის დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ. გლეხთა რევკომის განკარგულება, სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება თითქმის ყოველთვის სრულდებოდა. პირველი რევოლუციის წლებში ქართველი გლეხი დაბეჩავებულ-დამცირებული ადამიანიდან გადაიქცა თავისუფლად მოაზროვნე და თავისუფლად მოქმედ მოქალაქედ, რომელიც გამსჭვალული იყო თავისი დიდი ძალის რწმენით და ახერხებდა სოფლად რევოლუციური წესრიგის დამყარებას. სოფლის მშრომელმა მოსახლეობამ, დროებით მაინც თავისუფლად ამოისუნთქა. მას ვეღარ აწუხებდნენ მემამულეები და თვითმპყრობელური მთავრობის აღვირახსნილი მოხელეები, აღარ განიცდიდნენ პოლიციელების, მამასახლისებისა და გადასახადების ამკრეფთა ძალადობას. მაგრამ მოპოვებული თავისუფლება არ შეიძლება უზრუნველყოფილად ჩათვლილიყო ვიდრე არსებობდა მეფის მთავრობა, მისი საგუბერნიო ადმინისტრაცია. ასეთ პირობებში გლეხთა რევოლუციური კომიტეტების და ბოლშევიკური

ორგანიზაციების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ხალხის მომზადება ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მეფის მთავრობის მოხელეებს, რა თქმა უნდა, არ ეძინათ. სულაც არ აპირებდნენ თავის ნებაზე მიეშვათ ხალხი, გულხელდაკრეფილი ეცქირათ რევოლუციის გაღრმავების, შეიარაღებული აჯანყების მომწიფებისათვის. მეფის სატრაპები რევოლუციური მასის წინააღმდეგ ძალასაც იყენებდნენ, მაგრამ არც მშვიდობიანი მოლაპარაკების ტაქტიკასა და დემაგოგიაზე ამბობდნენ უარს.

დადგა 1905 წ. ცხელი ზაფხული. გლეხობა მოსავალს იღებდა, მაგრამ ღალა-კულუხისა და საიჯარო ქირის გადახდაზე არავინ ფიქრობდა. მემამულეებმა კვლავ ატეხეს განგაში, მეფის მთავრობის კავკასიურ ადმინისტრაციას მკაცრი ზომების მიღება მოსთხოვეს გათავხედებული გლეხების ასალაგმავად, „არანორმალური მდგომარეობის“ აღმოსაფხვრელად. კავკასიაში მეფისნაცვლად დანიშნულმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმა, მართლაც შეიმუშავა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე „ზრუნვასაც“ და ადმინისტრაციულ-პოლიციურ ზემოქმედებასაც.

გლეხთა მოძრაობით მოცულ აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში გაიგზავნენ გენერლები ი. ამილახვარი და ზ. ჭავჭავაძე. მეფისნაცვლის რწმუნებით აღჭურვილ ამ გენერლებს თან ახლდა მოხელეთა მთელი ამალა, გუბერნიისა და მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლები, დრაგუნთა პოლკების ესკადრონები. მივლინებულმა გენერლებმა შემოიარეს სასოფლო საზოგადოებათა უმრავლესობა, ყველგან ნახეს გლეხობის გაჭირვება, სოფლის უშუალო მწარმოებელი მასის უკმაყოფილება და რევოლუციური შემართება. გლეხები მოითხოვდნენ მიწას და თავისუფლებას, სათავადო და სახელმწიფო გადასახადების მოსპობას, სოფლის კანცელარიების დახურვას, საგლეხო თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბებას, სკოლების გამრავლებასა და მშობლიურ ენაზე სწავლების დაკანონებას.

მეფის გენერლებმა თავის მოხსენებით ბარათებში აღიარეს გლეხობის დიდი ნაწილის გაჭირვება, საკმაოდ რეალურად ასახეს სოფლის მოსახლეობის მძიმე ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა, ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეთა ბოროტმოქმედების, ძალმომრეობის, „უთაობისა და უთადარიგობის“ ფაქტები, გლეხობის მზარდი უკმაყოფილება, კლასობრივი ბრძოლის არნახული სიმწვავით გაშლა, მაგრამ ისიც აღნიშნეს, რომ ხალხს მცირე დათმობები და შეღავათები არ

აკმაყოფილებს, ჩვენი „დამამშვიდებელი“ მისია მარცხით დამთავრდა და ამიტომ „საზოგადოებრივი წესრიგი“ ადმინისტრაციულ-სამხედრო ღონისძიებების გამოყენებით უნდა აღვადგინოთო.

მეფისნაცვლის ბრძანებით ზაფხულის შუა რიცხვებში საქართველოს თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა დროებითი კომისიები. მათ დაევალათ რევოლუციის მიერ თავადაზნაურობისათვის მიყენებული ზარალის აღნუსხვა, რევოლუციურ მოძრაობაში განსაკუთრებით აქტიურად მონაწილე გლეხთა სიების შედგენა. 27 ივლისს გორისა და დუშეთის მაზრებში სამხედრო წესები გამოცხადდა, გენერალ-გუბერნატორად გენერალი ამილახვარი დაინიშნა. დამსჯელი რაზმები შეუდგნენ რევოლუციურ გლეხობასთან ანგარიშის გასწორებას. ჯარისკაცთა ტყვიებს მუხრანელმა გლეხებმა 30 ივლისს ქვების სროლით უპასუხეს და ოთხი კაცი დაჭრეს. 31 ივლისს საეგზეკუციო რაზმი მჭადიჯვარს ჩავიდა, ძალით გადაახდევინა გლეხებს ძველი და ახალი გადასახადები. 3 აგვისტოს ძალადობით აღშფოთებულმა გლეხებმა თავი მოიყარეს მემამულის სახლთან. დუშეთის მაზრის უფროსმა ათას კაციან „ბრბოს“ დაშლა და მორჩილება მოსთხოვა. გლეხებმა განაცხადეს, რომ უარს ამბობენ გადასახადებზე და არც ხელისუფლების მორჩილებას აპირებენ. ამის შემდეგ ჯარმა იარაღს მიმართა, მოკლეს 30 და დაჭრეს 40 კაცი. მსგავსი მხეცობა მეფის ჯალათებმა ჩაიდინეს თელავის მაზრის სოფ. გრემში, მოკლეს ხუთი და დაჭრეს 9 გლეხი.

მხეცურად დახოცილი გრემელი გლეხები 10 აგვისტოს დიდი პატივით დაკრძალეს. სამგლოვიარო დემონსტრაციაში თელავის მაზრის ყველა სასოფლო საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სამგლოვიარო პროცესიას წინ მიუძღოდნენ მედროშენი წითელი ბაირაღებით. ბოლშევიკმა ორატორებმა გლეხებს მოუწოდეს ძალისათვის ძალა დაეპირისპირებინათ, საყოველთაო აჯანყების დროშა აეფრიალებინათ.

გახშირდა გლეხთა თავდასხმა მემამულეებზე, პოლიციელებსა და კაზაკებზე. 27 აგვისტოს სოფ. ქვემოჭალის გლეხებმა მოკლეს პოლიციის „ურიადნიკი“ და ერთი კაზაკი. ცოტა მოგვიანებით რევოლუციურმა გლეხებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ბოქაული ავალიშვილი, თავადი ციციშვილი, პოლიციის „ურიადნიკი“ ლიტვინენკო, თავადი ნ. ერისთავი და სხვ.

დასავლეთ საქართველოს სავუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაციისაგან გაჩაღებული რეპრესიების საპასუხოდ ივლის-აგვისტოში გლეხთა მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა, გააქტიურდნენ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები. ყალიბდებოდა ახალ-ახალი წითელი რაზმები,

გროვდებოდა მატერიალური სახსრები იარაღის შესაძენად. შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. ხშირად ხდებოდა შეტაკებები დამსჯელ რაზმებსა და გლეხებს შორის. რასაკვ ორივე მხრიდან მოსდევდა საკმაოდ დიდი მსხვერპლი. სენაკის მაზრის უფროსი საგუბერნიო ხელისუფლებას აცნობებდა, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ კულმინაციას მიაღწია. მაზრაში სრული ანარქიაა, ხალხი ოფიციალურ ხელისუფლებას არ სცნობს. ყოველდღე იმართება შეიარაღებული დემონსტრაციები, ხალხი ეროვნული და სოლიდარულია, რევოლუციური თვითმმართველობა ბატონობს თითქმის ყველა სოფელში, ხალხი ემზადებაო საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის. ანალოგიური მდგომარეობა იყო ზუგდიდის მაზრაში.

21 აგვისტოს დაბა ჩოხატაურში ჩატარდა რამდენიმე სოფლის გლეხთა შეიარაღებული დემონსტრაცია. დემონსტრაციის ბევრ მონაწილეს ჰქონდა თოფი, რევოლვერი. დემონსტრანტთა შორის ჩანდნენ თავით ფეხამდე შეიარაღებული ცხენოსანი მხედრებიც. ანალოგიური დემონსტრაცია დაბა ლაჩინულში 27 აგვისტოს გაიმართა. ქუჩაში გამოვიდა კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა, სულ 2 ათასამდე კაცი. შეიარაღებული დემონსტრანტები ოკეულებად იკვნენ დაწყობილნი, მათ მიპყვებოდნენ ცალი იარაღით აღჭურვილი გლეხები, შემდეგ კი მოძრაობდნენ ქალთა და ბავშვთა კოლონები. რევოლუციის გავლენა ოზურგეთის მაზრაში მდგარ ჯარის ნაწილებსაც შეეხო. გაჩნდა დეზერტირობა. აღმოფოთებული მაზრის უფროსი კავკასიის პოლიციის გამგეს შერინკინს აცნობებდა, რომ 500 დეზერტირი შეიარაღებულ ხალხს ტყვიის სროლას ასწავლის, ხოლო ყოფილი ოფიცრები ცალკეულ გლეხთა შეიარაღებულ რაზმებსაც ხელმძღვანელობენ, სხვა ჭითელ რაზმებთან ერთად ოზურგეთზე თავდასხმისათვის ემზადებიანო.

რევოლუციური მოძრაობა აღმავალი ხაზით ვითარდებოდა ქუთაისის, შორაპნის, ბაქისა და ლეჩხუმის მაზრებში, აჭარასა და აფხაზეთში. ალექსანდრმერიის პოლკოვნიკი გამყრელიძე დასავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობას ადარებდა ჰერმეტულად დახურულ წყლით სავსე დიდ ქვაბს, რომელიც უზარმაზარ კოცონზე იდგა და დუღდა. უდავო იყო, რომ ქვაბის კედლები ვერ გაუძლებდა ორთქლის ძალას და ეფეთქების შედეგად ნამსხვრევებად გადაიქცეოდა. პოლკოვნიკი გამყრელიძე ზემდგომ ინსტანციას აუწყებდა, რომ კარგად ვერკვევი ხალხის ხასიათში, განწყობილებასა და მიზნებში, ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის ხსნა თვითმოსპობისაგან შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის ხელმძღვანელთა და სხვა არა საიმედო პირთა წინააღმდეგ გადამწყვეტი

რეპრესიული ზომების მიღებით, ყოველივე დანარჩენი პალიატივებია და დადებით შედეგს არ მოგვცემსო. მკაცრი ზომების მიღებაზე, სისხლიანი სასაკლაოს მოწყობაზე მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის სხვა დიდი მოხელენიც ფიქრობდნენ და არცთუ იშვიათად მიმართავდნენ მას, მაგრამ რევოლუციის წინააღმდეგ გენერალური შეტევის დაწყებას ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ.

1905 წ. შემოდგომაზე სახალხო რევოლუცია რუსეთის იმპერიის ყველა მხარეში უახლოვდებოდა კულმინაციურ წერტილს. ოქტომბრის, საყოველთაო გაფიცვამ თავზარი დასცა მეფეს, მის მინისტრებს, მთლიანად ზედაფენებს. ნიკოლოზ მეორემ 1905 წ. 17 ოქტომბერს გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც ხალხს ჰპირდებოდა სამოქალაქო-პოლიტიკურ თავისუფლებასა და კონსტიტუციას. მენშევიკებმა 17 ოქტომბრის მანიფესტი ხალხის უდიდეს მიღწევად გამოაცხადეს, ისინი ამბობდნენ, რომ დადგა რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი პერიოდი, საჭირო აღარაა შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება, რევოლუცია თავის საქმეს მშვიდობიანად გააკეთებსო.

17 ოქტომბრის მანიფესტს ქართველი სოციალ-ფედერალისტებიც სიხარულით შეხვდნენ. პირველ ხანებში მათ მეფის ყველა დაპირება ბაჯაღლო ოქროდ მიიღეს და „ძირითადი სახელმწიფოებრივი რეფორმა“ უკვე გატარებულად გამოაცხადეს. მაგრამ მალე სოციალ-ფედერალისტების მსჯელობა-ვარაუდები ეჭვნარევი გახდა. მათი აზრით, მანიფესტი არ იძლეოდა აგრარული საკითხის სისრულით გადაჭრის შესაძლებლობას. უმაღლესმა მანიფესტმა, მართალია, დააკმაყოფილა მოწინავე საზოგადოებისა და გლეხობის მიერ წამოყენებული ზოგი მოთხოვნა, აღიარებულ იქნა გამოსასყიდი გადასახდელების გაუქმებისა და საგლეხო ბანკის მეშვეობით გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოების საჭიროება, მაგრამ რევოლუციის აღმავლობის ამ ეტაპზე გლეხობას აღნიშნული დათმობანი არასაკმარისად მიაჩნია, იგი გაცილებით მეტს მოიაზოვსო. „გლეხებს უნდათ მიწა, გლეხებს უნდათ თავისუფალი შრომა. ბევრის მომთმენია გლეხი, მაგრამ იმის მოთმინების ფიალაც აივსო. გლეხთა მოწინავე ნაწილმა კარგად იცის, რომ ბიუროკრატია მთლიანად ვერ დააკმაყოფილებს მის სურვილს და ამიტომ თხოულობს დამფუძნებელი კრების მოწვევას“. სოციალ-ფედერალისტების აზრით, მეფის მიერ დაპირებულ სათათბიროს, რომელიც 1906 წ. იანვარში უნდა შეკრებილიყო, გლეხობის დაკმაყოფილება არ შეეძლო, აგრარული საკითხი გამარჯვებული რევოლუციის მიერ მოწვეულ დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეჭრა.

მენშევიკებსა და სოციალ-ფედერალისტებს სულაც არ მიაჩნდათ შეიარაღებული აჯანყება აუცილებლად და რევოლუციის გამარჯვების წინაპირობად, ისინი მშვიდობიან რევოლუციას ანიჭებდნენ უპირატესობას. არსებითად განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ ბოლშევიკები. ამ დროს ი. ჯუღაშვილი წერდა: „მეფე ვერ მოგვცემს სახალხო დამფუძნებელ კრებას, მეფე ვერ მოსპობს თავისსავე თვითმპყრობელობას. კუდშეკვეცილი „კონსტიტუცია“ რომელსაც ის „გვაძლევს“ დროებითი დათმობაა, მეფის ფარისევლური დაპირებაა და მეტი არაფერი. ხალხი ვერ ენდობა მეფის დაპირებას. მხოლოდ მაშინ, როცა იარაღასხმული ხალხი პროლეტარიატს გაიმძღვარებს და საყოველთაო აჯანყების დროშას ააფრიალებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაემხოს ხიშტებზე გამაგრებული მეფის მთავრობა. ცარიელი ფრაზები კი არა, ნამდვილი შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება — აი საით მიდიან დღეს მთელი რუსეთის პროლეტარები“.

ვ. ი. ლენინს და ქართველ ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ უკვე 1905 წ. ზაფხულის ბოლოს რუსეთისა და განაპირა მხარეების პროლეტართა მთავარი ამოცანა გახდა „ტექნიკური ხელმძღვანელობა და მთელი რუსეთის აჯანყების ორგანიზებული მომზადება“. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ ხალხს იარაღის რაოდენობის გადიდებასთან, მის მოპოვებასა და საფაბრიკო წესით დამზადებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სხვადასხვა მებრძოლი ჯგუფების შექმნისათვის. წითელი რაზმები იარაღის კარგად ხმარებას ისწავლიდნენ, აჯანყების დროს დადგებოდნენ ავანგარდში, მათ გარს შემოიკრიბებოდა და მათი ხელმძღვანელობით ბრძოლის ველზე გამოვიდოდა აჯანყებული ხალხი, აჯანყებულთ სწრაფად უნდა ჩაეგდოთ ხელში არსენალები, მთავრობის დაწესებულებები, ფოსტა-ტელეგრაფი და ყველა ობიექტი, რაც საჭირო იქნებოდა რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის.

ქართველი ბოლშევიკების პროპაგანდისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგი იყო ის, რომ 1905 წ. შემოდგომაზე ყველგან ჩამოყალიბდა შეიარაღებული რაზმები. ოქტომბრის თვეში რაჭის მაზრის უფროსი ქუთაისის გუბერნატორს აუწყებდა, რომ წითელი რაზმები არიან მდგომარეობის ბატონ-პატრონი. მათ უკვე განაიარაღეს პოლიციელთა საგრძნობი ნაწილი. ჩემს განკარგულებაში არსებული ძალებით არ შემიძლია მთავრობის დაწესებულებათა დაცვა და ამიტომ გთხოვთ დამატებით ერთი ბატალიონი მომაშველოთო.

კიდევ უფრო დაძაბული სიტუაცია შეიქმნა გურიაში. 11 ოქტომბერს სუფსისა და ჯუმათის სადგურებს შორის ასმა შეიარაღებულმა

წითელრაზმელმა **გააჩერა მატარებელი და ვაგონიდან** გადმოიტანა ... ყუთი სახაზინო რევოლვერი. 15 ოქტომბერს გურულ წითელ რაზმელებს ბრძოლა მოუხდათ ტენგინის 77-ე პოლკის ასეულთან. 16 ოქტომბერს დილის 5 საათზე წითელრაზმელებმა სროლით და შეძახილებით — „იარაღი დაყარე და წადი!“ — შეუტიეს ჩოხატაურის საპოლიციო საგუშაგოს. სამი „სტრაჟნიკი“ მოკვდა, ორიც დაიჭრა. 17 ოქტომბერს წითელრაზმელებმა დაატყვევეს ჩოხატაურის საპოლიციო უბნის ბოქაული.

ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო შეშინდა, იგი პატაკს პატაკზე გზავნიდა ბათუმსა და ქუთაისში, სამხედრო ძალით დახმარებას მოითხოვდა. მაგრამ ლაზარენკოს ეს წერილები გლეხებმა ჩაიგდეს ხელთ, ვერც ერთმა დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია და ამიტომ ოზურგეთის მაზრის უფროსმა დახმარება ვერ მიიღო. მაზრის უფროსი იძულებული გახდა კაზაკთა და პოლიციელთა **რაზმით წასულიყო** ჩოხატაურისაკენ. **წითელმა რაზმებმა გაიგეს ეს** ამბავი და ნასაკირალთან ჩასაფრდნენ. 20 ოქტომბერს აქ მოხდა დიდი ბრძოლა. ლაზარენკოს რაზმმა დაკარგა 10 კაცი მოკლულთა სახით, 14 დაიჭრა, რამდენიმე ტყვეთ ჩაიგდეს წითელრაზმელებმა. მაზრის უფროსმა გაქცევით უშველა თავს.

იმერელ წითელრაზმელთა საბრძოლო მოქმედების შედეგად პარალიზებული აღმოჩნდა შორაპნის მაზრის ადმინისტრაცია. საპოლიციო საგუშაგოები დაიკეტა, თითქმის ყველა სასოფლო საზოგადოებაში ძალაუფლება რევოლუციური ორგანიზაციებისა და წითელრაზმელთა ხელში გადავიდა. დაახლოებით ასეთივე სიტუაცია შეიქმნა ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებში.

1905 წ. ოქტომბრისათვის რაჭის წითელ რაზმებში რამდენიმე ასი კაცი ითვლებოდა. 29 ოქტომბერს ქვემო რაჭის წითელრაზმელები თავს დაესხნენ ამბროლაურისა და ნიკორწმინდის საპოლიციო საგუშაგოებს. ბრძოლაში მოკლეს და დაჭრეს რამდენიმე პოლიციელი, ცოცხლად დარჩენილნი განაიარაღეს. ონიდან გაგზავნილმა კაზაკთა რაზმმა ამბროლაურში წესრიგი აღადგინა, მაგრამ საპოლიციო უბნის ბოქაულის გავლენა სოფ. ამბროლაურს არ სცილდებოდა. მთელ ქვემო რაჭაში ფაქტიური ძალაუფლება ბოლშევიკურ ორგანიზაციასა და გლეხთა რევოლუციური კომიტეტის ხელთ გადავიდა. ამის შემდეგ ადგილობრივმა ბოლშევიკებმა მთელი ყურადღება ზემო რაჭისაკენ გადაიტანეს. 1905 წ. 18 ნოემბერს დაბა ონში გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. რევოლუციური განწყობილება ჯარისკაცებსაც გადაედო. ისინი **უკვე**

ალარ იყვნენ სანდო რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამიტომ ქუთაისში გაიწვიეს.

ჯარის ნაწილის წასვლის შემდეგ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა რაჭის სამაზრო ხელისუფლების დამხობისათვის. რაჭის წითელრაზმელები დ. ონში შეიკრიბნენ. 25 ნოემბერს წითელრაზმელებმა და დემონსტრანტთა მრავალრიცხოვანმა კოლონებმა წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით გაიარეს დაბის ქუჩებში. 26 ნოემბერს წითელრაზმელთა გაერთიანებულმა ძალებმა დაიწყეს მთავრობის დაწესებულებათა შტურმი. ბრძოლაში დამარცხებულ პოლიციელთა რაზმი განიარაღეს, შეიპრნენ სამაზრო სამმართველოს შენობაში, კედლებიდან ჩამოხსნეს ნიკოლოზ მეორის პორტრეტები, გაიტანეს იარაღი. რამოდენიმე დღის შემდეგ მაზრის უფროსმა დამხმარე შეიარაღებული ძალა მიიღო და თითქოს შეძლო თავის ძალაუფლების აღდგენა. მაგრამ შექმნილ სიტუაციაში სამაზრო ხელისუფლება ვერ ფუნქციონირებდა. მდგომარეობის ბატონ-პატრონი გლეხთა რევოლუციური კომიტეტი იყო.

ვორონცოვ-დაშკოვი კვლავ აგრძელებდა დაპირებითა და ტკბილი სიტყვით ხალხის დაშოშმინების პოლიტიკას, მაგრამ იარაღსაც ატარებდა. მისი ბრძანებით გურიაში, იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმ-სვანეთში დამსჯელი რაზმები გაიგზავნა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამხედრო წესები გამოცხადდა, რეპრესიები გაძლიერდა. მალე გამოირკვა, რომ კავკასიის ადმინისტრაციას საკმარისი შეიარაღებული ძალა არ გააჩნდა რევოლუციური მასის დასათრგუნავად. მეფისნაცვალმა დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა სამხედრო მინისტრს და საქართველოში ჯარის ახალი ნაწილების გამოგზავნა მოითხოვა. მაგრამ მთელ იმპერიაში რევოლუცია ბობოქრობდა, ჯარი ყველგან საჭირო იყო. სამხედრო მინისტრმა კავკასიის უმაღლეს ხელისუფალს აცნობა, ცენტრის განკარგულებაში ერთადერთი თავისუფალი დივიზია. დამატებითი ჯარის ნაწილების გამოგზავნა არ შეგვიძლია, თქვენს განკარგულებაში არსებული ძალებით იმოქმედეთო.

ზემოთ მოტანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ საქართველოს მშრომელები უკვე 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მზად იყვნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის და ბევრ რაიონში ბოლშევიკური ორგანიზაციები და გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ძალაუფლებასაც დაეპატრონენ, მაგრამ მთლიანად რუსეთში საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის პირობები ცოტა მოგვიანებით მომწიფდა. აჯანყების წარმატება, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იყო რუსეთის იმპერიის სხვადასხ-

ვა მხარეთა მშრომელი მასების ერთსულოვან და ერთდროულ გამოსვლაზე. ქართველი ბოლშევიკები რევოლუციური კომიტეტების მთავარ ამოცანად თვლიდნენ თავის რაიონისათვის აჯანყების გეგმის შემუშავებას და მის შეთანხმებას საერთო სარუსეთო აჯანყების გეგმასთან. მოქმედების ტაქტიკა კი მათი აზრით მოითხოვდა მოწინააღმდეგისათვის ყველაზე სუსტი ადგილების გამონახვას, იმ პუნქტების აღნიშვნას, რომელთა წინააღმდეგ პირველ რიგში უნდა განხორციელებულიყო თავდასხმა.

1905 წლის ნოემბერსა და დეკემბერს ვ. ი. ლენინი რევოლუციის ორ დიდ თვეს უწოდებდა. რევოლუციამ თავის კულმინაციურ წერტილს სწორედ ამ დროს მიაღწია, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვიდან საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა.

ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად, 4 დეკემბერს რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა, ხოლო 5 დეკემბერს მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 7 დეკემბრიდან საყოველთაო გაფიცვის დაწყებისა და შეიარაღებულ აჯანყებაში მისი გადაზრდის შესახებ, რასაც მოსკოვის პროლეტარიატმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

1905 წლის 8 დეკემბერს მოსკოვსა და რუსეთის სხვა დიდ სამრეწველო ცენტრებში დაწყებულ აჯანყებას მხარი აუბა საქართველოს მუშათა კლასმა და გლეხობამ. ბოლშევიკური პრესა მოუწოდებდა მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს ერთდროულად აღემართათ მახვილი ცარიზმის წინააღმდეგ და საბრძოლო კავშირი შეეკრათ რუსეთის მშრომელ მასასთან. თბილისში ჩამოყალიბდა ხელმძღვანელი ცენტრი—ამიერკავკასიის საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც მალე აჯანყების ორგანოდ გადაიქცა. გაფიცვისა და აჯანყების ორგანოები ჩამოყალიბდა აგრეთვე ხაშურში, ბორჯომში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, ჭიათურაში, სამტრედიასა და სხვა დაბა-ქალაქებში.

13 დეკემბერს თბილისის მუშათა გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და მეორე დღესვე აჯანყებაში გადაიზარდა. საგაფიცვო კომიტეტმა ხელში ჩაიგდო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და ტელეგრაფი, რის შემდეგაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რკინიგზები და მოძრავი შემადგენლობა რკინიგზელი მუშებისა და რევოლუციური ორგანიზაციების სრულ განკარგულებაში აღმოჩნდა. წითელმა რაზმებმა დაიკავეს თბილისის მუშათა უბნები — ნაძალადევი და დიდუბე. აქ მუშებმა რევოლუციური წესრიგი დაამყარეს, თავისი „რესპუბლიკა“ ჩამოაყალიბეს. თბილისელი მუშების დასახმარებლად დაიძრნენ გლეხთა წითელი რაზმები.

მეფისნაცვლის ბრძანებით 14 დეკემბერს ქ. თბილისსა და მის მაზრაში, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზაზე სამხედრო წესები გამოცხადდა. 17 დეკემბერს მეფის მთავრობის ჯარები ნაძალადევისკენ დაიძრნენ. 18 დეკემბერს დაიწყო ნაძალადევის იერიში. ათასი კარგად შეიარაღებული ოფიცერი და ჯარისკაცი თავს დაესხა ნაძალადევის „რესპუბლიკას", რომელსაც 400—500 სანახევროდ უიარაღო წითელრაზმელი იცავდა. უთანასწორო ბრძოლაში მუშები დამარცხდნენ, დაიღუპა 9, დაიჭრა 3 კაცი. 23 დეკემბერს მთავრობის ჯარები თავს დაესხნენ დიდუბეს. წითელრაზმელებმა და თითქმის უიარაღო მუშებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხურთ. კაზაკებმა და ჯარისკაცებმა ერთხანს უკანაც დაიხიეს. მაგრამ მათ დასახმარებლად ბრძოლის ველზე არტილერია გაიგზავნა. ქვემეხებით დაანგრიეს ის სახლები, სადაც წითელრაზმელები იყვნენ ჩასაფრებული. თბილისის მუშებმა ორგანიზებული წინააღმდეგობა თითქოს შეწყვიტეს, მაგრამ ცალკეული შეტაკებები და ტერორისტული აქტები გრძელდებოდა.

თბილისის პროლეტარიატს არც საქართველოს სხვა ქალაქების მუშები ჩამორჩნენ. შეიარაღებული გამოსვლები მოხდა ჭიათურაში, ბორჯომში, გორში, ტყიბულში, ბათუმში და სხვა დაბა-ქალაქებში.

კიდევ უფრო ფართო გაქანება და მასობრივი ხასიათი მიიღო საქართველოში გლეხთა აჯანყებებმა. თითქმის მთელი გორის მაზრა აჯანყებულთა განკარგულებაში აღმოჩნდა. ქ. გორში მუშათა საგაფიცვო კომიტეტი, ხოლო სოფლებში გლეხთა რევოლუციური კომიტეტები წყვეტდნენ ყველა საქმეებს. დუშეთის მაზრის აჯანყებულმა გლეხებმა ფაქტიურად გადაკეტეს საქართველოს სამხედრო გზა, რითაც მთავრობას მოუსპეს ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში ჯარების გადმოსროლის საშუალება. მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობა პარალიზებული აღმოჩნდა ახალციხის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში. ხელისუფლებას არსებითად რევოლუციური ორგანიზაციები დაეპატრონენ.

კარგად ორგანიზებული შეიარაღებული აჯანყებები მოხდა დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მაზრაში. რევოლუციურმა გლეხობამ გააუქმა მთავრობის დაწესებულებები, ოფიციალური სასამართლოები. მათი ადგილი ყველგან არჩევითმა ორგანოებმა, გლეხთა რევოლუციურმა კომიტეტებმა და სახალხო სასამართლოებმა დაიკავა. სახელმწიფო ხაზინისა და თავადაზნაურობის მიწები ხალხის საკუთრებად გამოცხადდა. დამყარდა რევოლუციური წესრიგი. გლეხები მკაცრად სჯიდნენ აქტიურ კონტრრევოლუციონერებსა და რეაქციის მოციქულებს.

დეკემბრის შუა რიცხვებიდან სტრატეგიული პუნქტები და რკინიგზის მთავარი სადგურები — ნატანები, სამტრედია, ყვირილა, შორაპანი, ჭიათურა, ბელაგორი (ხარაგოული), ძირული, წიფა და სხვ. აჯანყებულთა ხელში იყო. ამ პუნქტებში იყვნენ განლაგებული წითელრაზმელთა გადამღობი ჯგუფები. ნატანებში გურიის წითელი რაზმები იყვენენ ჩასაფრებული, ხოლო სურამის გვირაბთან ჭიათურისა და ხარაგოულის შეიარაღებული რაზმები მოქმედებდნენ. მათი ამოცანა იყო არ გამოეშვათ დამსჯელი რაზმები თბილისისა და ბათუმის მხრიდან.

ზემო იმერეთის წითელრაზმელებმა ფაქტიურად ალყაში მოაქციეს ტენგინის ქვეითი პოლკის ასეულები. რაკი ჯარის ამ ნაწილებისათვის დახმარების საშუალება არ ჰქონდა, საგუბერნიო ხელისუფლებამ ეს ასეულები ქუთაისში გაიწვია. ყვირილის სამხედრო რევოლუციურმა შტაბმა მათი განიარაღება გადაწყვიტა. წითელი რაზმელები ხარაგოულიდან ყვირილისაკენ მიმავალ გზაზე, ორმხრივ შემოზღუდულ ვიწროებში თავს დაესხნენ ტენგინის პოლკის ერთ ასეულს, დაამარცხეს, დაატყვევეს და განიარაღეს იგი. 30 დეკემბერს წითელი რაზმელები შეებნენ დასახელებული პოლკის მეორე ასეულს და სამ საათიან გააფთრებულ ბრძოლაში ისიც დაამარცხეს და განიარაღეს. დატყვევებული ოფიცრები და ჯარისკაცები ჭიათურის რკინიგზის სადგურის შენობაში მოათავსეს. იმავე ღამეს წითელრაზმელები თავს დაესხნენ ყვირილის ხაზინას, გაიტაცეს 210 ათასი მანეთი, რაც მოხმარდა რევოლუციის საჭიროებას.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების პერიოდში გააქტიურდნენ რაჭველი გლეხები. რევოლუციურმა კომიტეტმა თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა წითელი რაზმი. 31 დეკემბერს დაბა ონში დილიდანვე გაცხოველებული მოძრაობა შეინიშნებოდა. წითელრაზმელების წინამძღოლობით ხალხი თავს დაესხა სამაზრო სამმართველოსა და მთავრობის სხვა დაწესებულებებს. აჯანყებულებმა დაამარცხეს პოლიციელთა რაზმი, შეიჭრნენ ხაზინაში და იგი ხალხის საკუთრებად გამოაცხადეს. ამის შემდეგ წითელრაზმელებმა დაიკავეს სასამართლოსა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობები. ბოლოს აჯანყებულნი შეიჭრნენ სამაზრო სამმართველოში, თავი მოუყარეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იქ დაცულ საქმეებს, აგრეთვე ახალწვეულთა სიებს და ხალხის თვალწინ ცეცხლი წაუკიდეს. სამაზრო მოედანზე გაისმოდა შეძახილები — „იწვის ძველი რუსეთის კანონები, ძირს მეფე". რაჭის მშრომელთა აჯანყება სრული გამარჯვებით დამთავრდა. მათ დაამხეს სამაზრო ხელისუფლება და 1906 წ. პირველ იანვარს „ინტერნაციონალის" სიმღერით შეხვდნენ.

1905 წ. 31 დეკემბერს დამხობილ იქნა აგრეთვე სამაზრო ხელისუფლება ლეჩხუმსა და სვანეთში

ამგვარად, 1905 წლის პიწურულს საქართველოს მშრომელებმა დაამხეს ყველა სამაზრო სამმართველო. მაგრამ ვიდრე მეფის მთავრობის ადმინისტრაცია არსებობას განაგრძობდა თბილისსა და ქუთაისში, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, რაჭის, ლეჩხუმ-სვანეთის და სხვა შინაატურულ რესპუბლიკებს, ამ რაიონებში მოქმედ წითელ რაზმელებს არ შეეძლოთ დამშვიდებით ეცქირათ მოვლენათა განვითარებისათვის. დასავლეთ საქართველოს წითელ რაზმელთა ძირითადი ამოცანა გახდა ქუთაისის საგუბერნიო ხელისუფლების დამხობა. 1906 წლის 1 იანვარს რაჭის წითელი რაზმები ქუთაისისაკენ დაიძრნენ, ალპანაში მათ შეუერთდნენ ლეჩხუმ-სვანეთის წითელრაზმელები. მაგრამ აქ მოვიდა ცნობა, რომ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა ექსპედიციამ უკვე დაიწყო სისხლიანი მოქმედება და რევოლუციის დათრგუნვისათვის ბრძოლაში უსაშინლეს ზომებს მიმართავსო. ქუთაისის გარშემო დასავლეთ საქართველოს წითელრაზმელთა შემოკრება, მუშათა და გლეხთა შეიარაღებული აჯანყებების გაერთიანება შეუძლებელი გახდა. დაიწყო რევოლუციის უკან დახევა.

მოსკოვის მუშათა შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ თვითმპყრობელობა ყველგან გადავიდა რევოლუციის წინააღმდეგ შეტევაზე. მეფის სატრაპებმა სისხლიანი საქმიანობა გააჩაღეს პოლონეთში, ბალტიისპირეთში, ამიერკავკასიაში, ციმბირში.

თბილისის, გორის და დუშეთის მაზრებში, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზაზე 1905 წ. დეკემბრის ბოლოს გამოცხადდა სამხედრო წესები. 1906 წ. იანვრიდან სამხედრო მდგომარეობა გავრცელდა დასავლეთ საქართველოზე. დამსჯელ რაზმებს უბრძანეს დაუნდობლად გაენადგურებინათ აჯანყების კერები. რევოლუციონერთა ხელიდან გამოეგლიჯათ რკინიგზის ხაზები, ფოსტა-ტელეგრაფი, აღედგინათ განადგურებული მთავრობის დაწესებულებანი, დაეპატიმრებინათ რევოლუციის ხელმძღვანელები, კონტრიბუცია დაედოთ ურჩი მოსახლეობისათვის, ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა, შეუბრალებლად დაეხვრიტათ. თბილისიდან დამსჯელი ჯავშნიანი მატარებელი 1905 წ. 28 დეკემბერს გავიდა და ოთხი საათის სავალი ოთხ დღეში ძლივს გაიარა, რადგან ბრძოლით უხდებოდა გზის გაკაფვა. 31 დეკემბერს კაზაკთა პოლკმა იერიშით აიღო სადგური მიხაილოვო (ხაშური). წითელრაზმელებმა წიფის გვირაბი ჩახერგეს, ჯავშნიანი მატარებლისა და დამსჯელი ექსპედიციის მსვლელობა შეაჩერეს. რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალთა დიდი

შეტაკებები მოხდა სურამის უღელტეხილზე და სადგურ წიფასთან. პირველ შეტაკებაში მეფის ჯარი დამარცხდა და უკან დაიხია. 5 იანვარს თბილისიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით დამატებით გაიგზავნა ერთი პოლკი სამხედრო დახმარების მიღების შემდეგ ხაშურისა და უღელტეხილის რაიონში განლაგებული დამსჯელი ჯარი შეტევაზე გადავიდა. წითელრაზმელებმა ბრძოლით დაიხიეს უკან. 9 იანვრამდე დამსჯელმა ექსპედიციამ „მტრისაგან" გაწმინდა რკინიგზის ყველა სადგური ქუთაისამდე.

მეფისნაცვალმა 1906 წ. 8 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოქმედ დამსჯელი ექსპედიციის უფროსად დანიშნა ალიხანოვ-ავარსკი. მას დაევალა ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციების უმოწყალო განადგურება და მთავრობის დაწესებულებათა აღდგენა. გამხეცებულმა ჯენერალმა დამსჯელი რაზმები შეუსია საქართველოს ყველა რაიონს. მეფის სატრაპებმა ცეცხლის ალში გაახვიეს ქალაქები, დაბა-სოფლები, ძირფესვიანად დაანგრიეს განსაკუთრებით აქტიური რევოლუციონერთა ნუშებისა და გლეხების სახლ-კარი. მეფის მთავრობის გენერლები და ოფიცრები მოსახლეობისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ ცეცხლ-მსროლელი და ცივი იარაღის ჩაბარებას, კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას, „უწესობის წამომწყებთა" გაცემას. პოლკოვნიკმა კრილოვმა გურიის გლეხებს 4 ათასი შაშხანის ჩაბარება მოსთხოვა. ამაზე მას მოსწრებულად უპასუხეს, ჩვენ რომ ამდენი იარაღი გვქონოდა, ბევრი ჩქვენგანი ცოცხალი არ დარჩებოდაო, ასეთივე მოთხოვნები წაუყენეს გორის, შორაპნისა, სენაკისა და სხვა მაზრების გლეხებს.

გადამეტებული მოთხოვნების შეუსრულებლობა მეფის სატრაპებმა დამატებით საბაბად გამოიყენეს და ბევრი ურჩი გლეხი სასტიკად დასაჯეს.

კონტრრევოლუციის შეტევის მიუხედავად გლეხური რევოლუცია გრძელდებოდა. ხალხი თავგამოდებით იცავდა მოპოვებულ თავისუფლებას, რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოებს. ბევრი წითელი რაზმი მოქმედებას აგრძელებდა. ხშირად ხდებოდა მათი შეტაკებები ჯართან და პოლიციასთან. 1906 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რევოლუციური მოძრაობის მასშტაბმა და გაქანებამ კახეთში 1905 წ. დონესაც კი გადააჭარბა. თანამდებობის პირები კვლავ განდევნეს სოფლებიდან, მიწა ხალხის საკუთრებად გამოაცხადეს. მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ თელავის, სიღნაღისა თიანეთის მაზრებში სამხედრო წესები გამოაცხადა, ამ მხარეს ჯარის ნაწილები და პოლიციის

რაზმები შეუსია. მეფის სატრაპებმა თვითმპყრობელური წყობილება ცეცხლითა და მახვილით აღადგინეს. ბევრი გლეხი დააპატიმრეს და ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს. ნაწილმა რეპრესიებს გაქცევით დააღწია თავი, ტყეში გაიხიზნა, „ტყის ძმათა“ რაზმებში გაერთიანდა. მათ პარტიზანული ბრძოლა გაუმართეს მეფის მოხელეებსა და პოლიციელებს. დაუნდობლად ებრძოდნენ ჯალათებს, სასტიკად სჯიდნენ ჯაშუშებს, ცდილობდნენ ადმინისტრაციის რეპრესიებისაგან სოფლის მშრომელი მოსახლეობის დაცვას.

რევოლუციის უკან დახევის ვითარებაში, 1907 წ. თებერვალში ჩატარდა მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. სათათბიროში მუშებისა და გლეხების ხმებით 54 სოციალ-დემოკრატი, მათ შორის 15 ბოლშევიკი გავიდა. მენშევიკები სათათბიროშიც იცავდნენ მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამას და მის რეალიზაციას ზემოდან გატარებულ რეფორმას უკავშირებდნენ. ბოლშევიკები კი რადიკალურ გარდაქმნებს გამარჯვებული რევოლუციის ამოცანად აცხადებდნენ. ისინი მიწის ნაციონალიზაციის, მისი გლეხობაზე უსასყიდლოდ გადაცემისათვის იბრძოდნენ.

1907 წლის 4 მარტს სოფ. პატარძეულის (კახეთი) გლეხთა კრებამ მიიღო განაჩენი და სათანადო რეზოლუცია სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას გაუგავნა. რეზოლუცია შეიცავდა თხოვნას იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატებს სათათბიროში შეეტანათ კანონპროექტი მიწის გლეხთათვის უსასყიდლოდ გადაცემის, წოდებრივი პრივილეგიების მოსპობის, არაპირდაპირი გადასახადების გაუქმების თაობაზე; პიროვნების ხელშეუხებლობის, სიტყვის, კრების, ბეჭდვის, კავშირების შექმნის უფლებათა დაკანონების შესახებ. ამ მოთხოვნებს საქართველოს მთელი გლეხობა უჭერდა მხარს.

სოციალ-დემოკრატიამ, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დატოვა საქართველოსა და ამიერკავკასიის გლეხთა სურვილი. მან სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი დამოკიდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციისა და ყველა კატეგორიის გლეხობის გამოსყიდვის გარეშე, მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანის თაობაზე. მაგრამ იგი უარყო სათათბიროს კონსერვატიულმა უმრავლესობამ. მეფის მთავრობასა და მის კავკასიურ ადმინისტრაციას არ მოსწონდა მემარცხენე პარტიათა საკანონმდებლო ინიციატივები, მან თავის ხელში აიღო რეფორმების გატარების საქმე.

მეფის მთავრობა პირველი რევოლუციის საყოველთაო სახალხო ხასიათმა დაარწმუნა, რომ თვითმპყრობელობის საყრდენ ძალად პრივი-

ლეგიური კლასები და ჯოხის დისციპლინით გამაგრებული არმია არ კმაროდა. მეფის მოხელეებმა უფრო ფართო სოციალური საყრდენის ძებნა დაიწყეს და იმედის თვალი შეძლებულ გლეხობას მიაპყრეს.

სტოლიპინის აგრარული რეფორმის ძირითადი მიზანდასახულობა იყო თემის დაშლა და გლეხობის ფართო ფენების ხარჯზე კულაკობის გაძლიერება, რომელიც მეფის მინისტრის აზრით, გადაიქცეოდა თვითმპყრობელობის საიმედო ბურჯად სოფელში.

საქართველოში თემური მიწათმფლობელობა თითქმის არ არსებობდა. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში გლეხობის ზედაფენის ეკონომიურ მომძლავრებას აფერხებდა ბატონყმობის ნაშთები და ნადელთა გაუსხვისებლობის კანონი. რევოლუციით შეშინებული კავკასიის ადმინისტრაცია თვით ალაპარაკდა დროებითვალდებულების ინსტიტუტის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ.

ვორონცოვ-დაშკოვმა იმ დროს დაიკავა კავკასიაში მეფისნაცვლის პოსტი, როცა სახალხო რევოლუცია ძირფესვიანად არყევდა რუსეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური წყობის საფუძვლებს. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აგრარული საკითხის რადიკალურად გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამბოხებული გლეხობის დაწყნარება. 1905 წ. 22 ნოემბერს მეფისნაცვალმა უმაღლეს მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სანადელო მიწების უსასყიდლოდ გლეხთა საკუთრებად დამტკიცებას, აგრეთვე მცირემიწიანი გლეხებისათვის თავისუფალი სახაზინო მიწის ნაკვეთების დარიგებას. მაგრამ სახელმწიფო საბჭომ ეს კანონპროექტი არ მოიწონა და საქმე გაჭიანურდა.

საქართველოში კი რევოლუციური ქარიშხალი გრძელდებოდა. გლეხთა დასამშვიდებლად ქართლ-კახეთის სოფლებში გაგზავნილი გენერალი ზ. ჭავჭავაძე მეფისნაცვალს მოახსენებდა: როცა გლეხებმა გაიგეს, რომ თქვენ მოითხოვთ ვალდებულებითი ურთიერთობის მოსპობას და მცირემიწიანი გლეხებისათვის დამატებითი ნაკვეთების გამოყოფას, მადლობით დაგიკრეს თავი, მაგრამ შეიმჩნევა მთავრობის დაპირებებისადმი უნდობლობა. გლეხობის წარმომადგენლები მოითხოვენ აღთქმა-დაპირების სფეროდან შესრულების სფეროში გადასვლას. მოვალედ ვთვლი მოგახსენოთ, რომ აგრარული რეფორმის დაუყოვნებლივ გატარებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ამის გარეშე ამღელვარებული გლეხობის დაწყნარება შეუძლებელი იქნებაო.

მეფისნაცვალიც ასეთსავე თვალსაზრისზე იდგა. მან 1907 წელსაც სცადა ზემოაღნიშნული კანონპროექტის დამტკიცების მიზანშეწონილობა-აუცილებლობაში დაერწმუნებინა სახელმწიფო საბჭო და მისი მეშვეობით იმპერატორი, მაგრამ ამაოდ. ამასობაში დამსჯელმა ექსპედიციებმა თავიანთი შავი საქმე არსებითად დაასრულეს; ბევრი ქართველი რევოლუციონერი დახვრიტეს, ასობით კაცი გაასამართლეს და საპყრობილე მიუსაჯეს, ათასობით რევოლუციის მონაწილე მუშა და გლეხი ადმინისტრაციული წესით შორეულ ციმბირში გადაასახლეს. მშრომელი მასა უხეში ძალის გამოყენებით დათრგუნეს და „საზოგადოებრივი წესრიგი“ აღადგინეს. ამან კი არსებითად შეცვალა კავკასიის ადმინისტრაციის განწყობილება. მეფისნაცვალმა რევოლუციის გავლენით შედგენილი რადიკალური კანონპროექტი არქივში ისროლა, ხოლო სახელმწიფო სათათბიროში გაგზავნა ახლად შედგენილი, კონსერვატიული კანონპროექტი, რომელიც მაქსიმალურად იცავდა მემამულეთა ინტერესებს. 1912 წ. 20 დეკემბერს იგი კანონად იქცა და გატარდა კიდეც საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

1912 წლის 20 დეკემბრის კანონი არსებითად უცვლელად ტოვებდა სანადელო მიწების გამოსყიდვის ჯერ კიდევ XIX ს-ის 60-იან წლებში შედგენილ წესებს. სიახლე მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ გამოსყიდვა სავალდებულო გახდა ორივე მხარისათვის. გლეხობა, მართალია, განთავისუფლდა მემამულეთა სასარგებლოდ მიწის რენტის გადახდის ვალდებულებისაგან, მაგრამ გადაიქცა სახელმწიფოს მოვალედ. მას სახელმწიფო ხაზინისაგან მიღებული სესხის და პროცენტის დასაფარავად ყოველწლიურად უნდა გაეღო გამოსასყიდ გადასახდელთა გარკვეული ნაწილი, რაც ადრინდელ ღალა-კულუხზე ნაკლებ მძიმედ როდი აწვებოდა გლეხის ბიუჯეტს.

ამდენად, მას შემდეგ რაც საქართველოს გლეხობამ ღალა-კულუხის სახით თითქმის ოთხმაგად დაფარა თავის მუდმივ სარგებლობაში არსებული მიწების ღირებულება, ბატონყმობის გაუქმების 50 წლისთავზე იგი აიძულეს ერთხელ კიდევ გამოესყიდა ნადელები. მემამულეებმა და მეფის მთავრობამ კვლავ მოითბეს ხელი უშუალო მწარმოებელი სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. გლეხობა, ბუნებრივია, აგრარული საკითხის გადაჭრის ცარისტულმა ვარიანტმა არ დააკმაყოფილა. იგი ამის შემდეგაც აგრძელებდა სოციალურ ომს, იბრძოდა მიწისა და ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის.

* * *

მიწის კერძო საკუთრება საერთოდ და მონოპოლიური საკუთრება განსაკუთრებით თითქმის ყველა ქვეყანაში აფერხებდა საწარმოო ძალების განვითარებას. მონადელე გლეხები და მოიჯარეები ერიდებოდნენ მეურნეობაში ფულისა და კაპიტალის დაბანდებას, რადგან გაუმჯობესებული მიწის რენტა იზრდებოდა და ამდენად მიწის მორწყვა-გაპატივებით მეტ სარგებლობას პოულობდნენ მიწის მესაკუთრენი, ხოლო ნაკლებს— მწარმოებელნი. გლეხობა და ბურჟუაზია მზარდი რენტისაგან განთავისუფლებას მიწის ყიდვით ცდილობდა. მაგრამ როგორც კ. მარქსი გვასწავლის, ფულის დახარჯვა მიწის საყიდლად არაა სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბანდება. პირიქით, იგი მოასწავებს იმ თანხის შემცირებას, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო თვით წარმოების სფეროში. ამით მცირდება წარმოების საშუალებათა მოცულობა და ვიწროვდება კვლავწარმოების ეკონომიკური საფუძველი. მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესის გაფართოების შედეგია წვრილი გლეხის დაქვემდებარება მევახშისადმი და თვით ბურჟუაზიული მეურნეობის თავისუფალი განვითარების შეფერხება.

კ. მარქსი მიწის ნაციონალიზაციას ბურჟუაზიული რევოლუციის ღონისძიებად თვლიდა. მისი განცხადებით რადიკალური ბურჟუა თეორიულად მიდიოდა მიწის კერძო საკუთრების უარყოფამდე. თუმცა მას არ ყოფნიდა გამბედაობა პრაქტიკულად განეხორციელებინა. იგი, რადგან თავდასხმა საკუთრების ერთ ფორმაზე ფრიად საშიშ პრეცედენტს შექმნიდა საკუთრების სხვა ფორმებისთვისაც.

ვ. ი. ლენინმა რუსეთის კონკრეტული პირობების შესწავლის საფუძველზე შემოქმედებითად განავითარა მარქსის მოძღვრება აგრარულ საკითხზე და წამოაყენა მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა. მისი აზრით, მიწის ნაციონალიზაცია ძირფესვიანად მოსპობდა ბატონყმობის ყოველგვარ ნაშთებს, გზას გაუკაფავდა გლეხური და კაპიტალისტური მეურნეობის თავისუფალ განვითარებას. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ მიწის ნაციონალიზაციის საკითხი კაპიტალისტურ საზოგადოებაში იყოფა ორ არსებითად განსხვავებულ ნაწილად: დიფერენციულ და აბსოლუტური რენტის საკითხებად. მიწის ნაციონალიზაცია ცვლის დიფერენციული რენტის მფლობელს (ჩამოართმევს კერძო მესაკუთრეს და გადასცემს სახელმწიფოს) და სპობს აბსოლუტურ რენტას. ამდენად, მიწის ნაციონალიზაცია არის ერთი მხრივ კერძო რეფორმა კაპიტალიზმის ფარგლებში, ხოლო მეორე მხრივ, გაუქმება მიწის საკუთრების მონოპოლიისა,

რომელიც აფერხებს საერთოდ მიწათმოქმედებისა და კაპიტალიზმის განვითარებას.

მართალია, რუსეთის სოფელში საკმაოდ განვითარდა კაპიტალისტური ურთიერთობანი, ლიბერალ მემამულეს ბლომად ჰქონდა მიწა, მსხვილმა მრეწველმა, ვაჭარმა, ვექილმა და სხვებმა საკმაოდ დიდი რაოდენობით შეისყიდეს ადგილ-მამული და ამიტომ მხარს უჭერდნენ აგრარული საკითხის გადაჭრის სტოლიპინურ-კადეტურ გზას. მაგრამ სოფლის მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი—გლეხობა, რომლის დიდი ნაწილი მწვავედ განიცდიდა მცირემიწიანობას, მოითხოვდა ბატონყმობის ნაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრას, რაც შესაძლებელი იყო მიწის ნაციონალიზაციით. რუსეთის პირველი რევოლუციის გამოცდილებამ, —წერდა ლენინი 1907 წელს, — საბოლოოდ დაამტკიცა, რომ იგი ძლევამოსილი შეიძლება იყოს, მხოლოდ როგორც გლეხური აგრარული რევოლუცია და რომ ამ უკანასკნელს არ შეუძლია მთლად შეასრულოს თავისი ისტორიული მისია, თუ მიწის ნაციონალიზაცია არ მოხდა.[1]

ეს აგრარული პროგრამა გამომდინარეობდა ლენინის თეორიიდან რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გლეხური ხასიათის, ამ რევოლუციის გამარჯვების შედეგად პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურის დამყარების და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ. ახალ ვითარება-სიტუაციასთან შეფარდებით ავითარებდა რა ბოლშევიკური პარტიის აგრარულ პროგრამას, ვ. ი. ლენინი 1917 წ. სექტემბერში წერდა: მიწის ნაციონალიზაცია არის ბურჟუაზიული რევოლუციის არა მხოლოდ „უკანასკნელი სიტყვა“, არამედ სოციალიზმისაკენ ნაბიჯის გადადგმაც.

მართალია, სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმი შედარებით ნელა ვითარდებოდა, წვრილი გლეხური მეურნეობა გამძლეობას იჩენდა, მაგრამ სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები სოფელშიც მზადდებოდა. გაღატაკებული გლეხები, რომელნიც ძირითადად საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავებით ცხოვრობდნენ, თითქმის არ განსხვავდებოდნენ სამრეწველო მუშებისაგან. ის გარემოება, რომ სოფლის ნახევრადპროლეტარებს გააჩნდათ მიწის მეტად მცირე მიწის ნაკვეთები, ბევრს არაფერს ცვლიდა მათს სოციალურ ბუნებაში. ლენინის განცხადებით

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, 1950, გვ. 534—536

ამ მინიატურულ მეურნეთა მიწათმფლობელობა არ ქმნიდა სამრეწველო-პროლეტარიატთან ანტაგონიზმის საფუძველს, უშუალო მწარმოებელი მასის ამ ორი ფენის ინტერესები არსებითად ერთმანეთს ემთხვეოდა.

საშუალო გლეხობა ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც არსებობდა, მაგრამ ყველგან მიმდინარეობდა მისი დაშლის პროცესი, უმრავლესობას პროლეტარიატის რიგებში გადასვლა ემუქრებოდა. ამ მომავალი პროლეტარებისათვის უცხო და მიუღებელი როდი იყო სოციალიზმის იდეა. ფ. ენგელსი წერდა: „ჩვენი პარტიის ვალია ყოველთვის და ყველგან განუმარტოს გლეხებს მათი მდგომარეობის აბსოლუტური უიმედობა, ვიდრე კაპიტალიზმი ბატონობს. აბსოლუტური შეუძლებლობა შეინარჩუნონ მათი პარცელური საკუთრება, აბსოლუტური რწმენა იმისა, რომ კაპიტალისტური მსხვილი წარმოება ისევე გასრესს მათ უძლურ, მოძველებულ წვრილ წარმოებას, როგორც რკინიგზის მატარებელი ურიკას. თუ ასე მოვიქცევით, ჩვენ ვიმოქმედებთ აუცილებელი ეკონომიური განვითარების შესაბამისად, ეს კი გონებას გაუხსნის წვრილ გლეხს. რაც უფრო დიდი იქნება იმ გლეხების რიცხვი, რომლებსაც ჩვენ საშუალებას მივცემთ არ გადაიქცნენ პროლეტარებად და რომლებსაც ჩვენ ჯერ კიდევ როგორც გლეხებს ჩვენს მხარეზე გადმოვიბირებთ, მით უფრო სწრაფად და იოლად მოხდება საზოგადოებრივი გადატრიალება. ჩვენთვის უსარგებლოა ამ გადატრიალების დაცდა იმ დრომდე, სანამ კაპიტალისტური წარმოება ყველგან თავისი განვითარების უკიდურეს შედეგს მიაღწევს, სანამ უკანასკნელი წვრილი ხელოსანი და უკანასკნელი წვრილი გლეხი მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას მსხვერპლად შეეწირება“.[1]

საქართველოს სოფლის პროლეტარები და წვრილი გლეხები უკვე XIX—XX სს. მიჯნაზე მარტო მემამულეებს როდი ებრძოდნენ. ისინი მტრულად უპირისპირდებოდნენ მათივე წრიდან გამოსულ კულაკებს — სოფლის ბურჟუებსაც. ბატონყმობის ნაშთების მოსპობა, მართალია, გლეხობის ყველა ფენის ინტერესებს პასუხობდა, მაგრამ ეს ვერ სპობდა გაღატაკებულ გლეხებსა და კულაკებს შორის არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობას. ბოლშევიკების აგიტაცია-პროპაგანდის წყალობით საქართველოს გაღატაკებულმა გლეხებმა აითვისეს სოციალური თანასწორობის იდეა. პირველი რევოლუციის წლებში ისინი ძირითადად ბატონყმობის ნაშთების მოსპობისათვის იბრძოდნენ, მაგრამ „ერთობის“ ლოზუნგიც წამოაყენეს.

---

[1] კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, 1964, გვ. 526—527.

რეაქციის ზეიმი რუსეთში ხანმოკლე აღმოჩნდა. უკვე 1910 წ. შესამჩნევი გახდა მუშათა და გლეხთა მოძრაობის აღმავლობა. 1912 წ. კი კვლავ მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია. რუსეთი, — წერდა ვ. ი. ლენინი იმ დროს, — იმიტომ განიცდის რევოლუციურ მდგომარეობას, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ჩაგვრა, შიმშილი, სიღატაკე, უუფლებობა, ხალხის აბუჩად აგდება აშკარად არ შეესაბამება არც რუსეთის საწარმოო ძალთა მდგომარეობას, არც 1905 წლის მიერ გამოღვიძებული მასების შეგნებისა და მოთხოვნილების დონეს.[1] მაგრამ რევოლუციური სიტუაციისათვის არ კმაროდა ის, რომ ქვედა ფენებს აღარ სურდათ ძველებურად ცხოვრება. ნათლად ჩანდა ისიც, რომ ზედაფენებს აღარ შეეძლოთ თვითნებობა და მართვა-გამგეობა წინანდებურად. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით წერდა, სწორედ ამას ვხედავთ ახლა რუსეთში, პოლიტიკური კრიზისი ყველას თვალწინ მწიფდებაო.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების შემდეგ შინაგანი წინააღმდეგობანი რუსეთში კიდევ უფრო გამწვავდა. ომის მთელი სიმძიმე მშრომელ მოსახლეობას დააწვა მხრებზე. განსაკუთრებით აუტანელი გახდა ჯარისკაცის ფარაჯაგადაცმული მუშებისა და გლეხების მდგომარეობა. რაც უფრო ჭიანურდებოდა ომი, მით უფრო ძლიერდებოდა ჯარისკაცთა გაბოროტება გაბატონებული კლასებისა და მეფის მთავრობის მიმართ.

რევოლუციური სიტუაცია ხშირად ყოფილა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ ყველა მათგანი რევოლუციაში არ გადაზრდილა. ეს გადაზრდა მაშინ ხდებოდა, როცა ობიექტურ ფაქტორებს ემატებოდა სუბიექტური ფაქტორებიც. ემატებოდა „რევოლუციური კლასის რევოლუციური ფასობრივი მოქმედების უნარი“, მას შეეძლო მძლავრი შეტევით გაეტეხა ძველი მთავრობა, რომელიც კრიზისების ეპოქაშიც კი თავისით არ წაიქცეოდა. რუსეთში ასეთი რევოლუციური კლასი იყო სამრეწველო პროლეტარიატი. იგი კაპიტალის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით უდიდეს გავლენას ახდენდა სოფლის პროლეტარიატსა და გლეხობაზე, რევოლუციის ფერხულში აბამდა მთელ მშრომელ და ექსპლუატირებულ მოსახლეობას.

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა რევოლუციური სიტუაცია დასავლეთ ევროპაშიც შექმნა. სავსებით შესაძლებელი გახდა ზედა ფენების კრიზისის გამოყენება კაპიტალიზმის კრახის დასაჩქარებლად. მაგრამ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების რენეგატობამ,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, 1951, გვ. 248—249.

მათმა გადაგვარებამ სოციალ-რეფორმისტული, შოვინისტურ პარტიებად მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ დასავლეთ ევროპაში, სოციალიზმის მატერიალური წანამძღვრების მომზადების მიუხედავად, რევოლუციური სიტუაცია არ გადაიზარდა სოციალისტურ რევოლუციაში.

განსხვავებული ვითარება შეიქმნა რუსეთში. მართალია, ეს ვეებერთელა, მრავალეროვნული იმპერია კაპიტალიზმის განვითარების დონისა და ამდენად სოციალიზმის მატერიალური წანამძღვრების მომზადების მხრივ ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მოწინავე სახელმწიფოებს, მაგრამ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური მასობრივი მოძრაობის უნარი გაცილებით მძლავრი იყო, სხვა ქვეყნის პროლეტარიატთან შედარებით. ამას ემატებოდა ისიც. რომ რუსეთში უკვე არსებობდა ახალი ტიპის პროლეტარულ-რევოლუციური პარტია, რომელსაც შეეძლო მშრომელი მასების დარაზმვა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ გადამწვეტი ბრძოლისათვის.

რუსეთის ცარიზმმა ომი დაიწყო ზარების გუგუნში, მემამულეებისა და ბურჟუაზიის მისალმებათა საზეიმო ხმაურში. მაგრამ ომის მსვლელობამ მალე მოშხამა აღტაცებული განწყობილება. რუსეთის არმიის ცალკეული წარმატებები მარცხმა შეცვალა. რამაც რამდენადმე დაარღვია მეფის მთავრობის ერთობა კაპიტალისტებთან. ბურჟუაზიულმა პარტიებმა ჩამოაყალიბეს სახელმწიფო სათათბიროს ე. წ. „პროგრესული ბლოკი". იგი დიდ პრეტენზიებს არ აყენებდა, მოითხოვდა მთავრობაში რამდენიმე ისეთი მინისტრის შეყვანას, რომელნიც მოითმენდნენ ბურჟუაზიული ორგანიზაციების არსებობას. მხარს დაუჭერდნენ პოლონეთისა და ფინეთის ავტონომიას, აღადგენდნენ პროფესიული კავშირების ლეგალობას. ყოველივე ამით აღმოფხვრიდნენ ეროვნებათა და კლასთა შორის არსებულ წინააღმდეგობებს, დაამყარებდნენ შინაგან მშვიდობას. მაგრამ ბურჟუაზიის მორჩილებას მიჩვეული მეფე გააბრაზა „პროგრესული ბლოკის" მოთხოვნებმა. 1916 წ. 3 სექტემბერს გამოქვეყნდა ნიკოლოზ მეორის ბრძანება სათათბიროს დახურვის შესახებ.

1916 წ. ფრონტზე დამარცხებას და სამეურნეო ნგრევას მუშათა მზარდი საგაფიცვო მოძრაობის ტალღა დაემატა. ბურჟუაზიის ლიდერები ხედავდნენ, რომ ნიკოლოზ მეორეს ომის გამარჯვებამდე მიყვანა და რევოლუციის ალაგმვა არ შეეძლო. „პროგრესულმა ბლოკმა", რომელსაც ამხნევებდა ანტანტის მხარდაჭერა, შეთქმულების მომზადება დაიწყო, მიზნად დაისახა სასახლის გადატრიალების გზით მეფის შეცვლა და ახალი, ბურჟუაზიის ნდობით აღჭურვილი მთავრობის ჩამოყალიბება. მაგრამ ბურჟუაზიას მოქმედების დაწყება პროლეტარიატმა დაასწრო.

1917 წ. 24 თებერვალს გაიფიცა პეტროგრადის 200 ათასი მუშა. 25 თებერვალს დედაქალაქის პროლეტარიატის გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და იგი დემონსტრაციაში გადაიზარდა. 26 თებერვალს რევოლუციური ხალხის მხარეს გადავიდა 600 ჯარისკაცი. 27 თებერვალს რევოლუციის მხარეს იყო უკვე 66 ათასი, 28 თებერვალს 112 ათასი, პირველ მარტს — 170 ათასი ჯარისკაცი. მუშების გაფიცვა-დემონსტრაციები და ჯარისკაცთა ბუნტი, რაც კარგახანია მზადდებოდა, ერთმანეთს შეერწყა და რევოლუციის სწრაფი გამარჯვება განაპირობა.

მუშებმა და ჯარისკაცის ფირაჯაგადაცმულმა გლეხებმა მეფის მთავრობა დაამხეს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია გამარჯვებით დააგვირგვინეს, მაგრამ მათ როდი მოიმკეს გამარჯვების ყველა ნაყოფი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პარალელურად შეიქმნა ბურჟუაზიული მთავრობა.

რევოლუციის პირველ დღეებში მოვლენათა განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო ახდენდა, თითქმის მთელი ძალაუფლება მას ეკუთვნოდა. მაგრამ მენშევიკებს, რომელნიც საბჭოში უმრავლესობას შეადგენდნენ, ეს გარემოება ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა დარღვევად მიაჩნდათ. მათი აზრით, რაკი რევოლუცია ბურჟუაზიული იყო, ცარიზმის ადგილი ბურჟუაზიულ მთავრობას უნდა დაეკავებინა. ამიტომ მენშევიკთა ლიდერებმა მოლაპარაკება გამართეს სათათბიროს „პროგრესულ ბლოკთან“. პეტროგრადის საბჭომ დაადგინა სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის ნება-სურვილზე მიენდო მთავრობის შედგენა და სამაგიეროდ მისგან მოეთხოვა: 1. პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტია, 2. სიტყვის, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლება, 3. ყველა წოდებრივ, ნაციონალურ და რელიგიურ შეზღუდვათა გაუქმება, 4. პოლიციის შეცვლა სახალხო მილიციით, 5. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა დემოკრატიზაცია და სხვ. მენშევიკურ-ესერული საბჭოს ამ მოთხოვნებში არაფერი იყო ნათქვამი მიწის, ზავისა და 8 საათიანი სამუშაო დღის შესახებ. მენშევიკებმა იმისათვის, რომ ბურჟუაზია არ დაეფრთხოთ, სოციალ-დემოკრატიის პროგრამა მინიმუმის დიდ ნაწილზეც კი უარი განაცხადეს

ბურჟუაზიამ მისაღებად ჩათვალა ესერ-მენშევიკთა წინადადება, უარი არ უთქვამს შეთავაზებულ ხელისუფლებაზე და ჩამოაყალიბა დროებითი მთავრობა. მშრომელი მასისა და არმიის მხარდაჭერა საბჭოების მხარეს იყო, ხელისუფლება კი შემთანხმებლური პარტიების ანტიმუშური პოლიტიკის წყალობით ბურჟუაზიულ მთავრობას უნდა გადასცემოდა. მაგრამ რევოლუციური ძალების დიდი გავლენის პირობებში,

შენშევიკებმა და ესერებმა ვერ შესძლეს საბჭოებისათვის მთავრობის ფუნქციების მთლიანად ჩამორთმევა. რამდენიმე ხნით პრაქტიკულად დაკანონდა ორხელისუფლებიანობა. გაბატონებული კლასები მხოლოდ დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას სცნობდნენ, მშრომელი მასები კი საბჭოებს უჭერდნენ მხარს.

დროებითმა მთავრობამ, შეთანხმებლური პარტიების დახმარებით, თანდათან მოიპოვა გავლენა. იგი გვერდს უვლიდა ბევრ საჭირბოროტო საკითხს და ხალხს ურჩევდა დამფუძნებელი კრებისათვის მოეცადა. მაგრამ მშრომელ მასას მოცდა აღარ შეეძლო. მუშათა კლასის პოლიტიკური დემონსტრაციები და გლეხთა აგრარული ბრძოლა თანდათან ფართოვდებოდა.

ემიგრაციაში მყოფი ვ. ი. ლენინი აღტაცებით მიესალმა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციას, მაგრამ პროლეტარიატის ბელადს მიაჩნდა, რომ ცარიზმის დამხობით რევოლუციის მხოლოდ პირველი, დემოკრატიული ეტაპი დამთავრდა. რუსეთის მუშათა კლასის წინაშე, — წერდა ლენინი, — დგას უდიდესი ამოცანა — გამოიჩინოს დიდი გმირობა და გამარჯვებას მიაღწიოს რევოლუციის მეორე ეტაპზე. „არავითარი ნდობა დროებით მთავრობას“, „არავითარი მხარდაჭერა შემთანხმებლურ პარტიებს“, — ამბობდა ვ. ი. ლენინი და მუშებს მოუწოდებდა შეექმნათ შეიარაღებული მილიცია, რაც ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წ. დაასაბუთა, რომ პირველ და მეორე სოციალურ ომს შორის ჩინური კედელი არ იყო აღმართული. განვითარების გარკვეულ ეტაპზე, გარკვეულ სიტუაციაში ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, ერთმანეთს ერწყმოდნენ. რუსეთის მშრომელთა დიდ ნაწილს ერთდროულად სტანჯავდა როგორც ბატონყმობის ნაშთები, ისე კაპიტალისტური ექსპლუატაცია. სოფლის ნახევრადპროლეტარული მასა, რომელიც დიდი რაოდენობით გადიოდა საშოვარზე სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, პრაქტიკულად ახორციელებდა საბრძოლო კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის. რევოლუციურ ძალთა ასეთი განლაგების დეტალური ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობდა რეალური პირობები და იყო რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციაში. ეს შესაძლებლობა კიდევ უფრო ცხადი გახდა 1917 წელს.

1917 წ. 3 აპრილს ემიგრაციიდან ლენინი რუსეთში ჩამოვიდა. მას დიდი აღტაცებით შეხვდა რევოლუციური პროლეტარიატი. მეორე დღე-

სვე ბელადი მოხსენებით გამოვიდა ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პეტროგრადის კომიტეტის წევრებისა და მუშათა დეპუტატების სრულიად რუსეთის თათბირის ბოლშევიკ დელეგატთა კრებაზე, განსაზღვრა პროლეტარიატის ამოცანები მიმდინარე რევოლუციაში. ეს იყო აპრილის ცნობილი თეზისები, რომელშიც ლენინმა ჩამოაყალიბა პარტიის კურსი, სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გეგმა. „რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება, — ამბობდა ბელადი, — მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არასაკმარისი შეგნებულობისა და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, მ ე ო რ ე ეტაპზე გ ა დ ა ს ვ ლ ა შ ი, რომელმაც ძალაუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს“.[1]

ვ. ი. ლენინმა სოციალისტური რევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალად გამოაცხადა პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა, რომელთა საარსებო ინტერესები დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში დამყარებული ორხელისუფლებიანობა, — წერდა ლენინი, — არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. იგი უნდა დამთავრდეს ან ბურჟუაზიის დიქტატურით, ან პროლეტარიატის დიქტატურით. ბელადი ღრმა რწმენით აცხადებდა, რომ შექმნილ სიტუაციაში სავსებით შესაძლებელია დამყარება პროლეტარიატის დიქტატურისა, რომლის სახელმწიფოებრივი ფორმა საბჭოების რესპუბლიკა იქნებაო.

ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური პროგრამა და მშრომელი მასების მოძრაობა, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა დროებით მთავრობაზე, აიძულებდა მას გარკვეული მუშაობა ჩაეტარებინა მომწიფებული საკითხების გადასაჭრელად. 1917 წ. 21 აპრილს დროებითმა მთავრობამ ჩამოაყალიბა მთავარი საადგილმამულო კომიტეტი, ხოლო მალე ამის შემდეგ შეიქმნა საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტები. მათში გაბატონებული მთავრობის მოხელეები გლეხებს წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ. ურჩევდნენ მათ თავი შეეკავებინათ თვითნებური მოქმედებისაგან, დაეცადათ აგრარული რეფორმისათვის. ბოლშევიკები კი ცდილობდნენ საადგილმამულო კომიტეტები რევოლუციურ ორგანოებად გადაექციათ, ისინი გლეხებს მოუწოდებდნენ ორგანიზებულად დაუფლებოდნენ მემამულეთა მიწებს. და მართლაც 1917 წელს მემამულეთა მიწების ორ-

---

[1]. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, 1951, გვ. 4.

განიზებულად ხელში ჩაგდება გახდა გლეხთა მოძრაობის მთავარი ფორმა რუსეთის თითქმის ყველა მხარეში და მათ შორის საქართველოშიც.

დროებით მთავრობას არაფერი გაუკეთებია ნაციონალური საკითხის გადასაჭრელად, დაჩაგრული ერების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, იგი კვლავ იცავდა „ ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ცარიზმისდროინდელ პრინციპს. ამიტომ დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვების შემდეგ განაპირა მხარეებში ეროვნული მოძრაობა გაფართოვდა, მრავლად ჩამოყალიბდა ეროვნული დაწესებულებები.

ცარიზმის დამხობას, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას აღტაცებით შეხვდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. ამოძრავდა ყველა კლასი, რევოლუციური განწყობილება ჯარსაც მოედო, გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები.

რევოლუციის პირველ დღეებიდანვე თბილისში მდგომარეობის ბატონ-პატრონი აღმოჩნდა ახლად ორგანიზებული მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, მაგრამ მენშევიკების წინადადებით საბჭომ ძალაუფლება მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლებსაც გაუზიარა. დროებით აღმასრულებელ კომიტეტში ბურჟუაზიული საქალაქო სათათბიროს წარმომადგენლებიც შევიდნენ.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის შექმნა განსაკუთრებული ორგანო—ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი (ოზაკომი). რთული მდგომარეობა შეიქმნა, დაისვა საკითხი — რომელ ორგანოს უნდა შეესრულებინა მთავრობის ფუნქციები, ადგილობრივი მოსახლეობისაგან არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტებს, თუ დროებითი მთავრობისაგან დანიშნულ საგანგებო კომიტეტს. 18 მარტს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტების ყრილობა, რომლის უმრავლესობამ და შენმთანხმებლურმა პარტიებმა სრული ნდობა გამოუცხადეს ოზაკომს. ყრილობამ, მართალია, აირჩია ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ მან ადგილობრივი მთავრობის ფუნქციები ნებაყოფლობით დაუთმო ოზაკომს. ბოლშევიკებმა გააჩაღეს მენშევიკთა შემთანხმებლური პოლიტიკის კრიტიკა და სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას რევოლუციის მეორე ეტაპზე გადასვლისათვის.

ბოლშევიკების გავლენის ზრდამ, მუშათა მასის გამემარცხენებამ, გლეხთა აგრარული მოძრაობის აღმავლობამ შეაშფოთა საქართველოს გაბატონებული კლასები. 1917 წ. 27 ივლისს ოზაკომმა მოწოდებით მიმართა მხარის მოსახლეობას. მრავალი მხრიდან მოდის ცნობები, — ნაოქვამია ამ მოწოდებაში, — რომ გლეხები არ ელოდებიან დამფუძნე-

ბელ კრებას, საადგილმამულო საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტას და თვითნებურად იკავებენ მემამულეთა მიწებს. ოზაკომი აფრთხილებს მათ, რომ მიწის საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ დამფუძნებელმა კრებამ. მანამდე კი ყოველგვარი საადგილმამულო დავა უნდა გაარჩიონ სამხარეო-საადგილმამულო და საგუბერნიო კომიტეტებმა, რომლებიც ახლა ყალიბდებაო. ოზაკომი მოუწოდებს მოსახლეობას დაიცვას აქამდე არსებული მიწათმფლობელობის წესები, არ დაარღვიოს კერძო მესაკუთრეთა უფლებები. წესიერების დამრღვევნი დაისჯებიანო დიდი სიმკაცრით.

რუსეთის დროებითი მთავრობისა და მისი ფილიალის ოზაკომის რჩევა-დარიგებას და მუქარას არ შეეძლო რევოლუციური მასების შეკავება. ზედაფენები შეტევაზე გადავიდნენ, მიზნად დაისახეს ბურჟუაზიის ერთხელისუფლებიანობის დამყარება. ივლისის დემონსტრაციის მონაწილეთა დახვრეტის შემდეგ რუსეთში არსებითად ბურჟუაზიის დიქტატურა დამყარდა. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმაც მოახერხა ადგილობრივი საბჭოების შევიწროება.

კორნილოვის კონტრრევოლუციური ამბოხების ჩახშობის შემდეგ ბოლშევიკებმა კვლავ წამოაყენეს ლოზუნგი — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, ხოლო ოქტომბრის დამდეგიდან ფართო აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღეს სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის მოწვევისასათვის, რადგან მხოლოდ მშრომელი რუსეთის ამ წარმომადგენლობით ყრილობას შეეძლო გამოეცხადებინა და დაეკანონებინა მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლა. ქართველი ბოლშევიკები აქტიურად გამოეხმაურნენ ცენტრის მოწოდებას, გააძლიერეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშრომელ მასებში. მაგრამ მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცთა მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არ დაეკარგა მენშევიკების ნდობა. თბილისის მუშათა საბჭოს უმრავლესობამ შემთანხმებლებს დაუჭირა მხარი, მაგრამ ამას არ შეეძლო დისონანსი შეეტანა საბჭოების ბოლშევიზაციის საერთო პროცესში.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და მასში მონაწილე „სოციალისტი“ მინისტრების ეკონომიკური პროგრამის არსი იყო კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნების ბაზაზე სახელმწიფო სექტორის რამდენადმე გაფართოება და წარმოების სახელმწიფოებრივი რეგულაცია. კოალიციურმა მთავრობამ ვერ აღკვეთა სამეურნეო ნგრევა და არც შეეძლო ამის გაკეთება, რადგან ვერ ბედავდა კაპიტალის ოდნავადაც კი შეზღუდვას, კაპიტალისტთა განუსაზღვრელი მადისათვის ლაგამის ამოდებას. მუშათა კლასი თვითშეგნებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამეურნეო

ნგრევისა და შიმშილობის აღმოფხვრის აუცილებელი წინაპირობა იყო კაპიტალისტთა თვითნებობის ალაგმვა, წარმოებისა და განაწილების საქმეში აქტიური ჩარევა. რუსეთის ათეულობით ქალაქის ბევრ საწარმოს, აგრეთვე ბაქოს, თბილისის, ბათუმის, ჭიათურის და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშებმა მართლაც შეძლეს წარმოება-განაწილებაზე გარკვეული კონტროლის დაწესება, მაგრამ ნამდვილად ეფექტური მუშათა კონტროლი შეუძლებელი იყო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე.

ვ. ი. ლენინის აზრით, შექმნილ კონკრეტულ სიტუაციაში გადაუდებელ საქმეს წარმოადგენდა: 1. ყველა ბანკის გაერთიანება ერთ ბანკად და მის ოპერაციებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება, ან ბანკების ნაციონალიზაცია; 2. არსებული სინდიკატებისა და სხვა მონოპოლისტური გაერთიანებების ნაციონალიზაცია; 3. კომერციულ საიდუმლოებათა გახსნა; 4. მრეწველების, ვაჭრებისა და საერთოდ მეპატრონეების იძულებითი სინდიცირება; 5. მოსახლეობის გაერთიანება სამომხმარებლო საზოგადოებებად და მათ საქმიანობაზე კონტროლის დაწესება. ეს ღონისძიებანი ვაჭრობა-მრეწველობაში, ხოლო მიწების კონფისკაცია და საგლეხო კომიტეტებისათვის გადაცემა სოფლად, შესაძლებელს გახდიდა შიმშილისა და სამეურნეო კატასტროფის თავიდან აცილებას. რუსეთის მონოპოლისტური კაპიტალიზმის საკმაოდ მაღალი დონის პირობებში ასეთი გარდაქმნები შესაძლებელი იყო, მაგრამ დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას და შემთანხმებლურ პარტიებს, თავიანთი სოციალური ბუნების გამო, საამისო ძალა არ შესწევდათ. ამიტომ, ობიექტური აუცილებლობა მოითხოვდა რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლას, სოციალისტური რევოლუციის განხორციელებას.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მთელ რუსეთში დაიწყო გეგმაზომიერი მზადება შეარაღებული აჯანყებისათვის. 1917 წ. ოქტომბრის შუა რიცხვებში წითელ გვარდიაში უკვე 200 ათასი მუშა ირიცხებოდა, 16 ოქტომბერს არჩეულ იქნა ხელმძღვანელი ცენტრი. ვ. ი. ლენინის წინადადებით აჯანყება დაიწყო 24 ოქტომბერს. ბოლშევიკების მეთაურობით წითელგვარდიელებმა, გარევოლუციონერებული ჯარის ნაწილებმა და ბალტიის მეზღვაურებმა პეტროგრადში დაიკავეს მთავრობის ყველა დაწესებულება, ბოლოს კი დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის რეზიდენცია — ზამთრის სასახლეც. არმიისა და მშრომელი მოსახლეობის მხარდაჭერის შედეგად ბოლშევიკების მიერ დაწყებული აჯანყება ძალიან სწრაფად გამარჯვებით დაგვირგვინდა. 1917 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) მთელი ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა. სრულიად რუსე-

ის საბჭოების მეორე ყრილობამ შექმნა სახალხო კომისართა საბჭო, რომელსაც სათავეში ლენინი ჩაუდგა. პროლეტარულმა მთავრობამ მყისვე გამოაქვეყნა დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ. მალე საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა მოსკოვში და ტრიუმფალური მარშით იწყო გავრცელება მთელ რუსეთში.

ოქტომბრის რევოლუციას სიხარულით მიესალმენ საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელები, მოითხოვეს ლენინური მთავრობის ცნობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ადგილზე, მაგრამ ბურჟუაზიულმა და შემთანხმებლურმა პარტიებმა შეძლეს რევოლუციის დამუხრუჭება, ამიერკავკასიის დროებით მოწყვეტა საბჭოთა რუსეთისაგან. ჩამოყალიბდა „ამიერკავკასიის ბურჟუაზიული ფედერაციული რესპუბლიკა", რომლის მთავრობას სათავეში ჩაუდგა მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების კოალიცია. ეს ეფემერული გაერთიანება დღემოკლე აღმოჩნდა და დაიშალა.

1918 წ. 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა თავის საქმიანობით თითქმის არ სცილდებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის ჩარჩოებს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ წყობილებას. მიუხედავად ამისა, იგი ცდილობდა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების მხარდაჭერის მოპოვებას. მენშევიკები მუშათა კლასს ურჩევდნენ უარი ეთქვათ თავის მაქსიმალისტურ მოთხოვნებზე, შეჩერებულიყო რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეტაპზე, სოციალიზმის იდეათა განხორციელება კი შორეული მომავლისათვის გადაედო.

ქართველმა მენშევიკებმა ჭკუის სასწავლებლად გამოიყენეს რუსი თანამოძმეების მიერ დაშვებული შეცდომები, რასაც შედეგად მოჰყვა მშრომელი მასების „ბოლშევიკური სენით" დაავადება და სცადეს ზოგი მომწიფებული საკითხის დროულად გადაჭრა. ქართველმა მენშევიკებმა კარგად შეამჩნიეს მიწის ლენინური დეკრეტის გამარევოლუციონერებელი მნიშვნელობა და მისი გავლენის შემცირების მიზნით საქართველოში გაატარეს აგრარული რეფორმა.

აგრარული „გარდაქმნები" ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კოალიციურმა მთავრობამ დაიწყო იმით, რომ 1917 წ. დეკემბერში გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ. მაგრამ იგი უშინაარსო დეკლარაცია აღმოჩნდა და ბუნებრივია, გლეხობა ვერ დააკმაყოფილა. როდესაც ამიერკავკასიის სეიმი შეიკრიბა, მხარე აგრარული რევოლუციის ალში იყო გახვეული. ამიერკავკასიის ბურჟუაზიული სახელმწიფოს ამ პარლამენტში გაბატონებული ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიები იძულებული გახ-

დნენ სწრაფად შეემუშავებინათ აგრარული რეფორმის კანონი (1918 წ. მარტი). იგი, მართალია, განსაზღვრავდა სასოფლო-სამეურნეო ზონების მიხედვით მიწათმფლობელობის უმაღლეს ნორმას (შვიდი, თხუთმეტი და ორმოცი ჰექტარი), მაგრამ არ აწესებდა გლეხობისათვის გადასაცემი ნაკვეთების ოდენობას. ამასთან, მთავრობა პრაქტიკული მოქმედების დაწყებას კვლავ აგვიანებდა, რაც გლეხობის გულისწყრომას იწვევდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი წერდა, რომ „მოთმინების ფიალა აივსო და გლეხებმა ძალით გადაწყვიტეს მიწის საკითხი, რევოლუციური გზით მიითვისეს ის, რაც კანონის ძალით არ მიეცათ, თითქმის პირწმინდათ ჩამოართვეს მემამულეებს მიწები და თვითონ შეუდგნენ დამუშავებას“.

მენშევიკურ მთავრობას არ მოეწონა გლეხობის თვითნებობა. მოხელეები ჩიოდნენ რომ სოფლად ანარქია გაბატონდა. „ისინი იძულებული გახდნენ დაეჩქარებინათ „კანონზე დამყარებული რეფორმის“ გატარება. მაგრამ გლეხობას უკვე აღარ აკმაყოფილებდა 1918 წ. 7 მარტის კანონი, უარს ამბობდა მემამულეებისათვის დაებრუნებინა ნორმად დადგენილი 7,15 და 40 ჰექტარიანი ნაკვეთები, ამიტომ იყო, რომ აგრარული რეფორმის რეალიზაცია გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა.

სახელმწიფოს ხელში გადავიდა სახაზინო და საუფლისწულო მიწები. სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ მოახდინა აგრეთვე 1,5 მლნ ჰა კერძო ტყეებისა და საძოვრების კონფისკაცია. მალე სახელმწიფო მიწის ფონდში გადავიდა კერძო მფლობელთაგან ჩამორთმეული 621 ათასი ჰა სახნავ-სათესი მიწა. ყველას მიეცა სახელმწიფო ფონდიდან მიწის იჯარით აღების უფლება. მაგრამ საერთოდ მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, როცა ხელუხლებელი რჩებოდა კერძო და საიჯარო მიწებზე შექმნილი კაპიტალისტური მეურნეობები, ხოლო ღარიბთა მასა კვლავ მწვავედ განიცდიდა მცირემიწიანობას, გლეხობის დიდ ნაწილს არ აკმაყოფილებდა. კონფლიქტი მთავრობასა და გლეხობას შორის გრძელდებოდა.

1919 წ. 28 იანვარს საქართველოს მთავრობამ აგრარული საკითხის გადასაჭრელად გამოსცა ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ფონდიდან ღარიბი გლეხობისათვის მიწის მიყიდვას. ფასები ფრიად შეღავათიანი იყო, მაგრამ სავალალოს ის წარმოადგენდა, რომ ასეთი გასაყიდი მიწები მეტად მცირე აღმოჩნდა სახელმწიფო ფონდში.

მენშევიკების აგრარული პოლიტიკა არ იყო თანამიმდევრული. მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს,

მაგრამ მათ არ მოუსპიათ მიწაზე კერძო საკუთრება და არც მუნიციპალიზაციის პროგრამაზე აუღიათ ხელი. ბევრი კაპიტალისტური მეურნეობა ხელუხლებელი დარჩა. ამ მეურნეობათა მფლობელებს თითქოს ჩამოართვეს ნორმაზე მეტი მიწა, მაგრამ ეს ჩამორთმეული სავარგულები გლეხებს კი არ ეძლეოდა, არამედ სტოვებდნენ „დაზარალებულ პირთა" — წინანდელ მესაკუთრეთა იჯარაში. ამან კი ძალიან შეამცირა გლეხობისათვის გადასაცემი მიწის ფონდი. 1920 წ. როცა აგრარული რეფორმის გატარება თითქმის დამთავრებული იყო, საქართველოს სოფლის 30 ათას კომლს ოჯახზე ჰქონდა 0,5 ჰა მიწა, 101 ათას კომლს — 0,5—2 ჰა, 100 ათას კომლს — 2—4 ჰა, 92 ათას კომლს — 4—10 ჰა, 3 ათას კომლს — 10—50 ჰა მიწა.

ამგვარად, მენშევიკებმა საქართველოში გაატარეს არა სოციალისტური ხასიათის, არამედ საკმაოდ რადიკალური ბურჟუაზიული აგრარული რეფორმა. მან მოახდინა მსხვილი ლატიფუნდიების—ბატონყმობის ნაშთების ეკონომიკური საფუძვლის ლიკვიდაცია. მემამულეებისათვის ნორმად დატოვებული 7—40 ჰა მიწა არ იყო საკმარისი გლეხების ნახევრად ბატონყმური ექსპლუატაციისათვის. რეფორმამ რამდენადმე დააზარალა საშუალო სიდიდის მემამულური და ბურჟუაზიული მეურნეობები. კულაკობას კი იგი თითქმის არ შეხებია. სოფლის ბურჟუაზია კმაყოფილი იყო და მთავრობის პოლიტიკას იწონებდა. უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობა, მართალია, მიესალმა მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას, ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრას, მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა ბურჟუაზიული ხასიათი რეფორმისა, რომელიც სოფლის ბურჟუაზიას კაპიტალისტური მეურნეობისა და კაპიტალისტური ექსპლუატაციის გაგრძელების საშუალებას აძლევდა. ამ ნიადაგზე საქართველოს სოფელში თანდათან გაფართოვდა მეორე სოციალური ომი, კლასობრივი ბრძოლა სოფლის პროლეტარიატის და ნახევრად პროლეტარიატის სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

1917 წ. მარტიდან დეკემბრამდე საქართველოში ჯერ კიდევ დომინირებდა ბატონყმობის ნაშთების საფუძველზე აღმოცენებული ანტაგონიზმი, სჭარბობდა პირველი სოციალური ომის მასშტაბი, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა 6 დეკემბრის კანონი და1918 წ. 7 მარტის დეკრეტი, რომელიც მიწათმფლობელობის საკმაოდ მაღალ ნორმებს აწესებდა, შკვერთად გაძლიერდა მეორე სოციალური ომი. სოფლის მუშები და ღარიბი გლეხები არ ელოდებოდნენ მთავრობისაგან შექმნილ აგრარულ კომისიებს, თვითნებურად ახდენდნენ როგორც ფეოდალური ლატიფუნდიების, ისე ბურჟუაზიული მეურნეობების კონფისკაციას, ერთდროუ-

ლად იბრძოდნენ ექსპლუატაციის ნახევრად ბატონყმური და კაპიტალისტური ფორმების მოსპობისათვის. 1918 წ. განადგურებულ იქნა კაპიტალისტური ფერმები და შვეიცარული ყველის ქარხნები ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში. აგრარულმა რევოლუციამ ცეცხლში გახვია აგრეთვე მანთაშევის, არამიანცის, ანანოვის, სარაჯიშვილის, ენიკოლოფოვის და სხვა კაპიტალისტთა მეურნეობები. გლეხებსა და დაქირავებულ მუშებს შეღავათი არც კულაკებისათვის მიუციათ, ბევრი კულაკური მეურნეობა გაანადგურეს.

1918—1920 წ. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში სოფლის პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხების მახვილი ძირითადად ბურჟუაზიის წინააღმდეგ წარიმართა, ყველგან სჭარბობდა მეორე სოციალური ომი. ამ ბრძოლას, ბოლშევიკებმა პოლიტიკური ხასიათი მისცეს, ეროვნული ბურჟუაზიის სამსახურში ჩამდგარი სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგ წარმართეს. აჯანყებები რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, გორისა და დუშეთის მაზრებში, ზემო იმერეთსა და გურიაში, მენშევიკური მთავრობის დამხობასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ისახავდა მიზნად. მთავრობა ახშობდა ბოლშევიკურად განწყობილ სოფლის მშრომელთა ამ გამოსვლებს. მაგრამ აჯანყების ერთი კერის ლიკვიდაციისთანავე აჯანყების მეორე კერა ჩნდებოდა, სამოქალაქო ომი პერმანენტულად გრძელდებოდა.

ასეთი პასუხი გასცა საქართველოს სოფლის პროლეტარიატმა და ღარიბმა გლეხობამ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ბურჟუაზიულ პოლიტიკას. სოფლის მშრომელი მასა იბრძოდა მიწის ლენინური დეკრეტისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. სოფლის მშრომელთა აჯანყებები ერწყმოდა სამრეწველო პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას.

იმ პირობებში, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი დამოუკიდებლობის მოპოვებით ხარობდა და ახლად აღორძინებულ ეროვნული სახელმწიფოს დემოკრატიულ მთავრობას უჭერდა მხარს, ბოლშევიკურად განწყობილ მშრომელთა გამოსვლები არსებულ რეჟიმს დიდ საფრთხეს თითქოს არ უქმნიდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთს თავის ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა მიეცა და საქართველოში მე-11 წითელი არმია გამოგზავნა, ძალთა წონასწორობა ქართველი კომუნისტების სასარგებლოდ შეიცვალა. ოქტომბრის დროს საქართველოს დედაქალაქში 1921 წ. 25 თებერვალს აღიმართა.

შინაარსი

წინათქმა 3
თავი I ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია საქართველოში გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა X—XVIII სს. 6
თავი II საქართველოს რუსეთთან შეერთება. ანტიცარისტული აჯანყებები. თავადაზნაურობა და გლეხობა XIX ს. პირველ მესამედში 30
თავი III გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა XIX ს-ის 40—50-იან წლებში 63
თავი IV საგლეხო რეფორმის მომზადება. ბატონყმობის გაუქმება 96
თავი V გლეხთა მოძრაობა XIX ს-ის 60—70-იან წლებში 120
თავი VI ქართველი გლეხობა XIX ს-ის 80—90-იან წლებში 159
თავი VII სოფლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. კლასობრივი ანტაგონიზმის ხასიათი. გლეხობის განმათავისუფლებელი ბრძოლა XIX—XX სს. მიჯნაზე 185
თავი VIII. ქართველი გლეხობა სამი რევოლუციის ქარცეცხლში 209

Бендианишвили Александр Сергеевич

КРЕСТЬЯНСКИЙ КЛАСС И КРЕСТЬЯНСКОЕ ДВИЖЕНИЕ В ГРУЗИИ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили 5
1989

რედაქტორი ჭ. თავართქილაძე, მხატვარი რ. მაჭარაშვილი, მხატვრული რედაქტორი ქ. ტუხაშვილი, ტექნიკური რედაქტორი მ. აფხაზავა, კორექტორი ნ. მჭედლიშვილი, გამომშვები ნ. თათარაშვილი

სბ № 6346

გადაეცა წარმოებას 30.09.88 წ; ხელმოწერილია დასაბეჭდად 02.03.89 წ; უე 01848; საბეჭდი ქაღალდი № 60×84 1/16 გარნიტური ვენა; ბეჭდვა მაღალი, პირობითი ნაბეჭდი 14,64; პირ. საღ.-გატ. 14,64; სააღრ.-საგამომც. თაბახი 14,45; ტირაჟი 1000 შეკვ. № 1700

ფასი 3 მან 20 კაპ.

გამომცემლობა, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, მარჯანიშვილის 5.

სსი-ის სტამბა, თბილისი-59

Типография ГрзСХИ, Тбилиси-59.